კვირის პალიტრა

# გზა

N51 (44
18/XII-
80 თე

63
1168
2008

„13 წლის ასაკში მივხვდი, რომ ნაშვილები ვიყავი“...

გოგონა, რომელიც ბიოლოგიურ დედას ეძებს



ვინ ეხმარება სალომე ბაკურაძეს

ვინ სცემა ცოცხით ირინა ბაირამაშვილი

არაპროგნოზირებადი კონკურსის კულუარები

„ძალიან მიყვარხარ, ხომ ხედავ, ვთქვი და გაგაწითლე“...



„ЦЕРКОВНЫЙ БУНТ – 1819 წელი“



ანუ ქართულმა ეკლესიამ დამპყრობელს ომი გამოუცხადა

ISSN 1987 - 5029

შეწყვეტილი დახმარება და სოციალური აგენტის „წყალობით“ „გამდიდრებულები“

# იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და ბათქაშები იტალიიდან

Decor
DIVISION
OIKOS

Paint
DIVISION
OIKOS

Façade
DIVISION
OIKOS

OIKOS

გზა
№51 (445)
18 – 24 დეკემბერი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი






წარმოუდგენელი საქციელი

## გზავნილები



[illegible] ხიმალაიზე [illegible], იმაზეა დამოკიდებული, თუ მას მიიჩნევ [illegible].



გონიერი მკითხველი

35

## ხელოვნებაში გაცოცხლებული ნაომარი აფხაზეთი

„სოხუმში სახლი აღარ მაქვს, დაიწვა. ეშერაში საშენი მასალები მქონდა, ახალი სახლის აშენებას ვაპირებდი, მაგრამ ომი დაიწყო. მას შემდეგ, რაც უსახლკაროდ დავრჩი, ჩემს დამწვარ ბინას ერთი პატარა ოთახი მივაშენე, მაგრამ ვიღაც რუსი შესახლდა“.



14

## დოკუმენტური ფილმი მასწავლებელზე



„დიტო ჩემი სტუდენტი იყო, ახლა კი კინოს ოსტატია!“ – მითხრა ბატონმა ელდარ შენგელაიამ თავისი ყოფილი სტუდენტისა და ამჟამად, ცნობილი რეჟისორის – დიტო ცინცაძის შესახებ. კინოს ოსტატმა გადაწყვიტა, საკუთარ მასწავლებელზე დოკუმენტური ფილმი გადაეღო.

29

■ მინიატიურები
კლიმატური და პოლიტიკური თოვლ-ჭყაპი ანუ „სიცივეა, არ გვაქვს შეშა“ 5
■ ფაქტი და კომენტარი
„ჩვენს ქვეყანას რამდენიმე წელიწადში უნიკალური შანსი მიეცემა“... 6
■ ჟურნალისტის როლში
არაპროგნოზირებადი კონკურსის კულუარები 12
■ ქვეყანა
ხელოვნებაში გაცოცხლებული ნაომარი აფხაზეთი 14
■ საზოგადოება
✓ სოციალური დახმარების მოლოდინში 17
✓ შეწყვეტილი შემწეობა და სოციალური აგენტის „წყალობით“ „გამდიდრებულები“ 19
■ თემა
მადლისთვის ნაბოძები საჩუქარი 21
■ ტკივილი
„13-14 წლის ვიყავი, როცა მივხვდი, რომ ნაშვილები ვიყავი“ 23
■ ტანდემი
„შუა ქალაქის“ მაყურებელს საახალწლოდ დიდი მხიარულება ელის 24
■ სცენა
„ЦЕРКОВНЫЙ БУНТ— 1819 წელი“ 26
■ ეკრანს მიღმა
დოკუმენტური ფილმი მასწავლებელზე 29
■ ერუდიტი
რამ დააბნია და რა ვერ გაიხსენა ცნობილმა ექსპერტმა 30

## მადლისთვის ნაბოძები ღვთის საჩუქარი

გოგჯერ ცხოვრებაში ისეთი რამ ხდება, რასაც მხოლოდ სასწაულს თუ შეადარებ. ცოტა ხნის წინ, ახლობელმა დამირეკა და თავისი სიხარული გამიზიარა. ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ, ქალმა შეიტყო, რომ ბავშვს ელოდება.



21

26014
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

■ ჯანმრთელობა
✓ ნუ გეშინიათ გაციების 32
✓ გახანგრძლივებული ხველა 33
■ ჟურნალი ჟურნალში
✓ ცხოვრება 35
✓ გზავნილები 51
■ შემოქმედი
ოზურგეთელი ნიკალა 67
■ ფესვები
„მე სამუდამოდ დავბრუნდები“... 68
■ რომანი
სვეტა ქვარაცხელია. სხვისი ოცნების ქალი (გაგრძელება) 70
■ ტაიმ-აუტი 74
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ როგორ შევარჩიოთ სარკე 76
✓ ასაკი და ბიოლოგიური საათი 77
■ ვარსკვლავები 78
■ ტაძარი
მრავალჭირნახული ღვთის სახლი და კანდელივით მოკიაფე ბერები 80
■ სასიძო
„ნიკიანი“ სასიძოს უცნაური „შემოტევები“ 82
■ ასპარეზი
არველაძე მითითებებს ზემოდან იძლევა 84
■ თინეიჯერული პონტები
✓ ქურდი თინეიჯერების ალსარება 86
✓ „არაკაცთან ცხოვრებას უკაცოდ ყოფნა სჯობს“ 88
■ კრიმინალი
მკვლელობა თუ უბედური შემთხვევა? 90
■ მნვერვალი
ავარია სვანეთში. დოკუმენტური მოთხრობა და ორი ოჯახისთვის გალებული პონორარი 92
■ ავტო 95
■ სკანვორდი 96
■ ტესტი 97
■ პროგნოზი 98

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, [illegible] ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

## „შუა ქალაქის“ მაყურებელს საახალწლოდ დიდი მხიარულება ელის



„ორივეს ოჯახი გვაქვს და შეხვედრებისთვის ვეღარ ვიცლით. ერთმანეთს მხოლოდ თეატრში, რეპეტიციებზე ვნახულობთ“.

24

## რას ამოიკითხავთ ტუჩებზე?



ოდნავ წინ წამოწეული ზედა ტუჩი — მიგვანიშნებს მიზანდასახულ, თავდაჯერებულ, თავმოყვარე და ამბიციურ ადამიანზე. ის „მუდამ მართალია“, ყოველთვის ცდილობს, თავისი გაიტანოს და არად დაგიდევთ სხვათა შეხედულებებს.

76

## სოციალური აგენტის „წყალობით“ „გამდიდრებულები“



„2 წლის განმავლობაში ჩემი სოციალური მდგომარეობა საერთოდ არ შეცვლილა. ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობ, ძველი მაცივარი და გაფუჭებული ტელევიზორი მაქვს, რომელზეც ხელოსანმა მითხრა, — გადააგდე, აღარ გაკეთდებაო“.

19




— ბაბა, თათო ვარ, გეძინა?
— ჰო, რა იყო?
— გაიგე ახალი ამბავი?
— არა, რა ამბავი?
— საშინელების მოლოდინში წამოვიწიე.
— ნატა მოიტაცეს.
— რა-ა?! — ყურებს არ დავუჯერე. — რატომ, როდის, ვინ? — თავადაც არ ვიცოდი, რას ვამბობდი.

70

# კლიმატური და პოლიტიკური თოვლ-ჭყაპი ანუ „სიცივეა, არ გვაქვს შეშა"



ქართველებს იმდენად გვიყვარს ერთმანეთისთვის სიხარულის მინიჭება, რომ პირველ თოვლსაც კი ვულოცავთ. არადა, პირველ თოვლს ძვალ-რბილში გამტანი სიცივის, „კრილოებმიჭყლეტილი" მანქანებისა და ყინულზე მოცურების შედეგად ტრავმატოლოგიურში პაციენტების „ანშლაგის" მეტი არაფერი მოაქვს. თუმცა პატარებმა მაინც გაიხარეს და მოასწრეს ტალახში აზელილი თოვლისგან თოვლის ბაბუების გაკეთება, მაგრამ ალბათ ესეც სიმბოლურია: ახლა ამერიკაში მულატი „სანტა კლაუსი" გვყავს და თბილისის ეზოებშიც მუქი თოვლის ბაბუა შეგვეფერება.

ამინდსა და პოლიტიკას საქართველოში მუდამ სრული სინქრონი აქვთ. ანუ თუ გვცხელა, გვცხელა პოლიტიკურადაც; თუ ვიყინებით, ვიყინებით ეკონომიკურადაც და თუ ქარისაგან ხეები ირხევა, ჩვენც „გვირხევა" (ისე, ამ ბოლო დროს როგორ გახშირდა ქარი, არა?!.). ასე რომ, თოვლ-ჭყაპია დღეს პარლამენტშიც, მინისტრთა კაბინეტშიც და პრეზიდენტის კანცელარიაშიც: სანამ სააკაშვილი ბიზნესმენებსა და საწარმოებს სტუმრობს და უცნობის სიმღერას — „მითხარ, როგორ ზამთარი ერთად გადავაგოროთ" — უმღერის, საპარლამენტო ოპოზიცია კი ძველი საარჩევნო კოდექსის „ძელების" ხარჯებს ითვლის, სარკინოზთა ლაშქარივით შემოგვაწყო რუსეთის იმპერატორმა თავისი ურდო და ჩვენი ქვეყნის დაპყრობის გეგმებს კრემლის ბუხრის ნაცარში ხაზავს — ნაცარში გახვეული ვნახე მთელი კრემლი ადრე და მალე!.. ვინ არიან ესენი და რა ჯიშის ხალხია, მე არ ვიცი: არ გაუგიათ, რომ ახალ წელს სახლებში უნდა შეხვდნენ?! რა უნდათ პერევში, რომელი „კარენოი" საჩხერელები ეგენი მყავნან?!



ყოველ შემთხვევაში, პირველ მიზანს მიაღწიეს — პანიკა დათესეს გალში და ხომ იცით, გალში რასაც დათესავ, საუკეთესო ამოდის. ხუმრობა იქით იყოს და, ასობით ჯარისკაცი და მძიმე ტექნიკა რომ შემოყარეს, მოდი და, ნუ შეგეშინდება! ჩვენ მაინც ფრთხილად უნდა ვიყოთ და საზღვრისპირა მოსახლეობასაც ვთხოვოთ, რომ არც ერთი „ხლაპუშკა" არ ისროლონ ახალი წლის ღამეს, თორემ მაგათ უფრო დიდი „ხლაპუშკები" აქვთ. თან იმუქრებიან, ბრძოლით ავიღებთ ყველა ქალაქს და თბილისამდე ჩავალთო (რიკოთზე ქაბაბის ჭამა არ დაავიწყდეთ)..

არა, სულაც არ მაქვს იმის ილუზია, რომ ამას ვერ გაბედავენ ან არ იკადრებენ, მით უმეტეს, როცა შეცივებული ევროპა რუსული გაზით თბება და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში ისეა თავით გადაყუდებული, რომ ჩვენთვის ნაკლებად სცხელა, მაგრამ ამ კრიზისმა თვითონ რუსეთიც გაწყვიტა წელში და რაც აგვისტოს მერე ზარალი ნახა, ახლა „ხარაკირის" არ გაიკეთებს. თან, ნატოსგან ბოძებული „ყნპ"-ც (ყოველწლიური ნაციონალური პროგრამა) ხომ გვაქვს?! თუმცა...

მოკლედ, აშკარად რუსეთის წელი იყო 2008 წელი! არცაა გასაკვირი: ვირთხის წელი და პუტინის წელი რამ გაყო? პოლიტიკაშიც აიწყვიტეს, ფეხბურთშიც, ჩოგბურთშიც და სილამაზეშიც. იოჰანესბურგში ჩატარებულ სილამაზის კონკურსში „მის მსოფლიოც" რუსი გახდა. ალბათ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა რუსული ყინულით გრილდება და იმიტომ მოაგებინეს, თორემ „მის საქართველოც" კი მონაწილეობდა, მაგრამ მხოლოდ მონაწილეობდა. ასეა, რუსეთის ყველას ეშინია და მაპ-იც იმიტომ არ მოგვცეს. თუმცა პოლიტიკაში „ყნპ" მაინც მივიღეთ და „მის მსოფლიოზე" ისიც ვერ გაიმეტეს (გაუკეთონ ის „ყნპ" „მის რუსეთს")!..

ვინღაა ჩვენი პატრონი, ამერიკა? ამერიკის იმედი ჯერ მთლად არ მომკვდარა და საერთოდ, „იმედი ბოლოს კვდება", მაგრამ ხომ კვდება?! საცოდავ ბუშს კინაღამ ობამას ინაუგურაციამდე მოუღეს ბოლო ერაყში: ისეთი სნაიპერი აღმოჩნდა ის ჟურნალისტი, რომ თურმე ფეხსაცმელს ფეხსაცმელში აჯენს და რომ არა თვითონ ბუშის უსწრაფესი რეაქცია, ალესილქუსლიანი მოკასინი შიგ შუბლში მოხვდებოდა და 20 იანვრამდე დაობლებული ამერიკა იქით გახდებოდა ჩვენი მისახედი და საპატრონო.

ახლა ჩვენი მიზანია, 20 იანვრამდე როგორმე სიმშვიდეც უნდა შევინარჩუნოთ და მშვიდობაც, მერე ოფიციალურად გახდება ბარაკ-ჰუსეინი ჩვენი პრეზიდენტის პრეზიდენტი და სულ ბუზის საკლავით დაერევა რუს ჯარისკაცებს. მანამდე კი, თუ აფხაზეთიდან და ან საჩხერე-ახალგორიდან მაინც შემოაგორებენ ტანკებს, ხერხი უნდა ვიხმაროთ: ამ „ახალწლებზე" დასალევი ყველას გვექნება სახლებში; ჰოდა, გამოვუტანოთ და ჩავაცეცხლოთ გახეთქვამდე, რომ ერთი გასროლაც ვერ მოახერხონ. მთვრალებს კიდევ, ამ თოვლ-ჭყაპში მოუცურდებათ ის ტანკები, პირს უკან იზამენ და საიდანაც შემოვლენ, იქით გააგრძელებენ გზას. ამასობაში ან მთავრობა დაეშლებათ მოსკოვში და ან ამდენი სმისგან — ღვიძლი მუცელში...

ასე რომ, ყველაფერი კარგად იქნება, გილოცავთ პირველ თოვლს, მაგათთვის იყოს უკანასკნელი!..

*P.S. მასწავლებელი მოსწავლეებს:*

*— ბავშვებო, ნახეთ, პირველი თოვლი მოვიდა. პირველი თოვლი პირველი სიყვარულივითაა: ნაზი, ფაფუკი და განსაკუთრებით დასამახსოვრებელი.*

*— მასწავლებელო, თქვენ პირველად რა ასაკში „მოგითოვათ"?*

*— ყოჩაღ, კაპანაძე, კარგი მხატვრული შედარება მოიყვანე!.. არ დაგიმალავთ და 17 წლის ვიყავი...*

*— და „გუნდაობა" რა ასაკში დაიწყეთ?*

*— გაეთრიე კლასიდან და დირექტორის კაბინეტთან დამელოდე!..*

***პროვოკატორი***

# „ჩვენს ქვეყანას რამდენიმე წელიწადში უნიკალური შანსი მიეცემა"...

## „ამ ხელისუფლებას საბავშვო ბაღში ხომ არ ჰგონია თავი?.."

**განვლილ კვირაში მომხდარი მოვლენებიდან საზოგადოებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი, მოსკოვში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ვიზიტი და პერევში რუსული ჯარის გადაადგილებები გახლდათ. გაცხოველებული სჯაბაასის საგანს ასევე წარმოადგენს, კრემლის ახალი პროვოკაციები, თითქოსდა უკვე შემუშავებული, თბილისის აღების გეგმა და მდინარე ენგურზე გამაგრებული აფხაზი სამხედროები. როგორც აღმოჩნდა, ამ მოვლენებთან დაკავშირებით, საზოგადოებაში საკმაოდ ბევრი კითხვაა დაგროვილი.**

*ხათუნა ბახტურიძე*
*ნათია ქივიძე*

**გია ანჩაბაძე,** *ისტორიკოსი:*

— ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს რუსეთის პრეზიდენტი დიდი პატივით შეხვდა. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ რუსეთთან დიალოგი ჯერ კიდევ შესაძლებელია. ასევე, დიდი იმედით ვუყურებ ქართველი რეჟისორებისა და მსახიობების მოსკოვში ვიზიტს. ორ სახელმწიფოს შორის დაძაბული ვითარების დროს, სახალხო დიპლომატიას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. სხვათა შორის, აგვისტოს მოვლენების შემდეგ აფხაზეთში ვიყავი ჩასული და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორისაც შესაძლებელია დიალოგის დაწყება. ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მდინარე ენგურთან საზღვრებს აფხაზური ქვედანაყოფები ამაგრებენ. კრემლში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ენგურთან რუსული ჯარი უნდა ჩამდგარიყო. საინტერესოა, რა მოხდა, რატომ შეცვალეს გადაწყვეტილება?..

**ბაადურ წულაძე,** *მსახიობი:*

— ძალიან გამიხარდა, რომ უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორე მოსკოვში ჩავიდა და პერევიდან რუსული ჯარის გაყვანა დაიწყო, მაგრამ საშინლად გავბრაზდი, როდესაც ჩვენმა ხელისუფლებამ გულზე მჯიღის ცემით დაიქადა — რუსებს დანარჩენი საქართველოდანაც გავყრითო. ამ ხელისუფლებას საბავშვო ბაღში ხომ არ ჰგონია თავი?.. სააკაშვილს თავისი თავი დავითი ხომ არ ჰგონია, გოლიათს რომ ებრძვის?.. სულ არ მიკვირს, რუსები პერევში რომ დაბრუნდნენ. ძალიან კარგად ვიცნობ ამ ხალხს და დარწმუნებული ვარ, კიდევ ასჯერ შემოვლენ და გავლენ.

**ნინელი ჭოლგაია,** *მხატვარ-დიზაინერი, 42 წლის:*

— მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ის, რომ პერევიდან გასული რუსული ჯარი უკან დაბრუნდა. ჩვენს პრეზიდენტს მრჩეველი არ ჰყავს? იქნებ, ვინმემ ურჩიოს, რომ ცოტა ხანს ჩუმად იყოს და ხმა არ ამოიღოს! უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მედვედევთან მოლაპარაკება გამართა, რის შედეგადაც, რუსის ჯარი საჩხერის რაიონიდან გაიყვანეს, სააკაშვილი კი ორი დღის განმავლობაში, პირდაპირ ეთერში იდგა



კიდევ კარგი, რომ უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორე გვყავს. იქნებ პატრიარქის ლოცვა-კურთხევამ მაინც გვიხსნას გასაჭირისაგან

და რუსების მისამართით იგინებოდა. თან, ამაყობდა, პატრიარქი რუსეთში მე გავგზავნე და ომი რუსებმა კი არა, ჩვენ მოვიგეთო. ამ ყველაფრის შემდეგ, რა გასაკვირია, რომ რუსის ჯარი უკან დაბრუნდა და დანგრეული საგუშაგოს აღდგენა დაიწყო? თუ ჩვენს თავს რაიმე უბედურება ხდება, ყველაფერი სააკაშვილის „დამსახურებაა". მოკლედ, რუსები არ ტყუიან, სააკაშვილის გადადგომას რომ ითხოვენ. მართალია, ისინი ჩვენს შიდა საქმეებში არ უნდა ერეოდნენ, მაგრამ არ მეგულება არც ერთი ქართველი, რომელიც სააკაშვილს კიდევ ერთხელ დაუკრავს ტაშს და მისი მომხრე იქნება...

**ზურაბ კანდელაკი,** *ეკონომისტი, 39 წლის:*

— ამბობენ, მალე ისევ ომი დაიწყებაო და მეც ყველაზე მეტად, ამის მეშინია. ქართველები ისედაც მცირერიცხოვანი ერი ვართ და კიდევ ერთი ომი თუ მოხდა, საერთოდ, აღარავინ დავრჩებით. დიდი სურვილი მაქვს, სააკაშვილმა თავი დაგვანებოს, თანამდებობაც დატოვოს და ქვეყანაც. ამბობენ, — ჩვენი მომავალი პრეზიდენტი ირაკლი ალასანია იქნებაო. სიმართლე გითხრათ, ამ ფაქტს მივესალმები. არ ვიცი, შესაძლოა, ის უარესი პრეზიდენტი აღმოჩნდეს, მაგრამ სააკაშვილივით გაუწონასწორებელი და არასერიოზული რომ არ არის, აშკარად ეტყობა. თანაც, არანაკლები ურთიერთობები აქვს ამერიკასთან და ნატოსთან ინტეგრაციის საკითხებში ისიც დაგვეხმარება. სხვათა შორის, ეს ჭორი კარგა ხანია, ტრიალებს, მაგრამ ვერ ვიჯერებდი. აი, მას შემდეგ, რაც ალასანიამ თანამდებობა დატოვა, ხოლო „რესპუბლიკელები" და „მემარჯვენეები" გაერთიანდნენ და განაცხადეს, რომ ისინი ირაკლის სამშობლოში დაბრუნებას ელოდნენ, ეს ჭორი სიმართლესთან ახლოს მომეჩვენა და ძალიან გამიხარდა. სააკაშვილმა თავისი დრო მოჭამა. ქვეყნისთვის ვერაფერი გააკეთა და ახლა დროა, სავარძელი სხვას დაუთმოს...

**გელა კორძაძე,** *იუმორისტი:*

— როდესაც ერაყელმა ჟურნალისტმა ბუშს ფეხსაცმელი ესროლა, როგორც ამერიკელების მეგობარი, შეურაცხყოფილი დავრჩი. ისე, ბუშმა ასეთი კარგი აცილება თუ იცოდა, ჩვენთვისაც ესწავლებინა და რუსეთის აგრესიას ავიცილებდით. რა უბედურებაა, ხეზე ასვლა არ გვასწავლა თუ რა ხდება?

**ლუიზა შაქიაშვილი,** *ტელეჟურნალისტი, ეროვნული მოძრაობის მონაწილე:*

— ძალიან მაწუხებს პერევის ამბავი, ვერც ის გავიგე, რატომ აიყარნენ იქიდან რუსები ასე უცებ და ვერც ის, რატომ დაბრუნდნენ უკან. ნეტავ, რა ხდება ჩვენს თავს?! მე მგონია, რომ ჩვენი ხელისუფლების ზედმეტმა ტრაბახმა გააფუჭა საქმე, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი აზრია და ძალიან მაინტერესებს, სინამდვილეში რა ხდება.

**ჯუმბერ ლეჟავა,** *მოგზაური:*

— გული დამწყდა, პატრიარქის გაკეთებული საქმე ჩვენი ხელისუფლების არასწორი კომენტარების გამო რომ ჩაიშალა. რა მოხდებოდა, პერევი რომ ც

დაგვებრუნებინა უბრძოლველად, დიპლომატიური გზით?! რა მიკვირს, იცით?.. ამ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს თავი დიდ პოლიტიკოსებად და დიპლომატებად მოაქვთ და ის არ იციან, სად რა უნდა თქვან და როდის რა კომენტარი გააკეთონ?.. ძალიან გულგატეხილი ვარ და აღარაფრის მჯერა.

**ლალი ხაჩიძე,** *დიასახლისი, 58 წლის:*

— მას შემდეგ, რაც გამოაცხადეს, — რუსეთს თბილისის აღების ორი გეგმა აქვს და უახლოეს მომავალში ერთ-ერთს განახორციელებსო, — აღარ მძინებია. საკუთარ თავზე კი არა, ოჯახის წევრებსა და ახალგაზრდებზე ვდარდობ. ამბობენ, — თბილისზე ან საჰაერო დაბომბვას განვახორციელებთ, ან ბლოკადასო. დაბომბვას ისევ ბლოკადა გვირჩევნია: უდანაშაულო ხალხი მაინც არ დაიხოცება... საინტერესოა, რას აკეთებს ჩვენი პრეზიდენტი? იმის ნაცვლად, რომ საფრთხე აგვარიდოს, გამოდის და რუსებზე ათას სისულელეს ლაპარაკობს, მათ უფრო აღიზიანებს!.. რა ენაღვლება — ალბათ, როგორც კი საფრთხეს იგრძნობს, ჩასხამს ოჯახის წევრებს თვითმფრინავში და, რომელ ქვეყანაშიც უნდა, იქ გაფრინდება. ჩვენ, უბრალო ხალხმა რა უნდა ვქნათ?! ლაგოდეხში ნათესავები გვყავს და ოჯახის წევრებს ვეხვეწები, — იქ წავიდეთ-მეთქი. იქნებ, კახეთში უფრო უსაფრთხოდ ვიყოთ. ძალიან მინდა, ჩემი შვილები საზღვარგარეთ გაემგზავრონ, მაგრამ მათ ვინ გაუშვებს?! მოკლედ, ერთადერთ ხსნად ლოცვა დაგვრჩა!..

**ნაზი არჩვაძე,** *ექთანი, 38 წლის:*

— ახლა საქართველოში ისეთი არეული სიტუაციაა, ყველაფერი მნიშვნელოვნად მეჩვენება. რუსეთის აგრესიას თავი რომ დავანებოთ, არც მინისტრების გადანაწილება მომწონს. ვერ ვხვდები, რაში სჭირდებათ საკადრო ცვლილებები, თუკი ერთსა და იმავე პიროვნებებს წრეში დაატრიალებენ — გუშინ რომ იუსტიციის მინისტრი იყო, დღეს განათლების მინისტრია და ხვალ შესაძლოა, თავდაცვის მინისტრადაც მოგვევლინოს. ვეღარ ვიმახსოვრებ, ვინ რომელ პოსტზეა. მათ სახელებსა და გვარებს თითქმის ყოველდღე, სხვადასხვა სტატუსი აქვს და აღარც ვცდილობ, დავიმახსოვრო, ვინ სად გაამწესეს.

**მანანა ბარნაბიშვილი,** *ფილოლოგი:*

— ძალიან შემაშინა, რუსეთში დაგეგმილმა, თბილისის აღების გეგმებმა. ძალიან მაინტერესებს, ჩვენი ხელისუფლება თავდაცვისათვის თუ ემზადება?.. იმედი მაქვს, ახალი მინისტრი, დავით სიხარულიძე არსებულ პრობლემებს თავს გაართმევს: ეს კაცი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ოპოზიციამაც დადებითად შეაფასა.

**გურამ გაბუნია,** *ექიმი:*

— ერთი პერიოდი ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ რუსები და აფხაზები ერთმანეთს დაერივნენ და ადგილობრივ აფხაზებს გალიდან ყრიანო. ახლა თქვეს, ისევ შეთანხმებულან და გავლენის სფეროებიც ისევ „ძმურად" გაუნაწილებიათო. ნეტავ, რას აკეთებს ჩვენი ხელისუფლება, ჭურში ზის?

**ზვიად ფეიქრიშვილი,** *სტუდენტი:*

— აღშფოთებული ვარ ხელისუფლების საქციელით. ჩვენმა წინაპრებმა ჯერ კიდევ საუკუნეების წინ თქვეს — დათვი რომ მოგერევა, ბაბაი უნდა დაუძახოო. ამათ რით ვერ გაიგეს, რომ რუსეთთან თითის ქნევა კარგს არაფერს მოგვიტანს? ეს ხელისუფლება ჩვენს წისქვილზე რომ არ ასხამს წყალს, უკვე დიდი ხანია, მივხვდი. აშკარად, მედვედევს ეხმარება, რა. კიდევ კარგი, რომ უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორე გვყავს. იქნებ პატრიარქის ლოცვა-კურთხევამ მაინც გვიხსნას გასაჭირისაგან.

**ნანა ასათიანი,** *პედიატრი:*

— ძალიან გამიხარდა, რომ სოსო ჯაჭვლიანმა, გოგი ქავთარაძემ და რამდენიმე ინტელიგენტმა ადამიანმა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის მოგვარებაში საკუთარი წვლილის შეტანა გადაწყვიტეს. იმედი მაქვს, პოლიტიკოსების გაფუჭებულ საქმეს ხელოვანი ხალხი მაინც გამოასწორებს.

*საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებზე პასუხის გაცემა პოლიტიკურ ექსპერტს,* **სოსო ცისკარიშვილს** *ვთხოვეთ.*

**— ბატონო სოსო, თქვენი აზრით, პერევიდან რუსული ჯარის გასვლის და მეორე დღესვე უკან დაბრუნების მიზეზი რა უნდა იყოს?**

— პერევიდან რუსული ჯარის გასვლა გამოწვეული იყო, როგორც პატრიარქის რუსეთში ვიზიტით, ისე ჟენევაში დაგეგმილი მოლაპარაკებების სამზადისით. გარდა ამისა, მოსკოვმა მიიჩნია, რომ პერევიდან გასვლით, ე.წ. სამხრეთ ოსეთს, თბილისისგან საფრთხე აღარ ემუქრებოდა, მაგრამ ბოლოს ამ ლოგიკას, საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტების ძველბიჭურმა გამოხდომებმა სძლია და ყველაფერი ჩაიშალა. როგორც ჩანს, სახელმწიფოებრივი ინტერესები არც მედვედევს ანაღვლებს და არც სააკაშვილს. უკვე ყველა ამჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფალთა მიერ გაკეთებულ კრიტიკულ განცხადებებს რუსეთი აგრესიული მოქმედებებით პასუხობს და ისევ საქართველო რჩება დამცირებული და დასჯილი. ამის მიუხედავად, საკუთარ მეტყველებას ვერ ვაოკე-



თბილისის კი არა, ნებისმიერი ქალაქის აღების გეგმასაც შეიმუშავებენ და როდესაც დასჭირდებათ, მაშინ ამოიღებენ „სკივრიდან"


აპდილ-h სიროფი

მცენარეული კომბინირებული ამოსახველებელი საშუალება

ამცირებს:
- ხველას
- ყელის ტკივილს
- ბრონქებში ნახველის შეგუბებას



სასუნთქი სისტემის მწვავე ინფექციების, ფილტვის ობსტრუქციული (შეგუბებითი) დაავადების, ბრონქული ასთმის დროს ძირითადი კლინიკური სიმპტომია ხველება და ნახველის გამოყოფის გაძნელება. ასეთ შემთხვევებში დაგეხმარებათ მცენარეული, ბრონქოლიზური, ამოსახველებელი საშუალება აპდილ_h.

აჯანტა ფარმა ლიმიტედი

აპდილ-h

PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი

ბთ და საკუთარ სურვილებზე, ყოველგვარი თვითცენზურის გარეშე, ხმამაღლა ვლაპარაკობთ.

— **საქართველოს ხელისუფლებას კრიტიკული განცხადებები რომ არ გაეკეთებინა, რუსული ჯარი პერევში არ დაბრუნდებოდა?**

— ხელისუფლებამ რუსეთის ლანძღვისა და ქადილის პარალელურად, პერევში ქართული ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებიც შეიყვანა. იმ წუთში ამის გაკეთება ნამდვილად, არ იყო აუცილებელი. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთი პროვოკაციულ პოლიტიკას მისდევს და ადრე თუ გვიან, სხვა მიზეზს მოიგონებდა პერევში დასაბრუნებლად, მაგრამ ჩვენმა ხელისფულებამ რუსი კოლეგები ზედმეტი ფიქრით არ შეაწუხა და უკან დაბრუნების საბაბი თავადვე მისცა.


რუსეთი პროვოკაციულ პოლიტიკას მისდევს და ადრე თუ გვიან, სხვა მიზეზს მოიგონებდა პერევში დასაბრუნებლად

— **რამდენად შესაძლებელია, რომ დღეს არსებული რთული ვითარება სახალხო დიპლომატიის გზით მოგვარდეს?**

— სახალხო დიპლომატია კარგ შედეგს მოიტანს, თუ ის ხალხის წიაღში დაიბადება და რომელიმე, კულისებში მყოფი ძალის მიერ არ იქნება ორგანიზებული. გარდა ამისა, საგულდაგულოდ უნდა იყოს შერჩეული ის ხალხი, რომელიც ამ საპასუხისმგებლო მისიას იკისრებს. ღმერთმა ხელი მოუმართოს იმ ჯგუფს, რომელიც ახლა მოსკოვშია. ერთი კვირის წინ, ცნობილ რუს ექსპერტებს, სერგეი მარკედონოვსა და ანდრეი რიაბკოვს ბაკურიანში შევხვდი. ვერ გეტყვით, რომ მათი მოსმენა სასიამოვნოა, მაგრამ საინტერესო ნამდვილად გახლავთ. ჩემი აზრით, რაც უნდა მიკერძოებულად მოგვეჩვენოს მათი აზრები, აუცილებელია, მათთან გარკვეული სახის ურთიერთობები შევინარჩუნოთ, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენზე კარგად იცნობენ მოსკოვში არსებულ სიტუაციას, ასევე გაცილებით უკეთ იცნობენ საკუთარ ხელისუფლებას, ამიტომ მათგან სერიოზული ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი.

— **ამ ექსპერტებს კონფლიქტების მოგვარების სურვილი რამდენად აქვთ?**

— მე მათი მხრიდან დიალოგის დაწყების სურვილს ვხედავ, მაგრამ რა დგას ამ სურვილის მიღმა, ჩემთვის ჯერჯერობით უცნობია. ისინი ჯერ მხოლოდ დევნილთა დაბრუნების თაობაზე ლაპარ-


სააკაშვილი ორი დღის განმავლობაში, პირდაპირ ეთერში იდგა და რუსების მისამართით იგინებოდა

აკობენ, წართმეული ტერიტორიების დაბრუნებასა ან რაიმე სხვა ტიპის თემას არც კი განიხილავენ. ახლა ჩვენ ვცდილობთ, დავადგინოთ ის ძალა, რომელიც მათ ზურგს უკან დგას და ერიდება ჩვენთვის მნიშვნელოვან თემებზე დაუფარავად ლაპარაკს.

— **ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი მდინარე ენგურზე რუსი მესაზღვრეების აფხაზებით ჩანაცვლებამ გარკვეულწილად შეაშფოთა. როგორ ფიქრობთ — რით შეიძლება იყოს გამოწვეული რუსული და აფხაზური ძალების ასეთი გადაჯგუფება?**

— რუსეთის ინტერესებში ნამდვილად არ შედის აფხაზურ მხარესთან ისეთი დეტალების გამო დაპირისპირება, რომელიც მათთვის რაიმე ტიპის სტრატეგიულ მნიშვნელობას არ წარმოადგენს. რუსებმა შეიძლება, აფხაზები ენგურის საზღვარზეც დააყენონ და ტელეეკრანებზე გამოჩენის საშუალებაც მისცენ, მაგრამ არანაირ უფლებამოსილებას არ მიანიჭებენ. აფხაზი საზღვარზე მორბენალ კურდღელს დაემსგავსება და შეიძლება, ის ქართული და რუსული მხარისათვის ერთნაირ სამიზნედ იქცეს...

— **ქართველებს აფხაზებთან დიალოგის დაწყების იმედიც აქვთ. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

— მე ამის შესაძლებლობასაც ვხედავ, აუცილებლობასაც და გარდაუვალ მოვლენადაც მივიჩნევ. რუსეთი თავადვე ვერ დაიჯერებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას და აფხაზების მიმართ ისეთივე მკაცრი და დაუნდობელი იქნება, როგორიც საკუთარი ხალხის მიმართ არის. ხელისუფლება, რომელიც საკუთარ მოსახლეობას „ნორდ-ოსტისა“ და ბესლანის ტრაგედიებს მოუწყობს, აფხაზებსა და ოსებს რას უზამს?!. აფხაზები, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მიხვდებიან, თუ რაში გაყვეს თავი და საქართველოსთან მისასვლელი გზების ძებნას დაიწყებენ. დარწმუნებული ვარ — ჩვენს ქვეყანას რამდენიმე წელიწადში უნიკალური შანსი მიეცემა, რომ აფხაზების ინტერესების დამცველის სახელით შევიდეს ისტორიაში, მაგრამ პრობლემის მოგვარების პერიოდში აუცილებლად უნდა ვიყოთ ობიექტურები და რეალისტები.

— **ბოლო დროის ქართული მასმედია კრემლში შემუშავებულ, თბილისის აღების გეგმებზე ალაპარაკდა. რამდენად რეალური შეიძლება იყოს ეს გეგმები?**

— ასეთი გეგმები არსებობდა და მუდმივად იარსებებს. აბა, რუსმა გენერლებმა სხვა რა უნდა აკეთონ?! ისინი, მხოლოდ თბილისის კი არა, ნებისმიერი ქალაქის აღების გეგმასაც შეიმუშავებენ და როდესაც დასჭირდებათ, მაშინ ამოიღებენ „სკივრიდან“. ამას განსაკუთრებული ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, მაგრამ სიფრთხილე მაინც გვმართებს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ რუსეთს ნატვრა არ ავასრულებინოთ და სამხედრო ძალის დემონსტრირების საშუალება არ მივცეთ. გარდა ამისა, მოსკოვს საკუთარი ხალხის წინაშე სატრაბახო ალარაფერი აქვს. ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ პერევში რუსული ჯარის დაბრუნების დროს რაიმე ინციდენტი არ მოხდა. მათი ერთ-ერთი მიზანი — ქართული პოლიციის პროვოკაციაში ჩათრევაც იყო. თავშეკავებით გაცილებით მეტს მივაღწევთ, ვიდრე უაზრო კონფრონტაციით.

— **თქვენი აზრით, ახალდაკომპლექტებული თავდაცვის სამინისტრო ქვეყანაში არსებულ პრობლემებს რამდენად გაუმკლავდება?**

— თავდაცვის სამინისტროში განხორციელებული საკადრო ცვლილებები მკაფიოდ მიგვანიშნებს იმას, რომ ეს უწყებაც მერაბიშვილის მმართველობაში ექცევა. როგორც ჩანს, ჩვენს ხელისუფლებას ქართული სამხედრო ძალის ეშინია. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ცალკეული ჯარისკაცის დატერორებას ცდილობენ. გარდა ამისა, მათ რუსებს გაატანეს ის სამხედრო ტექნიკა, რომელიც შეიძლებოდა, გაბრაზებული და გამწარებული ქართველი სამხედრების ხელში აღმოჩენილიყო. თავდაცვის სამინისტრო გახდება სტრუქტურა, რომელიც ხელისუფლებას საკუთარი ხალხისგან დაიცავს. სამწუხაროა, მაგრამ უფრო რეალურ ფუნქციას ჩვენი ჯარი დღეს ვერ შეასრულებს, რადგან საკადრო პოტენციალი მას ამის საშუალებას არ მისცემს. ■

## შეგაწუხათ შებერილობამ, ყაბზობამ, ფაღარათმა?

მიიღეთ

# ეუკარბონი

## და გათავისუფლდით პრობლემებისაგან!

ეუკარბონი

- ბოჭავს ტოქსინებს, ავლენს საფაღარათო ეფექტს, აწესრიგებს საჭმლის მონელების პროცესს!




- შეიცავს მხოლოდ ნატურალურ კომპონენტებს!
- უსაფრთხო და ეფექტური საშუალებაა ნებისმიერი ასაკის პაციენტებისა და ორსულებისათვის!

**დოზირება:**

მეტეორიზმის მოსახსნელად:
მოზრდილებში - 1-3 ტაბლეტი დღეში.

საფაღარათო ეფექტის მისაღწევად:
მოზრდილებსა და ბავშვებში 12 წელს ზემოთ - 1-2 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, ჭამის დროს ან მის შემდეგ. საჭიროების შემთხვევაში საღამოს დოზას ზრდიან 3-4 ტაბლეტამდე.
2-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებში - 1/2-1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, ჭამის დროს ან მის შემდეგ.

გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომის დროს - 2-4 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, ჭამის დროს ან მის შემდეგ, 4-5 კვირის განმავლობაში, დოზის თანდათან შემცირებით 1 ტაბლეტამდე დღეში.

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გასუფთავებისა და მეტეორიზმის მოხსნის მიზნით (მაგ. რენტგენოლოგიური გამოკვლევისთვის მომზადების წინ) 6-8 ტაბლეტი საღამოს ან 4-დილით, 4-საღამოს.

**უკუჩვენება:** კუჭის ან ნაწლავის წყლულოვანი დაავადება. გაუვალობის დროს საფაღარათო საშუალებების მიღება დაუშვებელია.

**გვერდითი მოვლენები:** რეკომენდებული დოზების გამოყენებისას არ არის აღნიშნული.

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

შპს "ავერსი-ფარმა", ალმაშენებლის 148/2; საინფორმაციო სამსახური 967-227; www.aversi.ge

ავერსი
AVERSI

პრეპარატის მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას

# არაპროგნოზირებადი კონკურსის კულუარები

_ლალი ფაცია

ჟურნალისტი — ანანო მჟავია
რესპონდენტები — სალომე ბაკურაძე და ირინა ბაირამაშვილი

კონკურსი „ჯეოსტარი 2008“ დასასრულს უახლოვდება. დაიძაბა სიტუაცია — სამწუხაროდ, გამარჯვებულს „ესემესები“ ავლენს. რას ვიზამთ, ასეთია კონკურსის მკაცრი წესი. ასე რომ, სწორედ „ესემეს-შეჯიბრების“ შედეგად, ერთ-ერთმა გამორჩეულმა სახემ და ნიჭიერმა გოგონამ — ირინა ბაირამაშვილმა საკონკურსო სცენა დატოვა. ჩვენთან ინტერვიუში მან აღნიშნა: ყველაფერი არაპროგნოზირებადიაო. მისი ნიჭით მოხიბლული ბევრი მსმენელისთვის მართლაც მოულოდნელი იყო კონკურსიდან ირინას გამოთიშვა — ჩვენს რუბრიკაში ამჯერად, ორ „ჯეოსტარელს“ — სწორედ ირინა ბაირამაშვილსა და სალომე ბაკურაძეს, ყოფილ „ჯეოსტარელ“ და ამჟამად პროექტის წამყვან ანანო მჟავიას შეხვედებით. როგორც გითხარით, სანამ ეს ინტერვიუ მზადდებოდა, ირინას კონკურსის დატოვება მოუხდა.



**— რა მოგიტანათ „ჯეოსტარმა“? გრძნობთ თუ არა პროფესიულ ზრდას და საერთოდ, რა იყო თქვენთვის „ჯეოსტარში“ გატარებული ბოლო სამი თვე?**

**სალომე:**

— თავი დავანებოთ იმას, რომ გავხდით პოპულარულები (პირადად ჩემთვის პოპულარობა ამ ეტაპზე, მეორეხარისხოვანია). „ჯეოსტარმა“ ვოკალურად გაგვზარდა, ჩამოგვაყალიბა, პროფესიონალი მომღერლობისკენ მიმავალ გზაზე დაგვაყენა. სამი თვის განმავლობაში თითოეულს ბევრი ახალი სიმღერა დაგვიგროვდა, რაზეც მანამდე მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა. ახლა ყველას საოცრად მრავალფეროვანი რეპერტუარი გვაქვს. „ჯეოსტარმა“ შეგვაჩვია რეჟიმს, გვიკრავს არაჩვეულებრივი ბენდი, კონსულტაციებს გავდივართ შესანიშნავ პედაგოგებთან. ეს ყველაფერი ერთად, ძალიან მაგარია!

**ირინა:**

— ყველაზე მთავარი ის არის, რომ „ჯეოსტარმა“ მე ბავშვობის ოცნება ამისრულა: ავედი საოცარი თეატრის სცენაზე, ღირსეული ადამიანები მაფასებენ. თუ აქამდე ჩვეულებრივი გოგო ვიყავი, რომელსაც პატარა, 5-კაციანი მსმენელი მყავდა, ახლა ჩემი, არცთუ მცირერიცხოვანი მსმენელი შევიძინე. ბოლომდე გულახდილი ვიქნები: მემღერა ცოცხალ ბენდთან ერთად, გამოგიტყდებით და, ეს ჩემი ოცნება იყო!

**— ე.ი. სცენის მტვერი საფუძვლიანად შეისუნთქე.**

**ირინა:**

— კი, თან როგორი სცენის მტვერი — რუსთაველის თეატრის!..

**— რას აპირებთ მომავალში — გააგრძელებთ მეგობრობას?**

**სალომე:**

— პროექტამდეც ვიცნობდი ამ ბავშვებს, 14-დან 8-ს მაინც. შეიძლება, ისე ახლოს არ ვიყავით ერთმანეთთან, როგორც ახლა, მაგრამ ყოველდღე ადამიანს რომ ხვდები და მის მიმართ სიმპათიით ხარ განწყობილი, ეს შემდეგ ნამდვილ მეგობრობაში გადადის. მიხარია, რომ კარგი მეგობრები ვართ და ჩვენ შორის მართლა არაფერია „სხვანაირი“. არ ვიცი, ეს მინუსია თუ პლუსი ჩემთვის, მაგრამ კონკურენციის გრძნობა არ მაქვს, რადგანაც მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანს თავისი ადგილი და მწვერვალი აქვს დასაპყრობი. ასე რომ, მეგობრები ვართ და ეს ძალიან კარგია.

**— ხომ არ დაიღალეთ და მოუთმენლად ხომ არ ელოდებით საფინალო ტურს, რომ ყველაფერი მალე დასრულდეს და ამდენი ნერვიულობის შემდეგ გემრიელად დაისვენოთ? თუ გული გწყდებათ, რომ კონკურსი სულ რაღაც ორ კვირაში დამთავრდება?**

**ირინა:**

— კი, დავიღალეთ, მაგრამ ეს სასიამოვნო დაღლაა. რაც შეეხება თვითონ კონკურსს, რომ დამთავრდება, ვიცი, მაგრად მომენატრება ყველა და ყველაფერი...

**სალომე:**

— კონკურსის დამთავრების შემდეგ, ვიცი, რომ გული დამწყდება და ეს რეჟიმიც მომენატრება. ამიტომ, პირიქით — მინდა, ეს ორი კვირა რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, რათა კიდევ დიდხანს ვიდგეთ იმ სცენაზე და კიდევ ბევრი რამ ვისწავლოთ...

**— არ გთხოვთ, დაასახელეთ-მეთქი, მაგრამ თუ ფიქრობთ იმაზე, ვინ გახდება „ჯეოსტარი 2008“?**

— ამაზე ფიქრს რომ ვიწყებ, ვიძაბები. ამიტომ ვცდილობ, არ ვიფიქრო. ეს იმაზე ხომ არ არის დამოკიდებული, რომ კონკრეტული ადამიანი კი არ გაფასებს, არამედ „გაფასებს“ მესიჯები.

**ირინა:**

— არაპროგნოზირებადია ყველაფერი...

**სალომე:**

— ერთ დღეს თუ ვიღაცა პირველია, მეორე კონცერტზე აუტსაიდერებში შეიძლება მოხვდეს. ეს ყველაფერი ძალიან რთულია, ამიტომ არც მინდა ამაზე ფიქრი.

**— ოთხივეს წარმატებას გისურვებთ. მაინტერესებს, რომ დამთავრდება ყველაფერი და დაისვენებთ, მერე რას აპირებთ, რა გეგმები გაქვთ? აპირებთ, გააგრძელოთ ეს საქმიანობა?**

— ის ვიცი, რომ უნდა გავაგრძელოთ. ხალხი ამბობს, ქართულ შოუბიზნესში არაფერი ხდებაო. თუ ყველა ამას იტყვის და თვითონ ხელს არ გაანძრევს, მართლაც, არაფერი მოხდება. ზუსტად ვიცი, რომ უნდა ჩავწეროთ სიმღერები, აუცილებლად გავითვალისწინოთ მსმენელის გემოვნება. მგონია, თუ მაყურებელს დაანახვებ, რომ შენ მისთვის ბოლომდე იხარჯები და გემოვნებიან მუსიკას შესთავაზებ, ის კარგად მიგიღებს. მე ჯერჯერობით არ ვარ ჩამოყალიბებული მომღერალი. საერთოდ, ყველამ ჯერ კიდევ ბევრ სტილში უნდა მოვსინჯოთ თავი. იმ ასაკს რომ მივაღწევთ, როცა სათანადო გამოცდილება გვექნება, შეგვიძლია ავირჩიოთ ერთი სტილი და მივყვეთ მას ცხოვრების ბოლომდე.

**— ირინა, შენ რომელი სტილი გამოგდის კარგად?**

— ბლუზის ჟანრში რომ ვასრულებ სიმღერას, თავს კარგად ვგრძნობ, თითქოს ის ჩემია. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ჟანრში არ ვიმღერებ. რა შემოთავაზებებიც იქნება, იმ ჟანრში ვიმღერებ.

**— როგორები ხართ შინ?**

— მოუწესრიგებელი ადამიანი ვარ. დილით რომ ვიღვიძებ, მაშინვე არ ვეცემი ლოგინს და არ ვალაგებ...

**— (აწყვეტინებს) ეს, არა მგონია, მოუწესრიგებლობა იყოს.**

— სახლშიც ალბათ ისეთი ვარ, როგორიც — გარეთ: საკმაოდ ემოციური, არაპუნქტუ-

ალური. თუ სადმე შეკრებაზე მივდივარ, ყოველთვის ვაგვიანებ.

**— ირინა, მე „საშინლად“ პუნქტუალური ვარ და ყოველთვის მაინტერესებს, რას აკეთებენ ადამიანები მაშინ, როდესაც 2 საათით სადღაც იგვიანებენ.**

— ვერ ვიგებ, როგორ გადის დრო...

**სალომე:**

— სხვის დაგვიანებაზე უფრო მეტად ვნერვიულობ, ვიდრე საკუთარზე. თუმცა მე დაგვიანება არ მახასიათებს.

**— ირინა, მგონია, მეოცნებე ადამიანი ხარ, მუდმივად სხვა რაღაცაზე ფიქრობ, ჰაერში დაფრინავ, რაშიც დრო ისე გადის, რომ ვერც კი გრძნობ. მესმის შენი...**

**სალომე:**

— ბოლო სამ თვეს თუ გადავხედავ, გადატვირთული მაქვს ნერვული სისტემა. ვატყობ, წკიპზე მაქვს ნერვები... ისე, საოცარი პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს. არასოდეს დავწვები ისე, თუ არ ვიცი, მეორე დღეს რომელ საათზე უნდა გავიღვიძო, რა ჩავიცვა. ეს იმისთვის მჭირდება, რომ ყველაფერი მოვასწრო. დილით არასდროს ვსაუზმობ. ჯერ ერთი, ამისთვის ვერ ვიცლი, დილას დროს ძირითადად სარკესთან ტრიალში ვატარებ...

**— პუნქტუალურობაზე ვისაუბრეთ და მეც გეტყვით: ვატყობ, რამდენადაც პუნქტუალური ვარ, მით მეტად მეშლება ხელი საქმეში. მე კი ვარ პუნქტუალური, მაგრამ ხშირად სხვისი არაპუნქტუალურობა მაბრკოლებს.**

**ირინა:**

— მე ჩემი არაპუნქტუალურობით ჯერ პრობლემა არ შემქმნია, მაგრამ ვატყობ, ერთხელაც, საქმე ისე გამიფუჭდება, რომ ველარ გამოვასწორებ.

**— სიმღერის გარდა, თქვენი საყვარელი საქმიანობა რა არის?**

— კითხვა მიყვარს ძალიან.

**სალომე:**

— ყოველთვის, ყველაფერში მიჭირს რაღაც ერთის ამორჩევა. რომ ვთქვა, — მიყვარს კითხვა და არ მიყვარს თუნდაც ადამიანებთან ურთიერთობა-მეთქი, — ტყუილი იქნება... მსიამოვნებს ადამიანების დახმარება, მათთვის რაღაც კონკრეტული საქმის გაკეთება... მიყვარს თუნდაც სახლის დალაგება. რაც მთავარია, ზუსტად ვიცი ის, რომ ყველაფერი ჩემ ირგვლივ მაინც სიმღერასა და მუსიკასთან არის დაკავშირებული.

**— ახალი წელი მოდის. თუ გაქვთ ახალი წლის დახვედრის თქვენეული მეთოდი, ტრადიცია?**

— ყოველ ახალ წელს მაგიდის ქვეშ ვძვრები და სურვილს ჩავუთქვამ ხოლმე. წინა წელს მოხდა ისე, რომ ახალი წლის შეხვედრა სცენასთან ახლოს მომიხდა. ჰოდა, მე და თიკა ჯამბურია გორში, სცენის ქვეშ შევძვერით. დავწერეთ ფურცელზე ჩვენი საახალწლო სურვილები, დავწვით, ფერფლით გავავსეთ შამპანურის ჭიქები და გამოვცალეთ. კინაღამ დავიხრჩვით, რადგანაც ეს ყველაფერი ერთ წუთში უნდა მოგვესწრო. საშინელება იყო. მერე ისტერიკული სიცილი აგვიტყდა.

**— ისე, ამ რიტუალს მეც ვასრულებ ხოლმე** (*იცინის*). **მერე იმ სურვილებიდან თუ აგიხდა რამე?**

— კი, რამდენიმე სურვილი ამიხდა.

**— ვფიქრობ, თუ გჯერა ამ ყველაფრის, სურვილიც აუცილებლად აგიხდება. მეც საშინლად მეოცნებე ვარ.**

**ირინა:**

— მაგ რიტუალს ვერ ვასწრებ ხოლმე — ამ დროსაც „ვიჭედები“ (*იცინის*)... თან, სურვილების ჩაფიქრებაც მავიწყდება. მაგიდის ქვეშაც მინდა ხოლმე შეძრომა, მაგრამ... ერთადერთი, ბებოს არ ავიწყდება ასეთი რამ, უკვე ტრადიციად ექცა: 12 საათისთვის ცოცხს მადებს „მცემს“ ხოლმე: უნდა, რომ გავთხოვდე... რა ვიცი, არ ეღირსა არც იმ ცოცხს და არც მე არაფერი, არა და არ იქნა ჩემი საშველი (*იცინიან*).

**— ირინა, შეყვარებული არასდროს ყოფილხარ?**

— არა, ბავშვური გატაცებები კი მქონია... ახლა რომ ვიყო შეყვარებული, ამის შესახებ ყველას ვეტყოდი, თუმცა ბევრი საკუთარ გრძნობას მალავს, აფიშირებას არ უკეთებს.

**— სალომე, შენ როგორ გაქვს ამ მხრივ საქმე?**

— ამ თემაზე უკვე იმდენი დაიწერა, რომ აღარ მინდა ლაპარაკი. ჩემი შეყვარებული ძალიან მეხმარება, მხარში მიდგას და მგონი, ჩემზე მეტად პოპულარული გახდა...

**— მოკლედ, ღმერთმა დიდი სიყვარულით დაგაჯილდოვა. ჩემს თავსაც და ირინასაც ვუსურვებ, რომ ღმერთმა ეს ჩვენთვისაც გამოიმეტოს!.. ბოლოს, თქვენი საახალწლო სურვილებიც გამანდეთ.**

— ყოველდღე რაღაც საშინელებები გვესმის. არ მინდა, რომ ასეთი პოლიტიკური დაძაბულობა იყოს საქართველოში. ამიტომ ვისურვებ, მშვიდობა იყოს, ყველას ემღერებოდეს, გაეძლიერდეთ... ჩვენს გულშემატკივრებს, მსმენელებს, რომლებმაც ერთი მესიჯი მაინც გამოგვიგზავნეს, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა. ყველას ასრულებოდეს ახალი წლის ღამეს ჩაფიქრებული, ლამაზი სურვილები!

**ირინა:**

— ყველას ჯანმრთელობასა და მშვიდობას ვუსურვებ!

ჟურნალისტები — სალომე ბაკურაძე და ირინა ბაირამაშვილი

რესპონდენტი — ანანო მჭავია

**ირინა:**

**— ანანო, რა ხდება შენს კარიერაში ახალი?**

— პირველ რიგში, ყოველ ორშაბათს თქვენთან ერთად ვარ. მაგრამ გეგმები, რომლის განხორციელებასაც უახლოეს მომავალში ვიწყებთ, ის არის, რომ მალე ჩემთვის დაწერილ სიმღერებს შევასრულებ. ძალიან დატვირთული დღის რეჟიმი მაქვს: დილიდან გვიან ღამემდე გრძელდება რეპეტიციები. საახალწლო კონცერტებისა და პროგრამებისთვის ვემზადები. ჯერჯერობით ეს არის.

**სალომე:**

**— ოდესმე თუ წარმოგედგინა, რომ კონკურსის წამყვანი იქნებოდი?**

— არასდროს. ბავშვობაში, როდესაც კონცერტებს ვატარებდით პატარები, მაშინაც კი არ ვყოფილვარ წამყვანი.

**— თავიდან ამ ამპლუაში რომ გნახე, მეგონა, ჟურნალისტი იყავი, ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდი...**

— ამა თუ იმ საქმის კეთებისას თუ ნერვიულობ ან დაძაბული ხარ, მაშინ საქმის გაკეთება გაგიჭირდება. უნდა გათავისუფლდე დაძაბულობისა და ემოციებისგან; რასაც გავალებენ, პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდო, ამ დროს თითქოს ტვინიც გეხსნება. როდესაც შემოთავაზება მივიღე, დავფიქრდი, რადგან როგორც ვთქვი, წამყვანი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ შიშის მომენტი არ მქონდა. პასუხისმგებლობის საოცარმა გრძნობამ იმძლავრა ჩემში. ამასთან, ძალიან მიყვარს კამერებთან ურთიერთობაც და ესეც დამეხმარა. თან, მყავს შესანიშნავი პარტნიორი, რომელთან ერთადაც სცენაზე დგომა და გადაცემის წაყვანა ძალიან ადვილია. დუტა საოცრად მეხმარება.

**— ვიცი, რომ სიმღერაზე სიგიჟემდე ხარ შეყვარებული. ღმერთმა დაგიფაროს და რომ არა სიმღერა, რა საქმიანობას აირჩევდი?**

— არ არის ჩემთვის მოულოდნელი შეკითხვა. ალბათ, ჩემს ადგილს ვიპოვიდი რომელიმე ტელევიზიაში. თუ ეკრანზე არ გამოვჩნდებოდი, იმ ადამიანებს შორის მაინც ვიქნებოდი, ვინც კადრს მიღმა გადაცემის ეთერში გასვლაზე ზრუნავს. ახლა „ჯეოსელში“ ვმუშაობ და თავს შესანიშნავად ვგრძნობ. სხვათა შორის, რადიო „ფორტუნაში“ მიმყავს გადაცემა, რომელიც ჩვენს კონკურსს აშუქებს.

**ირინა:**

**— რა განსხვავებაა ახლანდელ და წინა „ჯეოსტარელებს“ შორის?**

— პრინციპული სხვაობა არ არის. ისე, ყველა თაობა ამბობს, — ჩვენ უფრო მეგობრულები ვართო...

**სალომე:**

**— როგორი ბიჭები მოგწონს?**

— არ მაქვს ჩამოყალიბებული ტიპაჟი. ზოგჯერ ისეთ ადამიანს მოვუხიბლივარ, რომ ვერასდროს წარმოვიდგენდი...

**ირინა:**

**— გარეგნობას შენთვის, გადა-**


შპს „გიხაფუ“



დაზოგეთ დრო და ენერგია

დაგიმზადებთ მეგრულ საცივს, ყველა ოჯახისთვის სახლში მიტანით.

შეკვეთები მიიღება 29 დეკემბრამდე

იჩქარეთ!!!

54 08 78; 879 507804




**მწყვეტი მნიშვნელობა აქვს?**

— რა თქმა უნდა, აქვს მნიშვნელობა, მაგრამ თუ ადამიანს არ გააჩნია ის შინაგანი ხიბლი, რომლითაც მიგიზიდავს, ალბათ აზრი არ აქვს მასთან ურთიერთობას. ღმერთმა არ ქნას, მხოლოდ გარეგნულად მოვიხიბლო მამაკაცით, მაშინ ძალიან ზედაპირული ადამიანი ვიქნები. ასე ვფიქრობ. რადგან წლების შემდეგ, სილამაზე ქრება და ადამიანის შინაგანი სამყარო რჩება.

**სალომე:**

**— ანანო, როგორი შვილი ხარ? დედა როგორ დაგახასიათებდა?**

— თუ არა ვარ თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებისას, შეიძლება, იქაურობას გავეცალო. არ უნდა შემზღუდონ. ეს შეიძლება, რაღაც მომენტში ცუდიც არის, რადგანაც ყოველთვის ისე არ იქნება, როგორც შენ გინდა... ოღონდ ჩემი გადაწყვეტილებით არავინ უნდა დაზარალდეს. რაღაც მომენტში, სხვის აზრსაც ვითვალისწინებ. ძალიან მიყვარს, როდესაც ჩემი საქციელით ადამიანებს სიხარულსა და სიამოვნებას ვანიჭებ. საჩუქრის მირთმევა უფრო მიყვარს, ვიდრე მიღება. ცხოვრებაში აზარტულიც ვარ.

**— მგონია, რომ სპორტის რომელიმე სახეობას მისდევ...**

— ასე ბევრს ჰგონია. უბრალოდ, მთელი ბავშვობა „როლიკებზე" ვიდექი. მიყვარს თხილამურებით სრიალი. სპორტული ვარ, მაგრამ ამ სფეროს აქტიურად არ მივდევ.

**ირინა:**

**— შენი საახალწლო ტრადიციების შესახებაც გვიამბე.**

— ამჯერად ახალი წლის შეხვედრა ქუჩაში მომიწევს. არადა, ძალიან მიყვარს ოჯახის წევრებთან ერთად შეხვედრა. თავისუფლების მოედანზე გამართულ კონცერტში მივიღებ მონაწილეობას. მერე „ჯეოსტარელებთან" — ე.ი. თქვენთან ერთად, „პურის სახლში" გადავინაცვლებ, სადაც თქვენი მონაწილეობით გაიმართება მუსიკალური პროგრამა, რომელსაც მე წავიყვან. თან ვიმღერებ... ყველა ჩემს თაყვანისმცემელს, ვულოცავ დამდეგ 2009 წელს! მშვიდობიან წელს ვუსურვებ! ყოველი დილა სასიხარულო და ბედნიერი ყოფილიყოს!..


დიდი საახალწლო ფასდაკლება

წიგნები
50%-მდე
ფასდაკლებით



იკითხეთ ბიბლუსის წიგნის მაღაზიებში

თბილისი
აღმაშენებლის გამზ. № 121
იოსებიძის ქ. № 49
რუსთაველის გამზ. № 40/1

ბათუმი
გამსახურდიას გამზ. № 20

ფოთი
ფარნავაზ მეფის ქ. № 12

ზუგდიდი
რუსთაველის ქ. № 92

სამტრედია
სააკაძის ქ. № 6

სენაკი
რუსთაველის ქ. № 241

ხაშური
რუსთაველის ქ. № 69

დუშეთი
რუსთაველის ქ. № 11

საუკეთესო საახალწლო საჩუქარი თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!


დაიწყე დღე
მიირთვით
ნატურალური,
ადგილობრივი,
უგემრიელესი
"ჩირის
პროდუქტები"

ლალი პაპასქირი

# ხელოვნებაში გაცოცხლებული ნაომარი აფხაზეთი

ხელოვნებას საზღვარი რომ არ აქვს, ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა სოხუმელი მხატვრის — ვალერი ჩარგაზიას ფერწერული ნამუშევრები ვნახე... ის ომამდეც ხატავდა, მაგრამ ახლა მის სახლში გამოფენილ ტილოებში XX საუკუნის 90-იანი წლების ქართულ-აფხაზური ომის შედეგად დანგრეული სოხუმის ხედებია და მხოლოდ ზღვას ადევს ძველებური, მწვანეში გარდამავალი მოლურჯო ფერი... ოცნებობს, გამოფენა სოხუმშიც მოაწყოს და აფხაზ დამთვალიერებლებს საქართველოს სხვა კუთხეების ხედებიც ანახვოს, მაგრამ გეგმის განხორციელებაში უფინანსობა უშლის ხელს... ამბობს, რომ მისი შემოქმედება ქართულ-აფხაზური ომის საწინააღმდეგო თავისებური პროტესტია.



უსაშველო და უბედურ 15 წელიწადზე დაცლილი სახლები ყველაზე კარგად მეტყველებდა...

## „ქართველის მტრის ხატი ძლიერი იყო, მაგრამ ახლა არავინ იცის, ვისი „ხატი" იქცევა მტრად"

— სოხუმში სახლი აღარ მაქვს, დაიწვა. ეზოში საშენი მასალები მქონდა, ახალი სახლის აშენებას ვაპირებდი, მაგრამ ომი დაიწყო. მას შემდეგ, რაც უსახლკაროდ დავრჩი, ჩემს დამწვარ ბინას ერთი პატარა ოთახი მივაშენე, მაგრამ ვიღაც რუსი შესახლდა. ამიტომ, როცა ჩავდივარ, ნათესავებთან ვრჩები... ომის დროს ჩემი ოჯახი წამოვიდა იქიდან, მე ეს ვერ შევძელი და ჩავრჩი. აფხაზი ნათესავები კი მყავდა, მაგრამ იმდენად დაძაბული სიტუაცია იყო, ჩემს პატრონობას ვერავინ ბედავდა. მერე, როცა ვითარება ცოტათი ჩაწყნარდა, აფხაზებიც მეხმარებოდნენ. კარგი ადამიანები ყველგან არიან, მაგრამ პოლიტიკა აფუჭებს საქმეს... ქუჩაში დახოცილი ხალხი ეყარა. დავდიოდით და მიცვალებულებს ჯერ „ადეალაში", შემდეგ კი ცელოფანის პარკებში ვახვევდით და ისე ვმარხავდით... გვეგონა, ეს ყველაფერი დროებითი იქნებოდა, მაგრამ ომმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ბევრი შესცოდა „მხედრიონმა" და გვარდიამაც. ის აფხაზები, ვინც ომამდე სოხუმი არ დატოვეს და ქართველი ახლობლების იმედად დარჩნენ, ჩვენმა მეომრებმა დააწიოკეს. რუსებს ვერ იტანენ, მაგრამ მათთან ახლო ურთიერთობა ქართველების აგრესიისგან დასაცავად სჭირდებათ. თან იმასაც ამბობენ — გამოქერილი ვყავართო.

**— ომის შემდეგ დახატული პირველი სურათის შესახებ მომიყევით...**



ვცდილობ, ომის შედეგი ორივე მხარეს დავანახვო

— ის სურათი ახლა ბაქოშია... სოხუმის ტურბაზაზე ადრიან გაზაფხულზე, წითელი მაგნოლიები ყვავილობდა. მშვიდობის დროინდელი, დარჩენილი ზეთი, ტილო, პალიტრა და სალებავები მქონდა და ძალიან მომინდა ხატვა. 1996 წლის გაზაფხული იდგა. მიჭირს იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ მოვიდა ამდენი უბედურების შემდეგ მუზა, მაგრამ დავჯექი და ნაომარი სოხუმის ხედი ტილოზე გადავიტანე. ყველა გაოცებული მიყურებდა: ომის შემდგომ დანგრეულ და გაპარტახებულ ქალაქს ეტიუდებიანი მხატვარი ვერ „მოარგეს". ზოგმა ეს მშვიდობიანი ცხოვრების დასაწყისადაც მიიჩნია, ზოგს ყიდვაც უნდოდა. მერე რამდენიმე რუსმა ტურისტმა იყიდა კიდეც ჩემი ნამუშევარი, უფრო მეტად რუსი სამხედროების მეუღლეები ინტერესდებოდნენ.

**— როცა სურათები ადმინისტრაციულ საზღვარზეც გადმოგაქვთ, პრობლემები არ გექმნებათ?**

— რა თქმა უნდა, მექმნება. სანამ აქეთ წამოვიღებ, ყველა ეტიუდის ყიდვა მიწევს: აფხაზეთის მხატვართა კავშირში მიმაქვს, ჩემი ნამუშევრების გაფორმება ხდება და ყველა სურათში რაღაც თანხას ვიხდი. პირველად ენგურის ხიდზე მდგარმა აფხაზმა მესაზღვრეებმა ტომრებში ჩალაგებული სურათები რომ ნახეს, გაუკვირდათ, ამოყარეს, ყველაფერს ელოდნენ, მაგრამ ვერც წარმოიდგენდნენ, თუ ფერწერული ნამუშევრები იქნებოდა. ჩემ თვალწინ პირდაპირ ასფალტზე დაყარეს. ერთმა ისიც კი მითხრა, — ეს აფხაზეთის ფასეულობაა და საქართველოში რატომ მიგაქვსო? — მაგრამ ნაცნობი აფხაზები ვნახე და დამეხმარნენ. მერე თანდათან შემეჩვივნენ და უპრობლემოდ გადმოვდივარ... ვცდილობ, ომის შედეგი ორივე მხარეს დავანახვო. სოხუმში ყველაზე მეტი ხალხი მშვიდობის პროსპექტზე მოძრაობს, თუმცა 3 საათის შემდეგ იქაურობაც იცლება. ასევეა ბაზარი და საქალაქო საბჭო. ბულვარი, რომელიც ყოველთვის ხალხმრავლობით იყო გამორჩეული, ომის შემდეგ, მწყემსებს ორად ჰქონდათ გაყოფილი: ცალ მხარეს ერთი მწყემსი აძოვებდა ნახირს, მეორეს კი — მეორე... ქართული დასახელების ქუჩებს — შაბსურსკაია, კაბარდინსკაია, შამილ იმამის, ვაინახსკაია და ლეონის ქუჩები დაარქვეს. გზისპირა ადგილებს თუ არ ჩავთვლით, იქაურობა ტყედ არის ქცეული. თებერვალში ნაგავსა და ბალახს ცეცხლს უკიდებენ, რომ გაზაფხულზე იქაურობა ეკალ-ბარდმა და სარეველამ არ წალეკოს. ნაგვისგან გაწმენდის ამ ხერხს იშვიათი ჯიშის მცენარეებიც ეწირება... ხშირად ნახავთ მოუვლელ, ნახანძრალ, დამწვარ, გამხმარ და შუაზე გადახლეჩილ კვიპაროსებსა და მაგნოლიებს. მერწმუნეთ, ეს არანაკლებ მძიმე სანახავია, ვიდრე ომი... კინდღის საბჭოთა მეურნეობა და ქარსაფრის ზოლები — არაფერს ვამბობ ჩაის პლანტაციებზე — პირწმინდად გადამწვარია, რაც სხვა დანარჩენთან ერთად, ეკოლოგიურ კატასტროფას იწვევს.

**— დემოგრაფიულ ვითარებაზე რას იტყვით?**

— ამ მხრივ ხომ სულაც კატასტროფული მდგომარეობაა. ახალგაზრდობა რუსულად ლაპარაკობს. გარდა ამისა, აფხაზები მცირერიცხოვანი ერია და ომმა ისინი საერ-

გაგრძელება იხ. გვ. 16

# იყიდეთ ერთხელ, იკითხეთ მთელი წელი!







„კვირის პალიტრა" გთავაზობთ სხვადასხვა სახის კედლის მოსახევ კალენდრებს








დასაწყისი იხ. გვ. 14

თოდ, კრიზისის პირას მიიყვანა. ვინც დარჩა, რუსეთში გადაიხვეწა და იქიდან არჩენს ოჯახს; ვინც დარჩა დასაოჯახებელი, ბიძაშვილს ხომ არ მოიყვანს ცოლად და იძულებულია, სომეხი ან ბერძენი ითხოვოს. რუსი იშვიათად მოჰყავთ... სომხებმა ყველაზე კარგად მოიკიდეს ფეხი, ბიზნესიც აწყობილი აქვთ და მუშაობენ კიდეც. არც რუსეთში წასვლის პრობლემა აქვთ, სახლი რუსეთშიც აქვთ და აფხაზეთშიც. მესმის, რომ ეს ქართველებისა და აფხაზების გაღიზიანებას იწვევს, მაგრამ მათაც არ გაემტყუნებათ: ომამდე ე.წ. აფხაზურ ფონდში იარაღის შესაძენად ფულს რომ აგროვებდნენ, სომხებსაც აიძულებდნენ, გარკვეული თანხა ჩაერიცხათ, სანაცვლოდ კი აფხაზეთში ცხოვრების გარანტიებსაც ჰპირდებოდნენ. ეს მათი ბრალი კი არა, კავკასიური ტრაგედიაა.

**— ბატონო ვალერი, რამდენჯერმე ითქვა, რომ რუსული წნეხის მიუხედავად, აფხაზური საზოგადოების ნაწილი ქართველებთან ურთიერთობის მოწესრიგების მომხრე იყო. ასეა?**

— დიახ, ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ქართველის მტრის ხატი იქ ძლიერია. ასე იყო, მაგრამ ახლა არავინ იცის, ვისი „ხატი" იქცევა მტრად... იყო ხალხი, მათ შორის ბიზნესმენებიც, რომლებსაც მართლა უნდოდათ ქართველებთან ურთიერთობის აღდგენა და ჩუმად ამბობდნენ, — ხვალ თუ ზეგ, ქართველებთან ერთად უნდა ვიცხოვროთო, — მაგრამ სულ რაღაც ერთ თვეში ეს ხალხი ქრებოდა. ვისაც მსგავსი სიტყვა წამოსცდა, არც ერთი აღარ არის ცოცხალი... ეს ხმები თანდათან მიჩუმდა, თუმცა არავინ იცის, როდის ამოხეთქავს ისევ, ახალი ძალით. მით უმეტეს, რომ ისინი დამოუკიდებლობის აღიარებას მზის ამოსვლასავით ელოდნენ... რუსეთთან ამდენწლიანი ურთიერთობის მიუხედავად, უკიდურესად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა. მათ, ვისაც მიწის ნაკვეთი აქვთ, სოფლის მეურნეობას მისდევენ, ხილი, ბოსტნეული და ციტრუსი მოჰყავთ; სარვამარტოდ, მიმოზები გააქვთ ფსოუს საზღვარზე. მაგრამ ეს არის უმძიმესი, რისკისა და ტანჯვის ფასად გავლილი გზა. ათასნაირი სახის გადასახადია, ყოველ ფეხის ნაბიჯზე აჩერებენ. იქ წესრიგი და უსაფრთხოება არ არსებობს. ყვავილების სეზონს, ციტრუსის სეზონი ემთხვევა, რომლის დროსაც უშველებელი რიგები და გაუსაძლისი ჭყლეტაა... ზღვის სეზონზე ტურისტები, რომლებიც ძირითადად, რუსეთიდან ჩამოდიან, სახლებში დაბინავებას ერიდებიან და სანატორიუმში რჩებიან: უსაფრთხოების გარანტიები იქ უფრო მყარია. გაგრასა და ბიჭვინთაში დამსვენებელი მეტია, რადგან რუსეთთან ახლოსაა...

*გასულ ზაფხულს აფხაზეთს ფოტოგრაფი* ***იური მეჩითოვიც*** *ესტუმრა. ომის შემდგომ აფხაზეთზე შთაბეჭდილებების გაზიარება მასაც ვთხოვეთ.*

— აფხაზეთში ომამდე სულ რამდენჯერმე ვარ ნამყოფი. მაშინ გამოდიოდა გაზეთი „ქართული ფილმი", რომელთანაც ვთანამშრომლობდი. იმ დროს გადავიღე სოხუმელი კოლორიტი, რომელიც საკუთარ თავს „ჩუმას" (რუსულად — ჭირი) ეძახდა. მის ძაღლს სოხუმში ყველა იცნობდა... მერე დაიწყო ომი... 1993 წელს „ნოვაია გაზეტაში"




ვმუშაობდი და გოგი ცაგარელთან ერთად, სოხუმში ჩავფრინდი. გუმისთის მიმართულებით, აჩადარასთან ინტენსიური სროლები იყო და ეს შეტევა — პირობითად ვთქვათ ასე — „ჩვენებმა" მოიგერიეს: არ მინდა, სიტყვა „მოწინააღმდეგე" ვთქვა. იცით, რა მახსოვს?.. ვიღაცის სახლში შევედით — არ ვიცი, ქართველის, აფხაზის თუ სომხის — მაგრამ მიტოვებული იყო. ჩვენთან ერთად მყოფმა ერთ-ერთმა მებრძოლმა ამ სახლში კომპოტები გახსნა. ფანჯრებიდან ჩანდა დახოცილი ადამიანებით სავსე ქუჩები. მეორე დილას წვიმდა და ამ გვამებს აწვიმდა... საშინელი სანახავი იყო. მერე ორი რუსი მოიყვანეს და გარდაცვლილები სატვირთო მანქანის ძარაზე დაყარეს. ეს ყველაზე მძიმე ფოტოა , რომელიც ოდესმე გადამიღია... მოგვიანებით, როცა ქართველებსა და აფხაზებს შორის მორატორიუმი გამოცხადდა, ისევ ჩავედი აფხაზეთში. რაღაც შეკრებაზე ხალხს სიტყვითაც კი მივმართე. რომ ვლაპარაკობდი, ამ დროს სირენები აკივლდა და ხალხი დაიფანტა. არავინ თქვას, სიკვდილის არ მეშინიაო. იქაურობას „გრადებით" ბომბავდნენ და ამ საგიჟეთში მივხვდი, რომ მე, ადამიანი, ხორცის ერთი ნაგლეჯი ვიდექი და ხეს ვეძებდი, რომ ამოვფარებულიყავი. ამ დროს მუშაობაზე კი არა, გადარჩენაზე ვფიქრობდი...

**— შარშან როგორ მოხვდით აფხაზეთში?**

— იქ წასვლა მას შემდეგ გადავწყვიტე, რაც გურამ ოდიშარია გავიცანი. ეს მოხდა მის სპექტაკლზე — „აფხაზეთი — ზღვა, რომელიც შორია". მასთან შეხვედრამდე მისი წიგნი ჩამივარდა ხელში — „დაბრუნება სოხუმში"... ოდიშარიამ შემომთავაზა, — ხომ არ წახვიდოდი აფხაზეთშიო?! — და სხვათა შორის, იქ ჩასვლისას, მივხვდი: რომ იქაურებს ოდიშარიასნაირი ხალხი მოსწყურდათ. როცა ჩავედი, ჩვენსა და მათ შორის დაძაბული ვითარება სუფევდა და აფხაზეთში საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული. ქუბურხინჯში გადავედი, სადაც მანქანა მელოდებოდა. აქეთ-იქით ტურისტივით ვიცქირებოდი. ღამე იყო და იმის გარკვევა მიჭირდა, თუ რა ხდებოდა გარშემო, თან სამარისებური სიჩუმე იდგა. არც შუქი მოჩანდა სადმე. იქიდან სოხუმის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ სასტუმროში მიმიყვანეს. თან გამაფრთხილეს, არ თქვა, რომ თბილისიდან ხარო. კარგა ხანს ჩუმად ვიყავი, მაგრამ მერე ვიღაც ჩრდილოკავკასიელები გავიცანი და მათთან წამომცდა... ჩემს მასპინძელ აფხაზებს ვთხოვე, — პირველ დილას ადრე მოდით, რომ მზის პირველ სხივებზე ფოტოების გადაღება შევძლო, სანამ ქუჩებში ხალხი გამოჩნდება-მეთქი. მეორე დილით ქუჩაში რომ გავედი, სრული შოკი მივიღე. იმ მოედანზე ვიყავი, რომელზეც ჩვენს ქართველ ტყვეებს ურტყამდნენ და აფხაზი მეომრები ცეკვავდნენ (ეს კადრები ყველას აქვს ნანახი)... იქაურობა გაუკაცრიელებული იყო. ის კვარცხლბეკი, რომელზეც ლენინის ძეგლი იყო, ისევ იდგა... დანგრეული მთავრობის სახლისა და სხვა უფანჯრებო სახლების ფონზე ეს ყველაფერი ისე საზარლად ჩანდა, რომ ცუდად გავხდი... როცა გადაღება დავიწყე, ჩემს მასპინძლებს შიში შეეტყოთ: იმ დროს არც ტურისტული სეზონი იდგა და გარდა ამისა, ორშაბათი დღე იყო... იქიდან ფუნიკულორზე ავედი. საღამოს სოხუმის ცენტრში გაკეთებულ, მემორიალურ დაფასთან მიმიყვანეს, სადაც აფხაზეთის ომში დაღუპულთა გვარებია ჩამოწერილი. იქვე იყო მათი საფლავები. აფხაზებმა მითხრეს: ქართველები რომ გაიძახით, რუსებს ვებრძოდითო, აბა, ერთ რუსის გვარს თუ იპოვითო?!. მართლაც, სულ აფხაზური გვარები ეწერა. იქვე იყო ქანდაკება: მიწაში ჩარჭობილი, დიდი ხმალი, რაც ნიშნავს, რომ ომი უნდა დამთავრდეს... ამის შემდეგ მათ ვთხოვე, იქნებ აჩადარაში წამიყვანოთ-მეთქი. მინდოდა, ის ადგილი მენახა, სადაც წლების წინ ქუჩაში დაყრილი გვამები ვნახე. იქვე მოთამაშე ბავშვებიც გადავიღე, ერთ-ერთს ხელში სათამაშო პისტოლეტი ეჭირა.



გაგრძელება იხ. გვ. 94

# სოციალური დახმარების მოლოდინში

## ანუ ვინ დაადებინებს ძროხას კვერცხს და სად ვეძებოთ მიქელ-გაბრიელი

ლიკა ქაჯაია

26014

*რამდენიმე კვირის წინ მეგობარს „სოციალური სუბსიდიების სააგენტოში“, რეგისტრაციის მოწმობის ასაღებად გავყევი, სადაც უამრავი ადამიანი შეკრებილიყო. — „გოგოებო, სად მიდიხართ?“ — დაგვიყვირა შავებში ჩაცმულმა ბიჭმა, რომელიც სავარაუდოდ, ე.წ.* „დაცვა“ *გახლდათ. როცა კითხვაზე ვუპასუხეთ, გვითხრა, — მერე, ჩემთვის არაფერი უნდა გკითხათ? აქ მოდით, თქვენი გვარები მითხარით და რიგი დაიკავეთ. ჩემი მეგობარი შეშფოთდა:*

— ვაიმე, მთელი ეს ხალხი, ვისაც დერეფანში ვხედავ, ჩემზე წინ დგას? თუ იცი, ჩემი რიგი რომ მოვა, სამუშაო საათები ისევ იქნება?

— თუ გინდა, დაელოდე, თუ არა და, ვინ გაკავებს?! შეგიძლია, მიბრძანდე, — *უხეშად უპასუხა ყმაწვილკაცმა და უცნაურად გაბლენძილმა, ახლა მოხუცს, რომელიც ის-ის იყო, კიბეზე ძლივს ამოფორთხიალდა, დაუძახა:* — ბებოჯან, შენ საითლა გაგიწევია?

— საიქიოში, შვილო, საიქიოში...

— შე კაი ქალო, საიქიოში თუ მიდიხარ, აქ რა გინდა? აქ საიქიოს კარს ვერ გაგიღებენ და რომც გაგიღონ, ჩვენ რას გვერჩი? — *ჩაიქირქილა ხანში შესულმა კაცმა, რომელიც რიგში მდგომ ახალგაზრდა გოგონებს მუშტრის თვალით მისჩერებოდა...*

— ეჰ, არ მივყავარ მიქელ-გაბრიელს და რა ვქნა?! ახლა მის საძებრად თავად წამოვედი — ეს მთავრობა ან რიგში დგომით და ნერვიულობით მომკლავს, ან ჭრილობაზე მალამოს დამადებს და მიმკურნალებს.

— იმედი არ მოგიშალოს ღმერთმა! — *წარბი ასწია კუთხეში მდგომმა ქალმა, რომელსაც ლოყაზე იმდენი „რუმიანა“ ესვა, რომ გეკოცნა, შეიძლება, მოწამლულიყავი.*

— ეს მთავრობა ჩვენით ერთობა — არც გვკლავს და არც — გვარჩენს. ვირთხებივით ვართ, ვირთხებივით.

— ბებო-ჯან, სად მიდიხარ-მეთქი? კითხვაზე რატომ არ მპასუხობ? — *შუბლშეკრულმა „დაცვამ“ ბებოს მკაცრად გახედა.*

— წელს დახმარებას მაძლევდნენ, ახლა კი მომიხსნეს. მარტოხელა ქალი ვარ, ავადმყოფი. თავს მარტო პენსიით ვირჩენ და ეს დახმარებაც რომ არ მქონოდა, შიმშილით მოვკვდებოდი.

— ჰოდა, მიქელ-გაბრიელიც სახლში მოგაკითხავდა. დახმარება რომ აიღე, ამით გაგიბრაზებია და რაღას ელოდები? — *დაიღრიჯა ლოყებალაულაუებული ქალბატონი.*

— ქალბატონო, გვაცალეთ ლაპარაკი და თქვენს რიგს კომენტარის გარეშე დაელოდეთ, — *ხმა კიდევ უფრო გაიმკაცრა დაცვის ბიჭმა და ისევ ბებოს მიუბრუნდა:* — შენი სახელი და გვარი მითხარი.

— ჩემი სახელი და გვარი რად გინდა, შვილო? ამ ხნის ქალი, უნდა დამიჭიროთ?

— ქალო, სიკვდილის არ გეშინია და ციხეში ჯდომა გაშინებს? რომ დაგიჭირონ, კარგიც იქნება — ფული არაფერში დაგჭირდება, უფასოდ გაჭმევენ პურს. ნეტავ, მეც დამიჭერდეს ვინმე და დავისვენებ, — *ვერ მოითმინა ლოყებლაულაუამ და როცა დაცვის წევრის არწივისებური მზერა შენიშნა, ეგრევე გაჩუმდა.*

— ბებო, სიაში უნდა ჩაგწერო და რიგსაც დაიკავებ. ხომ ხედავ, აქ ხალხი დგას და ყველა იმ ოთახში უნდა შევიდეს, სადაც შენ.

— უიმე, ამ საწყლებსაც მოუხსნეს დახმარება? ვაი, ვაიი... ცოდოები არ არიან ეს ახალგაზრდა გოგო-ბიჭები, მთავრობის გადმოგდებულ „კაპიკებს“ რომ ელოდებიან?! ვაი, შვილებო, ვაი.

— ნუ დაგვჩხავი, ქალბატონო, ჩვენი გაგვჭირვებია და შენსას ნუ გვიმატებ, — *სკამზე ჩამომჯდარმა ახალგაზრდა ქალმა ბებოს თვალები დაუბრიალა.* — ამ ასაკის ადამიანები ქუჩაში არ უნდა გამოდიოდნენ. წაიღეს, რა, ტვინი!

— აბა, ამას ჰკითხე, თუ უნდოდა აქ მოსვლა და რიგში დგომა, მაგრამ მარტოხელა ქალია და ვის გამოუშვებდა?!. შეეშვით, ცოდვაა, რას გადაეკიდეთ?! — *გამოესარჩლა მოხუცს ახალგაზრდა ბიჭი.*

— თუ ქართველები ხართ და ცოტაოდენი ღირსება მაინც შეგრჩათ, რომელიმემ ადგილი დაუთმეთ, ჩამოჯდეს მაინც.

— გამომივიდა ადვოკატი!.. თუ კარგია, შენი ადგილი დაუთმე.

— მეც ფეხზე ვდგავარ და რა დავუთმო?!.

— ჰოდა, გააჩუმე ენა...

— სულ გატუტუცდნენ ეს ახალგაზრდები, არავისი ერიდებათ, უფროსებს პატივს არ სცემენ, — „კუმ ფეხი გამოყოო“ — *ისე ჩაერია დიალოგში ხანში შესული კაცი, რომელსაც ეტყობა, თავისი სკამი არავისთვის ეთმობოდა.*

— თქვენი თაობა ხომ სცემდა უფროსებს პატივს?!

— არა, თქვენ გვასწავლეთ, ბიჭო!..

— გეტყობათ, როგორ პატივსაც სცემდით: მოხუცი ქალისთვის სკამის დათმობა არც ერთს არ გინდათ.

*ამ სიტყვებმა ბევრის უკმაყოფილება გამოიწვია, ფეხზე მდგომი ადამიანები კი ბიჭს გამოესარჩლნენ და იქ ისეთი ამბავი ატყდა, რომ იტყვიან, — დედა შვილს არ აიყვანდა ხელშიო. ამიტომაც, მეგობარს ვთხოვე, — სანამ შენი რიგი მოვა, მეორე დერეფანში გავიდეთ. აქ თუ დავრჩით, შეიძლება, ვინმეს ჩვენი სიჩუმის გამო შემოველანძღოთ-მეთქი.*

*დერეფნის ბოლოში პენსიონერები შეკრებილიყვნენ და ერთმანეთის საპენსიო ბარათებს ამოწმებდნენ.*

— კაცო, შემიშვით, რა იყო?! მაინტერესებს, ამ ბარათმა ძალა დაკარგა თუ არა, — *რიგში მდგომებს ეხვეწებოდა მოხუცი ქალბატონი.*

— ჩვენც მაგისთვის ვდგავართ. აბა, მოცლილები კი არ ვართ, — *შეეპასუხა შედარებით ახალგაზრდა ქალი, რომელსაც სახეზე ეტყობოდა, რომ არა მარტო ხელისუფლებას, არამედ მთელ ქვეყანას უჯავრდებოდა,* — კაცო, ვერ ვისწავლეთ ქართველებმა რიგის დაკავება. როდემდე უნდა ვიყოთ უწესოები?!

— ქალბატონო, თქვენ მაინც გაჩუმდით, რა! ხომ იცით, აქ თქვენზე ადრე

„როშ-დიაგნოსტიკის“ და „მიკროლაიფის“
ოფიციალური წარმომადგენლები საქართველოში
გთავაზობთ შვეიცარული წარმოების:
-სისხლში გლუკოზის რაოდენობის
მზომ აპარატებს არჩევანით.
-სისხლის წნევის მზომ აპარატებს,
არჩევანით და ორწლიანი გარანტიით.




გთავაზობთ აპარატებზე უფასო
ტექნიკურ მომსახურებას
შპს ,,მირკოსთან,, არსებულ
სადიაგნოსტიკო ცენტრში.
მის: თბილისი; პეკინის 15-ის მიმდებარე ტერიტორია. აფთიაქი „მირკო“; ტელ: 37-98-73 (24 სთ)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვედი, მაგრამ რიგი უკომენტაროდ „ამახიეთ“, — უთხრა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც ხელში ფუნთუშა ეჭირა.

— ჭამე ის შენი „ბულკი“ და ნუ ტლიკინებ რაღაცას. არაა შენი საქმე, მე ვის წინ ან უკან ვდგავარ, — გაწიწმატდა ისედაც გაბრაზებული ქალი.

— კარგი, კარგი, აქ ვიდგები საღამომდე, ოღონდ ჩემ გამო ისევ ნუ იჩხუბებთ, — ძლივს გასაგონად თქვა იმ ქალბატონმა, რომელმაც კაბინეტში ურიგოდ შესვლა მოინდომა... დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში, საპენსიო რიგში საოცარი სიჩუმე იდგა, მაგრამ მერე დერეფანში 2 მოხუცი ქალბატონი გამოჩნდა. ერთ-ერთს აშკარად ეტყობოდა, რომ რუსი გახლდათ. მას წითელი პალტო და მალალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა, თავზე კი შავი ბერეტი (რომელზეც ოქროსფერი სარჭი იყო მიმაგრებული) ეხურა. ამ ქალბატონს საოცრად გამხდარი, მოუწესრიგებელი ქალბატონი უმშვენებდა გვერდს.



დერეფნის ბოლოში პენსიონერები შეკრებილიყვნენ და ერთმანეთის საპენსიო ბარათებს ამოწმებდნენ.

— გამარჯობათ, ბოლო ვინ არის? — იკითხა მან და თავის რუს მეგობარს სკამისკენ მიუთითა — იქ დამელოდეო.

— ბოლო არა, კიტრი!.. ხომ ხედავ, ბოლო შენ და ის ქალი ხართ, — მიუბრუნდა გაბრაზებული ქალი მათ.

— რას მიყვირი, ქალო? ხომ უნდა გავიგო, ვის შემდეგ ვარ?

— გაიგო არა, შენც ბევრ რამეს გაიგებ... რა გინდა, რისთვის მოხვედი?

— ჩემს მეზობელს გამოვყევი, საპენსიო ბარათი აქვს გამოსაცვლელი.

— რუსია?

— კი, რუსია. 5 წელია, რაც საქართველოში ცხოვრობს.

— რას მოეთრეოდა, თავის ქვეყანაში ვერ დაეტია?!

— შვილები და შვილიშვილები აქ ჰყავს და აბა, რა ექნა?!

— შვილიშვილები თუ ჰყავს, შენ რაღას მოჰყვებოდი?!

— მეზობელია ჩემი, კარგი ქალია.

— არ გრცხვენია, რუსთან ერთად რომ დადიხარ?

— რა ვიცი, მთხოვეს და აბა, რა მექნა?! — რატომღაც, თავი იმართლა გამხდარმა ქალმა და უხერხულად შეიშმუშნა.

— ქალბატონო, თავი დაანებეთ, რას გადაეკიდეთ?! მერე რა, რომ რუსი ეროვნების ადამიანთან ერთად მოვიდა?! — გამოესარჩლა გამხდარ ქალს ახალგაზრდა მამაკაცი.

— ჰო, შენ ჩემი სიტყვები უკომენტაროდ არ დატოვო. ვინ გეკითხება, ვის რას ვეტყვი?! დიახაც, სირცხვილია რუსთან ერთად სიარული. ამათ დაგვღუპეს და მოგვსპეს, მაგრამ ხომ ხედავთ, პენსიას მაინც ვაძლევთ ამ მათხოვრებს...

გაბრაზებული ქალი კიდევ დიდხანს ილანძღებოდა, ხან მთავრობის, ხან — რუსების მისამართით. კიდევ კარგი, რუსს ქართული არ ესმოდა, თორემ ღმერთმა იცის, იქ რა ამბის შემსწრე ვიქნებოდი. როცა ენის „მოფხანით“ გული იჯერა, რუსი ქალი თვალებით კიდევ ერთხელ აზომა და მის თანმხლებს მიმართა:

— ისე, რუსს არ ჰგავს, ხომ იცი. რაღაც, სხვანაირი გარეგნობა აქვს. აბა, ააყენე ფეხზე.

— მარია, „პასტოი, პასტოი ნა ნოგახ“, — დაუძახა მეზობელს ქალმა.

— კაცო, თან რა დაბალი ყოფილა! იცი, რა ეროვნების ადამიანს ჰგავს?! ისინი რომ არიან... კაცო, რა ჰქვია იმათ?.. რა იყო, არავინ იცის, იმათ რა ჰქვიათ?

— ვის, ადამიანო?

— ფუჰ, მე კი გამოვჩერჩეტდი, მაგრამ თქვენც არ გცოდნიათ არაფერი... კაცო, იმ ნაციას, დაბლები რომ არიან და უცნაურები, რა ჰქვია? — ახლა გამხდარ ქალს მიმართა, გაბრაზებულმა. ისედაც თითისტოლა ქალბატონი წელში კიდევ უფრო მოიხარა, აიწურა და გაბრაზებულს, შეშინებული ხმით უპასუხა:

— მართალი ხარ, იმ ნაციის ქალს ჰგავს, იმ ნაციის...

— ვაიმე, ვაიმე, უნდა გავიხსენო. პატარები რომ არიან, კაცო, და წვრილი თვალები რომ აქვთ. ხომ ჰგავს იმათ?

— კი, ჰგავს, აბა, არ ჰგავს?! — კედელთან აიტუზა გამხდარი ქალი, რომელიც ალბათ, თავბედს იწყევლიდა იმის გამო, რომ მეზობელს ამ დაწესებულებაში გამოჰყვა.

ამასობაში, ჩემმა მეგობარმა ხელი მკრა და მითხრა, — პირი დამუწე და წამოდი, თორემ შეიძლება, ჩემი რიგი ისე გავიდეს, ვერც კი გავიგო და აქ ისეთი რაღაცები ხდება, მგონი, სიაში ისევ თავიდან ჩამწერენო.

— უკაცრავად, ჩემი რიგი ხომ არ მოსულა? — ჰკითხა დაცვის წევრს ჩემმა მეგობარმა.

— ჯერ არა. თქვენი გვარით თუ ვიმსჯელებთ, თქვენ წინ 4 ადამიანი დგას და მერე, გზას დაგილოცავთ.

— უი, თავისებურად, მაგრამ მაინც, ხუმრობაც შესძლებია, — მიჩურჩულა მეგობარმა, მაგრამ მე უკვე სხვების ლაპარაკს ვუგდებდი ყურს (და სულაც არ მრცხვენოდა, ასინეთას რომ ვბაძავდი).

— ჩემნაირ გაჭირვებულს დახმარებას მოუხსნიდნენ?!. გეგონება, ამ ერთ წელიწადში ავშენდი. გეფიცებით, არაფერი შემიძენია. იმ ფულით, რასაც ესენი მაძლევდნენ, შვილებისთვის მხოლოდ პურს ვყიდულობდი, მაგრამ ამ ქვეყანაში თურმე, სამართალს ვერ იპოვი. სოციალურ აგენტს ვთხოვე, — ხომ იცი, ინვალიდი შვილი მყავს და არ დამღუპო-მეთქი. იმ ჩემი ცოდვით სავსეს ალბათ, გული არ ჰქონდა.

— უკაცრავად, რატომ უთხარით, არ დამღუპოო? ეტყობა, რაღაც მაინც გქონდათ ისეთი, რაც წესით, არ უნდა გქონოდათ, — მათ ლაპარაკში უყოყმანოდ ჩავერიე.

— ჩემს შვილს საპატრიარქო დაეხმარა და იმ ფულით პატარა შავ-თეთრი ტელევიზორიც შევიძინეთ. ჰოდა, ვუთხარი, ამის გამო დამხარება არ მომიხსნათ-მეთქი...

— იცით, ჩემთან მოსულმა აგენტმა, ტელევიზორი რომ მქონდა, რა მითხრა? — ხმა ამოიღო ტყავისქურთუკიანმა ქალბატონმა, რომელიც უცნაურად იბღინძებოდა. — თუ ტელევიზორი გაქვს, ე.ი. შენი კუჭიც სავსეაო.

— უი, გაუხმა მაგას კუჭიც და ღვიძლიც! — მიაწყევლა სოციალური აგენტი ვიღაცამ.

— მოიცა, მაცალე ლაპარაკი, — განაგრძო ტყავისქურთუკიანმა, — მე ვუთხარი, ცოდვა ვარ და თუ ამის გამო მომიხსნიან დახმარებას, ნუ ჩაწერ-მეთქი. — მე ამას ვერ გავაკეთებ, ჩემს საქმეს ვერ ვუღალატებო. — ვუთხარი: შე კაი ადამიანო, ტელევიზორს თვითონ სააკაშვილი ურიგებს გაჭირვებულებს და ამის გამო უნდა მოუხსნან დახმარება-მეთქი?! იცით, რა მიპასუხა?.. ხომ გითხარით, ტელევიზორის ყურებით კუჭიც ძღება? იქ ისეთ რაღაცას ხედავთ, სხვა თუ არაფერი, იმედები დაგაპურებთ, ალბათ არ იცით, რომ ტელევიზია და სააკაშვილი ერთად, ძროხას კვერცხს დაადებინებენო... — ტყავისქურთუკიანმა ეს სიტყვები თქვა თუ არა, ერთ-ერთი ოთახიდან საგულდაგულოდ თმადავარცხნილმა, გაპუდრულმა ქალმა გამოყო თავი და დაუძახა, — უი, ეს თქვენ ხართ? მოდით, თქვენი რიგი დილიდანვე დაკავებული იყოო.

რიგში მდგომმა ამაყად გადმოგვხედა და გვითხრა:

— აი, ხომ ხედავთ, როგორ უნდა „დაუნძრიოთ“ ამათ და მერწმუნეთ, მერე ვერაფერს გაგიბედავენ. თუ ყველაფერს პირში ეტყვით, სამართალსაც იოლად იპოვით.

იმედი მაქვს, ყველაფრის პირში თქმით სამართალს ყველა ვიპოვით, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ამის ნაკლებად მჯერა... რიგში რამდენიმესაათიანი დგომის შემდეგ, დაცვის წევრმა ჩემი მეგობრის გვარი ამოიკითხა და მან საოცნებო სარეგისტრაციო მოწმობა აიღო. აქვე მას დაუსახელეს თვე და რიცხვი, როცა კუთვნილი დახმარება — 1.000 ლარი უნდა აეღო.

როცა თანხის ასაღებად მივიდა, მეც თან გავყევი, რადგან იმედი მქონდა, იქ ისევ ბევრს ვიხალისებდი, მაგრამ იმედები

გამიცრუვდა, რადგან ფულის მომლოდინე ხალხს ენა ჩავარდნოდა და ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა. ალბათ, ადამიანები წინასწარ ტკბებოდნენ იმ თანხის დახარჯვაზე ფიქრით, რომელიც უნდა აეღოთ... აქა-იქ უკმაყოფილო ლაპარაკი ისმოდა, კაბინეტიდან, ზოგიერთი ადამიანის შესვლისას, ჩხუბის ხმაც ისმოდა, მაგრამ მათი უკმაყოფილების მიზეზი ვერაფრით გავიგე... როცა ჩემი მეგობარი, ფულის ასაღებად, ოთახში შეიყვანეს, მეც შევყევი. იქ მისი საბუთები კიდევ ერთხელ გადაამოწმეს, მერე ქვითარი გამოუწერეს და უთხრეს, — ახლა, თანხის ასაღებად, ბანკში უნდა წახვიდეთო.

— უკვე 5 საათია. ხომ შეიძლება, ამ ქვითრით თანხა ხვალ ავიღო?

— გოგონი, ნუთუ არაფერი გაგიგია? — სათვალიდან გამოხედა გოგონამ, რომელიც ქვითრებს ავსებდა.

— რა უნდა გამეგო?

— ყვირილი... უკმაყოფილო ადამიანების ბუზღუნიც არ გაგიგონია?

— კი, მაგრამ მე რა ვიცი, რატომ ყვიროდნენ?

— დღეს, სამსახურში რომ მოვედით, უფროსობამ გამოგვიცხადა: 12 საათის შემდეგ საბუთები აღარ მიიღოთ, 1.000-ლარიანი დახმარება შეწყდაო.

— რატომ შეწყდა? — დავინტერესდი უეცრად.

— აბა, რა ვიცი, ეს ჩვენთვის არავის აუხსნია... ჰოდა, ამიტომაც ჯობია, ბანკში დღესვე წახვიდე. რა ვიცი, შეიძლება, ამ ქვითრით ხვალ ფულიც არ მოგცენ და კიდევ, ღმერთს მადლობა უთხარი, საბუთების შემოტანა ადრე რომ მოახერხე...

არა მარტო ღმერთს, არამედ მასაც დიდი მადლობა გადავუხადეთ და სასწრაფოდ ბანკისკენ გავეშურეთ, სადაც ასევე გრძელი რიგი დაგვხვდა. იქ კი აღშფოთებული ადამიანები ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, თუ რატომ შეწყვიტეს დახმარების გაცემა და თუ ამ ადამიანებს დავუჯერებთ, ყველაფერი იმის ბრალია, რომ ნატოში შესვლაზე ვოცნებობთ: — თურმე, ნატოში იმიტომ არ შეგვიშვეს, რომ საქართველოს ბევრი ღარიბი ჰყავს, ჰოდა, უცხოეთმა რომ დაინახოს, ვითომდა გავმდიდრით, საწყალ ხალხს ეს დახმარებაც შეუწყვიტესო... ასეთია სოციალურად დაუცველთათვის ერთჯერადი დახმარების შეწყვეტის „ხალხური ვერსია“.

ამ საკითხზე ადამიანები დიდხანს ბჭობდნენ, მაგრამ იქ ისეთ სისულელეებსაც მოვკარი ყური, რომ აქ გადმოსაცემად არც ღირს. ისე კი მიზეზი თითქოს რეალურს ჰგავს, მით უფრო, რომ ოფიციალური პირები მისი ალტერნატივის გამჟღავნებისგან თავს იკავებენ... იმედია, მალე, უცხო ქვეყნების თვალის ასახვევად კი არა, რეალურად აღარ გვეყოლება ღარიბი ადამიანები და იმის გამო, რომ მათ დახმარებას არ აძლევენ, მთავრობას არავინ გალანძღავს იმ სიტყვებით, რა სიტყვებსაც ის გაჭირვებული ადამიანები წარმოთქვამდნენ, რომლებსაც კიდევ ერთხელ გაუცრუვდათ იმედები. ■

# შეწყვეტილი შემწეობა

## და სოციალური აგენტის „წყალობით“ „გამდიდრებულები“

„არსებობს ტყუილი, მერე არსებობს დიდი ტყუილი და მერე — სტატისტიკა...“ — ამბობდა ამერიკელი მწერალი მარკ ტვენი. რამდენად მყარი ან საიმედო შეიძლება იყოს ადამიანის სოციალური მდგომარეობა, როდესაც მის აწმყოსა და მომავალს სტატისტიკური მონაცემები განსაზღვრავს?.. 2005 წელს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტის — „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა სოციალური დახმარების პროგრამის“ განხორციელება დაიწყო. დღემდე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საარსებო შემწეობას 372000 ადამიანი იღებს, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ბევრი მათგანი დახმარებას ვეღარ მიიღებს. რა კრიტერიუმებით ხდება ბენეფიციართა შერჩევა პროგრამაში მოსახვედრად? ხვდებიან თუ არა რეალურად გაჭირვებული ადამიანები პროგრამის მონაცემთა ერთიან ბაზაში და რამდენად სამართლიანია ოჯახში შემოწმებაზე მისული სოციალური აგენტი, თითოეული მათგანის შეფასებისას?— ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად, პროგრამის ახლა უკვე ყოფილ მონაწილეებსა და „სოციალური სუბსიდიების სააგენტოს“ სოციალური პროგრამების მართვის დეპარტამენტის უფროსს, გელა ქვიაშვილს ვესაუბრეთ.

### „ამ ბედკრულ ქვეყანაში სამართალს მაინც ვიპოვი“

*სოფო მინაშვილი*

**გულნაზ ჩიტიაშვილი,** *74 წლის:*

— 4 წლის წინ სახლი დამეწვა და რაიონულმა გამგეობამ დროებითი თავშესაფარი მომცა ნევროლოგიის ინსტიტუტის შენობაში. არც წყალი მაქვს და არც — ელექტროენერგია. 39 წლის შვილი მყავს, ავადმყოფი — მხედველობა ერთ თვალში 7% აქვს, მეორეში — 6%. მისთვის მძიმე ტვირთს აწევა არ შეიძლება, მაგრამ ბოთლებს ვაგროვებ, რათა პურის ფული ვიშოვო და მათ ტარებაში შვილი მეხმარება. ორი წითელი დიპლომი მაქვს, მაგრამ ახლა, პენსიონერი გახლავართ. პენსია არაფერში გვყოფნის. ნოემბრამდე, ყოველთვიურად ვიღებდით „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა სოციალური დახმარების პროგრამით“ ორწევრიან ოჯახზე გათვალისწინებულ 42 ლარს. ამ თვეში, ბანკში მისულს, მითხრეს, — თქვენს სახელზე დახმარება აღარ არისო. გამგეობაში შევიტყვე, რომ დახმარება საერთოდ მომიხსნეს. პროგრამის მიხედვით, ფულადი დახმარების მისაღებად, სპეციალური დეკლარაციის შევსების შემდეგ, 57000 ან ნაკლები ქულა უნდა დაგვეგროვებინა. ოჯახის შესამოწმებლად, სოციალური აგენტი იყო მოსული და 50000 ქულა მივიღეთ, მაგრამ დახმარება მაინც შეგვიწყვიტეს. ამ ბედკრულ ქვეყანაში სამართალს მაინც ვიპოვი.

**ნუნუ გოგნიაშვილი,** *73 წლის:*

— მარტოხელა, პენსიონერი ქალი ვარ. არავინ მეხმარება. ჩემი შემოსავლის ერთადერთი წყარო — პენსიაა, თვეში 80 ლარი. პირველად, სოციალური აგენტი 2 წლის წინ მესტუმრა. 54100 ქულა დავაგროვე და აქამდე ყოველთვიურად, 30 ლარს ვიღებდი. გადასახადებზე შეღავათი მქონდა. ეს ყველაფერი ჩემთვის ბევრს ნიშნავდა... 3 ოქტომბერს სოციალური აგენტი (ისევ ის ქალი, ვინც ადრე იყო — ელენე კოპაძე) ისევ მოვიდა. 2 წლის განმავლობაში ჩემი სოციალური მდგომარეობა საერთოდ არ შეცვლილა. ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობ, ძველი მაცივარი და გაფუჭებული ტელევიზორი მაქვს, რომელზეც ხელოსანმა მითხრა, — გადააგდე, აღარ გაკეთდებაო. ავადმყოფი ქალი ვარ, პანკრეატიტი მაწუხებს და ფეხზე ხრტილოვანი ქსოვილის ანთება მაქვს. ორი ოპერაცია გადავიტანე. ექიმმა 300 ლარის წამლები დამინიშნა, მაგრამ 20 ლარისაც ვერ მიყიდია... ვენდე სოციალურ აგენტს, მას კი დეკლარაციაში მცდარი ინფორმაცია შეუტანია: ჩაუწერია, რომ ოროთახიანი ბინა მაქვს, ახალი მაცივარი, 300 ლარის წამლები და ფერადი ტელევიზორი. როგორც ჩანს, აგენტისთვის ჩემი ერთოთახიანი ბინის საპრივატიზაციო ხელშეკრულება და საკუთარი თვალით ნანახი, სიმართლის დასაწერად საკმარისი საფუძველი არ აღმოჩნდა. 3 ოქტომბერს აღმოვაჩინე, რომ დახმარება შემიწყვიტეს. სოციალური აგენტის „წყალობით“, 75580 ქულა დავაგროვე. სოციალური სუბსიდიების სააგენტოში გასაჩივრების შემდეგ მითხრეს, რომ ზედმეტი ქულის დაგროვების გამო, დახმარებას აღარ გამი-

გრძელებენ. ჩემს უბანში ხალხი ცხოვრობს (მათ სახელებსა და გვარებს არ გავამჟღავნებ) — შემოსავალი აქვთ, მაგრამ ამ პროგრამაში მაინც არიან ჩართული. ჩემ შესახებ კი სიცრუე დაწერეს და დახმარება მომიხსნეს.

**დარო კანდელაკი,** *48 წლის:*

— პატარა ლიახვის ხეობიდან ვარ. ოჯახში 5 წევრი ვართ, მაგრამ ბინაში სამნი ვიყავით ჩაწერილი. უკვე მეხუთე თვეა, რაც შვილიშვილი შემეძინა. 2005 წლიდან, ბავშვის დაბადებამდე ყოველთვიურად, 54 ლარს ვიღებდით. ახალშობილთან ერთად, ჩემი რძალი და მეორე შვილიშვილიც ჩაწერეს ბინაში და დახმარებაც შეგვიწყვიტეს. ბავშვი რომ დაიბადა, სახელმწიფოსგან 1.000 ლარი დახმარება მივიღეთ, მაგრამ რაც შევიძინეთ, ისიც ოსებს დარჩათ, აგვისტოს ომის დროს. თან არაფერი წამოგვიღია. თბილისში ისნის ჰოსპიტალში ვცხოვრობთ. ბავშვს დღეში 4 ლარის მარტო მაწონი უნდა. ჩვენთან საჭმელი თვეში ერთხელ შემოაქვთ. დეკლარაცია თავიდან შეგვავსებინეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ფულად დახმარებას დევნილის სტატუსითაც არ ვიღებთ.

**ჟუჟუნა კლიმიაშვილი:**

— მარტოხელა ვარ, პენსიონერი. როგორც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, 30 ლარს ვიღებდი. პენსიითა და ამ დახმარებით ყველა გადასახადს ვიხდიდი. შეღავათები მქონდა ბუნებრივი აირისა და ტელეფონის გადასახადებზე, მაგრამ ამ თვეში ეს ყველაფერი მომიხსნეს. სადაზღვევო პოლისიც მომცეს, მაგრამ ვერ გამოვიყენე: მკერდზე სიმსივნე მაქვს, ოპერაციისთვის 1.500 ლარი მომთხოვეს, ონკოლოგიურ საავადმყოფოში კი პოლისის გამოყენება ვერ შევძელი. ბოლოს, როცა სოციალური აგენტი მოვიდა, არ ვიცი, დეკლარაციაში რა ჩამიწერა: სათვალე არ მაქვს, ვერ ვიყიდე და ამიტომ, შევსებული დეკლარაცია ვერ წავიკითხე. რატომ შემიწყვიტეს დახმარება? ვის მივმართო, ისიც არ ვიცი.

**უშანგი კირაკოზაშვილი:**

— უსინათლო, მარტოხელა, ინვალიდი კაცი ვარ. 2000 წლიდან „საოჯახო დახმარებას" ვიღებ, ყოველთვიურად — 22 ლარს. 2006 წელს ბინა გამიყიდეს და მას შემდეგ, ხან ძმისშვილთან ვცხოვრობ, ხან — დისშვილთან. 26 სექტემბერს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ვიყავი მისული, სადაზღვევო პოლისის მიღება მინდოდა. მითხრეს, მინისტრს მიღება ერთ საათში ექნებაო. მისაღებში დალოდება გადავწყვიტე, მაგრამ სამინისტროს თანამშრომელმა გარეთ გამომიყვანა. შაქრიანი დიაბეტი მაქვს, შაქარმა ამიწია და იქვე წავიქეცი, ჭრილობა ახლაც მეტყობა. ვის მივმართო, რა განცხადება უნდა დავწერო? არაფერი ვიცი.

**გელა ძივიაშვილი,** *სოციალური პროგრამების მართვის დეპარტამეტის უფროსი:*

— 2005 წლიდან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა მონაცემების ერთიანი ბაზის შექმნა, 2006 წლის აგვისტოდან კი — თბილისში ფულადი დახმარების დარიგება დაიწყო. დღევანდელი მდგომარეობით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სულ 1620000 ადამიანია რეგისტრირებული, აქედან საარსებო შემწეობას 372000, ხოლო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სამედიცინო დახმარებას 750000 ადამიანი იღებს. პროგრამაში რეგისტრაცია ოჯახის თანხმობის შემთხვევაში ხდება. ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ განცხადებას ავსებს, შემდეგ კი ეს განცხადება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ხვდება. ამ ბაზის მიხედვით დგება სია, რომლის საფუძველზეც, სოციალური აგენტები იწყებენ ოჯახების მდგომარეობის ადგილზე გადამოწმებას. ამ შემოწმების დროს ივსება მთავრობის დადგენილებით მიღებული, სპეციალური დეკლარაცია, სადაც შედის დეტალური ინფორმაცია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. მიღებული ინფორმაციის სიზუსტეს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი თავისი ხელმოწერით ადასტურებს. ამ დეკლარაციის მიხედვით ოჯახს გარკვეული ქულა ენიჭება: 57000 და ნაკლები ქულის დაგროვების შემთხვევაში, ოჯახს წევრთა რაოდენობის მიხედვით, ფულადი დახმარება ენიშნება, 70000 და ნაკლები ქულის დაგროვების შემთხვევაში კი ოჯახი სამედიცინო დაზღვევის ვაუჩერს იღებს. პროგრამის მიზანს, გაუსაძლის პირობებში მყოფი ადამიანებისთვის მცირე დახმარების გაწევა წარმოადგენს. ადრე ეს ადამიანები სახელმწიფოსაგან საერთოდ არ იღებდნენ დახმარებას, ახლა კი უკვე 2 წელია, ამ პროგრამის ბენეფიციარები არიან.



ამ მასშტაბის პროექტის განხორციელებისას, ვინმე ყოველთვის იქნება უკმაყოფილო

**— და მაინც, ძალიან ბევრი ადამიანია უკმაყოფილო: ზოგს, მისთვის გაურკვეველი მიზეზის გამო, პროგრამით გათვალისწინებული დახმარება შეუწყვიტეს და ეს ადამიანები, მცდარი ინფორმაციის გავრცელებაში სოციალურ აგენტებს ადანაშაულებენ. რით ახსნით ამ ყველაფერს? რა კეთდება ამ პრობლემების მოსაგვარებლად?**

— დეკლარაციის ნახვის გარეშე, კონკრეტული ფაქტის შესახებ მსჯელობა გამიჭირდება. ამ მასშტაბის პროექტის განხორციელებისას, ვინმე ყოველთვის იქნება უკმაყოფილო. ჩვენი აგენტები, რომლებიც მოქალაქეებთან ოჯახებში მიდიან და მათ მდგომარეობას იკვლევენ, მხოლოდ ამ მოქალაქეების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობიან, რომლის სიზუსტესაც ისინი თავიანთი ხელმოწერით ადასტურებენ. ჩანაწერის გაცნობის შემდეგ, აუცილებლად ხდება ამ ინფორმაციის გადამოწმება, რის საფუძველზეც ჯამდება ქულები. თითოეული ოჯახის შეფასებაზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს: ქონებრივი მდგომარეობა, ადგილმდებარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, განათლება, სოციალური სტატუსი, შემოსავლებისა და ხარჯების რაოდენობა, დასაქმების პერსპექტივა და ა.შ. მთავრობის დადგენილების საფუძველზე, მიმდინარეობს იმ შეცდომებისა და ცდომილებების გადახედვა, რომლებიც დაშვებული იყო აქამდე. ვმუშაობთ მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და შესწავლის მეთოდოლოგიის, ასევე პროგრამაში მოხვედრის კრიტერიუმების დახვეწაზე. ხშირად არის შემთხვევა, როდესაც ოჯახი თავის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას მალავს. სოციალური აგენტების არაკეთილსინდისიერების შემთხვევისგანაც არავინაა დაცული. სოციალური აგენტების კონტროლი ჩვენი სამუშაოს შემადგენელი ნაწილია. რამდენიმე ადამიანის სამსახურიდან დათხოვნაც მოგვიხდა, რამდენიმემ საყვედური მიიღო. ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია. ჩვენთვის საჩივრით მომართვა ყველა დაზარალებულს შეუძლია. მინდა გითხრათ, რომ მასშტაბურობიდან გამომდინარე, შესაძლოა, ბევრი ხარვეზი გვაქვს, მაგრამ პროექტი, საბოლოო ჯამში, წარმატებულია.

*ვიმედოვნებთ, ამას მალე ბევრი, მართლაც, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახიც დაინახავს. ჩვენს ქვეყანას კი ვუსურვებთ, რომ უახლოეს მომავალში ღარიბ ადამიანთა რიცხვი იმდენად შემცირდეს, რომ ამგვარი პროექტების განხორციელება საერთოდ აღარ იყოს საჭირო.*

მადლისთვის ნაბოძები ღვთის საჩუქარი

# ნანატრი შვილი ნაშვილების შემდეგ

## ანუ ჩააქრეთ ჭრაქი, შუქზე გამოდიან ეს შობელძაღლებიო

ზოგჯერ ცხოვრებაში ისეთი რამ ხდება, რასაც მხოლოდ სასწაულს თუ შეადარებ. ცოტა ხნის წინ, ახლობელმა დამირეკა და თავისი სიხარული გამიზიარა. ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ, ქალმა შეიტყო, რომ ბავშვს ელოდება. არადა, ბიოლოგიური შვილის ყოლის იმედი წყვილს უკვე აღარ ჰქონდა, ამიტომაც ორი წლის წინ პატარა გოგონა იშვილა. ახლა ნუცა მშობლებთან ერთად ელოდება, როდის მოევლინება ქვეყანას მისი ძამიკო. უშვილობით გატანჯული ცოლ-ქმარი კი მიიჩნევს, რომ ეს ღვთის საჩუქარი, მშობლებისგან უარყოფილი ნუცას შვილად აყვანისთვის ერგოთ.



ემა ტუხიაშვილი

**ელენე ნაკაიძე,** *36 წლის:*

— მრავალშვილიან ოჯახში გავიზარდე, ამიტომ რას წარმოვიდგენდი, რომ თავად უშვილობის პრობლემა მექნებოდა. 20 წლის ვიყავი, ოჯახი რომ შევქმენი. ამ ასაკში უკვე გაცნობიერებული გაქვს, რას ნიშნავს დედობა, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა გეკისრება შვილის წინაშე, ამიტომ მე და ჩემს მეუღლეს ერთი სული გვქონდა, როდის შევიტყობდით ჩემი ორსულობის ამბავს. ეს მოლოდინი თითქმის 15 წელი გაგრძელდა. პირველი ორი წლის განმავლობაში, თავს ვინუგეშებდით, რომ ასეთი რამ ხშირად ხდება, ვიღაცას ქორწინების წლისთავზე უჩნდება შვილი, ვიღაცას კი უფრო გვიან. გულის სიღრმეში ძალიან ვნერვიულობდი ჩემი მდგომარეობის გამო, მაგრამ ვცდილობდი, ჩემი მეუღლისა და ოჯახის წევრებისთვის ეს შესამჩნევი არ ყოფილიყო. სხვის შვილებს ვერც კი ვეფერებოდი, მინდოდა, ჩემთვისაც დაეძახა ვინმეს: „დედა!" როდესაც ამ სიტყვით სხვას მიმართავდნენ, ვნერვიულობდი, აგრესიული ვხდებოდი. ორი წლის უშედეგო ლოდინის შემდეგ, ჩემმა დედამთილმა დელიკატურად შემომთავაზა, ექიმთან წავსულიყავი. ასეც მოვიქეცი. მახსოვს, ექიმის კაბინეტის წინ ვიდექი და ერთიანად ვცახცახებდი. მეგონა, ისეთ დიაგნოზს დამისვამდა, რაც ჩემთვის სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. დარწმუნებული ვიყავი, მეტყოდა, რომ შვილის გაჩენას ვერასდროს შევძლებდი და ამით სასიკვდილო განაჩენს გამომიტანდა. ჩემდა გასაკვირად, ექიმმა მხოლოდ რამდენიმე წამალი დამინიშნა და პერიოდულად პროცედურებზე დამიბარა. მკურნალობის კურსი ხანგრძლივი აღმოჩნდა, მაგრამ ნანატრი ორსულობა მაინც არ დადგა. შემდეგ ახლობლების რჩევით სხვა ექიმს გავესინჯე. მისი დიაგნოზი პირველი მკურნალისგან განსხვავებული აღმოჩნდა. მითხრა, რომ საშვილოსნოს მილების პრობლემა მქონდა და საფუძვლიანი მკურნალობა იყო საჭირო. ექიმის ყველა დანიშნულებას ვასრულებდი, აუტანელ ტკივილებს ვუძლებდი, მაგრამ შედეგი არც ამან გამოიღო. აღარაფერს ვამბობ იმ მატერიალურ ხარჯებზე, რომელიც ექიმთან ყოველ ვიზიტს ახლდა თან. ამასობაში კიდევ რამდენიმე წელი გავიდა. ახლა ახლობლებმა სხვა ექიმი მომიძებნეს. იმასაც გავესინჯე. მანაც, მისი წინა ორი კოლეგისგან განსხვავებული დიაგნოზი დამისვა და სულ სხვაგვარი მკურნალობის კურსი დამინიშნა. მოკლედ, ვერც კი მოვთვლი, რამდენ ექიმთან, ექიმბაშთან ვმკურნალობდი ამ 15 წლის განმავლობაში. ჩემი ნათესავების რჩევით, სოფელ ჯანდარაშიც კი ჩავედი ექიმბაშთან, რომელიც უშვილო ქალებს ვითომდა მცენარეებით კურნავდა. მისი „მკურნალობის" შედეგად ცრუორსულობა მქონდა. ექვსი თვის განმავლობაში მუცელიც მეზრდებოდა და ორსულობის ყველა სიმპტომიც მქონდა. ექვსი თვისთავზე კი ძლიერი პირღებინება დამეწყო და ჯანდარელი ექიმბაშის მკურნალობის მეთოდმა კინაღამ სიცოცხლეს გამომასალმა. ამასობაში წლები გადიოდა, მე და ჩემს მეუღლეს ასაკი გვემატებოდა. ამ ხანგრძლივმა და უშედეგო მკურნალობამაც დამტანჯა.

**— ამ ხნის განმავლობაში შენმა მეუღლემ თუ ჩაიტარა სამედიცინო გამოკვლევა, იქნებ პრობლემა სწორედ მას ჰქონდა?**

— უშვილობის თემაზე ლაპარაკს მამაკაცები გაცილებით მტკივნეულად აღიქვამენ, ვიდრე ქალები. დიდი დრო დამჭირდა იმისათვის, რომ ჩემი მეუღლე დამერწმუნებინა, წასულიყო და ექიმს გასინჯვოდა. ანალიზის პასუხების მიხედვით, ის აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო, ე.ი. უშვილობის მიზეზი მხოლოდ ჩემში უნდა მოგვეძებნა. ამის გამო ოჯახის დანგრევაც დავაპირე; ვამბობდი: ჩემ გამო ჩემი ქმარი რატომ უნდა გაიტანჯოს მეთქი?! ახალგაზრდა კაცი კიდევ შეძლებდა ოჯახის შექნას და შვილებიც ეყოლებოდა. რამდენჯერმე დედასთანაც წავედი საცხოვრებლად, მაგრამ ჩვენმა სიყვარულმა ყველა სირთულეს სძლია და დღემდე ერთად ვართ.

**— როდესაც საკუთარი შვილის ყოლის იმედი საბოლოოდ დაკარგეთ, პატარა ნუციკო იშვილეთ, არა?**

— შვილის მოლოდინში 13 წელი გავიდა. მივხვდით, რომ ექიმებსა და ექიმბაშებში სიარულში დრო ფუჭად გავლიეთ და ბავშვის შვილად აყვანაზე დავიწყეთ ფიქრი. თავდაპირველად, ჩემი მეუღლე უარზე იყო, ბავშვი უცხო ადამიანებისგან გვეშვილებინა და დას შეპბედა, — შენს ქალიშვილზე მე ვიზრუნებო. ჩემი მული „გიჟი" დედაა და შვილი ასე იოლად არ დათმო, მაგრამ პირობა მისცა ძმას, რომ


უცხო ენები
ნებისმიერი მიზნებისთვის
კომფორტული გარემო
ყველა მსმენელისთვის
Listening, Speaking, Writing
მის: ალ. ჭავჭავაძის 5
ტ: 890-177-877; 899-10-52-10

# მადლისთვის ნაბოძები ღვთის საჩუქარი

აუცილებლად მოუძებნიდა ჩვილს, რომელიც ჯანმრთელი მშობლების შვილი იქნებოდა. რამდენიმე ხანში ჩემმა მულმა სახლში ორსული გოგონა მოგვიყვანა, რომელიც მუცლადმყოფი ბავშვის გაშვილებას აპირებდა, რა თქმა უნდა — გარკვეული თანხის სანაცვლოდ. ამბობდა, რომ მისი მეუღლე ციხეში იხდიდა სასჯელს და მარტო პატარის რჩენას ვერ შეძლებდა. მშობიარობამდე რამდენიმე თვე იყო დარჩენილი, ამიტომ ამ გოგონას მოვლა-პატრონობა ვიკისრეთ და რომ იტყვიან, ცივ ნიავს არ ვაკარებდით. ნუციკოს დაბადებას მე და ჩემი მეუღლე თვალცრემლიანი ველოდით სამშობიაროს ეზოში და როდესაც ჩვილი სალ-სალამათი დაიბადა, ერთმანეთს ვულოცავდით. ნუციკო და მისი ბიოლოგიური დედა ერთმანეთს სამშობიაროშივე დაშორდნენ და მას შემდეგ შვილი არ უნახავს. ცოდვა გამხელილი სჯობსო, ნათქვამია, და ახლა უნდა გამოვტყდე, რომ მაშინ ვიცრუეთ, თითქოს ნუცა ჩემს მეუღლეს სხვა ქალისგან შეეძინა. ჩვენი მოკლე ჭკუით გვეგონა, ამით ხალხს სალაპარაკოდ გაცილებით ნაკლები საბაბი ექნებოდა. თავდაპირველად, ნუცას ვერც მე ვეფერებოდი და ვერც ჩემი ქმარი. ჩვენსა და ბავშვს შორის თითქოს რაღაც უხილავი ბარიერი არსებობდა და ჩვილზე მთლიანად ჩემი დედამთილი ზრუნავდა. ნუცას ღამეც კი ბებიასთან ეძინა. შემდეგ ნელ-ნელა ჩვენში მშობლის ინსტინქტმა გაიღვიძა. ვბრაზობდი, როდესაც მტირალი ნუცა ჩემი დედამთილის კალთისკენ იწევდა, მისი ხელიდან უკეთ ჭამდა. ყველა ღონეს ვხმარობდი, ბავშვის სიყვარული რომ მომეპოვებინა. ამასობაში კი ისე შემაყვარა თავი, რომ ვერც კი წარმომედგინა, ჩემი გაჩენილი თუ არ იყო. მეგონა, სწორედ ეს იყო ის ბედნიერება, რომელიც ოჯახში ბავშვს შემოაქვს. ნუციკომ ის საშინელი წლებიც კი დამავიწყა, როდესაც ყოველი დღე ორსულობის მოლოდინში თენდებოდა. ახლა მხოლოდ ნუცაზე ვფიქრობდი და მისით ვხარობდი და ფიქრადაც ვერ გავივლებდი, რომ ყველაზე დიდი ბედნიერება წინ მქონდა. საოცარია, მაგრამ რამდენიმე თვის წინ აღმოვაჩინე, რომ ფეხმძიმედ ვარ. საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი და ექიმს ვთხოვე, ექოსკოპიის აპარატით ნაყოფი გულმოდგინედ დაეთვალიერებინა. როდესაც ჩემი ამბავი მოვუყევი, მითხრა: ეს შემთხვევა მედიცინის ფარგლებს სცილდება და ღვთისგან ბოძებული საჩუქარია იმ მადლისთვის, რაც დედისგან უარყოფილი ნუცასთვის გაიღეთო. ახლა, ყველა ერთად, ვაჟის დაბადებას ველოდებით. უნდა გამოგიტყდე, რომ ცოტა ვნერვიულობ. ვშიშობ, ჩემი ბიოლოგიური შვილი ნუცაზე მეტად არ შემიყვარდეს, მაგრამ ნუცა მაინც ჩემი პირველი შვილი იქნება, რომელმაც მომანიჭა ბედნიერება — დედად მეგრძნო თავი.

**ძალგამოლი ლამარა,** *71 წლის:*

— მე და ჩემი მეუღლე თანაკურსელები ვიყავით. ინსტიტუტში მასზე წარმოსადეგი და ჭკვიანი სტუდენტი არ იყო, ამიტომ ყველა გოგო მასზე იყო შეყვარებული. სხვათა შორის, ჩემს მეუღლეს სწავლა-განათლება დაუფასდა და მრავალი წლის განმავლობაში სხვადასხვა მაღალ თანმდებობაზე მუშაობდა. როდესაც ვიქორწინეთ, უკვე სოლიდური შემოსავალი ჰქონდა, საკუთარი სახლკარი გვქონდა, მოკლედ, ყველაფრით უზრუნველყოფილი ვიყავით, რაც ოჯახს სჭირდება. გახარებული დედაჩემი რომ გვესტუმრებოდა, კმაყოფილებით აღნიშნავდა: სავსე ოჯახი დაგხვდაო, მაგრამ ის აწუხებდა, რომ შვილი არ გვყავდა. ჩემმა ქმარმა თბილისის ცნობილი ექიმები მომატარა, მერე კი სამკურნალოდ მოსკოვში წამიყვანა. ყოფილ საბჭოთა სივრცეში ნოდარი ცნობილი და პატივსაცემი კაცი იყო, ამიტომ მოსკოვის წამყვან კლინიკებში პროფესორები თავს მევლებოდნენ, მაგრამ უშვილობის მიზეზს ვერაფრით მიაკვლიეს. შვილის მოლოდინში 17 წელი გავლიეთ. ნოდარი თანამდებობის პირი იყო, ყველა იცნობდა, ბევრი მტერი და მოყვარე ჰყავდა. ჩვენი გულშემატკივრები რჩევებით თავს გვაბეზრებდნენ, სხვადასხვა ექიმისა და ექიმბაშის კოორდინატებს გვთავაზობდნენ. მტრები კი ზურგს უკან ლაპარაკობდნენ, რომ ნოდარს თითქოს მისი ცოდვების გამო ეზღვებოდა. საშინელი დრო იყო. ვინ მოთვლის, რამდენჯერ მიპოვია ჩვენი სახლის ზღურბლთან ანონიმური ბარათი, სადაც უნაყოფო ხეს მიწოდებდნენ და ჩემი ქმრის სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ მატყობინებდნენ; მწერდნენ, თითქოს ჩემს ქმარს სხვა ქალთან ვაჟი შეეძინა და მირჩევდნენ, გზიდან ჩამოვცილებოდი. ამის გამო ისტერიკა და ეჭვიანობის სცენა არასდროს მომიწყვია. პირიქით, სულ ვთავაზობდი ნოდარს, ვინმეს მართლაც გაეჩინა მისგან შვილი და შემდეგ ამ ბავშვზე ჩვენ გვეზრუნა. ამხელა კაცი, რომელიც მთელ რესპუბლიკას შიშის ზარს სცემდა, ცხარე ცრემლებით ქვითინებდა ჩემს კალთაში და მეც მთელი გულით მჯეროდა, რომ ანონიმური ბარათების შინაარსი ბინძური ცილისწამება იყო; ან როგორ შეიძლებოდა ეჭვი შემპარვოდა ნოდარის სიყვარულში, როდესაც კაცი, რომელიც კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო, ჩუმად დადიოდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებში და ღმერთს ევედრებოდა, რომ ჩვენთვის შვილი ეჩუქებინა?! სახლში მალულად მოაწყო სალოცავი კუთხე და ყოველდღე, ანთებულ სანთელთან ღმერთს შვილის ყოლას ევედრებდა. როდესაც უკანასკნელი იმედიც გაქრა, მე და ნოდარმა ბავშვის აყვანა გადავწყვიტეთ. არსებობდა რამდენიმე მიზეზი, რის გამოც ბავშვს საქართველოში ვერ ვიშვილებდით. კეთილმოსურნეები გვარწმუნებდნენ, რომ ადრე თუ გვიან, ეს ამბავი საქვეყნოდ გამჟღავნდებოდა და ბევრი ნაძირალა შეეცდებოდა ცნობილი და შეძლებული ოჯახის შანტაჟს. ამიტომ ბავშვი მაშინდელი ლენინგრადის ბავშვთა სახლიდან ვიშვილეთ. ჩვენს ოჯახს ახლაც მთელი თბილისი იცნობს, ამიტომ უფრო დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. გოგონას ქართული სახელი შევურჩიეთ, ჩუმად მოვნათლეთ კიდეც და მისი აღზრდისთვის არაფერს ვიშურებდით. ბავშვმა ჩვენს ოჯახში ისეთი სიხარული შემოიტანა, რომ ყველაფერი დაგვავიწყა. ნოდარი თანატოლივით თამაშობდა მასთან ერთად, ხალიჩაზე გორავდა, ბავშვივით დახოხავდა. მეც ძალიან ბედნიერი ვიყავი, მაგრამ მოსვენებას არ მაძლევდა ერთი ამბავი, რომელიც ლენინგრადში ყოფნისას შეგვემთხვა: მე და ჩემმა მეუღლემ, ლენინგრადში, ბავშვთა სახლში მთელი დღე დავყავით. გადაწყვეტილი გვქონდა, 1 წლამდე ასაკის გოგონა გვეშვილებინა. ხომ იცით, ბავშვი როგორც არ უნდა აღზარდო, გენეტიკურ კოდს მაინც დიდი გავლენა აქვს. ამიტომ ვფიქრობდით, რომ ცუდ შემთხვევაში, გოგონაზე უფრო შევძლებდით, მოგვეხდინა გავლენა, ვიდრე — ვაჟზე. ბავშვთა სახლის დირექცია კარგად იყო ინფორმირებული ნოდარის ვინაობის შესახებ, ამიტომ ვიდრე ბავშვის სასურველ ვარიანტს შემოგვთავაზებდნენ, მთელი ბავშვთა სახლი დაგვათვალიერებინეს. ერთ-ერთ ჯგუფში, სადაც 2-4 წლის პატარები იმყოფებოდნენ, პატარა უზბეკი ბიჭი გამოეყო თანატოლებს და „мама, мама"-ს ძახილით მუხლებზე შემომეხვია. აღმზრდელმა ისე უხეშად მომაცილა ბავშვი, რომ ბრაზი მომერია. მოკლედ, ამ ბავშვის სახე და მისი ხმა არ მშორდებოდა მეხსიერებიდან და ერთხელ ამის შესახებ ნოდარსაც გავუმხილე. მაშინ არაფერი უთქვამს, ამას ველოდი კიდეც, მაგრამ ყველაზე მოულოდნელი ის იყო, რომ ცოტა ხნის შემდეგ, ნოდარი მივლინებიდან ლენინგრადის ბავშვთა სახლის აღსაზრდელთან, პატარა უზბეკ ბიჭუნასთან ერთად დაბრუნდა. მასაც ქართული სახელი შევურჩიეთ და ისიც მართლმადიდებლად მოვნათლეთ. თითქოს სხვა არაფერი გვინდოდა ბედნიერებისთვის. ბავშვებზე ზრუნვა უდიდეს სიამოვნებას და სიხარულს გვანიჭებდა. ერთ მშვენიერ დღეს, თავი შეუძლოდ ვიგრძენი, „სასწრაფო დახმარების" ბრიგადამ საავადმყოფოში გადამიყვანა, იქ კი ექიმებმა წარმოუდგენელი დიაგნოზი დამისვეს: აღმოჩნდა, რომ 43 წლის ასაკში ბავშვს ველოდებოდი. ექიმებმა ეს ჩემს ორგანიზმში დედობრივი ინსტინქტის გაღვიძებით ახსნეს, რომლებიც ჩემში ნაშვილებმა პატარებმა გააღვიძეს. ახლა სამი შვილის დედა და ოთხი შვილიშვილის ბებია ვარ. უფროსი და-ძმა, თავს ევლება უმცროს დას და არც ერთი სიტყვასაც არ ძრავს მათ შორის ნათესაური კავშირის არარსებობაზე.



**ნინო ნატროშვილი:**

— ქსნის ხეობიდან, სოფელ გრემისხევიდან გახლავართ. ჩემი მშობლები ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ გრემისხეველი შაქროსა და ოლიას ამბავს, იქაურები დღესაც ღიმილით იხსენებენ. მე კიდევ ორი ტყუპისცალი და მყავს — ანუ დედას სამი ტყუპი გოგო შეეძინა და გვყავს კიდევ 14 წლით უფროსი და. დედას და მამას შვილი დიდი ხნის განმავლობაში არ ჰყოლიათ. მშრომელი ცოლ-ქმარი ამ ამბავს ძალიან განიცდიდა თურმე და თუ ვინმემ სოფელში რაიმე მამაპაპისეული ხერხი იცოდა უშვილობის განსაკურნებლად, შაქრო და ოლია არაფერს ერიდებოდნენ. დედას თურმე ხან ახალშობილს ჩაუგორებდნენ კალთაში, ხანაც ქათმის ახალდადებულ კვერცხებს შეუწყობდნენ ქვეშაგების ქვეშ, მაგრამ ვერაფერმა გაჭრა. მაშინ კი არა, გრემისხევში კაცი რომ კვდებოდეს, ექიმს ახლაც ვერსად იპოვი, ამიტომ არც დედამ და არც მამამ არ იცოდნენ, რა მიზეზით არ უჩნდებოდათ შვილი. ბოლოს იფიქრეს: სიბერეში პატრონი ხომ მაინც გვინდაო და ბიძაჩემს მიადგნენ ხვეწნა-მუდარით, რომ უმცროსი ქალიშვილი მიეშვილებინა მათთვის. ბიძაჩემს ხუთი შვილი ჰყავდა. მართალია, არც ერთი არ ეთმობოდა თურმე, მაგრამ ძმას უარი ვერ უთხრა: მაინც ჩემი სისხლი და ხორცი ხარ და ვიცი, ჩემს შვილს არაფერს მოაკლებო. ასაკში მყოფი ცოლ-ქმარი, ჩიტის რძესაც არ აკლებდა თურმე ნაშვილებ გოგონას. სკოლაში ცხელი ხაჭაპურებითა და ტკბილი ქადებით აკითხავდნენ: მოშივებული იქნებიო. ცისანას მოვლა-პატრონობაში სულ დაავიწყდათ თურმე, რომ საკუთარი შვილი არ ჰყავდათ და ამ ამბავს აღარც განიცდიდნენ. ერთ დღეს კი დედამ თავი შეუძლოდ იგრძნო თურმე, მაგრამ ორმოცს გადაცილებულმა ქალმა ყველაფერი კლიმაქსს გადააბრალა. შემდეგ ყველა ამჩნევდა, როგორ ეზრდებოდა ოლიას მუცელი და ამბობდნენ: საცოდავს ფიბრომა ექნებაო. ვინაიდან ქალს ტკივილები არ აწუხებდა, ბარში ექიმთან ჩასვლასაც არ ჩქარობდა: ხან რა საქმეს იმიზეზებდა და ხან რას. როდესაც მუცელში რაღაც გაინძრა, ქალმა ფიქრად გაივლო, რომ შეიძლებოდა, ორსულად ყოფილიყო, მაგრამ ეჭვი მხოლოდ ქმარს გაანდო. ზამთრის ერთ სუსხიან ღამეს კი დედას ტკივილები დაეწყო. შეშინებულმა მამაჩემმა ყოველი შემთხვევისთვის სოფლის ბებიაქალს უხმო. ოთახში, სადაც დედა იწვა, ჭრაქი აუნთიათ და ოჯახურ პირობებში მშობიარობისთვის მომზადებულან. მამას თურმე ერთი წამით არ დაუტოვებია დედა და შეშინებული ელოდა, რა მოხდებოდა. დედას მშობიარობა დაეწყო და ჯერ ჩემი ტყუპისცალი და — ნანა, რამდენიმე წუთში კი მე დავბადებულვარ; ბოლოს კი მესამე ტყუპისცალის, ნონას თავიც გამოჩენილა. გახარებულ და გაოგნებულ მამას მთელი ხმით უყვირია: ჩააქრეთ ჭრაქი, შუქზე გამოდიან ეს შობელძაღლებიო. ■

# „13-14 წლის ვიყავი, როცა მივხვდი, რომ ნაშვილები ვიყავი"

**მარტვილის რაიონში მცხოვრები თეა თოფურია დაგვიკავშირდა: იქნებ, თქვენმა ჟურნალმა იმ გზაზე დამაყენოს, რომელიც ბიოლოგიურ დედასთან მიმიყვანსო, — გვითხრა და დაკარგული დედის მოძებნაში დახმარება გვთხოვა.**

*თამუნა კვინიკაძე*





— 1983 წლის იანვრის მეორე ნახევარში, ხონის რაიონის სამშობიარო სახლში დავიბადე. იმ დღეებშივე იმშობიარა ქალბატონმა, რომლის დახმარებითაც, ჩემმა აღმზრდელებმა მიშვილეს. მარტვილის რაიონში გავიზარდე.

**— როგორ გაიგე, რომ ნაშვილები იყავი?**

— ეჭვები საკმაოდ ადრეული ასაკიდან — 6 წლიდან გამიჩნდა. მაწვალებდა კითხვა — ჩემი მშობლები, თანატოლების მშობლებთან შედარებით, ასაკოვნები რატომ არიან-მეთქი? მათ არც გარეგნულად ვგავდი და არც ხასიათით. 13-14 წლის ვიყავი, როცა მივხვდი, რომ ნაშვილები ვიყავი.

**— ამ თემაზე მშობლებს არ დაელაპარაკე?**

— ბევრი რამ გადავიტანე. გამოგიტყდებით და თვითმკვლელობაც კი ვცადე იმის განცდამ, რომ მშობლებმა მიმატოვეს, რომ ფულზე ვიყავი გაყიდული, დეპრესიაში ჩამაგდო.

**— მართალია, ბიოლოგიურმა მშობლებმა კი მიგატოვეს, მაგრამ შენს ცხოვრებაში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც საკუთარი შვილივით შეგიყვარეს, გაგზარდეს, გიპატრონეს.**

— მართალს ამბობთ. პატიოსან ოჯახში გავიზარდე, მდიდრულად არ გვიცხოვრია, მაგრამ მშობლებს რაც შეეძლოთ, ყველაფერი მომცეს, მასწავლეს. უსაზღვროდ მადლიერი ვარ.

**— რა გითხრეს მათ, როდესაც შენი ეჭვები გაუზიარე?**

— სამწუხაროდ, მათ ჩემი ბიოლოგიური მშობლების შესახებ ბევრი არაფერი იციან. ჩვენი ოჯახის ახლობელმა ქალბატონმა (რომლის დახმარებითაც მიშვილეს) მითხრა, რომ მაშინ მანაც იმშობიარა და რომ დედაჩემს ნანა ერქვა. გვარს ვერ ვიხსენებ, გორის რომელიღაც სოფლიდან იყო, ერთ პალატაში ვიწექით. შენი მოშორება არ უნდოდა, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა მამამისმა აიძულაო, — მითხრა... თურმე დედა ფეხმძიმედ რომ დარჩენილა, მამამისს გორიდან წამოუყვანია, მთელი 9 თვის მანძილზე დამალული ჰყოლია, ხონის სამშობიაროში მიუყვანია. დედა მაშინ 20 წლის ყოფილა. ნათესავმა ქალმა მითხრა: შენსავით სევდიანი თვალები ჰქონდა, შვილის დათმობა ეძნელებოდა, სულ ტიროდაო.

**— იმ ქალბატონმა მამაშენის შესახებ არაფერი გითხრა?**

— იმ არაკაცზე საუბარს შეგნებულად ვარიდებ თავს.

**— არაკაცს რატომ უწოდებ?**

— მან დედა მოატყუა, სიყვარულს ეფიცებოდა, მაგრამ როცა მისი დაფეხმძიმების შესახებ შეიტყო, მიატოვა. ამბობენ, კახეთიდან იყოო. ცოლშვილიანი ყოფილა. როგორც ჩანს, დედას ის კაცი ძალიან ჰყვარებია, ნათესავმა მითხრა: მასზე ჟუგი ერთხელაც არ დასცდენიაო. მე იმ პიროვნებას მამად ვერ აღვიქვამ.

**— შენი გაშვილება სამშობიაროდან მოხდა?**

— მაშინ, როცა დედა სამშობიაროში იწვა, ბაბუას ხონში ერთი ძველი ნაცნობი შეხვედრია: ვიცი, თქვენს ოჯახში რაც მოხდა, პატიოსანი ხალხი ხართ, მინდა, თქვენი ქალიშვილის ხელი გთხოვოთ, ოღონდ ოჯახში ბავშვიან ქალს ვერ მივიყვან; პატარა გოგონა უნდა გავუშვილოთ, აღებული თანხით კი გორში ბინას ვიყიდით და იქ ვიცხოვრებთო. ის კაცი თაღლითი აღმოჩნდა: ფული, რომელიც ჩემში აღმზრდელებმა გადაუხადეს, აიღო და გაქრა. იმ დღის მერე აღარ გამოჩენილა, ამბობდნენ, რუსეთში გადაიხვეწაო. რატომ მოხდა ასე, ბაბუა საკუთარ შვილს ასე სასტიკად რატომ მოექცა?! მე ტრადიციების მიმდევარი ვარ, ზნეობა უპირველესია, მაგრამ არ შეიძლება, ამ ტრადიციების დაცვას ყველაფერი შევწიროთ. დაფიცებული მაქვს, ოჯახს მანამდე არ შევქმნი, სანამ დედას არ ვიპოვი და არ ვკითხავ, რატომ მოიქცა ასე? მაგრამ დედაზე მეტად, ეს კითხვა მინდა ბაბუას დავუსვა. დედა ახლა დაახლოებით, 45 წლამდე ასაკის იქნება. მისი გვარიც მითხრეს.

**— თეა, ეს ამბავი შენ გარდატეხის ასაკში გაიგე და ასე მტკივნეულად იქნებ, ამიტომაც განიცადე?**

— არ ვიცი... ისე, ახლა რომ გამეგო, ალბათ უფრო მტკივნეულად გადავიტანდი. ჩემს უსაყვარლეს მშობლებს, ნათესავებს, რომლებიც ამ ინტერვიუს წაიკითხავენ, მინდა ვუთხრა, რომ ყველანი ძალიან მიყვარან. მადლიერი ვარ ღმერთის, რომ სხვა ბავშვებივით, ქუჩაში არ გავზრდილვარ... ჩემი თავგადასავლის მოყოლა იმიტომ გადავწყვიტე, რომ გული ამდენ ტკივილს ველარ იტანს.

**— დედის მოძებნა აქამდე არ გიცდია?**

— სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ბათუმში გავაგრძელე. სტუდენტობის წლებში ვაქტიურობდი, არასამთავრობო ორგანიზაციებსაც მივმართე, მაგრამ... გმადლობთ, რომ ჩემი ტკივილი გულთან ახლოს მიიტანეთ. იქნებ, „გზამ" იმ გზაზე დამაყენოს, რომელიც ჩემს ბიოლოგიურ დედასთან მიმიყვანს. ომის დროს, როცა გორი და მისი სოფლები იბომბებოდა, როგორც ყველა ქართველი, მეც დაზაფრული ვიყავი, მაგრამ ეს ომი ჩემთვის ორმაგად მძიმე გადასატანი იყო: ყოველ დაჭრილ ქალში დედაჩემს ვხედავდი, სულ ჩუმად ვტიროდი... ■

# „შუა ქალაქის" მაყურებელს საახალწლოდ დიდი მხიარულება ელის



**ია სუხიტაშვილსა და გოგა ბარბაქაძეს მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდებათ. ისინი ბედნიერ, ახალგაზრდა მსახიობთა იმ რიგს მიეკუთვნებიან, რომელსაც ყველა ცნობს. თუმცა, მათ ეს ფაქტი დიდად არ ახარებს და ამბობენ: ჩვენ თეატრში უფრო საინტერესო გმირებს ვასახიერებთ, ვიდრე სერიალებშიო. გოგა და ია ბავშვობიდან მეგობრობენ, კარგი, ჰარმონიული ურთიერთობა აქვთ. არასოდეს უკამათიათ, მაგრამ როგორც იამ მითხრა: ჯერ ყველაფერი წინ გვაქვს და ამასაც მოვასწრებთო.**

## ადამიანი, რომელიც ია სუხიტაშვილს სცენაზე „აფუჭებს"

*მარეხ ჭონიშვილი*

**— როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

**გოგა:**

— მე და ია ბავშვობიდან ერთად მოვდივართ.

**ია:**

— სკოლა-სტუდია „ბერიკებში" დავდიოდი. გოგა იქ გავიცანი.

**გოგა:**

— გახსოვს, ია, მაშინ რამდენი წლის იყავი?

**ია:**

— „ბერიკებში" რომ მივედი, 12 წლის ვიყავი. ერთი წლის შემდეგ კი შენც შემოგვიერთდი. 1997 წელს, სტუდიიდან 2 კვირით, მონაკოში, გასტროლებზე ვიყავით. შესანიშნავი წლები იყო. იმ ლამაზი დღეების გახსენება ყოველთვის კარგ ხასიათზე მაყენებს.

**გოგა:**

— აბა, აბა, ბევრი მოსაგონარი გვაქვს, შევაბერდით ერთმანეთს (*იცინიან*).

**ია:**

— ყველაზე კარგად ერთი მომენტი მახსენდება: ევგენი შვარცის „ჩვეულებრივ სასწაულში" მე და გოგა ერთად ვთამაშობდით. მე ხელმწიფის ასული ვიყავი, გოგა — მონადირე. მას ამ სპექტაკლში ეცვა...

**გოგა:**

— (*აწყვეტინებს*) „ელასტიკები".

**ია:**

— „ელასტიკები" და ზემოდან ცხვრის, ფუმფულა ტყავი ჰქონდა მოხურული. ამ ფორმაში გოგა ძალიან სასაცილო იყო და მეც, მის დანახვაზე სიცილს ძლივს ვიკავებდი. საერთოდ, სცენაზე გოგას გაძლება რთულია. თვალებში თუ შეხედე, ეგრევე გაგაცინებს. ის ნიჭიერი ადამიანია.

**გოგა:**

— ია, ახლა შენებურად არ დაიწყო...

**ია:**

— ეს სინამდვილეა, შენ ნიჭიერი მსახიობი ხარ. მე არ გეპირფერები და ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი მეგობარი ხარ.

**— გოგა, ია როგორი პარტნიორია?**

— ძალიან მაინტერესებს, ჩემზე რას იტყვი?

**გოგა:**

— ახლა რასაც ვიტყვი, ეს შენთვისაც ბევრჯერ მითქვამს. დავიწყებ იმით, რომ ია ნიჭიერი მსახიობია. სხვანაირად, რუსთაველის თეატრში არ იქნებოდა. მისი პირველი როლი ოფელია იყო. შესანიშნავი იუმორის გრძნობა აქვს. შეიძლება, ცხოვრებაში იუმორის გრძნობა გქონდეს, მაგრამ დამერწმუნეთ, მისი სცენაზე გადატანა ძალიან რთულია. ია კი ამას შესანიშნავად აკეთებს. სამწუხაროა, რომ მასთან ერთად ხშირად არ მიწევს თამაში. ის მაგარი პარტნიორია!

**ია:**

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პარტნიორი გიგებდეს. სპექტაკლის მსვლელობისას, შესაძლოა, ნებისმიერ დროს დაგჭირდეს მისი დახმარება და ამ მომენტში, პარტნიორი არ უნდა დაიბნეს. ამ მხრივ გოგა შესანიშნავი პარტნიორია.

**გოგა:**

— კარგი რა, ია, აღარ გინდა...

**ია:**

— შენ, ჩვენი თაობის მსახიობთა შორის, ერთ-ერთი გამორჩეული და ნიჭიერი მსახიობი ხარ. ბოლოს და ბოლოს, ჩემი მეგობარი ბრძანდები და ძალიან მიყვარხარ. აი, ხომ მაინც ვთქვი და გაგაწითლე (*იცინის*).

**— ერთად რამდენ სპექტაკლში გითამაშიათ?**

— ერთად მხოლოდ 4 სპექტაკლში ვმონაწილეობთ. პირველად, ერთად „ბერიკებში" ვითამაშეთ. შემდეგ კი იყო: „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და პრეზიდენტი", „ქალა" და „ვანილის მოტკბო სურნელი". გოგა „ვანილის მოტკბო სურნელში" საშინელებებს მიკეთებს. ამ სპექტაკლში ის ძაღლის როლს თამაშობს, რომელსაც ზიკი ჰქვია. ხელში დიდი ფარანი უჭირავს და მანათებს. გოგა, ახლა გეკითხები, რატომ მიკეთებ ამას?

**გოგა:**

— აბა, სხვა რა გავაკეთო, დიდი ხანი ვწევარ და... (*იცინიან*).

**ია:**

— ამ ადამიანს ისე ტექნიკურად შეუძლია გაგაცინოს და სცენაზე „გაგაფუჭოს" — ისე, რომ ვერავინ მიხვდება, რა მოხდა.

**— მერე სამაგიეროს არ უხდი ხოლმე?**

— სპექტაკლ „ქალაში" ვცდილობ, დავაბნიო, მაგრამ რამდენად გამომდის, ვერ გეტყვით. ამ სპექტაკლში ჩემი გმირი მსუბუქი ყოფაქცევის ქალის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელიც ტრაგიკული პიროვნებაა. „ქალაში" არის ერთი სცენა, სადაც ჩემი გმირი ტანსაცმელს იხდის და „კუპალნიკში" რჩება. გოგა კი მთელი სპექტაკლის განმავლობაში ქვემოთ, ლიუკში ზის. მხოლოდ რამდენჯერმე გამოდის სცენაზე და ამას აპროტესტებს. ამბობს: ზემოთ არ ვიცი, რა ხდება და ვერც შენ გხედავ, როცა შიშვლდებიო.

**გოგა:**

— ფაქტობრივად, ეს სპექტაკლი ნანახი არ მაქვს. რეჟისორი რეპეტიციის დროსაც მთხოვდა, იმ ლიუკში ვმჯდარიყავი...

**— ერთმანეთის უარყოფით თვისებებზე რას იტყვით?**

— (*ფიქრობს*) ვერ ვიხსენებ. მე და იას ჰარმონიული ურთიერთობა გვაქვს.

**ია:**

— მაშინ მე ვიტყვი. გოგას უარყოფითი თვისება ისაა, რომ სახლში არ მეპატიჟება. არადა, მისი პატარის ნახვა ძალიან მინდა.

**გოგა:**

— ჰო, ვალი მაქვს შენი და გემალები (*იცინიან*). არ დაიჯეროთ, იტყუება. ვეუბნები, — მოდი-მეთქი, მაგრამ ვერ იცლის. თან, მე და მაიაც დაკავებულები ვართ. მოკლედ, ეს ამბავი ვერ ხერხდება და რა ჩემი ბრალია?

**ია:**

— მთავარია, მოვინდომოთ და გამოვა!

**გოგა:**

— ჰოდა, მოინდომე, მოიცალე და მობრძანდი, ბატონო. აი, ხომ ხედავ, გეპატიჟები (*გოგა მომიბრუნდა და მთხოვა: ეს ჩაწერე, შარი კიდევ რომ არ მომდოსო. — ავტ.*)

**— ერთმანეთს რჩევებს თუ აძლევთ?**

— ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს. თუ დამჭირდა, იას დახმარებას აუცილებლად ვთხოვ და მის რჩევას გავითვალისწინებ კიდეც.

**ია:**

— რჩევებს რეჟისორისგან ვიღებთ, მაგრამ არის მომენტი, როცა პარტნიორის დახმარებაც გჭირდება. გოგასთვის ხშირად მიკითხავს: ნახე, როლი როგორ გამომდის, ხომ არაფერი მივამატო ან მოვაკლო-მეთქი? სცენაზე დახმარება რომ არ დაგჭირდეს, ამისათვის საჭიროა, დიდი გამოცდილება გქონდეს. ჩვენ კი იმ ეტაპზე ვართ, რომ ამ გამოცდილებით ვერ დავიკვეხნით. გამოცდილება, თავდაჯერებულობა დიდი შრომის შედეგად მოდის და ჩვენ ეს შესანიშნავად ვიცით.

**— ერთმანეთს რამდენად ხშირად ნახულობთ?**

— ორივეს ოჯახი გვაქვს და შეხვედრებისთვის ვეღარ ვიცლით. ერთმანეთს მხოლოდ თეტრში, რეპეტიციებზე ვნახულობთ.

**— როგორ ერთობით, რა გიქმნით კარგ განწყობილებას?**

**ია:**

— ცხოვრება ძალიან გართულდა. არ გვაქვს ისეთი მატერიალური მდგომარეობა, რომ მეგობრები ხშირ-ხშირად შევიკრიბოთ, სადმე წავიდეთ და გავერთოთ. გარდა ამისა, შვილი მყავს და ვცდილობ, შინ ადრე მივიდე. გართობას უფრო, გასტროლების დროს ვახერხებთ — მივდივართ დისკოთეკაზე ან ერთ-ერთ ოთახში შევიკრიბებით, სადაც ვსვამთ და ვსაუბრობთ.

**გოგა:**

— იას ღვინო ძალიან უყვარს. ვხუმრობ, ის ალკოჰოლურ სასმელებს საერთოდ არ სვამს...

**ია:**

— იცით, 10 დეკემბერს ნიცაში თეატრალური ფესტივალი ტარდება და რუსთაველის თეატრიდან ჩვენც მივდივართ. „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და პრეზიდენტი" მიგვაქვს. მართალია, ეს გასტროლი დიდხანს არ გაგრძელდება, მაგრამ მაინც მიხარია. აქაურ პრობლემებს ცოტა ხნით მაინც დავივიწყებთ.

**— ია, სერიალ „შუა ქალაქს" თუ უყურებ?**

— ამ სერიალს მთელი ჩემი ოჯახი უყურებს და მეც, მათ შორის. გოგამ ამ სერიალში საკმაოდ დასამახსოვრებელი პერსონაჟი შექმნა. ასევე ძალიან მომწონს დები ღლონტები. კარგი, იუმორისტული სერიალია.

**გოგა:**

— მეც მომწონს ჩემი გმირი. კარგი ტიპია. გადაღებების პროცესში ბევრს ვხალისობ ხოლმე.

**— გოგა, ახალი წელი მოდის. საინტერესოა, დამდეგ წელს ირაკლის ოჯახი როგორ შეხვდება?**

— მსახიობებმა და რეჟისორებმა წინასწარ არ ვიცით, რა მოხდება. მაგრამ ალბათ, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ჩემს ოჯახშიც კი არა და, ირაკლის ოჯახშიც დიდი მხიარულება იქნება.

**— ქართველებს მეკვლეობის ტრადიცია გვაქვს. რამდენად მოგწონთ ეს ტრადიცია და ყოფილხართ თუ არა მეკვლე?**

**ია:**

— მეკვლე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ იმას, თუ ვინ შემოვა ჩემს ოჯახში პირველი. ადრე, ჩემი ძმის მეგობარი, 2008 წელს კი ჩემი შვილი გვყავდა მეკვლედ. თვეების იყო და კარში ფეხი ძლივს შემოვადგმევინე. ამ ახალ წელს კი ჩემი დახმარება აღარ დასჭირდება, თავად შემოვა.

**გოგა:**

— მიყვარს ქართული ტრადიციები, მათ შორის, მეკვლეობის ტრადიციაც. რამდენჯერმე ვყოფილვარ კიდეც მეკვლე, და როგორც მეუბნებიან, კარგი ფეხი მაქვს. მაგრამ ჩემი აზრით, ფეხი არაფერ შუაშია. მთავარია, ოჯახში რა გულით შეხვალ.

**— პოპულარულები ტელევიზიის საშუალებით გახდით და არა — თეატრის. ამ ფაქტზე რას იტყვით?**

— სამწუხაროდ, დღეს საქართველოში მსახიობებს არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ თეატრსა და კინოს შორის არჩევანი გავაკეთოთ. ილებენ კინოს, თეატრში კი მაყურებლის ნაკლებობაა. პირადად მე, თეატრი ისე მიყვარს, იქ რომ მატერიალურად უზრუნველმყონ, დამერწმუნეთ, სხვაგან არსად წავიდოდი.

**ია:**

— ეს სამწუხარო ფაქტია. არადა, კარგი სპექტაკლები იდგმება. ეკრანზე ცოტა ხანი რომ არ გამოჩნდები, გეკითხებიან, — სად ხარ, რატომ დაიკარგეო? მათ ვუპასუხებ, — მე კი არ დავიკარგე, ჩემს საქმეს ვაკეთებ, იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო, უბრალოდ, შენ არ მოდიხარ, რომ მნახო-მეთქი. მსახიობობა ძალიან დამოკიდებული პროფესიაა. რეჟისორს თვალში თუ არ მოუხვედი, ვერაფერს გააკეთებ. თან, ახალგაზრდები ვართ და ვფიქრობ, ძალები ყველგან უნდა მოვსინჯოთ. ახლახან დასრულდა მხატვრულ ფილმზე მუშაობა, რომელიც აკა მორჩილაძის სცენარის მიხედვით, რეჟისორმა ლევან თუთბერიძემ გადაიღო. ფილმის სახელწოდებაა — „უშენოდ ალბათ, მოვკვდები". პრემიერა მალე შედგება. ფილმზე მუშაობის პერიოდი ისეთი საინტერესო იყო, რომ გადასაღებ მოედანზე ყოფნა კიდევ მინდა.



**გოგა:**

— ამ ბოლო დროს მდგომარეობა ცოტათი გამოსწორდა — ფილმებს იღებენ. ბევრი რეჟისორი ამბობს, — ბაზარი არ არის, ფილმები არ იყიდება და მათ ამიტომ არ ვიღებთო, მაგრამ თუ კარგ ფილმს გადავიღებთ, დარწმუნებული ვარ, ის ევროპის ბაზარზე გავა. თან, დღეს საქართველოში ბევრს აქვს ფული და თუ ამ ფულს ხელოვნებას მოახმარენ, ძალიან კარგი იქნება.

**ია:**

— ჩვენ, მსახიობებიც არ ვითხოვთ დიდ თანხას. ბევრ კომპრომისზე შეგვიძლია წასვლა და მივდივართ კიდეც.

**გოგა:**

— სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ მოწვეულ მსახიობებს უფრო მეტ თანხას უხდიან. არა აქვს მნიშვნელობა, ის ფილმში მთავარ როლს თამაშობს თუ მეორეხარისხოვანს.

**— პოპულარობა კარგია?**

**ია:**

— ამ შეკითხვაზე პირველი გოგა გიპასუხებთ, ის ხომ ახლა ზენიტშია.

**გოგა:**

— კარგია, მაგრამ დიდი პასუხისმგებლობაცაა. ისე ვერ ვიქცევი, როგორც ადრე.

**— მაგალითად?**

— ადრე მანქანით რომ მივდიოდი და გზას უხეშად გადამიჭრიდნენ ან საცობში მოვხვდებოდი, რალაც-რალაცეებს გავიძახოდი, როგორც ყველა ქართველი მძღოლი, გულს ვიოხებდი. ახლა კი იძულებული ვარ, ეს ყველაფერი გულში ჩავიკლა (*იცინიან*).

**ია:**

— ეკრანზე რომ გამოჩნდები, მერე ყველას ჰგონია, ფული გაქვს. ერთხელ ჯიხურში ფულის გადასახურდავებლად მივედი. ქალმა ფული გადამიხურდავა, მაგრამ მივხვდი, იმდენი არ მომცა, რაც მეკუთვნოდა. ძალიან გავბრაზდი. ვერ ვიტან, როცა მატყუებენ და ცოტა უხეშად ვუთხარი, რომ თანხა დაებრუნებინა. მან კი შემომხედა და მითხრა: შენ გიცნობ, ტელევიზორში მინახავხარ, წყნარი და კარგი გოგო მეგონე, შენ კი ვინ ყოფილხარო. იმის მაგივრად, რომ ბოდიში მოეხადა, გამომლანძღა.

**— ბოლოს, მეგობრებს რას ურჩევთ?**

**გოგა:**

— უყვარდეთ, გაუფრთხილდნენ და არ მოატყუონ ერთმანეთი.

**ია:**

— თუ ურთიერთობაში გულწრფელები იქნებიან, ყველაფერი კარგად იქნება.

**გოგა:**

— მიუტევონ და მიეფერონ ერთმანეთს და მთავარია, მეგობრის წარმატების არასოდეს შეშურდეთ. ■

# „ЦЕРКОВНЫЙ БУНТ — 1819 წელი"

გაზაფხულზე, „გზის" ერთ-ერთ ნომერში, დავბეჭდეთ ინტერვიუ აღმოსავლეთმცოდნე, მწერალ გურამ ქართველიშვილთან. მაშინ ბატონი გურამი ლაპარაკობდა თავის ახალ ისტორიულ პიესაზე — „გიორგი VII", რომელიც რეჟისორ გიორგი შალუტაშვილს უნდა დაედგა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა, სამაგიეროდ, სანდრო ახმეტელის თეატრის სცენაზე ბატონი გურამის სხვა ახალ პიესაზე ასევე გიორგი შალუტაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი დაიდგა და ამ დღეებში საპრემიერო ჩვენებები მოეწყობა. რეჟისორმა საშუალება მომცა, პრემიერამდე ერთი კვირით ადრე დავსწრებოდი გენერალურ რეპეტიციას და ინტერვიუს ჩაწერამდე შემეგრძნო მუხტი, რომელიც უპირველესად ამ ბატონებმა და მთელმა შემოქმედებითმა ჯგუფმა, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმძიმესი და უცნობი ფურცლის გაცოცხლებით, სპექტაკლში — „Церковный бунт — 1819 წელი" — ჩადეს.



ᲘᲠᲛᲐ ᲮᲐᲠᲨᲘᲚᲐᲫᲔ

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** *სანდრო ახმეტელის თეატრის მთავარი რეჟისორი:*

— უაღრესად საინტერესო პიესაა, რადგან აქ მოთხრობილია ამბავი, როდესაც საქართველოს ისტორიაში ერთადერთხელ ქართულმა ეკლესიამ გამოუცხადა ომი დამპყრობელს და სხვათა შორის, ეს დამპყრობელი რუსეთი გახლდათ. მეც და გურამიც ტოლერანტები ვართ და დიდ პატივს ვცემთ სხვა ერებს, მაგრამ ვფიქრობთ, ისტორიული სიმართლის თქმაც აუცილებელია — ყველამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის განადგურებაში ერთნაირად მონაწილეობდნენ რუსებიც, სომხებიც და ქართველებიც, ისევე, როგორც უდიდესი ერთგულება გამოიჩინა მრავალმა ქართველმა და სხვათა შორის, სომეხმაც და რუსმაც. მაგალითად, ერთ-ერთი რუსი კაპიტანი — კოლია ანდრეევსკი გამოყვანილი გვყავს დადებით გმირად, რომელსაც არ ესმის, რატომ ხოცავენ ამდენ ადამიანს. კავკასიის მთავარმართებელი ერმოლოვი ხშირად ფიქრობს, ღირს თუ არა ამდენი სისხლის ღვრა, თუმცა ვალდებულია, სამხედრო პირის მოვალეობა შეასრულოს.



**99 პროცენტით ყველა ფაქტი და პერსონაჟი ისტორიულია**

**— ის უბრალოდ, სხვა გზას არჩევს ერის დასამორჩილებლად, თუმცა მაინც სისხლს ღვრის...**

— ურთულესი პროცესები მიმდინარეობდა იმხანად და ამიტომაცაა ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული სინამდვილის გაცოცხლება — ერმა საკუთარ თავზე სიმართლე უნდა იცოდეს. ძალიან დიდი შეცდომაა იმის თქმა, რომ რუსეთი ჩვენი ერთადერთი მტერია და ასევე სამარცხვინოა მტკიცება, რომ რუსზე დიდი მეგობარი არ გვყავს. სამწუხაროდ, ორივე სიმართლეა, იმავდროულად, სიცრუეც, რადგან, როგორც სხვა ქვეყნები, რუსეთიც არ არის ერთგვაროვანი. მაგალითად, როდესაც ჩვენი მეზობელი ერების მიერ შედგენილი რუკები ერთმანეთს დავადე, აღმოჩნდა, რომ იქ საქართველოს ადგილი არ იყო. საქართველო დღესაც გზაგასაყარზე დგას და ძალიან სერიოზული პოლიტიკური და საზოგადოებრივი გადაწყვეტილებებია მისაღები. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მდგომარეობის ეპოქალური თვალსაზრისით განსაზღვრა. თუკი შენი ისტორია არ იცი, ვერც დღევანდელობაში იპოვი ადგილს და ვერც მომავალს განსაზღვრავ. ჩემი აზრით, ეს სპექტაკლი უფრო დაფიქრებისა და მოვლენების ანალიზის მცდელობაა. პიესაში თითოეული სიტყვა, თუნდაც ერმოლოვი რომ წარმოთქვამს, — აჩეხეთ ყველა ტყეო, — ისტორიულია. ერმოლოვის სიტყვები მისი პროკლამაციიდანაა აღებული. ის იქ წერს, — აჩეხეთ ყველა ხე, რათა სიღარიბე იყოს ქართველების სასჯელიო.

**— ანუ პიესა მთლიანად ისტორიულ ფაქტებსა და წყაროებს ეფუძნება?**

— თავიდან ბოლომდე, 99 პროცენტით ყველა ფაქტი და პერსონაჟი ისტორიულია. სათაურადაც იმიტომ ვუწოდეთ „Церковный бунт — 1819 წელი", რომ რუსულ ისტორიოგრაფიაში ზუსტად ასე ჰქვია — „Церковный бунт" და რადგან არ გვსურდა, მხოლოდ რუსული ისტორიოგრაფიული სათაური ჰქონოდა, თარიღიც მივუთითეთ. საქმე ის არის, რომ ეს არ იყო უბრალოდ „Церковный бунт" და მხოლოდ бунт. ეს იყო საერთო-სახალხო ამბოხება, რომლის დროსაც დაიღუპა გაცილებით მეტი რუსი სამხედრო, ვიდრე რუსეთ-თურქეთის ომის დროს. ამ ამბოხების წინა პირობა კი გახლდათ რუსეთის ეგზარქოსის გადაწყვეტილება, აღეწერა საქართველოს საეკლესიო განძი, გაეტანა და ფულად ექცია — ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოს აღარც სამეფო ტახტი აქვს და აღარც კათოლიკოსი ჰყავს. ერთობისკენ მოწოდების უფლება კი მხოლოდ მეფეს აქვს — მაშინ ერთიანი ხდება გლეხიც, თავადიც და აზნაურიც. ეს იყო საქართველოს ისტორიაში ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ომი დამპყრობლის წინააღმდეგ ეკლესიამ გამოაცხადა. ამას მიტროპოლიტები — დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გაენათელი ხელმძღვანელობდნენ. ქართველებმა მოახერხეს 280 ჯორის საპალნე ოქრო-ვერცხლის სვანეთში გადამალვა, მაგრამ ეს ძალიან ძვირად დაუჯდათ. მარტო ბოლო ბრძოლაში, ფუტიეთთან 2000-ზე მეტი რაჭველი, იმერელი და მთელი დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელი დაიღუპა. ეს იყო უსასტიკესი ხოცვა-ჟლეტა. საქართველოში ამ ფაქტის შესახებ ძალიან ცოტამ იცის, არადა, ეს არის დაახლოებით, შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში გმირობის დარი მაგალითი. კომუნისტებმა ისტორიის ეს ფურცელი ამოგვიხიეს, რადგან სინამდვილეში, საბჭოთა

იმპერიაც ხომ რუსული იმპერიის გაგრძელება გახლდათ, რომელსაც ჩვენთვის უნდა შეექმნა ილუზია, თითქოს ეს საერთო-სახალხო აჯანყება მხოლოდ პატარა ბუნტი იყო. სხვათა შორის, 30-იან წლებში ექვთიმე თაყაიშვილი ბუენოს-აირესში სწერდა პაპავებს, როგორმე სანდრო ახმეტელისთვის მიეწვდინათ ხმა, რომ ამ აჯანყების თემაზე სპექტაკლი დაედგა. ძალიან მიხარია, რომ სწორედ ასეთი პიესით და თემით ვიწყებ მთავარი რეჟისორის ამპლუაში სანდრო ახმეტელის თეატრში მუშაობას.

— **შემოქმედებით ჯგუფზეც გვიამბეთ.**

— მუსიკალურად ია საკანდელიძემ გააფორმა სპექტაკლი, მთავარი მხატვარი აივენგო ჭელიძე გახლავთ. საერთოდ, თეატრის მთელი პერსონალი მუშაობს აქტიურად. ისედაც, თეატრში ბევრი სიახლე გვაქვს — რეჟისორ დათო მაცხონაშვილთან ერთად, თოჯინური სტუდიაც კი ჩამოვაყალიბეთ, თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა. ჩვენს სპექტაკლს რაც შეეხება, აქ უფროსი და ახალგაზრდა თაობა შევახვედრე ერთმანეთს: ბატონი ნუგზარ ყურაშვილი, გია ჯაფარიძე და ალეკო ალავიძე ამ თეატრის დაარსებიდან დგანან მის სცენაზე; მოვიწვიე ქართული სცენის ერთ-ერთი უხუცესი წარმომადგენელი, ბატონი ლეო ანთაძე; აკაკი ხიდაშელი აქაც არის და მარჯანიშვილის თეატრშიც, მიხარია, რომ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებიც მონაწილეობენ... სულ 22 მსახიობი მყავს დაკავებული.

— **ახალგაზრდებიდან რამდენიმე სახე შევიცანი. დღეს ძალიან პოპულარული სერიალის „შუა ქალაქში" გმირები — ქეთევან ღლონტის საქმრო ლაშიკო (ბაჩო ქაჯაია) და ღლონტების მეზობელი თიკა (ლელა მებურიშვილი).**

— მინდა ვთქვა, რომ სერიალებმა ძალიან ბევრ მსახიობს გაუფუჭა კარიერა, არადა, იქ კარგ ფულს იხდიან, თეატრში კი ახალგაზრდა მსახიობი 120 ლარს თუ იღებს. ამიტომ ამ სცენაზე მათი დგომა გმირობის ტოლფასია. იმავეს ვიტყოდი ტექნიკურ პერსონალზე. ეს ადამიანები, ფაქტობრივად, უხელფასოდ მუშაობენ, მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის, პროფესიისა და ადამიანური ურთიერთობების სიყვარულით. კიდევ ერთს გეტყვით: ამ სპექტაკლის პრემიერა ქუთაისში უნდა შემდგარიყო, მაგრამ ტექნიკურმა პრობლემებმა შეგვიშალა ხელი. ქუთაისელ მაყურებელს მინდა შევპირდე, რომ პირველ გასვლით სპექტაკლს მაინც ქუთაისში ვითამაშებთ, ამის შემდეგ ჩავალთ რაჭაში და მოვივლით მთელ დასავლეთ საქართველოს, რადგან ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს აჯანყება რაჭა-იმერეთის აჯანყების სახელითაა ცნობილი. საერთოდ კი დიდი სურვილი გვაქვს, სრულიად საქართველომ ნახოს ეს სპექტაკლი. ასე რომ, დიდი გეგმები გვაქვს.

**გურამ ძართველიშვილი**, *მწერალი, პიესის ავტორი:*

— ჩვენს საზოგადოებაში რომ წარსულის ტოტალური უცოდინარობაა, ეს ფაქტია. სამწუხაროდ, ძალიან კარგმა ქართველებმაც კი ბევრი რამ არ იციან. ამ პიესაში აღწერილი ეპოქა თვითონ რუსებმა განსაკუთრებულად მიჩქმალეს, რადგან სწორედ მათი ისტორიის სა-





არ გამოგრჩეთ!
დეკემბრის
ნომერი




თქვენ ხომ გემოვნებიანი
მკითხველი ბრძანდებით...



როგორ მოექცნენ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას — სახელმწიფოებრიობა ხომ დაგვინგრიეს და ეკლესიიანად ამოგვაგდეს

მარცხვინო ფურცელია, როგორ მოექცნენ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას — სახელმწიფოებრიობა ხომ დაგვინგრიეს და ეკლესიიანად ამოგვაგდეს, ყოველ შემთხვევაში, მოინდომეს და ავტოკეფალია გაგვიუქმეს. ჩვენი ეკლესია-მონასტრები გაძარცვეს და ფრესკები კირით შეათეთრეს. ეს ამბებია ჩემს პიესაში მოთხრობილი. საერთოდაც, საგანგებოდ ვილებ პიესების თემად საქართველოს ისტორიის უმძიმეს და მიჩქმალულ პერიოდებს. ქართველობა ჩემთვის მარტო ეროვნება არ არის, მე მას წესრიგს ვუწოდებ. ჩვენში მართლმადიდებლობისა და ერისკაცობის ნაზავმა შექმნა ქართველი. სხვადასხვა ტომისგან შემდგარი ერი ქრისტიანობის მილების შემდეგ განსაკუთრებით მოწესრიგებულად ჩამოყალიბდა იმისთვის, რომ ეს ურთულესი ტერიტორია, ეს მიწა დაეცვა. ქართველების ისტორიული წესრიგი ყოველთვის ჩვენი ქვეყნისთვის მძიმე პერიოდში ჩნდება. პიესაში გადმოცემული ეპოქა მართლა განწირულია, აქ მშველელიც კი აღარავინ გვყავს, სახელმწიფოც კი არ გაგვაჩნია და კარგად ჩანს, მაინც როგორ ცდილობენ ქართველები ძველი წესებით ქვეყნის გადარჩენას. აქ კარგად მჟღავნდება ერის ხასიათი.

**— ეს პიესა ყოველთვის მნიშვნელოვანი იქნება, თუმცა ვფიქრობ, დღეს, საქართველოსა და რუსეთს შორის კიდევ ერთი სისხლიანი დაპირისპირების შემდეგ და დაძაბული ურთიერთობის ფონზე განსაკუთრებულად აქტუალურია. როგორც იქნა, თქვენი და გიორგი შალუტაშვილის ტანდემიც შედგა...**

— პიესა აგვისტოს მოვლენებამდე დავწერე, უფრო სწორად, ომმა ბოლოში მოუსწრო. მე და გიორგი მანამდე „გიორგი VII"-ს დადგმას ვაპირებდით. საერთოდ, გიორგისთან მუშაობა კომფორტულია, რადგან, ფაქტობრივად, პიესის დადგმის განმავლობაში არ გავრჯილვარ — რეპეტიციებს ყოველთვის ვესწრებოდი, თუმცა ყველაფერი გიორგის გადავაბარე (*იცინის*). მას შენიშვნას ვერც მისცემ — ეპოქის სული, როდის როგორი იყო ქართველი ან ისტორიული ფაქტი, ძალიან კარგად იცის და ყველაფერს ისე ხედავს, როგორც უნდა დაინახოს.

**— მის მიერ შერჩეული მსახიობებიც მოიწონეთ? იქნებ, რომელიმე გმირი სხვაგვარი წარმოგედგინათ?**

— მსახიობებიც ძალიან კარგად არიან შერჩეულნი. როგორც თაობაა დაუსაქმებელი და დაუკავებელი, ისევეა აქ მონაწილე მსახიობების დიდი ნაწილი. მათზე ხუმრობით ვამბობ ხოლმე, — „თაროზე შემოდებული" ნიჭიერი ხალხია-მეთქი. სხვათა შორის, პიესის წერისას უკვე ვიცოდი, რომ მთავარმართებელი ერმოლოვის როლში ნუგზარ ყურაშვილი უნდა ყოფილიყო, ფაქტობრივად, მისთვის დავწერე ეს როლი.

**— დარწმუნებული ვარ, საპრემიერო ჩვენებების შემდეგ ახალ პიესაზე დაიწყებთ მუშაობას და მას აუცილებლად გიორგი შალუტაშვილთან ერთად განახორციელებთ.**

— ჩვენ საინტერესო გეგმები გვაქვს. „გიორგი VII"-ს დადგმას ვაპირებდით და ვაჟი დამელუპა. ახლა კი ვფიქრობ, მის დადგმამდე პიესა დავწერო გიორგი ბრწყინვალეზე. რატომღაც მგონია, რომ ჯერ „გიორგი ბრწყინვალეს" დავდგამთ, უფრო გასაგები გახდება „გიორგი VII", უკეთ გამოჩნდება, როგორი საქართველო ებრძვის თემურ ლენგს.

**— სხვათა შორის, ერთ-ერთმა ცნობილმა პოლიტიკოსმა რამდენჯერმე შლეგად და სულელად მოიხსენია გიორგი VII.**

— გიორგი VII-ც, ჩვენდა სამარცხვინოდ, დამარხული, ნაცარმიყრილი მეფეა და ვისაც მასზე განსხვავებული აზრი აქვს, ერთს ვეტყვი — ეს მეფე დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ვინც იცის, ვინ იყო თემურ ლენგი, წარმოიდგინოს, რასთან ჰქონდა გიორგი VII-ს საქმე. თემურ ლენგმა ქართველებს არჩევანი არ დაგვიტოვა — ან ფიზიკურად უნდა გავნადგურებულიყავით, ან გავმაჰმადიანებულიყავით. რა ექნა გიორგი VII-ს? მან ფიზიკურად გადაგვარჩინა. სამწუხაროდ, ბოლომდე ჩვენი წინაპრების ღვაწლიც კი არ ვიცით. რაც შეეხება პიესას „Церковный бунт — 1819 წელი", ამ თემაზე ფასეული ისტორიული ნაშრომიც კი არ არსებობს, დღემდე არაფერი დაწერილა და დადგმულა. 1991-92 წლებში ამის შესახებ ერთმა ღვთისნიერმა ქალბატონმა, ეთერ ორჯონიკიძემ დაწერა, წყაროები კი ღვთის მადლით, არსებობს — პაპავების საზღვარგარეთ დაბეჭდილი ლიტერატურა, „რაპორტები", გენერლების მიმოწერა, რითიც კარგად ჩანს ის ეპოქა. თუმცა ბევრი რამ კიდევ შესასწავლია მეცნიერების მიერ. პიესაში სწორედ „რაპორტებიდან" ამოღებული ფრაზები გამოვიყენე, სასტიკი ბრძანებები, პიროვნებების დახასიათებები ზედმიწევნით ისტორიულია. ძალიან მინდა, მაყურებელმა ყველაფერი სწორად გაიგოს. რუსებმაც მინდა გაიგონ, რასაც ამ პიესით ვეუბნებით, — რომ ასეთი ლაპარაკი, დამოკიდებულება პატარა ერთან არ შეიძლება, სამარცხვინოა. საკუთარ წარსულში ჩაიხედონ, თუნდაც ამ „ბუნტის" შემდეგ რამდენი გენოციდი მოგვიწყვეს; დაფიქრდნენ, ობიექტურად შეაფასონ და ჩვენთან სალაპარაკოდ სხვა ენა გამონახონ იმიტომ, რომ სხვაგვარად ჩვენი და რუსების ურთიერთობა შეუძლებელი იქნება.

**— დიდი მადლობა, ბატონო გურამ და თქვენც, გიორგისაც და მთელ შემოქმედებით ჯგუფს წარმატებულ პრემიერას გისურვებთ.** ■



# დოკუმენტური ფილმი მასწავლებელზე

## ანუ დიტო ცინცაძემ 5 წლის წინანდელი ჩანაფიქრი განახორციელა

**„დიტო ჩემი სტუდენტი იყო, ახლა კი კინოს ოსტატია!" — მითხრა ბატონმა ელდარ შენგელაიამ თავისი ყოფილი სტუდენტისა და ამჟამად, ცნობილი რეჟისორის — დიტო ცინცაძის შესახებ. კინოს ოსტატმა გადაწყვიტა, საკუთარ მასწავლებელზე დოკუმენტური ფილმი გადაეღო და ეს იდეა 5 წლის შემდეგ განახორციელა. პატარა შემოქმედებითი ჯგუფის დაუღალავი შრომისა და საქმისადმი დიდი სიყვარულის წყალობით, გადაღება უკვე დასრულდა. მაყურებელი მალე იხილავს, თუ როგორ კეთდებოდა ელდარ შენგელაიას რეჟისორობით გადაღებული პოპულარული ქართული ფილმები. ბუნებრივია, კინოპორტრეტის ავტორებს არც ბატონი ელდარის პოლიტიკური მოღვაწეობა დაუტოვებიათ უყურადღებოდ.**





*ეთო ყორღანაშვილი*

**დიტო ცინცაძე:**

— ელდარი ჩემი მასწავლებელი იყო. რეჟისურას 5 წლის განმავლობაში, თეატრალურ ინსტიტუტში, მის ჯგუფში ვსწავლობდი: სპექტაკლებს ვდგამდით, როლებს ვთამაშობდით, ფილმებს ვიღებდით... იმ წლებმა ჩემზე, როგორც კინორეჟისორზე, დიდი გავლენა მოახდინა. ქართულ კინოში ბევრი ღირსეული ადამიანი მოღვაწეობდა, მაგრამ მათ შორის, ელდარი პირველია! ის მხოლოდ რეჟისორი კი არა, დიდი საზოგადო მოღვაწეცაა: როცა ჩვენს ქვეყანას პრობლემა ჰქონდა — თუნდაც, 9 აპრილის შემდგომი მოვლენების დროს, ელდარი ყოველთვის აქტიური გახლდათ... მინდა, მისი პიროვნების პორტრეტი „დავხატო" და ეს დოკუმენტური ფილმიც ამ მიზნით გადავიღე.

**— როცა ბატონმა ელდარმა შეიტყო, რომ მასზე დოკუმენტური ფილმი უნდა გადაგეღოთ, ამ იდეას როგორ შეხვდა?**

— ეს იდეა 5 წლის წინ გამიჩნდა. 2003 წელს ესპანეთში, სან-სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე ფილმი — „გასროლის შიში" წავიღე და გავიმარჯვე კიდეც. ამის შემდეგ, ძალიან მომინდა, ჩემს მასწავლებელზე დოკუმენტური ფილმი გადამეღო. ამ საქმეში გერმანულ-ფრანგული ტელეარხი — „არტე" ჩაერთო, მაგრამ მერე, გარკვეული მიზეზების გამო, პროექტი შეყოვნდა, გადაიდო, ბოლოს კი საერთოდ, შეწყდა... გადავწყვიტე, მაშინდელი ჩანაფიქრი ახლა განმეხორციელებინა. სიმართლე გითხრა, ელდარ შენგელაია ჩემს წინადადებას დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია. ასე ვთქვათ, როგორღაც დავითანხმე — შევაწუხე, შევაწუხე და უარი ველარ მითხრა... ჩემი ჩანაფიქრი ბატონ არჩილ გელოვანს, ამ ფილმის პროდიუსერს გავუზიარე და საქმეს შევუდექით. ეს ფილმი, რომლის ოპერატორი გიორგი შველიძე გახლავთ, „დამოუკიდებელი კინოსტუდიის" პროდუქტია. ამჟამად, უკვე მონტაჟის პროცესი მიმდინარეობს. გადასაღები ბევრი არაფერი იყო. ძირითადად, ელდარ შენგელაის ფილმებიდან და პოლიტიკური გამოსვლებიდან ამოღებულ კადრებს ვიყენებდით. ძირითადი აქცენტი მის მონოლოგზეა. ბატონი ელდარი ბევრ საინტერესო თემაზე ლაპარაკობს — საზოგადოებაზე, პოლიტიკაზე, თავის ძველ ფილმებსა და კიდევ იმაზე, თუ როგორ უწოდებდნენ მოღალატეს ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს, მხოლოდ იმიტომ, რომ პარლამენტში ფრაქცია შექმნა... არავის ვადანაშაულებ, მაგრამ იმ პერიოდში, ხალხში გაურკვევლობა და უცოდინარობა სუფევდა. ქართველები ძალიან რადიკალურები ვართ — ან შავს ვირჩევთ, ან — თეთრს, მათ შორის რომ ფერებია, ისინი არ გვინდა!.. ამ დოკუმენტური ფილმით რაიმე ახლის თქმის პრეტენზია არ მაქვს. უბრალოდ, ვყვები ადამიანზე, რომელიც ძალიან მიყვარს და რომლის შემოქმედებასაც ვაფასებ. ელდარის რეჟისორობით გადაღებული ჩემი საყვარელი ფილმებია: „არაჩვეულებრივი გამოფენა", „ცისფერი მთები", „შერეკილები" და „მიქელა". ისინი ქართული კინოს მარგალიტებად მიმაჩნია. ადამიანმა ქართველების შესახებ საერთოდ არაფერი რომ არ იცოდეს და ჩემ მიერ ჩამოთვლილი ფილმები უჩვენო, უცებ გაიგებს — რა ტიპის ხალხი ვართ.

**— გადაღებები თბილისში მიმდინარეობდა?**

— დიახ. გადაღების პროცესი ძალზე მარტივი იყო — სულ 5 დღე გაგრძელდა. გადასაღებად კახეთში ერთხელ ვიყავით. ელდარი თავის ბავშვობასა და მშობლებზე, დედამისის — ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმში ლაპარაკობდა... მოგვიანებით, მონტაჟისას ფილმის სტრუქტურაში რაღაც ჩაჯდა, რაღაც — ვერა. იმ ლოგიკას, რომლითაც ფილმი ავაწყვე, გურჯაანში გადაღებული კადრები ვერ მიესადაგა... ელდარი ყველაფერზე საინტერესოდ ლაპარაკობს, თუნდაც — რას ფიქრობს დღევანდელ სიტუაციაზე.

**— ნეტავ, რას ფიქრობს?**

— მაშინ, ფილმი უნდა მოგიყვე (*იცინის*)... ერთმანეთს აზრებს ვუზიარებთ, თუმცა კადრში მე არ ვჩანვარ — ფილმს მონოლოგის სახე აქვს.

**— მაყურებელი როდის იხილავს?**

— მოკლედ, ან — ახალ წლამდე, ან — ახალი წლის შემდეგ.

■

# რამ დააბნია და რა ვერ გაიხსენა ცნობილმა ექსპერტმა



„გზის“ შემდეგ ნომერში წლის „ერუდიტს“ და „ანტიერუდიტს“ გამოვავლენთ. ამჯერად კი რუბრიკის 2008 წლის ბოლო სტუმარი პოლიტიკური ექსპერტი, ფსიქოლოგი — რამაზ საყვარელიძე გახლავთ. „მე არ ვარ ერუდიტი, ბევრი რამ დავიწყებული მაქვს“, — მითხრა სატელეფონო საუბრის დროს, მაგრამ შეხვედრაზე მაინც დამთანხმდა. „სტუდენტობის წლებში ვახუშტი კოტეტიშვილი გვეუბნებოდა: სანამ დრო გაქვთ, მოასწარით, ბევრი წიგნი წაიკითხეთ, თორემ წლების შემდეგ ამისთვის ველარ მოიცლით“. მაშინ პედაგოგის დარიგებაზე ეღიმებოდა, დღეს კი, როცა სასურველი მხატვრული ლიტერატურის წასაკითხად დრო აღარ რჩება, მისი ეს სიტყვები ახსენდება. მას ყოველთვის იზიდავდა თომას მანის ნაწარმოებები, ხოლო „მძიმე“ ავტორად აღიარებული დოსტოევსკის შემოქმედების კითხვის დროს, ამაღლებული განწყობილება არაერთხელ დაუფლებია.

*თამუნა კვინიკაძე*

## პრეამბულის მაგიერ

**— ბატონო რამაზ, მინისტრთა კაბინეტში ცვლილებები ასე ხშირად რატომ ხდება, ეს რისი ნიშანია?**

— ეს იმის ნიშანია, რომ მინისტრები კონცეფციით არ ინიშნებიან. უფრო მეტიც, ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნის ამბავს ნახევარი საათით ადრე იგებენ. იმ მინისტრებს, რომლებსაც თავი სტაჟიან მინისტრებად მიაჩნიათ, რომ ჰკითხოთ, რა კონცეფციით მოქმედებთო, სურვილებზე უფრო ისაუბრებენ, ვიდრე კონცეფციაზე. ხშირად, პოლიტიკური პარტიებიც პროგრამების ნაცვლად სურვილების ჩამონათვალს გვთავაზობენ.

**— „რესპუბლიკელების“ და „ახალი მემარჯვენეების“ გაერთიანებაზე თქვენი აზრი როგორია?**

— იმ შემთხვევაში თუ ძლიერი სუსტს იერთებს, გაერთიანებას აზრი აქვს, რადგანაც ძლიერი კიდევ უფრო ძლიერდება. თუ სუსტები ერთიანდებიან, ეს ყალბი გაერთიანებაა, 3 ღარიბი 1 მდიდარს ვერ წარმოქმნის.

**— ამ შემთხვევაში როგორ გაერთიანებასთან გვაქვს საქმე?**

— ინტელექტუალურად ორივე ძლიერი პარტიაა, ამ მხრივ მდიდრები არიან, მაგრამ რეიტინგით — ღარიბები. არჩევნებში ისინი ერთმანეთს ხმებს ყოველთვის უყოფდნენ, ახლა მათი ხმები გაორმაგდება. თუ გაერთიანების ლიდერი ირაკლი ალასანია გახდება, მისი პერსონის რეიტინგი იმოქმედებს.

**— მიიჩნევთ, რომ მათი ალასანიასთან ალიანსი გაამართლებს?**

— ვფიქრობ, სწორი არჩევანი გააკეთეს. ირაკლი ალასანიას ყოველთვის სწორი პოზიცია ეკავა. მან პოლიტიკური გზის სუფთად გავლა მოახერხა.

**— შიდა ზღვებს შორის ის ფართობით ყველაზე პატარაა, მისი სახელი კი ერთ-ერთი წიაღისეულის სახელწოდებას ემთხვევა. რომელია ეს ზღვა?**

— ვერ გიპასუხებთ. არ მახსოვს.

**— მარმარილოს ზღვა. რომელ ქვეყანაში მოღვაწეობდა ანთიმოზ ივერიელი?**

— რუმინეთში.

**— ის კუნძულოვანი ქვეყანაა, იქ მთელი წლის მანძილზე დღე და ღამე თითქმის თანატოლია. მასზე გადის „ცეცხლოვანი“ სარტყელი. რომელია ეს ქვეყანა?**

— ისევ გეოგრაფია? ვერც ამჯერად გიპასუხებთ.

**— ეს ქვეყანა ინდონეზიაა. საქართველოს რომელი მხარე გამოირჩევა ჭაობების დიდი მასივებით?**

— კოლხეთის დაბლობი.

**— ბელორუსია, პოლონეთი, ავსტრია, უნგრეთი — ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს?**

— ავსტრია.

**— ამ ელემენტს ლათინურად „ფერუმი“ ჰქვია, თუმცა მას ჩვენ სხვა სახელწოდებით ვიცნობთ. რომელ ქიმიურ ელემენტზეა ლაპარაკი?**

— ვერ ვხვდები.

**— ეს ელემენტი დიდი რაოდენობით შედის ვაშლის შემადგენლობაში.**

— გამოვიცანი, ეს ელემენტია რკინა, არა?

**— დიახ. ის წარმოშობით გათურქებული მონღოლი იყო. ჯერ დუმნის (ოლქის) უფროსობა ებარა, შემდეგ აჯანყდა, დამარცხდა და ყაჩაღად გავარდა. ის ერთ-ერთი შეტაკების დროს დაიჭრა და ხეიბარი დარჩა. საქართველოში მისი სახელი განადგურების, გაჩანაგების სინონიმად იქცა. ვინ იყო ის?**

— მან საქართველოში 8-ჯერ ილაშქრა. მისი მიზანი ჩინგისხანის იმპერიის აღდგენა იყო. ეს დამპყრობელი თემურ ლენგი გახლდათ.

**— ეს დაავადება „ქათმის სიბრმავის“ სახელწოდებით არის ცნობილი. რომელი ვიტამინის ნაკლებობა იწვევს ამ დაავადებას?**

— C ვიტამინის. ეს ცნობილი და გავრცელებული დაავადებაა.

**— გეთანხმებით, მაგრამ მას არა C ვიტამინის, არამედ A ვიტამინის ნაკლებობა იწვევს. რომელი იმპერატორის დროს გამოცხადდა რომში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად?**

— კონსტანტინე დიდის დროს.

**— გაჭრილი კარტოფილის ზედაპირზე იოდის ხსნარის დაწვეთებისას, ზედაპირი ლურჯდება. კარტოფილში რომელი ნივთიერების არსებობას ადასტურებს ეს ფაქტი?**

— სახამებლის.

**— რა არის ადმირალი?**

— დავიბენი. რას გულისხმობთ?

**— სამ სავარაუდო პასუხს გეტყვით. პეპელა, ხოჭო თუ მწერი?**

— არ ვიცი

**— სწორი პასუხია პეპელა. ვინ არის „თეთრი**

**საყელოს" ავტორი?**

— მიხეილ ჯავახიშვილი.

— **რამდენი ქვით იწყებენ დომინოს თამაშს?**

— 6 ქვით.

— **ცდებით, 7 ქვით. რა ეროვნების იყო რობინ ჰუდი?**

— ინგლისელი.

— **რამდენი წლით ირჩევენ ამერიკაში სენატორებს?**

— 4 წლით.

— **ცდებით, სენატორებს 6 წლით ირჩევენ. რომელია მსოფლიოში ყველაზე წყალუხვი მდინარე?**

— არ ვიცი.

— **ამაზონი. რას უწოდებენ ახალ წელს გურიაში?**

— კალანდას.

— **რა ჰქვია სავედრებელ ლოცვას, რომლის დროსაც ეკლესიას გარს უვლიან?**

— (*ფიქრობს*) ვიცი, მაგრამ ვერ გავიხსენე.

— **ლიტანია. რას უწოდებენ ადამიანს, რომელიც აკრძალული წესებით ნადირობს?**

— ბრაკონიერს.

— **რომელი სიტყვაა შავის ანტონიმი?**

— თეთრი.

— **მზის სისტემის რომელი პლანეტა ანდომებს ღერძის გარშემო შემობრუნებას ყველაზე მეტ დროს?**

— ვენერა.

— **რომელი პოეტის სრული სახელია ჯორჯ ნოელ გორდონი?**

— არ ვიცი.

— **ბაირონის. ნოდარ დუმბაძის „თეთრ ბაირაღებში" რა გვარია ლიმონა?**

— წარმოდგენა არ მაქვს.

— **დევდარიანი. ვის შვილიშვილად ასაღებდა თავს შამილი — იმისთვის, რომ ქართველები მიემხრო?**

— (*ფიქრობს*) ალბათ ერეკლე II-ის შვილიშვილად, არა?

— **დიახ. რა ეწოდება რაიმე გადამდები სენის ფართოდ გავრცელებას?**

— ეპიდემია.

— **კონსტანტინე გამსახურდიას რომელი მთავარი მოქმედი გმირი იხრჩობა ენგურში?**

— თარაშ ემხვარი.

— **ნობელის პრემიის გადაცემა მკაცრად რეგლამენტირებული წესების დაცვით ხდება. როგორც წესი, დაჯილდოებულმა პრემია პირადად უნდა მიიღოს. ცერემონია სტოკჰოლმში რატუშის ოქროს დარბაზში იმართება. დედაქალაქის ბურგომისტრი მეორედ ნობელის სადღეგრძელოს წარმოთქვამს. ვისი სადღეგრძელო წარმოითქმება პირველად?**

— არ ვიცი, ამ ცერემონიას არასდროს დავსწრებივარ. ვის სადღეგრძელოს სვამენ?

— **შვეციის მეფის. რომელი ქალაქი იყო 1800 წლამდე აშშ-ის დედაქალაქი?**

— (*ფიქრობს*) ვერ ვიხსენებ.

— **ფილადელფია. რომელია საქართველოს უმაღლესი მწვერვალი?**

— იალბუზი.

— **ყველაზე მაღალი მწვერვალია შხარა. იგი ზღვის დონიდან 5068 მეტრზე მდებარეობს. ვისთან ერთად იპოვა განძი ტომ სოიერმა?**

— ჰეკლბერი ფინთან ერთად.

— **რომელი მწერლის რომელი ნაწარმოების პერსონაჟია კირილე მიმინოშვილი?**

— დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის".

— **რომელ მხატვარს ეკუთვნის ფერწერული ტილო „იმერეთი-დედაჩემი"?**

— დავით კაკაბაძეს.

— **რამდენ ქულას იღებს რაგბის გუნდი ლელოს დადებისას?**

— 15 ქულას.

— **ცდებით, 5 ქულას. რა გვარის იყვნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი ძმები — ლევანი, სტეფანე, პეტრე და იაკობი?**

— ზუბალაშვილები.

— **რომელმა მეფემ მოუღო ბოლო საქართველოში მონღოლთა ბატონობას?**

— გიორგი ბრწყინვალემ.

— **1883 წელს ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობა დასრულდა. რომელ ქალაქებს აერთებდა ეს რკინიგზა?**

— ბათუმს, თბილისს და ბაქოს.

— **პირველად ამ კალენდრის გამოშვება ინგლისელმა ფრენსის მაიერმა 1700 წელს დაიწყო. დღეს ეს კალენდარი საქართველოში ძალზე პოპულარულია. რომელ კალენდარზეა ლაპარაკი?**

— ვერ გიპასუხებთ

— **ასტროლოგიურ კალენდარზე. ვინ არის ავტორი ლექსისა — „მე პატარა ქართველი ვარ"?**

— დუტუ მეგრელი.

— **„შენ, სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო"**–

— (*მაწყვეტინებს*) „შენ სად არ გხვრეპდა შავი ყორანი, ვინ გაგაკვირვოს, რამ გაგაკვირვოს, ნადიდგორალი, ნაშამქორალი..."

— **ვინ არის ამ სტროფის ავტორი?**

— მუხრან მაჭავარიანი.

— **რძალი, მაზლი, სიძე, სიმამრი — მათგან რომელი ნათესავი არ შეიძლება, ჰყავდეს მამაკაცს?**

— (*ფიქრობს*) მაზლი.

— **ხელოვნების რომელი დარგის წარმომადგენლები არიან პენ-კლუბში გაერთიანებულები?**

— მწერლები

— **ლონდონი, დელი, თეირანი, ნიუ-იორკი — ამ ქალაქებიდან, რომელში არ არის მეტროპოლიტენი?**

— დელიში.

— **XVII საუკუნეში გერმანიაში უჩვეულო ნიჭის ბავშვი დაიბადა. იგი 4 წლის ასაკში გარდაიცვალა. შემდეგში ამ ბავშვის სახელი ნიჭიერების განმსაზღვრელი გახდა. რა ერქვა მას?**

— ვუნდერკინდი.

— **„ვედრება", „ნატვრის ხე", „ფესვები", „მონანიება" — ამ ფილმებიდან რომელი არ არის თენგიზ აბულაძის გადაღებული?**

— „ფესვები".

— **რომელი სრუტით არის დაკავშირებული ერთმანეთთან წყნარი და ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანეები?**

— ბერინგის სრუტით.

— **დაასრულეთ ბრეხტის ცნობილი გამონათქვამი „გამარჯვების შემდეგ თუ არ გრძნობთ, რომ არსებობდა დამარცხების შესაძლებლობა, მაშინ"**–

— „...მაშინ იდიოტი ხარ".

— **„მაშინ გამარჯვებაც კარგავს ფასს".**

■

ერუდიტი +

## ცნობილთა ცხოვრებიდან

● ლუი XIV-მ ძალიან დიდხანს, 72 წელი იმეფა, მას ეკუთვნის გამონათქვამი — „სახელმწიფო, ეს მე ვარ!" სიკვდილის წინ კი თავის ატირებულ მსახურებს უთხრა: „რა გატირებთ? გეგონათ, უკვდავი ვიყავი?"

● წითელი ზღვა ორი თავისებურებით გამოირჩევა. მასში არ ჩაედინება არც ერთი მდინარე და ზღვებს შორის ყველაზე მარილიანია.

● საქართველო გაეროს წევრი გახდა 1992 წლის 31 ივლისს, სულ მსოფლიოში გაეროს 191 წევრი სახელმწიფოა.

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# ნუ გეშინიათ გაცივების

**ბევრ მშობელს მეტისმეტად აშფოთებს ბავშვის უბრალო გაცივებაც კი. ხშირია ჩივილი იმის გამო, რომ პატარები ბაგა-ბაღში სიარულის გამო, ჩვეულებრივზე ხშირად ავადდებიან. ამიტომ გვეკითხებიან — ხომ არ სჯობს, საერთოდ არ ვატაროთ საბავშვო ბაღში? უპირველეს ყოვლისა, გეტყვით, რომ არ უნდა შეუშინდეთ გაცივებას, რადგან პატარებს სენი ყოველთვის როდი აყენებს ზიანს. და კიდევ — იმიტომ, რომ:**

**1. გაცივება გარდაუვალია.**

იმუნოლოგებსა და ალერგოლოგებს შესწავლილი აქვთ, თუ რამდენად ხშირად ავადმყოფობენ ბავშვები ზემო სასუნთქი გზების ინფექციური დაავადებებით. მაგალითად, 13 წლის ასაკისთვის, ბავშვი საშუალოდ, 36,8-ჯერ ცივდება (ხალხი გაცივებას, ზემო სასუნთქი გზების ინფექციას უწოდებს) ანუ წელიწადში დაახლოებით 3-ჯერ ხდება ავად, თანაც ძირითადად, შემოდგომასა და ზამთარში, იშვიათად — გაზაფხულზე. გრიპის ეპიდემიის შემთხვევაში, ბავშვები ზამთარში 2-ჯერ უფრო ხშირად ავადმყოფობენ, ვიდრე შემოდგომაზე. ასე რომ, გაცივება გარდაუვალია.



**2. ზემო სასუნთქი გზების ინფექცია ბუნებრივი აცრაა, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გყოფნის.**

ავადმყოფობის გარეშე ორგანიზმი ვერ გამოიმუშავებს იმუნიტეტს ვირუსული ინფექციების მიმართ. ბუნებაში 3 ათასზე მეტი ვირუსია და დიდ ქალაქებში ყოველ სეზონზე 8-10 მათგანი მაინც აქტიურდება (ეს თბილისს არ ეხება, რადგან პატარა ქალაქია, აქ მხოლოდ 2-3 სახის ვირუსია მოსალოდნელი). ბავშვმა უნდა გადაიტანოს მის გარემოცვაში ხშირად გავრცელებადი ყველა ვირუსული დაავადება. მაშინ, მეორედ მასთან შეხვედრისას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფეხები დაუსველდა ან გაოფლიანებული, ორპირ ქარში მოყვა, უარეს შემთხვევაში, სურდო დაემართება, მაგრამ მაღალი სიცხე, ანგინა ან ხველა არ შეაწუხებს. ასე რომ, ბავშვობაში ბევრჯერ გაცივებით ხდება ძირითადად გავრცელებული ვირუსების „გაცნობა" და ორგანიზმის სათანადო მომზადება მათთან ხელმეორე შეხვედრისთვის.

**3. ბავშვი, რომელიც ხშირად ცივდება, იოლად იტანს წითელას, წითურას, ყბაყურას, დიფტერიის და ა.შ. ვაქცინაციას.** ასეთი ბავშვების იმუნურმა სისტემამ იცის, თუ როგორ უნდა დახვდეს და „გააცილოს" ინფექცია და აცრის დროს ხელოვნური ინფიცირება მას არ აშინებს.

**4. ადრეულ ასაკში ბავშვი ზედმეტად არ ავადმყოფობს ვირუსული ინფექციებით, მაგრამ ახალ კოლექტივში მისვლას ბევრი ავადმყოფობა ახლავს თან.**

პედიატრებმა დიდი ხანია შეამჩნიეს: ბავშვები, რომლებსაც არ უვლიათ საბავშვო ბაღში, უფრო ხშირად და დიდხანს ავადმყოფობენ დაწყებით კლასებში სწავლის დროს. ის, ვინც სითბოსა და სრული სტერილიზაციის პირობებში იზრდება, სკოლაში „უცოდინარი" იმუნიტეტით მიდის. მისი იმუნური სისტემა ახალ კოლექტივში მოხვედრისას „შოკში ვარდება", რადგან არ იცის, პირველ რიგში რომელი ვირუსისგან დაიცვას თავი, რის გამოც მუხრუჭდება და დუნდება. ამიტომ ასეთ ბავშვებში ხშირად რთულდება ზემო სასუნთქი გზების ვირუსული ინფექციები.

**5. ბავშვს, რომელიც ხშირად ცივდება, იშვიათად აწუხებს ალერგია.**

XX საუკუნის 80-იან წლებში ექიმებმა შეამჩნიეს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, დასავლეთ ევროპაში ბავშვები უფრო ხშირად ავადმყოფობდნენ სხვადასხვა ალერგიული დაავადებით. ჩატარდა შედარებითი გამოკვლევა გდრ-სა და გფრ-ში (მაშინ გერმანია ორად იყო გაყოფილი). აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნების ბავშვები ერთნაირ კლიმატურ პირობებში ცხოვრობდნენ. აღმოჩნდა, რომ გფრ-სთან შედარებით, გდრ-ში, სადაც თითქმის ყველა პატარა ბაგა-ბაღში დადიოდა, ბავშვები ხშირად ავადდებოდნენ ზემო სასუნთქი გზების ინფექციით და იშვიათად — ალერგიული ასთმით.

იგივე დადასტურდა არიზონაში, სადაც მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა დაკვირვება სხვადასხვა ჯგუფის ბავშვებზე. სახლში მყოფ ბავშვებთან შედარებით, ალერგიული ასთმა 3-ჯერ ნაკლებად იყო გავრცელებული მათ შორის, ვინც ბაგაში დადიოდა (და შესაბამისად, ხშირად ავადდებოდა ზემო სასუნთქი გზების ინფექციით). აღსანიშნავია ისიც, რომ ოჯახში უფროსი და-ძმის არსებობა, რომელსაც მოჰყვება სხვადასხვა ინფექციური დაავადება, უმცროსებში ასთმით ავადობას 20-25%-ით ამცირებდა. სხვათა შორის, უკვე დიდი ხანია ცნობილი, რომ ოჯახში ასთმით უფრო ხშირად, უფროსი ბავშვები ავადდებიან, მაგრამ დღემდე არ იყო ცნობილი, რომ ამის მიზეზი სახლში პირველ, ერთადერთ შვილზე გადამეტებული მზრუნველობა და ინფექციებისგან მისი ზედმეტად დაცვა ყოფილა.

**6. ბავშვის ასაკში არის პერიოდები, როცა იმუნური სისტემა თავად აძლევს ორგანიზმს დაავადების უფლებას.**

პირველად იმუნური სისტემა მოიკოჭლებს 2 წლის ასაკამდე, მე-12 და მე-15 თვეებს შორის. ამ თვეებში იცვლება ბავშვის სისხლის უჯრედული შემადგენლობა: ლიმფოციტების რაოდენობა მცირდება, ლეიკოციტები კი — ნორმაზე მაღალია. ლეიკოციტები მიკროორგანიზმების მშთანთქმელია, ლიმფოციტები კი — წარმოადგენს უჯრედებს, რომლებიც იღებს მიკრობის შესახებ ინფორმაციას და იმუნურ სისტემას აძლევს მითითებას, თუ კონკრეტული მომენტისთვის როგორი დაცვა განახორციელოს. კრიტიკულ პერიოდში ხდება იმუნური სისტემის ფორმატის შეცვლა (რეფორმატირება) და ამიტომ, ნაცნობ ვირუსთან შეხვედრის შემთხვევაშიც კი ბავშვი ავად ხდება.

ასეთსავე ცვლილებას ბავშვის სისხლში მეცნიერები ამჩნევენ 5-9 წლის ასაკში: ლიმფოციტების რაოდენობა ისევ მცირეა, ლეიკოციტების — დიდი. მესამე კრიტიკული პერიოდი აღინიშნება 12-14 წლის ასაკში — ე.წ. გარდატეხის პერიოდში. თუ რატომ ხდება ასეთი ცვლილებები, მეცნიერებისთვის ჯერჯერობით ცნობილი არ არის. შეიძლება, ბავშვის ორგანიზმს ყოველ ახალ ეტაპზე ცხოვრების ხელახლა — ანუ კვებისმიერი და აუტოიმუნური ალერგიების გარეშე დაწყების შანსი ეძლევა. ■

# გახანგრძლივებული ხველა

ბევრი ჩივის, რომ გაციების დროს, ავადმყოფობის ძირითადი სიმპტომების (მაღალი სიცხე, სურდო და ა.შ.) მოშორების შემდეგ, კარგა ხანს ვერა და ვერ აღწევს თავს ხველას.

ასე რომ არ მოხდეს, თავიდანვე სწორად უნდა ვიმკურნალოთ. რაც უფრო დავიგვიანებთ ხველის მკურნალობის დაწყებას, მით უფეო ძნელად მოვიშორებთ მას თავიდან.

**ავადმყოფობის პირველი სამი დღე:** ყველაფერი ჯერ კიდევ ჩვენს ხელშია

**ძირითადი სიმპტომები:** ყელის ტკივილი, რომელსაც სწრაფად ერთვის სურდო.

**მიზანი:** არ უნდა მისცეთ ინფექციას ზემო სასუნთქი გზებიდან ქვემოთ ჩასვლის საშუალება.

**მოქმედების სტრატეგია:** გამოირეცხეთ ცხვირი მარილიანი წყლით (ერთ ჩ/ჭ წყალზე 1 ჩ/კ მარილი), შემდეგ თავი უკან გადასწიეთ და ჩაიწვეთეთ ანთების საწინააღმდეგო წვეთები (პინოსოლის ტიპის). ასე სამკურნალო სითხე ჩაჰყვება უკანა კედელს და დადებითად იმოქმედებს ყელზე.

ყოველ საათში გამოივლეთ ყელში თბილი სავლები: ერთხელ — ანტიბაქტერიული ხსნარი (იყიდეთ მზა ან გახსენით ფურაცელინის აბი თბილ წყალში ან შეურიეთ 1 ჩ/კ სოდა, 1 ჩ/კ მარილი და რამდენიმე წვეთი იოდი 1 ჩ/ჭ წყალში); ერთხელაც — ანთების საწინააღმდეგო ხსნარი (გვირილის ან სალბის ნაყენი).

ყელში გამოვლებებს შორის, გაიკეთეთ ზეთოვანი ინჰალაცია ან უბრალოდ, გამოივლეთ ყელში ზეითუნის ზეთი (ზეთი გადმოღვარეთ პირიდან მხოლოდ მაშინ, როცა სიბლანტეს დაკარგავს).

**ავადმყოფობის პირველი კვირა:** მშრალი ხველა გადაიყვანეთ ნახველიანში.

**ძირითადი სიმპტომები:** უკვე მარტო ყელი კი არ გტკივათ, არამედ გახველებთ კიდეც. თავიდან ხველა მშრალია, მტკივნეული, ყელი გეწვით და ხმა გეხლიჩებათ.

**მიზანი:** მშრალი ხველა უნდა გადაიყვანოთ ნახველიანში — ის ნაკლებად აღიზიანებს ბრონქებს, ადვილად ასუფთავებს მის სანათურს და უფრო სწრაფად იწყება გამოჯანმრთელების პროცესი.

**მოქმედების სტრატეგია:** იმისათვის, რომ ნახველი გაგიჩნდეთ, დალიეთ თბილი, სოდიანი რძე. ასევე შეგიძლიათ მიიღოთ კულმუხოს ფესვების, ტკბილძირას ან მრავალძარღვას ნახარში.

დღის განმავლობაში სვით ცხელი თაფლიანი ჩაი, გაზგასული, თბილი ტუტე მინერალური წყალი და გაიკეთეთ სოდის ინჰალაცია.

ღამის ან შეტევითი ხველის შემთხვევაში უნდა შეეცადოთ მის დათრგუნვას. საამისოდ, ღამით მიიღეთ ხველის ცენტრზე მოქმედი პრეპარატები. შეგიძლიათ სცადოთ მენთოლიანი საწუწნი საშუალებები ან დაწუწნოთ შაქარი (1 ჩ/კ შაქარი გააცხელეთ დაბალ ცეცხლზე; როცა გადნება და სპილენძისფერს მიიღებს, კოვზი ჩადეთ მცირე რაოდენობის წყალში; მიღებული „მამალო" და თბილი ტკბილი წყალი მშრალი ხველის საწინააღმდეგო არაჩვეულებრივი საშუალებაა).

**ავადმყოფობის მეორე კვირა:** ამოსახველებელი საშუალებები.

**ძირითადი სიმპტომები:** ხველა სქელი ნახველით, რომლის ამოხველებაც ჭირს.

**მიზანი:** ნახველის გათხიერება, სუნთქვის გაადვილება და ბრონქების განტვირთვა.

**მოქმედების სტრატეგია:** მიიღეთ ამოსახველებელი საშუალებები.

დღეში 2-3-ჯერ გაიკეთეთ ორთქლის ინჰალაცია: ისუნთქეთ ცხელი ტუტე მინერალური წყლის ორთქლი. ამოხველების გასაუმჯობესებლად, საინჰალაციო წყალს დაუმატეთ რამდენიმე წვეთი ანისულის ზეთი, ანთების ჩასაქრობად — 5-6 წვეთი სოჭის ზეთი; თუ გაქვთ ჭარბი, ბლანტი ნახველი, მაშინ შეგიძლიათ ისუნთქოთ ევკალიპტის ფოთლების



ან ფიჭვის კვირტის ნახარში.

როცა ნახველის ჭარბად გამოყოფა დაგეწყებათ, მაშინ დაგჭირდებათ ამოსახველებელი საშუალება. აიღეთ ანისულა, დარიჩინი, ბეგქონდარა და დაასხით ერთი ჩ/ჭ მდუღარე წყალი (ამ სუნელების ნარევი უნდა დაგეტიოთ ჩაის კოვზის წვერზე).

ძლიერ საშუალებას წარმოადგენს გაცხელებული ლუდი. ნახევარი ჭიქა სასმელი ნახველის ადვილად ამოღების საშუალებას იძლევა. შეგიძლიათ, ლუდს შეურიოთ ცხელი რძე და დალიოთ. ეს არის ზედმიწევნით ეფექტური საშუალება, მაგრამ რეკომენდებულია მხოლოდ ჯანსაღი კუჭის მქონე ადამიანებისთვის.

ამოსახველებელი საშუალებების გარდა, ბრონქების გასაფართოებელი წამლებიც (ეუფილინი, თეოფედრინი, ბრონქოლიტინი) დაგჭირდებათ. ეს საშუალებები ინიშნება მწვავე ბრონქიტის დროს (ძირითადად, ღამის ხველის შემთხვევაში), მცირე დოზებით.

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

| გამოცემის დასახელება | 1ეგზ. ფასი | 3 თვე |
| --- | --- | --- |
| 1. ГЕО / GEO | 9.00 | 27.00 |
| 2. ЛИЗА | 2.50 | 32.50 |
| 3. 100 ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЕ ИЗМЕНИЛИ ХОД ИСТОРИИ | 5.00 | 65.00 |
| 4. ПУТЕШЕСТВИЕ ПО СВЕТУ | 8.00 | 24.00 |
| 5. СЕМЬ ДНЕЙ | 2.50 | 32.50 |
| 6. HELLO! / ХЭЛЛОУ! | 4.00 | 52.00 |
| 7. ОТДОХНИ! | 2.00 | 26.00 |

პრესის და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"

ქ. თბილისი
ოისებიძის ქ.№49
ტელ: 38-26-73; 38-26-74
ფაქსი: 38-26-74

აგრეთვე ნებისმიერი სხვა გამოცემა

E-mail:elva@kvirispalitra.com

არ უნდა დაგავიწყდეთ სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება. გასწავლით უმარტივეს ვარჯიშს, რომელიც დაგეხმარებათ ხველის შეჩერებასა და ადვილად ამოხველებაში.

შეატყუპეთ ხელები ზურგს უკან, ჩაისუნთქეთ ღრმად, შეაჩერეთ სუნთქვა, ნელ-ნელა დაიხარეთ წინ და თან წინ წამოწეული ტუჩებიდან მთელი ძალით გამოუშვით ჰაერი.



**მესამე კვირა:** მკურნალობაში ძლიერი საშუალებების ჩართვაა საჭირო.

**ძირითადი სიმპტომები:** გახანგრძლივებული ხველა, რომელიც 3 კვირაზე დიდხანს გრძელდება. მართალია, ზოგჯერ ნახველის რაოდენობის შემცირებით მიმდინარეობს, მაგრამ დარჩენილი ნახველის ამოხველება გაძნელებულია.

**მიზანი:** გართულებების თავიდან აცილება. ლორწოთი სავსე ბრონქების გათავისუფლება და ნორმალური სუნთქვის პროცესის აღდგენა.

**მოქმედების სტრატეგია:** მიმართეთ პულმონოლოგს და ჩაიტარეთ სერიოზული გამოკვლევა.

ექიმთან მისვლამდე კი შეგიძლიათ, ასე დაეხმაროთ საკუთარ თავს:

ნახველს უკეთ ამოიღებთ, როცა ზიხართ ან ფეხზე დგახართ. ძილის ან ხანგრძლივი წოლის შემდეგ უნდა დაწვეთ ჯერ — ერთ, მერე — მეორეზე გვერდზე, მერე — ზურგზე, მერე — მუცელზე. ეს მარტივი ვარჯიში ყველა ბრონქის ლორწოსგან გასუფთავებაში დაგეხმარებათ.

კარგია მტევნის კიდით მსუბუქი დარტყმები ზურგზე ან მასაჟი — ხელისგულის წრიული მოძრაობებით, საათის ისრის მიმართულებით.

## ყველაზე მთავარი

**გახანგრძლივებულ ხველას შეიძლება უშველოთ:**

**ანტიბიოტიკებით.** ამ პრეპარატებს ექიმი ნიშნავს მხოლოდ რენტგენოსკოპიის და ნახველის ბაქტერიული ანალიზის შემდეგ;

**მასაჟით.** ძალზე ეფექტურია გულმკერდის მასაჟი — ვიბრაციული მასაჟი ბრონქებს მასში დაგროვილი ლორწოსგან ათავისუფლებს;

**დრენაჟით.** მედიკოსების მეთვალყურეობის ქვეშ პაციენტი დღეში 2-ჯერ, 20-20 წუთი წევს ისეთ მდგომარეობაში, როცა ტანის ზედა ნაწილი დახრილია ქვემოთ; ამასთანავე, საჭიროა ზურგიდან მუცელზე და გვერდიდან გვერდზე გადაბრუნება;

**ულტრაბგერით.** ულტარაბგერებს, ნახველზე ზემოქმედება და ბრონქების ყველაზე ძნელად მისაწვდომ ადგილებში ჩაბუდებული ნახველის გათხიერება შეუძლია.


ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პატარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში







შეაგროვე და აკინძე

ოჯახის პედიატრი

შეკითხვები პედიატრს

0-დან 1-მდე

ბავშვის ფსიქოლოგია

როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

# ტკბილ-მწარე სიცოცხლე

მარინა ბაბუნაშვილი

ქეთის ამბავმა შემძრა. მისი მონათხრობი 2005 წლის 7 ნოემბრის „კვირის პალიტრაში" დაიბეჭდა და მალევე მოჰყვა მკითხველის გამოხმაურება. ყველას აინტერესებდა, რა მდგომარეობაში იყო ჩემი რესპონდენტი და როგორ გადაიტანა ახლობელი ადამიანის სიკვდილი, მაგრამ მაშინ ქეთიმ არ ისურვა დაინტერესებული პირების კითხვებზე პასუხი გაეცა. მე კი დამპირდა, თუკი შევძელი ამ დარდის რამენაირად დაძლევა, თავად შეგეხმიანებიო. ისევ მე გადავდგი პირველი ნაბიჯი და დავურეკე. მკითხველს კი ტრადიციულად ჯერ გაზეთში დაბეჭდილ წერილს („მეგონა, შევეცოდე და იმიტომაც შემომთავაზა ცოლობა") შევახსენებ.

## ამბავი პირველი

### გაუმხელელი გრძნობა

ქეთი ძალიან ემოციური გოგო გახლდათ. თბილისურ ოჯახში გაიზარდა, ყველაფრით უზრუნველი იყო და მაინც, სულ ეჩვენებოდა, რომ მის ირგვლივ ისე არ ხდებოდა ყველაფერი, როგორც საჭირო იყო. ეგონა, ვერავინ უგებდა. ამ უსაფუძვლო ეჭვების გამო მეგობრებიც შემოეცალნენ. მერე პირველი სიყვარულიც კრახით დამთავრდა. მაშინ მეორე კურსზე იყო და იმდენად განიცადა შეყვარებულის დაკარგვა, რომ მშობლებს განუცხადა, აღარ მინდა უნივერსიტეტში სწავლაო. რა თქმა უნდა, მშობლები შეეწინააღმდეგნენ და კონფლიქტიც დაიწყო. ერთხელ კი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სიცოცხლე აღარ ღირდა და თავის მოკვლა გადაწყვიტა. გზის პირას დადგა, უცდიდა, სანამ მანქანა ჩამოივლიდა. დიდხანს არც დასჭირვებია ლოდინი. მანქანა სწრაფად მოდიოდა. გოგომ თვალები დახუჭა და გზაზე გადახტა.

ამონარიდი წერილიდან: „...*გონს რომ მოვეგე, საშინელ ტკივილს ვგრძნობდი. მძღოლმა წამომაყენა და მანქანაში ჩამსვა. თავბრუ მეხვეოდა. ძლივს მოვახერხე ხმის ამოღება, — რა მოხდა-მეთქი? ვიკითხე. საჭესთან მჯდომმა ბიჭმა სარკიდან შემათვალიერა, შვებით ამოისუნთქა და გამიღიმა. კიდევ კარგი, დროულად დავამუხრუჭეო. მერე ვინაობა გამომკითხა. ძალიან თბილად მექცეოდა. გული ამიჩუყდა და ტირილი დავიწყე: გავუმხილე, თავის მოკვლას ვაპირებდი-მეთქი. იმ დღეს ბევრი მელაპარაკა, ბოლოს მითხრა — თუკი ოდესმე ვინმესთან გულის გადაშლა დაგჭირდება, ჩემი არასოდეს მოგერიდოსო*".

ბიჭი 25 წლის იყო, დათო ერქვა. სამსახურიც ჰქონდა და მშობლებისგან დამოუკიდებლად ცხოვრობდა. ამ დღიდან დაიწყო მათი მეგობრობა. ქეთიმ სწავლა დათოს რჩევით კვლავ განაგრძო და უფრო ხალისიანიც გახდა. ისინი ხშირად სეირნობდნენ ერთად. ერთხელაც, დათომ თავის მეგობრის დაბადების დღეზე დაპატიჟა ქეთი. გოგო საგულდაგულოდ გამოეწყო. წვეულებაზე მიმზიდველი გარეგნობის მამაკაცი გაიცნო. იმ საღამოს ქეთი სულ ირაკლისთან (ახალ ნაცნობთან) ცეკვავდა. დამშვიდობებისას ტელეფონის ნომრებიც გაცვალეს. დათოს მათი დაახლოება არ ესიამოვნა, გუნება გაუფუჭდა, ქეთის კი მხოლოდ ეს უთხრა: იცოდე, თვალებს არ ენდოო.

ირაკლიმ მეორე დღესვე დაურეკა ქეთის, შეხვედრაც სთხოვა. მერე კი სხვათა შორის უთხრა, დათოს ნუ ეტყვი, ერთმანეთს რომ შევხვდითო. ასე აფრთხილებდა თითქმის ყოველი შეხვედრისას. ქეთის კი ირაკლი უკვე ისე უყვარდა, ბრმად ემორჩილებოდა. მან ისიც



იცოდა, რომ ირაკლი ცოლშვილიანი იყო, მაგრამ...

ამონარიდი წერილიდან: *„მალე მივხვდი, რომ ირაკლისგან ბავშვს ველოდებოდი. ვუთხარი კიდეც ამის შესახებ, მაგრამ მან ბავშვის მოშორება მთხოვა. ირაკლი სულ იმას მიმეორებდა, ცოლი არ მიყვარს, შენ ხარ ჩემი ნამდვილი სიყვარული, მაგრამ ოჯახს ვერ დავანგრევ, ეგ ჩემს კარიერას დაღუპავსო (იმ ფირმის დირექტორი იყო, რომელიც მის სიმამრს ეკუთვნოდა). ბევრი ვიფიქრე და ჩემი საიდუმლო დათოს გავანდე. მან კი ისეთი რამ შემომთავაზა, გაოცებისგან პირი დავაღე: ირაკლი ცოლს არასოდეს გაშორდება, ამიტომ ჩემთან მოაწერე ხელი, ასე ბავშვსაც გადაარჩენ და შენს სახელსაცო. როგორც საკუთარს, ისე გავზრდი, ჩემს გვარს მივცემ და ვერავინ გაიგებს შენს შეცდომასო... უარი ვუთხარი. მიუხედავად იმისა, რომ ირაკლიმ საშინლად დამწყვიტა გული, მაინც მინდოდა, მისგან შვილი დამრჩენოდა. გადაწყვეტილი მქონდა, არაფრით შემეწუხებინა. დრო ჯერ კიდევ მქონდა. ასე რომ უნდა ამეწონ-დამეწონა ჩემი მომავალი. მშობლებიც შემეგუებინა, რომ მალე დედა გავხდებოდი"*.

დათომ ქეთის მეორედაც შესთავაზა: მოვაწეროთ ხელი, ნუ აჭორავებ ხალხს, ვიცი, ბავშვი გინდა, ირაკლი კი უზრუნველ ცხოვრებას არ დაკარგავსო. კვლავ უარი უთხრა გოგომ. ყოველდღე ელოდა ირაკლის გამოჩენას, მაგრამ ამაოდ. ერთ საღამოს კი დათო ეწვია. მისი სტუმრობა უცხო არ იყო გოგოსთვის, შინ შეიპატიჟა, მაგრამ დათო ძალიან დათრგუნვილი ჩანდა და ოთახში არ შეჰყვა. იქვე, სადარბაზოს კიბესთან ჩამოჯდა — დიდხანს, ძალიან დიდხანს უმზირა თვალებში, მერე აკოცა, თითქოს სადღაც მიემგზავრებოდა დიდი ხნით... გოგოს გამოემშვიდობა და წავიდა.

დილაუთენია დათოს მეგობარმა დაურეკა ქეთის და საშინელი ამბავი შეატყობინა — დათომ თავი ჩამოიხრჩოო.

## ამბავი მეორე

## *ყველა თავის ჯვარს ატარებს*

დათოს სიკვდილის შემდეგ ყველაფერი გამჟღავნდა. ნიკამ, დათოს უახლოესმა მეგობარმა, ქეთის უთხრა: ვიცოდი, რომ უსაზღვროდ უყვარდი, მაგრამ თქმას ვერ გიბედავდა. ასე ეგონა, ხელს ჰკრავდიო.

პანაშვიდზე მისულ ქეთის მეორე ელდაც ელოდა. მის დანახვაზე, დათოს დამ კივილი მორთო. ამ გოგომ დაღუპა ჩემი ძმაო. ქეთის ლამის გული გაუსკდა. ცოცხალ-მკვდარი წამოვიდა იქიდან. დაკრძალვაზე დათოს ცხედართან ახლოს მისვლა ვერც გაბედა. შორიახლოს იდგა და გულდათუთქული ტიროდა...

— **ქეთი, ადრე რომ მიხვედრილიყავი ყველაფერს, ან დათო გამოგტყოდომოდა სიყვარულში, ირაკლიზე აღარ იფიქრებდი?**

— ირაკლი ბრმად შემიყვარდა. მოგვიანებით გავაცნობიერე, რომ მატყუარა და თაღლითი იყო. დათო მეგობრად, ჩემს მფარველ ადამიანად მიმაჩნდა. გულში ეჭვადაც არ გამივლია, რომ ვუყვარდი. ალბათ, ბედისწერა იყო... გულახდილად რომ ეთქვა თავისი გრძნობის შესახებ, ალბათ, უარს არ ვეტყოდი ცოლობაზე. მაშინ კი მეგონა, ვეცოდები და იმიტომაც მთავაზობს ცოლობას-მეთქი. მისი სიკვდილი ისე განვიცადე, ბავშვიც დავკარგე და ძალიან დიდხანს დეპრესიაში ვიყავი. ვიწექი ჩაბნელებულ ოთახში და არავის დანახვა არ მინდოდა. დღის სინათლეც კი საშინლად მაღიზიანებდა.

— **ირაკლი აღარ დაგკავშირებია?**

— კი, დათოს დაკრძალვიდან ერთი თვის მერე მესტუმრა. არ იცოდა, რომ ბავშვი დავკარგე. უცერემონიოდ ჩამომიჯდა ლოგინზე და მკითხა, ჩვენი შვილი როგორ არისო? ისტერიკაში ჩავვარდი. „მომშორდი, აქედან გაეთრიე", — ვყვიროდი... დედაჩემმაც კი არ დამინდო და მომახალა, სადაც წახვედი, ყველგან უბედურება მიგაქვსო. ეტყობა, ვერ აცნობიერებდა, რა დღეშიც ვიყავი. იმ ღამეს ვენები გადავიჭერი. ღმერთს არ უნდოდა ჩემი სიკვდილი და გადამარჩინეს.

— **სასწავლებელი თუ დაამთავრე?**

— ერთხანს სწავლა კი არა, სიცოცხლეც აღარ მინდოდა, მაგრამ მალე გამახსენდა, დათო რამდენს ჩამჩიჩინებდა, უნდა ისწავლოო და მეც დავამთავრე უნივერსიტეტი.

— **მუშაობ?**

— წელიწად-ნახევრის წინ დავიწყე სკოლაში მუშაობა. ბავშვებთან ურთიერთობამ ცოტათი გამომახედა ამ ქვეყნისკენ. რამდენჯერმე ექსკურსიაზეც კი წავიყვანე მოსწავლეები... დათოს უყვარდა ხოლმე ჩემთან ერთად ისტორიული ადგილების მონახულება. ხან მეგობრებთან ერთად, ხან მარტო მივდიოდით... მენატრება ის დრო, როცა დათოს გვერდით ვიყავი. ვცდილობ, წარსულით არ შემოვიფარგლო, მაგრამ მომავალზეც ვეღარ ვფიქრობ. მხოლოდ დღევანდელი დღით ვცხოვრობ. ალბათ, ეგეც რაღაცას ნიშნავს.

— **უნდა გახსოვდეს, რომ ყველას ჩვენ-ჩვენი ჯვარი გვაქვს საზიდი, რომელიც ვაი-ვიშით კი არა, რწმენით და იმედით უნდა ვზიდოთ. სიცოცხლე მაინც ტკბილია და ადამიანიც იმით ფასობს, როგორი ღირსებით გაივლის ცხოვრების გზას.**



# „ოცნების ბავშვს ოცნებაც ესაჭიროება“

ეს წერილი 13 წლის გოგონამ მოგვწერა... მარიამის დედა რამდენიმე წლის წინ მძიმე სენით დაავადდა. ნათესავებმა და მეგობრებმა სასწრაფო ოპერაციისთვის ფული შეაგროვეს, მაგრამ ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის ეს ზღვაში წვეთი აღმოჩნდა. ამიტომ ბინის გაყიდვა გახდა საჭირო. დედა გადარჩა, მაგრამ მათი ოჯახის „მოგზაურობაც“ იმ დღიდან დაიწყო...

„მე მარიამი ვარ, 13 წლის. დავიბადე და ვიზრდები თბილისში. კარგ მოსწავლედ ვითვლები, კლასიდან კლასში წარჩინების სიგელით გადავდივარ. მშობლების მსგავსად, აქამდე მიმაჩნდა, რომ სწავლა აუცილებლად გამომადგებოდა მომავალში, მაგრამ ამ ბოლო ხანს, როცა ჩემი ოჯახის გაუთავებელ პრობლემებს ვუყურებ, ეჭვი მიჩნდება. საჭიროა კი ასე თავგამოდებული სწავლა, როცა ბევრი, სწავლის გარეშეც იოლად ახერხებს მშვენიერი ცხოვრების მოწყობას? ჩემი მშობლებიც წარჩინებით სწავლობდნენ, ორივე მეცნიერია, პროფესორი და მაინც ძალიან უჭირთ ცხოვრება. იმ ოპერაციის მერე ხომ ვერა და ვერ დადგნენ ფეხზე. ან კი, რატომ უნდა გაეყიდათ ბინა ოპერაციის გამო? განა მათი ხელფასი საკმარისი არ უნდა ყოფილიყო მკურნალობისთვის? დედაჩემის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ჩემთვის უპირველესია, თუმცა, ვატყობ, რომ დედა ძალიან განიცდის, როცა ერთი ბინიდან მეორეში გადავდივართ. მე ჯერაც არ მაქვს ჩემი ოთახი, ჩემი კუთხე და კომპიუტერი. მშობლები მუშაობენ, მაგრამ მათ ვერ შეძლეს და ალბათ, ვერც ვერასოდეს შეძლებენ ბინის შეძენას. ერთ უმზეო, ვიწრო და ცივ ოთახში ვცხოვრობთ, ჩემი მშობლების ხელფასი კი ბინის ქირას ხმარდება. ტელევიზიით ხშირად ვუყურებ, როგორ ურემონტებენ ბავშვებს ოთახებს, როგორი ლამაზი და თანამედროვე დიზაინით უწყობენ; სამწუხაროდ, მე ოთახიც კი არ მაქვს და მის გალამაზებაზე როგორ ვიფიქრო? ამას წინათ, ჩემმა მეგობარმა მაჩვენა ის მშენებარე კორპუსი, სადაც მისი ბინა შენდება. გული მტკივა, რომ ჩემი მშობლები ვერასოდეს შეძლებენ ასეთი ბინის შეძენას საქართველოში, თუნდაც, პროფესორის ხელფასით. მე კი ჯერ ბავშვი ვარ და ალბათ, ეს ოცნებაც მეპატიება. ჩემი მეგობრები ახალი წლისთვის უამრავ სიურპრიზს ელიან, მე კი ისევ თოვლის ბაბუის საოცრებების იმედი მაქვს. იქნებ, შემოდგას ფეხი და ჩემი ოცნების ასრულებაც მამცნოს.

მარიამი“.



# სამწუხაროდ, ყველაფერში ვერ გაგიმართლებს

თქვენ კითხულობთ, დანაშაულია თუ არა სხვის პირად ცხოვრებაში ჩარევაო? მერე კი მამიდისა და მისი ძმისშვილის ამბავს გვიყვებით. მე გეტყვით, რომ სხვის ცხოვრებაში ჩარევა, როგორც ეს მამიდამ გააკეთა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. სულერთია, ვინც უნდა იყოს იგი — შვილი, შვილიშვილი თუ სხვა ახლობელი, არავის აქვს უფლება, თავისი სურვილისამებრ მოაწყოს სხვისი ცხოვრება.

მეც, მაგდას მსგავსად, მამის კეთილი სურვილების „მსხვერპლი“ ვარ. მან იცოდა, რომ ჩემთვის მისი სიტყვა ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. მე და ერთ ბიჭს ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. როცა ეს მამამ გაიგო, ჩემთვის არაფერი უთქვამს, სამაგიეროდ დედა გააფრთხილა: ჩვენს ქალიშვილს უთხარი, იმ ბიჭზე ფიქრს თავი დაანებოს, თავისი ტოლი და სწორი მოძებნოსო. მთელი ღამე ვიტირე ამ სიტყვების მერე, მაგრამ გადავწყვიტე, მამაჩემის სურვილი შემესრულებინა. ზურას იმ მიზეზით შევაქციე ზურგი, რომ ვითომ სხვა შემიყვარდა. მან ძალიან განიცადა ჩემთან დაშორება, მაგრამ რა უნდა ექნა? მე მასზე უარეს დღეში ვიყავი, თუმცა არ ვიმჩნევდი. მამის სურვილით, ცოლად მისი მეგობრის შვილს გავყევი. რა თქმა უნდა, მამას ჩემთვის კარგი უნდოდა და იმიტომ ამირჩია მისი მოწონებული ბიჭი საქმროდ, მაგრამ ვინ იცის, რა არის კარგი ან ცუდი? მერჩივნა, ზურასთან მრავალი გაჭირვება გადამეტანა, ვიდრე ჩემს ქმართან უდარდელად და უზრუნველად მეცხოვრა. იმ ოჯახში არაფერი მაკლდა, გარდა სიყვარულისა. 4 წელი ძლივს გავძელი ქმართან. ის ნარკომანი აღმოჩნდა. მართალია, წამლის ფულს ყოველთვის თვითონ შოულობდა (თანაც, საკმაოდ იოლად, რადგან ექიმი გახლდათ და საკმაოდ ბევრს იცნობდა „საჭირო“ წრიდან), არც აგრესიული იყო, მაგრამ მე საბაბი მინდოდა თითქოს... და, ეს საბაბიც მალე გამოჩნდა. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვაკადრე მამას ხმამაღალი სიტყვები: რას მერჩოდი, ან რას უწუნებდი ზურას? შენი მოწონებული ბიჭი ნარკომანია და ერთი დღეც არ ვყოფილვარ მასთან ბედნიერი. რა უფლება გქონდა, რომ სიყვარულზე უარი მათქმევინე; რახან მამა ხარ, ამიტომ შენი კარნახით უნდა მეცხოვრა-მეთქი? ამას რომ ვეუბნებოდი, თან ცხარე ცრემლებით ვტიროდი. მამაზე მძიმედ იმოქმედა ჩემი ოჯახის დანგრევამ. შემდგომში ყველაფერს აკეთებდა, რომ არაფერი გამჭირვებოდა. ჩემი ქმარი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა (წამლის გადაჭარბებული დოზით). ჩემი მშობლები ახლაც ცოცხლები არიან, მე მათთან ვცხოვრობ. მამას დედაჩემისთვის უთქვამს: თურმე, როგორ ვცოდავთ მშობლები, როცა შვილის კეთილდღეობის მიზნით ვერევით მათ ცხოვრებაშიო... მაგდას ამბავიც რომ წაიკითხა, მერე მე დამიდო ჟურნალი წასაკითხად... მე მაინც არ მივიჩნევ თავს უბედურად, რადგან მყავს ძალიან კარგი შვილი, ის 18 წლისაა და როგორც დედას, ბევრი შემომნატრის. რა ვუყოთ, თუ სიყვარულში არ გამიმართლა? ალბათ, ეს დაუწერელი, ცხოვრებისეული კანონია — ყველაფერში ვერ გაგიმართლებს ადამიანს!

სოფო, თბილისი“

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
ტელ: 899.27.25.61 ან ელფოსტით mbabunashvili@mail.ru

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაქ რეზმ და მარი-ადელაიდა

გონება უნდა დაძაბო, რომ სრულყოფილად შეაფასო მოვლენა, რომელსაც „ბელომის ფენომენი" ჰქვია. როგორი იყო ფრანგების ყოფა ტერორის წლებში?

საკმარისი იყო არასასურველი პირის ნათესაობა, სიტყვის დაუფიქრებლად წამოსროლა ან არასაკმარისი ენთუზიაზმის გამოჩენა, რომ მაშინვე ხელს დაავლებდნენ და სიკვდილს მიუსჯიდნენ. კარზე შემაშფოთებელი დაკაკუნება ყოველ წუთს შესაძლებელი იყო. ყველას ძრწოლა იპყრობდა, ექიმი ბელომის პანსიონის მცხოვრებთა გარდა.

ეს პანსიონი დღემდე არსებობს და მასზე 2 საუკუნის წინ გაკრული წარწერა კვლავაც გვაუწყებს, რომ კლინიკა ფასიანია.

1787 წელს, პიკარდიიდან ჩამოსულმა ჟაკ ბელომმა სულიერ ავადმყოფთა თავშესაფარი გახსნა. მათ გარდა აქ, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, დეპრესიით დაავადებულ ადამიანებსაც მკურნალობდნენ. აღსანიშნავია, რომ ბელომი პროფესიით ექიმი კი არა, მშენებელი იყო.

მისმა წამოწყებულმა საქმემ მალე წინ წაიწია. 2 წლის შემდეგ უკვე 46 პაციენტი ჰყავდა, რომელთაგან 9 საკუთარი ნებით იყო მისული. ისინი პანსიონატში იმ ცხოვრებას ემალებოდნენ, რომელიც ასე აშინებდათ.

რევოლუციის დროს ბელომი ახალი იდეების აქტიური დამცველი გახდა. სწორედ ამ დროს გაიცნო საჭირო ხალხი და მის „კომერციულ" გონებაში საკმაოდ უცნაური აზრი მომწიფდა. მან ფსიქიატრიული კლინიკის ფასიან სამკურნალო დაწესებულებად გადაკეთება გადაწყვიტა, სადაც სოლიდური თანხის საფასურად მდიდარი დამნაშავეები „იმკურნალებდნენ" და გილიოტინას ასცდებოდნენ.

ასე გაჩნდა პარადოქსებით სავსე დაწესებულება. მაშინ, როდესაც ხალხმა უსამართლობის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა, ერთ-ერთი, ყველაზე თავდადებული რევოლუციონერის კლინიკაში თავს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები აფარებდნენ და ვიდრე ისინი თანხის გადახდას შეძლებდნენ, სიკვდილით დასჯა არ ემუქრებოდათ. თუ საკითხს ამ კუთხით მივუდგებით, ბელომის კლინიკაში ყოფნა ფრიად სასიამოვნო იყო. პანსიონატის მცხოვრებნი ერთი წრის ადამიანები იყვნენ.

შენობა ულამაზეს ბაღში იდგა, სადაც ავადმყოფებს გასეირნების უფლებას აძლევდნენ. მისაღებ ოთახში პატარა კლავესინიც იდგა, რაც კონცერტის გამართვის საშუალებას იძლეოდა. საღამოობით კი ბანქოს თამაშიც შეიძლებოდა და სტუმრების მიღებაც. არსებობდა ერთი აკრძალვა: პანსიონატის ტერიტორიის დატოვება არ შეიძლებოდა! თუმცა, ასეთი სისულელის ჩადენა თავში არავის მოსდიოდა.

1 თვე პანსიონატში ცხოვრება 1.000 ფრანკი ღირდა და მასში სანთლის, შეშისა და ნახშირის ფასი არ შედიოდა. ამ თანხას კიდევ ემატებოდა მომსახურე პერსონალის და ბაღით სარგებლობის უფლებისთვის დაწესებული გადასახადი, ყავის, ნაღებისა და შაქრის ფასი. ასეთი დიდი ფასის გამო პანსიონატის მცხოვრებთა მატერიალური რესურსები მალე იწურებოდა. გადაუხდელობა კი იმას ნიშნავდა, რომ პანსიონატი უნდა დაეტოვებინა და გილიოტინის დანის ქვეშ დაწოლილიყო. ასეთი იყო ეს სახლი, როდესაც მასში 2 ახალი მცხოვრები გამოჩნდა. რეგისტრაციის ჟურნალში გაჩნდა ჩანაწერი: მოქალაქე მარი-ადელაიდა პენტევრი და მოქალაქე რუზე, დეპუტატი.

ვინ იყვნენ ეს ადამიანები, რომლებიც ბედმა შარონის ქუჩაზე არსებულ პანსიონატში მიიყვანა?

მარი-ადელაიდა ფილიპე ორლეანელის ქვრივი გახლდათ. ფილიპემ რევოლუციის დროს გვარი შეიცვალა და ეგალიტე გახდა. თავი კი იმით გამოიჩინა, რომ თავისი ბიძაშვილის, მეფე ლუდოვიკო XVI-ს სიკვდილით დასჯას ხელი მოაწერა. აღსანიშნავია, რომ მისი სიკვდილით დასჯისთვის ერთი ხმაც საკმარისი იყო. არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ფილიპს სხვაგვარი გადაწყვეტილება რომ მიეღო. თუმცა, ამ უხასიათო, უემური და უთავბოლო ადამიანისგან სხვაგვარ საქციელს არავინ ელოდა. მასზე ზეგავლენა ცოლის გარდა ნებისმიერ ქალს შეეძლო. განსაკუთრებით — მადამ დე ჟანლის. სწორედ ეს ქალი დანიშნა თავისი შვილების გუვერნანტად.

მარი-ადელაიდა მოთმინებით იტანდა ქმრის გამოხდომებს, მაგრამ ძალზე განიცდიდა. გრძნობდა, რომ მადამ დე ჟანლი შვილებზე გავლენას ახდენდა და ბავშვები მის მიმართ გაცივდნენ. ამასაც მოთმინებით იტანდა. თუმცა, ქმარი ამის გამო მისი მადლიერი სულაც არ იყო. მას ცოლის მორჩილება აღიზიანებდა, რადგან ჩუმ საყვედურად მიიჩნევდა.

ბოლოს, მარი-ადელაიდას ყველაფერი მოსწყინდა და მშობლებთან დაბრუნდა. წასვლისას ქმარს სთხოვა, მასა და მადამ დე ჟანლის შორის არჩევანი გაეკეთებინა. პასუხის მოსმენის შემდეგ ქმრის სახლი უკანმოუხედავად დატოვა.

მოგვიანებით თავად ფილიპს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი. ის ეშაფოტზე ამაყად თავაწეული ავიდა და შეკრებილი ბრბოს შეძახილებს გაყინული მზერით პასუხობდა.

იმ მამაკაცის სიკვდილმა, რომელსაც მარი-ადელაიდა თავის კანონიერ ქმრად მიიჩნევდა, ქალს გული გაუტეხა. იცოდა, ცოტა ხანში თავადაც ქმრის ბედს რომ გაიზიარებდა და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა, ბელომის დაწესებულებაში თავშესაფარი ეპოვა.

ამ დროისთვის პანსიონატში ცხოვრება არც ისე სასიამოვნო იყო, რადგან უფულოდ დარჩენილი პაციენტების უმეტესობა მის დატოვებას ცდილობდა, პანსიონატის ხელმძღვანელობა კი დარჩენილების მოსავლელად თავს არ იწუხებდა. თუმცა, შექმნილი ვითარება მარი-ადელაიდას ხელს არ უშლიდა, რომ თავი სამოთხეში წარმოედგინა. ის თითქოს ნელ-ნელა იღვიძებდა და საშინელ კოშმარს თავს აღწევდა. მანამდე წარმოუდგენლად მიაჩნდა ბაღში თავისუფლად სეირნობა. ფილიპე ორლეანელის სიკვდილმა მას

მხრებიდან უზარმაზარი ტვირთი ჩამოხსნა. ახლა მხოლოდ თავის შვილებზე ფიქრი შეეძლო და იმედი ჰქონდა, რომ მათ მალე შეხვდებოდა.

როდესაც მის მოსანახულებლად აბატი ლამბერი მივიდა, მოეჩვენა, რომ ქალს საკმაოდ დამშვიდებული სახე და მზერა ჰქონდა. მან არ იცოდა, რომ დიდი ხნის განმავლობაში მარი-ადელაიდამ თავი ბედნიერად პირველად იგრძნო.

მარი-ადელაიდამ და დეპუტატმა რუზემ ერთმანეთი პირველად პანსიონატში ნახეს და მათ შორის მაშინვე ურთიერთსიმპათია გაჩნდა.

რუზეზე მარი-ადელაიდასთან შეხვედრამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ის მოიხიბლა ქალის ატმისფერი კანით, ქერა თმითა და ლამაზი თვალებით. თუმცა, ყველაზე მეტად მისმა სინაზემ და სიკეთემ დაატყვევა. ის ყოველდღე უყურებდა, როგორ ზრუნავდა მარი-ადელაიდა სხვა „პატიმრებზე“, როგორ უნაწილებდა საკუთარ ულუფას, რომელიც მისთვის მადლიერ გლეხებს მოჰქონდათ, როგორი მომთმენი და მიმტევებელი იყო და მის მიმართ პატივისცემის გრძნობა თანდათან უმძაფრდებოდა. მარი-ადელაიდა მალევე მიხვდა, რა მშვენიერი გრძნობაა, როდესაც გიყვარს და უყვარხარ...



ვიდრე ისინი ბელომის პანსიონატის ტყვეები იყვნენ, მათ შორის მხოლოდ პლატონური ურთიერთობა იყო. ისინი იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ თავს ბედნიერად გრძნობდნენ და ეს არცთუ ისე ცოტაა.

რამდენიმე ხნის შემდეგ პანსიონატში ცხოვრება შეუძლებელი გახდა. სუსხიან ზამთარში გათბობის საშუალებაც კი არ იყო. პური, სანთელი და შაქარი ნამდვილი ფუფუნება გახლდათ. მარი-ადელაიდას ამის გამო უკმაყოფილება არასდროს გამოუთქვამს. ქალი, რომელიც საფრანგეთში ყველაზე მეტ სიმდიდრეს ფლობდა, ღარიბულად ცხოვრობდა, სციოდა, შიოდა, მაგრამ ამას არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ასე გრძელდებოდა 9 თვის განმავლობაში. მას რუზეს სიყვარული აძლებინებდა.

1795 წლის მარტში რუზე გაათავისუფლეს და ძველ თანამდებობაზე დააბრუნეს. მათი განშორება მტანჯველი აღმოჩნდა. ქალმა უამრავი ცრემლი დაღვარა, მაგრამ მამაკაცი ამშვიდებდა, რომ პანსიონატის გარეთ გასული მისთვის გაცილებით მეტის გაკეთებას შეძლებდა. თუმცა, ვერ შეძლო, რომ მარი-ადელაიდას დეპორტაციისთვის ხელი შეეშალა. რუზე თვითონ მივიდა პანსიონატში, ქალისთვის უსიამოვნო სიახლე რომ შეეტყობინებინა და თავად გახდა მოწმე, როგორ დატოვა პანსიონატი მისმა საყვარელმა ქალმა ჟანდარმების თანხლებით.

შესაძლებელი იყო, ყველაფერი აქ დასრულებულიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე, ყველაფერი ჯერ კიდევ წინ იყო... როდესაც ესპანეთ-საფრანგეთის საზღვარზე მესაზღვრემ ეტლი გაჩხრიკა, გროვად დაყრილი ტანისამოსის ქვეშ მყოფ მამაკაცს მიაკვლია.

— ვინ ხართ? — თვალები გაუფართოვდა მესაზღვრეს.

— ჟაკ მარი რუზე, — იყო პასუხი.

რუზემ ბოლო წუთს გადაწყვიტა, რომ ეტლს დასწეოდა და საზღვარი საყვარელ ქალთან ერთად გადაელახა.

ვინაიდან მას პასპორტი და ოფიციალური მიწვევა არ ჰქონდა, უკან დააბრუნეს და საზღვრის გადაკვეთის უფლება არ მისცეს. ის ბელგრადში, კოშკში გამოკეტეს.

მარი-ადელაიდა ევედრებოდა, რომ რუზე მასთან დაეტოვებინათ, ტიროდა და ნერვიულობისგან გონებაც დაკარგა. სწორედ ამით ისარგებლეს მესაზღვრეებმა, გონწასული ქალი ეტლში ჩასვეს და საზღვარზე გადაიყვანეს.

რუზეს ისღა დარჩენოდა, რომ კოლეგებისთვის თავისი საქციელის მიზეზი აეხსნა თუნდაც იმისთვის, რომ საზღვარზე გადასვლის უფლება მოეპოვებინა.

„ბატონებო, თუ თქვენგან ესპანეთში მივლინებას ვერ მივიღებ საიმისოდ, რომ საყვარელ ქალზე ვიზრუნო, შეგიძლიათ, ჩემი განცხადება დეპუტატობიდან გადადგომის მოთხოვნად მიიღოთ“, — განაცხადა მან.

რამდენიმე ხნის შემდეგ რუზე თავის საყვარელ ქალთან ერთად ბარსელონის ახლოს, ღარიბულ ქოხში დასახლდა.

მალე მარი-ადელაიდამ ესპანეთის მთავრობას რუზესთვის გრაფის ტიტული გამოსთხოვა. ისინი საყვარლები გახდნენ. თუმცა, მარი-ადელაიდას შვილები ამ ფაქტს ვერ ეგუებოდნენ.

შემორჩენილია მარი-ადელაიდას უფროსი ვაჟის, ორლეანელი ჰერცოგის, ლუი ფილიპეს წერილი:

„მას (დედას) სურს, რომ მისი საყვარელი მივიღოთ და ბრალს უყურადღებობაში გვდებს. ჩვენ მისთვის ისედაც ბევრი რამ გავაკეთეთ. მათი ურთიერთობის შედეგად ჩვენც დავზარალდით და ამის გამო უარს ვამბობ რაიმე დახმარების გაწევაზე. თუმცა, დედა ამას ძალიან განიცდის“...

საბრალო მარი-ადელაიდას ტყუილად ჰქონდა საყვარელ ადამიანთან ერთად მშვიდი ცხოვრების იმედი.

ჟაკ რუზე 1820 წლის მარტში გარდაიცვალა, 8 თვის შემდეგ კი მარი-ადელაიდამ მიაბარა სული უფალს. მათ ერთმანეთი 30 წლის განმავლობაში უყვარდათ.

ისინი მარი-ადელაიდას მიერ აშენებული კოშკის ეზოში დაკრძალეს. რამდენიმე წლის შემდეგ ლუი-ფილიპმა (ამ დროს ის უკვე მეფე იყო) კოშკის ეზოს მოწესრიგება გადაწყვიტა და ამ საქმეს მარტო შეუდგა. მან დედის და მისი საყვარელი მამაკაცის ძვლები ამოთხარა და ერთ საფლავში ჩაწყო.

არსებობს დოკუმენტები, რომლებიც ირწმუნებიან, რომ რუზეს ცოლი ჰყავდა. თუმცა, ამ სასიყვარულო ამბავში მისი ადგილი არ არის და არც გახსენება ღირს...




*დასაწყისი — „გზა", №38-50*

## მარი ხაფარიძე

კარგა ხანს ვიარე და უკან მობრუნებას არც ვაპირებდი, მაგრამ მერე გადავიფიქრე და მანქანა მოვაბრუნე. იმ ადგილს გავცდი, სადაც ნიცა დავტოვე, 5-6 კილომეტრიც გავიარე, მაგრამ გოგონა არსად ჩანდა. შევშინდი და უკან მოვბრუნდი. ძალიან ნელა მივდიოდი, რადგან უკვე დაბინდებული იყო და გზისპირს კარგად ვერ ვხედავდი. ხანდახან მანქანიდან გადმოვდიოდი, გვარიან მანძილს ფეხით გავდიოდი, ხმამაღლა ვეძახდი, მერე ისევ მანქანით ვაგრძელებდი გზას და ასე ვიარე კარგა ხანს, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ გავიგე.

დაბნეული და შეშინებული ვიყავი. სად უნდა წასულიყო? ვაითუ, ვინმე გიჟს გადაეყარა? როგორ მოვქცეულიყავი, ვერ გამეგო. ბოლოს, წამოსვლა ვამჯობინე. ვიფიქრე, რომ ალბათ გამვლელ მანქანას ან ტაქსის გაჰყვა ქალაქში-მეთქი და მასთან შინ მისვლა გადავწყვიტე.

რაღაც მაწუხებდა, ადგილს ვერ ვპოულობდი. მერე მივხვდი, რომ რადიოში რაღაც საშინელ სიმღერას გადმოსცემდნენ და ამ გაღიზიანებულ გუნებაზე საშინლად მოქმედებდა. ხმამაღლა შევუკურთხე და რადიო გამოვრთე. თან ჩემს თავს ქართულად, ხმამაღლა ველაპარაკებოდი. უეცრად, უკნიდან რაღაც ხმაური მომესმა. მიხედვაც ვერ მოვასწარი, რომ ვიღაცამ თვალებზე ხელები ამაფარა. ძლივს მოვახერხე დამუხრუჭება და მანქანის გაჩერება. როგორც იქნა, თვალებიდან ხელები მოვიშორე და უკან მივიხედე. ნიცამ შემომცინა.

— აქ როგორ აღმოჩნდი? — ძალიან გამიკვირდა მისი დანახვა.

— გაგიკვირდა? აქ არ ვიყავი?! ერთად არ მივდიოდით?!

— ჰო, მაგრამ შენ ხომ მანქანიდან ჩახვედი?

— ჩავედი, მაგრამ ვიცოდი, რომ მობრუნდებოდი. შენი მანქანა რომ დავინახე, გზის პირზე დავიმალე. ვიფიქრე, უკან, ქალაქისკენ რომ მობრუნდებოდი, მაშინ გამოვჩნდებოდი, მაგრამ შენ იქვე, ახლოს გააჩერე, მანქანიდან გადმოხვედი და ჩემი ძებნა დაიწყე. ჰოდა, მეც დრო ვიხელთე და მანქანაში შემოვიპარე, — კარგ დაგვარჩინა და სხვა დროს რა იქნება, არ ვიცი, — წარმოვიდგინე, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, მანქანის გაჩერება რომ ვერ მომესწრო და ტანში გამცრა.

ქალაქში დავბრუნდით. გადავწყვიტე, ნიცა შინ მიმეყვანა, მაგრამ შემეხვეწა, შენთან სტუმრად წამიყვანეო და გეზი შევცვალე.

შინ მისულმა ბიჭებს ნიცა წარვუდგინე. ვიტალი გოგონას არ იცნობდა და გაუკვირდა მისი დანახვა. შეათვალიერა და მოწონების ნიშნად დაუსტვინა.

— ეს ვინაა? — ვერ მოითმინა და იკითხა.

— ეს ნიცაა.

— შვილო, ბაღში უკვე იყავი? — როგორც ჩანს, მისი ასაკი

გადავწყვიტე, ნიცა შინ მიმეყვანა, მაგრამ შემეხვეწა, შენთან სტუმრად წამიყვანეო და გეზი შევცვალე

გუნებაზე იყო ნიცა და ხმამაღლა იცინოდა.

— ასე ხუმრობა არ შეიძლება, — ჭკუა დავარიგე.

— არც ისე შეიძლება მოქცევა, როგორც შენ მოიქეცი.

— კარგი, შევრიგდეთ, — აღარ გავამწვავე სიტუაცია, რადგან თავს ნაწილობრივ დამნაშავედ ვგრძნობდი, — ისე, თვალებზე რომ ხელს მაფარებდი, რაზე ფიქრობდი? ახლა ღმერთმა გასწორად განსაზღვრა.

— კი, ახლა წამომიყვანა, — ჩემზე ანიშნა თვალით.

— ფაფის გაკეთება ვინ იცის? — ხმამაღლა იკითხა ვიტალიმ და ბიჭებს გადახედა.

ისინი სერიოზული სახით შეჰყურებდნენ. ვიტალი მიხვდა, რომ ზედმეტი არ უნდა მოსვლოდა და გაჩუმდა. მერე სავარძელზე დაყრილი ტანისამოსი წამოკრიბა და ნიცას ადგილი გაუთავი-

სუფლა.

ბიჭებმა და ნიცამ ერთმანეთს მშვენივრად გაუგეს. მე კი გეგას სამზარეულოში ველაპარაკებოდი.

— რიჟას ყურამდე მისულა, რომ რადნოის მის ცოლთან კავშირი ჰქონია და ცოლი სადღაც აორთქლებულა, — მეჩურჩულებოდა გეგა.

— გაასწრო? არა მგონია, რიჟას ხელიდან დასხლტომოდა, თუ გაიგო, ალბათ ჩააძაღლა კიდეც. არც ისაა გამორიცხული, რომ ეს ქალი ისევ რადნოის წინააღმდეგ გამოიყენოს, — ჩემი ვარაუდი გამოვთქვი, — ხვალინდელი „სხადნიაკი“ ხომ არ გადაიდო?

— არავის არაფერი უთქვამს, ალბათ ამის გამო არ ჩაიშლება. ხუმრობა ხომ არაა, 40 ქურდი ჩამოდის.

— შენ ეს ამბები ვინ გითხრა?

— ფათირასთან ვიყავი, გაგიჟებულია კაცი...

ნიცა იმ ღამით ჩვენთან დარჩა. ის ჩემს ოთახში დავაწვინე, მე კი მისაღებ ოთახში დავწექი. ბიჭებს გაუკვირდათ ჩემი საქციელი და არც ნიცა იყო ნაკლებად გაოცებული, მაგრამ არ შევიმჩნიე და ცოტა ხანში გემრიელი ფშვინვა ამოვუშვი.

დილით ნიცა შინ წავიყვანე. გზაში ვერ ისვენებდა და ენას არ აჩერებდა.

— წუხელ მარტო რატომ დამაწვინე? — მკითხა ბოლოს, როცა მის ეზოში გავჩერდით.

— იმიტომ, რომ ასე იყო საჭირო.

— მაინც?

— მაინც? რომ გითხრა, არ გაბრაზდები?

— უარის ნიშნად თავი გააქნია.

— როცა შინ მარტო არ ვარ და ბიჭებიც არიან, მაშინ მხოლოდ ბოზს თუ მივიყვან და მასთან ერთად ჩემს ოთახში განვმარტოვდები. შენ ამას არ გაკადრებ...

**თუ გაიგო, ალბათ ჩააძაღლა კიდეც. არც ისაა გამორიცხული, რომ ეს ქალი ისევ რადნოის წინააღმდეგ გამოიყენოს**

— ეს რა, ცუდი ტონია?

— რა თქმა უნდა, ეს მიღებული არაა.

— უცნაური წესები გაქვთ, ქართველებს, — ჩაილაპარაკა ნიცამ.

— ეს ქართული კი არა, კაცური წესია, — ავუხსენი, მაგრამ გაიგო თუ არა, არ ვიცი.

შეხვედრა შუადღის 3 საათზე იყო დანიშნული, მოსკვარეკაზე. საამისოდ სპეციალურად თბომავალი იყო დაქირავებული. იქ, მდინარეზე მართლაც მშვიდად შეიძლებოდა საუბარი.

მე და გეგა რომ მივედით, ფათირა უკვე იქ დაგვხვდა. ზოგიერთი ჯერ კიდევ მოსასვლელი იყო და მათ ველოდით.

— გაიგე ახალი ამბავი? — შეთქმულივით გადამილაპარაკა ფათიამ.

— კი, გავიგე, — თავი დავუქნიე.

— აუუ, აქ ამბავი ატყდებააა?!

— რიჟა მოვიდა?

— ჯერ არა, არც რადნოი მოსულა. ბიჭები ქვემოთ არიან, სვამენ და ბილიარდს თამაშობენ, წამო, ჩავიდეთ, — იდაყვი გამკრა ფათირამ და კიბეზე დავეშვით.

იქ მყოფნი ოვაციით შეგვხვდნენ. ერთმანეთი მოვიკითხეთ. მე და ფათირამ თავისუფალი მაგიდა მოვძებნეთ და ბილიარდის თამაშს შევუდექით. ოთახში ისეთი ხმაური იდგა, ყურებში გუგუნის ხმა მედგა.

უეცრად, კარში რიჟა გამოჩნდა და ყველა გაჩუმდა.

შემოვიდა, ხელის აწევით მოგვესალმა, ბართან მივიდა და ლუდის ბოთლი აიღო. იქვე ჩამოჯდა და იქ მყოფნი შეგვათვალიერა. ამ დროს კარში რადნოიც გამოჩნდა. მოღუშული, წარბშეკრული და პირქუში იყო. ოთახს თვალი მოავლო.

— დარბაზში გავიდეთ, ვინც მოსასვლელი იყო, ყველა მოვიდა. უკვე ნაპირსაც მოვცილდით და ახლა რომც მოინდომოს, ველარავინ შემოგვემატება, — თქვა და თვითონ უკან გაბრუნდა.

ახლა არც მის და არც რიჟას ადგილზე ყოფნას არ ვინატრებდი.

ყველანი გავიკრიბეთ, დარბაზში გავედით და წრიულად დალაგებულ სკამებზე დავსხედით.

არ ვიცი, რატომ ხდება ასე, მაგრამ „სხადნიაკზე“ რატომღაც ყოველთვის ასე ხდება. დაუწერელი კანონია, რომ ქურდები წრეზე სხდებიან და ისე ლაპარაკობენ.

ყველა დუმდა. სიჩუმე ფათირამ დაარღვია.

— ამ ბოლო დროს სიტუაცია ძალიან დაიძაბა, უამრავი მსხვერპლია, ასე თუ გავაგრძელეთ, პრობლემები შეგვექმნება.

— მოიცა, ფათირ, — ხელით შეაჩერა რადნოიმ, — ჯერ ჩემი და რიჟას ამბავი გავარკვიოთ.

— კარგი, — ორივე ხელი ასწია ფათირამ.

— რიჟა, ჯერ ის უნდა თქვა, კაცი რომ მოგიგზავნე, რატომ მოკალი?

— არ მომიკლავს, შემომაკვდა, — თვალები ჯიქურ გაუსწორა რიჟამ.

— ტყუილია, კი არ შემოგაკვდა, მოკალი, გესტაპოელივით დახვრიტე. გინდა, გითხრა, როგორ?

— მაინტერესებს, რა ვერსია გაქვს.

— ოთახში შეიყვანე და სათქმელი ბოლომდე რომ თქვა, იარაღი ამოიღე, შუბლზე მიადე და ესროლე. სიტყვაც არ გითქვამს მისთვის, ისე დახვრიტე.

— საიდან იცი? — გაუკვირდა რიჟას.

— ეგ ჩემი საქმეა, საიდანაც ვიცი. ამის გარდა კიდევ ბევრი რამ ვიცი...

— ის ძუკნა, ჩემი ცოლი რომ იყო და შენი საყვარელი, ჩემი ამბები შენამდე რომ მოჰქონდა და ეგ ამბავიც ჩაგიკაკლა, გუშინ ჩავაძაღლე და იმ შენს მოგზავნილ კაცს გავაყოლე.

— აკი გაიქცაო? — გაოცება ვერ დამალა ფათირამ.

— მე ვერავინ გამექცევა, — ბოროტად ჩაიცინა რიჟამ და რადნოის გახედა.

რადნოიმ მუშტები შეკრა. მივხვდი, სადაცაა, აფეთქდებოდა. რიჟას მუქარით სავსე მზერას არ აპატიებდა. შესაძლოა, ომიც ამტყდარიყო.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში

# ყველაზე საშიში ადგილები დედამიწაზე

**თურმე დადამიწაზე ისეთი საშინელი ადგილები არსებობს, რომლის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. ადრენალინისა და საშიში თავგადასავლების მოყვარულებს თავისკენ იზიდავენ და ისეთი სანახებისკენ იწვევენ, რომელსაც სხვა, ჩვეულებრივი ტურისტები თვალს არიდებენ. მაშ ასე, 10 ყველაზე საშიში ადგილი:**

## 1. მიუტერის მედიცინის ისტორიის მუზეუმი ფილადელფიაში



ეს პათოლოგიების, ძველებური სამედიცინო ინსტრუმენტებისა და ბიოლოგიური ექსპონატების მუზეუმია. ის ყველაზე მეტად თავის ქალების სიმრავლითაა ცნობილი. აქ თავმოყრილია უნიკალური ექსპონატები. მაგალითად, ქალის გვამი, რომელიც მიწაში საპნად გადაიქცა; სიამის ტყუპი, რომელიც თავის ქალებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული; ორთავიანი ბავშვის თავის ქალა და სხვა.

## 2. ლაგუნა ტრუკი ინდონეზიაში

იაპონიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძირითადი ნაწილი ახლა ლაგუნა ტრუკის არცთუ ღრმა ფსკერზე განისვენებს. ჟაკ კუსტოს მიერ გამოკვლეული ცისფერი ფსკერი 1944 წელს ჩაძირული სამხედრო გემებისა და თვითმფრინავების ნამსხვრევებითაა მოფენილი. ეს ადგილი დრაივერებისთვის 1971 წლიდან გაიხსნა, მაგრამ ბევრს დღესაც ეშინია იმ ეკიპაჟის წევრების ჩონჩხების, რომლებიც კვლავ თავის საბრძოლო ადგილზე იმყოფებიან. ნამსხვრევები დიდი ხანია, მარჯნის რიფებს შეეზარდნენ, მაგრამ კვლავ უამრავი, ცნობისმოყვარე ტურისტი ეწირება მსხვერპლად.





## 3. სონორის ჯადოქრული ბაზარი მექსიკაში

მეხიკოელი, ვიწრო კაბინებში მსხდარი ჯადოქრები 10 დოლარის საფასურად სიღარიბის და მოღალატე მეუღლისგან თავის დაღწევას გთავაზობენ. მათ უკან, კედელზე კი ეგზოტიკური იაგუანები, ბაყაყები და გარეული ფრინველებია. სონორის ბაზარი ყოველდღე ღიაა როგორც ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის, ასევე ტურისტებისთვის, რომლებიც მეხიკოში სპეციალურად, მომავლის წინასწარმეტყველებისთვის ჩადიან. ენთუზიასტებს აქ უამრავი ჯადოსნური ნივთის შეძენა შეუძლიათ. მაგალითად, ჩხრიალა გველის სისხლი, „გამხმარი“ კოლიბრი ავგაროზის დასამზადებლად... თუმცა, უნდა გახსოვდეს, რომ მექსიკაში ჯადოქრობა სახუმარო სულაც არ გახლავთ. ჯადოქრების ნაციონალური ასოციაცია საპრეზიდენტო არჩევნებში იყო ჩართული, ყველაფერი ისე რომ დასრულებულიყო, როგორც ხელისუფლებას სურდა.

## 4. აღდგომის კუნძული ჩილეში

დედამიწაზე ერთ-ერთ ყველაზე იდუმალებით მოცულ ადგილად აღდგომის კუნძული მიიჩნევა. აქ ქვისგან გამოთლილ, უზარმაზარ ფიგურებს შეხვდები,



რომლებიც მიწაში არიან ჩაზრდილი. ფიგურები ცაში „იყურებიან", თითქოს მისტიკურ დანაშაულში ბრალი მიუძღვით. მხოლოდ ქვის გიგანტებმა იციან, სად გაქრნენ ადამიანები, რომლებმაც ისინი შექმნეს. არავინ იცის მათი შექმნის მიზეზის შესახებ. თითოეული ფიგურა 21 მეტრი სიმაღლისაა და 90 ტონას იწონის. თუმცა, მათ გადააადგილებდნენ ხოლმე რამდენიმე კილომეტრის მანძილზე იმ კარიერიდან, სადაც მათ სკულპტორები ამზადებდნენ. ახლა იმ კუნძულზე, სადაც ერთ დროს მძლავრი ცივილიზაცია იყო, ცხოვრება ძლივს მიღოღავს.

## 5. მანჩაკის ჭაობი ლუიზიანაში

ჭაობში, ჩირაღდნის შუქზე, ნავით მოსეირნე ტურისტებს უძველესი კვიპაროსები აოცებენ. შორიდან ყმუილი ისმის, რომელიც მგლის ყმუილს ჰგავს. მანჩაკის ჭაობს მოჩვენებების ჭაობსაც უწოდებენ. ის ნიუ-ორლეანის ახლოს მდებარეობს. ამბობენ, რომ ჭაობი ვუდუს დედოფალმა დაწყევლა, როცა ის XX



საუკუნის დასაწყისში ტყვედ აიყვანეს. 1915 წელს ჭაობს ქარიშხალმა გადაუარა და 3 სოფელი ჩაძირა. ამ მშვიდი ადგილის სიჩუმეს ხანდახან, წყლის ზედაპირზე მოულოდნელად ამოსული, 100-წლიანი გვამის ხმაური არღვევს. თუმცა, ალიგატორები, რომლებიც ამ ჭაობში მრავლად ცხოვრობენ, ცოცხალი ტურისტებით პირის ჩაგემრიელებაზეც არ ამბობენ უარს.

## 6. პარიზის კატაკომბები

თავის ქალებისა და ძვლებისგან აშენებული კედლებით ტალანი კეთდება. აქ ჰაერი მშრალია და



გახრწნილი გვამის სუნი სულ ოდნავ შეინიშნება. იმის მერე, რაც პარიზის მიწის ქვეშ, კატაკომბებში მოხვდები, უმალვე მიხვდები, რატომ დაწერეს ვიქტორ ჰიუგომ და ენ რაისმა სწორედ ამ მიწისქვეშეთზე. კატაკომბების საერთო სიგრძე 187 კილომეტრია და მთლიანად ქალაქის ქვეშ გადის. მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია დამთვალიერებლებისთვის ხელმისაწვდომი. ამბობენ, რომ დანარჩენ, დახურულ ნაწილში პატრულის სპეციალური ბრიგადა მორიგეობს. ალბათ, სიმართლესთან ახლოს იქნება, თუ ვიტყვით, რომ საპატრულო ბრიგადა კი არა, გარდაცვლილთა სულები ან ვამპირები დაძრწიან.



## 7. ვინჩესტერების სახლი კალიფორნიაში

ვინჩესტერების „ჯადოსნური" სახლი კოლოსალურ კონსტრუქციას წარმოადგენს, რომლის შესახებაც უამრავი დაუჯერებელი ამბავია ცნობილი. ერთმა მკითხავმა დიასახლისს, სარა ვინჩესტერს (იარაღის დამამზადებელი კომპანიის მემკვიდრე) უთხრა, რომ მათ მიერ დამზადებული იარაღით მოკლული ადამიანების სულები მოსვენებას არ მისცემდნენ, თუ თავისი სახლიდან დასავლეთით არ წავიდოდა და ისეთ სახლს არ ააშენებდა, რომელსაც მის სიცოცხლეში ვერ დაასრულებდნენ. მშენებლობა სან-ხოზეში, 1884 წელს დაიწყო და 38 წლის განმავლობაში, სარას გარდაცვალებამდე არ დასრულებულა. ახლა, უზარმაზარი სახლის 160 ოთახში სულები და მოჩვენებები დაძრწიან. იქ მყოფ ადამიანებს კარის ჯახუნის, ნაბიჯების, კარის სახელურების ხმა ესმით. ღამღამობით კი ფანჯარაში ცეცხლის მოციმციმე ალიც მოჩანს. თუ მოჩვენებების არ გჯერა, სახლი თავისი მასშტაბით წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

## 8. მერი კინგის ჩიხი

ედინბურგში რამდენიმე ძველი ქუჩაა, სადაც XVII საუკუნეში შავი ჭირით დაავადებულ ადამიანებს



ტოვებდნენ, რათა განცალკევებით მომკვდარიყვნენ. ეს ადგილი პოლტერგეისტებითაა ცნობილი. აქ მყოფ ტურისტებს უხილავი რაღაცები ხელებსა და ფეხებზე ეხება. მიიჩნევენ, რომ ეს ენის ლანდია. ის 1645 წელს, ერთ-ერთ სახლში გარდაიცვალა. 100 წლის შემდეგ, ჩიხის ადგილას ახალი, დიდი შენობა ააგეს, ხოლო ენის სახლი ხელუხლებლივ დატოვეს. იქ მყოფ ტურისტებს აფრთხილებენ, რომ როდესაც სიკვდილის სუნს შეიგრძნობენ, მთავარია, ერთ ადგილზე არ გაჩერდნენ.

## 9. ოკულტური სააბატო სიცილიაზე.

ალისტერ კროული ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოკულტიზმის მიმდევარი იყო. მისი ქვის სახლი ახლაცაა შემორჩენილი. ის ოდესღაც სატანური ორგიების ადგილი გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, XX საუკუნის დასაწყისში ასე მიიჩნევდნენ. კროულიმ ტელემის სააბატო დააარსა, რომელსაც სახელი „გარგანტუაში“ აღწერილი უტოპიის პატივსაცემად დაარქვა. მისი დევიზი იყო: „გააკეთე, რაც გსურს!“ სააბატოს ახალ წევრს აიძულებდნენ, რომ ღამე „საშინელებათა ოთახში“ გაეტარებინა, სადაც ჰეროინითა და მარიხუანით გაბრუებული სტუმარი მიწაზე დახოხავდა. მას შემდეგ, რაც სააბატოში ცნობილი, ინგლისელი დენდი გარდაიცვალა, ჟურნალისტებმა სკანდალი ატეხეს და



„დაწესებულება“ დაიხურა. ცნობილმა, „იატაკქვეშა“ რეჟისორმა ამ სახლში ფილმი გადაიღო, რომელიც მოგვიანებით უგზო-უკვლოდ გაქრა. ამჟამად სააბატო დანგრეულია და მცენარეებითაა დაფარული, მაგრამ კედლებზე რამდენიმე ფრესკაა შემორჩენილი, რომლითაც კროული მნახველებს აშინებდა.



## 10. ჩერნობილი უკრაინა

ჩერნობილში ჩასული ადამიანი მოულოდნელობისგან გახევდება, რადგან აქ სახლები ისევეა მიტოვებული, როგორც 1986 წლის ცნობილ ავარიამდე იყო. ყველა ნივთი ადგილზე დევს, ოღონდ, მტვრის სქელი ფენითაა დაფარული. ყველა კარი ღიაა, ოთახებში სათამაშოები ყრია, ავტოსადგომზე უამრავი მანქანა დგას...

ახლა, როცა რადიაციის დონე დასაშვებ ნორმამდე დავიდა, ჩერნობილი დროებით, ტურისტებისთვის გახსნეს. თუმცა, გადაადგილება მკაცრადაა შეზღუდული. როგორც წესი, ტურისტები კიევიდან ავტობუსით გამოდიან, შემდეგ კი ატომურ სადგურამდე ფეხით მიდიან. ქალაქი-მოჩვენება დუმს და დამთვალიერებელს პირქუშად ხვდება. აქა-იქ კი ქალაქის მცხოვრებთაც შეხვდები, რომლებიც თვითნებურად ჩასახლდნენ „მკვდარ ზონაში“.

●

მოკლე ჩართვა

# ვინ ვარ მე?

• ვინ ვარ მე? მე ვარ... ისა, რა ჰქვია... ფუჰ, კაცს მჭადის სახელი რომ დაგავიწყდება... მოიცა, „პირადობაში“ ვნახოთ... დათო.

• ვინ ვარ მე? საიდან მოვდივარ და სად მივდივარ? ეს მარადიული კითხვები მთელ კაცობრიობას აწუხებს. მარი, თუ „გზაჯრილების“ რუბრიკა მარადიულია, მაშინ ამ კითხვაზე სიცოცხლის ბოლოს გიპასუხებ, როცა შევაჯამებ ჩემს ცხოვრებას, ჩემი ნაღვაწის მიხედვით. დღევანდელი კრიტერიუმებით კი კაი ტიპი ვარ, რაა... მტირალ-მცინარი პიეროს და არლეკინის სინთეზი. ცხოვრების სასწორი ბოლოს რომელსაც გადაწონის, ის ვიქნები. ელექტრა.

• ყველაზე ძნელი საკუთარი თავის შეცნობაა. მე ვარ ნაზი, საყვარელი, პრანჭია გოგო. სხვები კი, რატომღაც ამბობენ, ეგ ისეთია, გველი შხამს მაგისგან სესხულობსო. არადა... პრანჭო.

• „ადრე „სპრაიტის“ რეკლამა იყო ხოლმე — „იყავი ის, ვინც ხარ“, თუ რაღაც ამდაგვარი და მერე ანეკდოტიც გაჩნდა — კახელმა თქვა, მე უბრალოდ მინდა ვიყო მეო და ვირად გადაიქცაო. ამ ანეკდოტს ვუყვებით სვან ძმაკაცს და ვემეხიმ ცოტა ხნის შემდეგ გვითხრა: რა იყო, რას მიყურებთ, სვანი ბევრი-ბევრი, ხედ გადაქცეულიყოო. მაგრად ვიცინეთ. ახლა ეს მოკლე ჩართვის კითხვამ გამახსენა. ძალიან მიყვარხართ სვანებიც და კახელებიც. გაკოცეთ. ელისო“.

• შენ რა გითხრა, როცა თვითონაც ვერ გამირკვევია, ვინ ვარ მე და რა საინტერესოა, ნეტავ, ვინ ვარ?

• ვინ ვარ მე? ერთი პატარა და ჩვეულებრივი არსება, რომელსაც ღმერთმა ადამიანობა არგუნა. რა უნდა? ცოტაოდენი გაგება და მიიღონ ისეთი, როგორიც არის

>>> 12

# სიკვდილის უფლება

**დოკუმენტალისტებს უფლება მისცეს, ფირზე აღებეჭდათ 59 წლის ბრიტანელის, კრეიგ ევერტის ევთანაზიის პროცესი. ის უკურნებელი სენით იყო დაავადებული და ევთანაზიაზე თანხმობა მისი ქვრივის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ მისცეს. ევთანაზიის პროცესი სკანდალებით ცნობილ, შვეიცარიის კლინიკაში ჩატარდა. აღნიშნული კლინიკა ბევრ ადამიანს ეხმარება, ეს სამყარო რომ დატოვოს. ევერტი ბრიტანეთის ქალაქ ჰეროგიეტში ცხოვრობდა და იცოდა, რომ მძიმე დაავადების შედეგად ერთ დღეს სუნთქვა გაუჩერდებოდა და გარდაიცვლებოდა. მან „სიკვდილის უფლება“ გამოიყენა და ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ სპეციალური პრეპარატის სასიკვდილო დოზა დალია. 30 წუთის შემდეგ ის სიცოცხლეს გამოესალმა. მანამდე კი განაცხადა, რომ თვითმკვლელობა გარდაუვალი სიკვდილის გამო განიზრახა. არ უნდოდა, ოჯახის წევრები თავისი ავადმყოფობით დაეტანჯა.**

*მარი ხაზარიძე*

ბრიტანეთის ერთ-ერთმა სატელევიზიო არხმა ცნობილი მორაგბის, 23 წლის დანიელ ჯეიმსის ევთანაზიის პროცესის პირდაპირი ეთერით ჩვენება გადაწყვიტა. ჯეიმსი თამაშის დროს მოწინააღმდეგე გუნდის წევრებმა გადათელეს და ტრავმის შედეგად ოთხივე კიდური უმოქმედო გაუხდა. ჯეიმსის მშობლების თქმით მან ჩათვალა, რომ გაუსაძლისი იყო მისი სიცოცხლე და ზემოთ ხსენებულ, შვეიცარიის კლინიკას, Dignitas-ს მიაშურა...

Dignitas იურისტმა, ლუდვიგ მინელიმ დააარსა. ის თავის ინტერვიუებში აღნიშნავს, რომ სიკვდილი ადამიანის ერთ-ერთი უფლებაა. კლინიკამ ევთანაზია ბრიტანეთის 100-ზე მეტ მოქალაქეს ჩაუტარა. ბრიტანეთის კანონმდებლობით ევთანაზია აკრძალულია.

აღსანიშნავია, რომ ევთანაზიის მსურველი ასაკოვანი ადამიანები, მსოფლიოს ყველა კუთხიდან მექსიკაში ჩადიან. იქ შესაძლებელია, იაფად და კანონიერად შეიძინონ სპეციალური პრეპარატი, რომელიც სიცოცხლესთან უმტკივნეულოდ გამომშვიდობების საშუალებას იძლევა. ის აფთიაქში რეცეპტის გარეშე იყიდება და ვეტერინარები ცხოველებისთვის გაუტკივარების საშუალებად იყენებენ.

ევთანაზია ბერძნული სიტყვაა და „კარგ სიკვდილს“ ნიშნავს.

იმ ადამიანების დახმარება და სიცოცხლის მოსწრაფება, ვინც უკურნებელი სენითაა დაავადებული, მხოლოდ მსოფლიოს 4 ქვეყანაშია კანონით დაშვებული — ბელგიაში, ლუქსემბურგში, საფრანგეთსა და იტალიაში.

ინგლისში მძიმედ დაავადებულ ადამიანებს მკურნალობაზე უარის თქმის უფლებას აძლევენ.

გთავაზობთ ინტერვიუს ადამიანთან, რომელიც ევთანაზიის პროცესს ახლობელი ადამიანის თხოვნით, ამსტერდამში დაესწრო.



**ლაურა ძუმსიაშვილი:**

— ამსტერდამში ისევე მოვხვდი, როგორც დანარჩენი ქართველები — სხვადასხვა ქვეყანაში. 20 წლის ვიყავი, როდესაც უცხო ქვეყანაში გავემგზავრე და დამოუკიდებლად ცხოვრება დავიწყე. სამსახური მალევე ვიშოვე და ერთ-ერთ ოჯახში მოხუცის მომვლელად ამიყვანეს. საკმაოდ მდიდარი ოჯახი იყო, მოხუცი ჰანსი მარტო ცხოვრობდა. იქვე, 2 კორპუსის იქით კი მისი ვაჟი და რძალი ცხოვრობდნენ. ჰანსთან 7 წელი ვიმუშავე და ვგრძნობდი, რომ საკუთარ შვილზე მეტად ვუყვარდი. 84 წლის ასაკში ავად გახდა. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მას მეოთხე სტადიის კიბო ჰქონდა. ძალიან განვიცდიდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს საკუთარი მშობელი მიკვდებოდა. როცა ექიმმა უთხრა, რომ მხოლოდ 2 კვირის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი, მოხუცმა გადაწყვიტა, რომ სიცოცხლე არ ღირდა და ევთანაზია მოითხოვა. საღამოს, როდესაც მასთან მარტო დავრჩი, ვთხოვე, უარი ეთქვა თვითმკვლელობაზე, მაგრამ მიპასუხა: ამ 2 კვირის განმავლობაში დიდი ტკივილის გადატანა მომიწევს, ხომ ხედავ, ყველაზე ძლიერი გამაყუჩებლებიც კი აღარ მშველის, საწოლიდან ველარ ვდგები და დამოუკიდებლად ჭამაც აღარ შემიძლიაო. — მე მოგივლიმეთქი, დავამშვიდე. გაიღიმა და თავზე ხელი გადამისვა. — ჩემმა ცხოვრებამ აზრი დაკარგა და არ მინდა, ღმერთის განაჩენს დავ-



*როგორ სიმაღლეზე დგახარ, იმაზეა დამოკიდებული, თუ რას მიიჩნევ ფსკერად.*



ელოდო, მირჩევნია, საკუთარ თავს განაჩენი თავადვე გამოვუტანოო. მისი შეჩერება ვერ შევძელი. მეორე დღეს თავისი გადაწყვეტილების შესახებ შვილსა და ახლობლებს გაუმხილა. შემდეგ, ოფიციალური განცხადებაც დაწერა. ამის შემდეგ კანონით დადგენილი პროცედურა გაიარა და ევთანაზიის ჩატარების დღე და საათი დაინიშნა.

**— ეს ყველაფერი სად ხდებოდა?**

— მის სახლში. ჰანსის მოთხოვნით უამრავი ადამიანი შეიკრიბა. მისი სურვილის თანახმად, ყველა სათითაოდ შედიოდა საძინებელში და მოხუცს ეთხოვებოდა. მე მისალები ოთახის კუთხეში ვიდექი და ვტიროდი. ბოლოს ჩემი ნახვაც მოისურვა და თავისთან მიხმო. ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ. გულის ამაჩუყებელი სცენა იყო, ცრემლი ღვარად მომდიოდა. ის კი იღიმოდა და მშვიდად მესაუბრებოდა. შემდეგ მთხოვა, რომ დანარჩენებისთვის დამეძახა. ყველანი შემოვიდნენ და საწოლის გარშემო დადგმულ სკამებზე ჩამოსხდნენ. მის თავთან შვილი და რძალი იდგნენ. ყველას გვთხოვა, რომ ერთმანეთისთვის ხელი ჩაგვეჭიდა. ცოტა ხანში ჰანსი ახლობელი ადამიანებისგან შექმნილი ცოცხალი ჯაჭვის შუაგულში აღმოჩნდა. ყველას თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი. ოთახში ჰანსის საყვარელი მელოდია გაისმა. ის ყველას გვათვალიერებდა და გვიღიმოდა. მის თვალებში სევდა მოჩანდა და არა — შიში. როდესაც მელოდია დასრულდა, ოთახში მისი ექიმი შემოვიდა. მან აგვიხსნა, რომ ჰანსს 2 ნემსს გაუკეთებდა. ერთი ძლიერი საძილე საშუალება იყო, მეორე — კუნთების მუშაობას შეუჩერებდა, მაშასადამე, გულის მუშაობასაც. პირველი ინიექციის შემდეგ 2 წუთის განმავლობაში ჰანსი ყველას მზერით გვემშვიდობებოდა. შემდეგ თვალები დახუჭა და დაეძინა. როცა ექიმი დარწმუნდა, რომ ჰანსს ღრმად ეძინა, მეორე ინიექციაც გაუკეთა.

მან ნელ-ნელა სუნთქვა შეაჩერა და ბოლოს, გარდაიცვალა.

**— რა განცდა გქონდა? ხომ არ მოგეჩვენა, რომ ეს არაჰუმანური პროცედურაა?**

— არა, პირიქით, მომეჩვენა, რომ ეს ძალზე ჰუმანურია და პირველად ვნახე, მომაკვდავის ოჯახთან ასეთი დამშვიდობება...

**— როგორც ვიცი, ჰანსს ანდერძში შენც ჰყავდი მოხსენიებული.**

— დიახ, როდესაც მისი ანდერძი ხმამაღლა წაიკითხეს და ჩემი სახელი და გვარი გავიგონე, გავოცდი. მისი ანდერძის თანახმად, მერგო სახლი, სადაც მე და ჰანსი ვცხოვრობდით და კიდევ საკმაოდ სოლიდური თანხა.

**— მის შვილს პრეტენზია არ ჰქონია?**

— არა, ის ნაანდერძევი ქონების დაკანონებაში დამეხმარა და დამიბარა, რაიმე თუ დაგჭირდეს, მომმართეო. ის ქალაქის ხელისუფლებაში საკმაოდ სოლიდურ თანამდებობაზე მუშაობს და საჭირო კაცია.

*ევთანაზიის თემაზე გრაფი თარხანის განმარტებას რუბრიკა „კონსულტაციაში“ გაეცნობით.*

მოკლე ჩართვა

<<<10

# ვინ ვარ მე?

- არარაობა ვარ მე! სულელი ვარ, მე! აი, სრული და სამწუხარო სიმართლე! კვარი.
- ეჰ, რამხელა საიდუმლოს შეიძლება მალავდეს ეს საძაგელი
- ვინ ვარ მე? ჯერ არავინ და არაფერი! ნერტისი.
- მე ერთი რიგითი მოქალაქე ვარ, რომელიც იცვამს, იხდის და ლაქლაქებს. :) აი, ასე! გუმა
- ვინ ვარ მე? კითხვის ნიშანი ვარ!
- კოლხეთის ამაყი ასული, ციტრუსთა პრინცესა, მეგრელთა დედოფალი თუ ერთი პატარა გოგო, რომელსაც, როცა გაბრაზებულია, 10 მეტრის სიახლოვეს კაციშვილი არ ეკარება?
- მე ვარ შენი ანგელოზი, შენ კი ჩემი ფრთები და უჩემოდ იცოდე, ვერსად გაფრინდები. უკარება
- ორფეხა, ორხელა, ორთვალა და რაც მთავარია, ორმკერდა!
- პოეზიას 7 მუზა ჰყავს... ეროსი სიყვარულის ღმერთია, ერატო კი სიყვარულის მუზა, პოეზიაში. ერატო.
- რა არის ან ვინ არის ადამიანი? ამ და მსგავს კითხვებს ხშირად ბანალურს უწოდებენ ხოლმე. ალბათ იმიტომ, რომ ადამიანი ასეთ თემებზე იმ დროიდან ფიქრობს, რაც ადამიანად გააცნობიერა თავი. ძნელია იყო ადამიანი, რადგან ადამიანობა არ ნიშნავს მხოლოდ ბიოლოგიურ არსებობას. ადამიანად ყოფნა უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ, ყოფნაა. ადამიანს არ შეუძლია არ იფიქროს თავის თავზე და თავის ყოფიერებაზე... აი, ვინ ვარ მე — ადამიანი! ჩემი ნიკია კითხვის ნიშანი.
- ნუ მკითხავთ... :) ეი. მე ვარ გიჟი, გადარეული, მხიარული და ძალიან მოსიყვარულე. უჰ, არ შევიქე თავი?! მაგრამ მართლა ასეა. სესი.

# ევთანაზია — საკუთარი სურვილის გამოვლინება

ბრაში თარხანი

ევთანაზიის ბოროტად გამოყენება გამოგონილი პრობლემა არ გახლავთ და როდესაც ჰოლანდიაში შესაბამის კანონს იღებდნენ, ამის შესახებ კარგა ხანს მსჯელობდნენ. კანონპროექტი პარლამენტში მიღებამდე 4 წლის განმავლობაში განიხილებოდა. კანონს ჰქვია — საკუთარი სურვილით სიკვდილის დროს ევთანაზიის გამოყენების კრიტერიუმები. კრიტერიუმები კი ასეთია: ექიმი დარწმუნებული უნდა იყოს (საჭიროების შემთხვევაში უნდა შეძლოს დამტკიცება), რომ პაციენტმა ევთანაზიის გადაწყვეტილება საკუთარი სურვილით მიიღო; ექიმი ასევე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ პაციენტი მართლაც უკურნებელი სენითაა დაავადებული და ავადმყოფობა ფიზიკურ ტანჯვას აყენებს, ამოწურულია მკურნალობის ყველა მეთოდი და სიცოცხლისთვის ბრძოლა უშედეგოა. პაციენტს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს. მკურნალი ექიმის დასკვნას უნდა დაეთანხმოს კიდევ ერთი ექიმი, რომელიც პაციენტის მკურნალი არ არის, მაგრამ იცნობს მას. ევთანაზიის ჩატარება მხოლოდ ექიმს შეუძლია და მხოლოდ სამედიცინო პრეპარატებით.

კანონპროექტის ბოლოს მითითებულია, რომ კანონი მიღებულია, მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიის ექიმების უმეტესობა მას უარყოფითად უყურებდა.

ევთანაზიის გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ პაციენტს შეუძლია.

იმისათვის, რომ ევთანაზიის ბოროტად გამოყენება არ მოხდეს, ჰოლანდიაში ამ პროცესს სპეციალური კომისია აკონტროლებს. მას ყველა შემთხვევის შესწავლა ევალება.

ევთანაზიის ჩატარების უფლება მხოლოდ ოჯახის ან მკურნალ ექიმს აქვს. ამის გამო, „თვითმკვლელების ტურიზმი" შეუძლებელია განხორციელდეს.

ევთანაზიის შესახებ კიდევ ერთი გავრცელებული აზრი არსებობს. ბევრს მიაჩნია, რომ ევთანაზია შვეიცარიაში დაშვებულია, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეესაბამება. იქ უბრალოდ, კანონით არ ისჯება ადამიანი, რომელიც სხვას თვითმკვლელობისას ეხმარება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უკანასკნელი ანგარების მიზნით არ მოქმედებს. ჰოლანდიისგან განსხვავებით, მკურნალი ექიმის ჩარევა საჭირო არ გახლავთ, ამიტომ, „თვითმკვლელების ტურიზმი" აქ განსაკუთრებითაა გავრცელებული.



*ახლა კი თქვენს შეკითხვებს გავცემ პასუხს.*

## საეჭვიანი ექვი

— გამარჯობა, გრაფო. უკვე დიდი ხანია, რაც ოჯახი შევქმენი. ცოლი ძალიან მიყვარდა და ყოველთვის ვენდობოდი. ცოტა ხნის წინ ის კომპიუტერთან იჯდა და ფოსტას ნახულობდა. მივედი და უბრალოდ, ცნობისმოყვარეობის გამო, მასთან ერთად წავიკითხე წერილი, რომელსაც თვითონ კითხულობდა. იმის დანახვა მოვასწარი, რომ წერილი მისი შეფისგან იყო. „ბელა, მინდა, რომ კარგი გოგო იყო", სწერდა ის. ეჭვი გამიჩნდა, რომ მათ მხოლოდ საქმე არ აკავშირებდათ. ცოლს ვთხოვე, წერილი ბოლომდე წამეკითხა, მაგრამ ამის საშუალება არ მომცა და წაშალა. ის უკვე 5 წელია, ერთსა და იმავე ფირმაში მუშაობს. როცა ვკითხე, რა ურთიერთობა ჰქონდა თავის უფროსთან, პასუხს თავი აარიდა და ეჭვიანი ხარო, დამაბრალა. ამ შემთხვევის შემდეგ გაცილებით დაკვირვებული გავხდი და მივხვდი, რომ ცოლი ბევრს მატყუებს. მაგალითად, ისეთ რამეს ვეკითხები, რაზეც ზუსტი პასუხი ვიცი, ის კი მატყუებს. უკვე თვითონაც ველარ ამჩნევს, რომ სახლში სულ თავის შეფზე ლაპარაკობს. მეუბნება, რომ ვუყვარვარ, მაგრამ მე აღარ ვენდობი. ახლა მინდა გკითხოთ, როგორ უნდა მოვიქცე ასეთ სიტუაციაში? თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ მღალატობს. წინასწარ მადლობას გიხდით, დახმარებისთვის.



— პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ სხვის პრობლემაზე კომენტარის გაკეთება ყოველთვის იოლი არ არის. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ერთ მხარეს ვუსმენ. მას არ აქვს საშუალება, რომ უარყოს ან დაადასტუროს შენი წაყენებული ბრალდება. სამსახური ადამიანებს ძალიან აახლოებს და შესაძლოა, ურთიერთობა მეგობრობასა ან სიყვარულში გადაიზარდოს. როგორც წესი, საყვარლები ასეთ ფაქტს გულმოდგინედ მალავენ ხოლმე. შესაძლოა, შენი ცოლი და მისი უფროსი უბრალოდ, მეგობრობენ და წერილის შინაარსიც ასეთი იმიტომ იყო. თუმცა, შესაძლოა, არც სექსუალური კავშირი იყოს გამორიცხული. რაც შეეხება ტყუილებს, სავსებით შესაძლებელია, რომ შენი ეჭვიანობის გამო გატყუებდეს. აი, ასეთი ჩაკეტილი წრე გამოვიდა. შეეცადე, ურთიერთობა არ დაძაბო. გაუმხილე, რომ მასზე ეჭვიანობ და არ მოგწონს, რომ შენი თანდასწრებით სხვა მამაკაცზე ლაპარაკობს. უბრალოდ, აუხსენი შენი მდგომარეობა და შეეცადეთ, გამოსავალი ერთად მოძებნოთ. აკაკი.

## გავამხილო თუ არა, რომ ორსულად ვარ?

— გამარჯობა, გრაფო. ქმარს რამდენიმე წლის წინ გავეყარე და ახლა მშობლებთან ერთად ვცხოვრობ. ერთი შვილი მყავს. თითქმის 1 წელია, რაც ძალიან კარგი ადამიანი მიყვარს და ახლა აღმოვაჩინე, რომ მისგან ფეხმძიმედ ვარ. მართალია, მასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ბავშვის გაჩენის მეშინია, რადგან ერთი შვილით პირად ცხოვრებას გაცილებით იოლად ავაწყობ. იქნებ მასთან არაფერი გამოვიდეს? ჯერ 23 წლის ვარ და მეორე შვილი რომ გავაჩინო, რას იტყვის ხალხი? იქნებ ისე მოვიშორო ბავშვი, რომ მას არაფერი ვუთხრა? ასეც მოვიქცეოდი, მაგრამ ერთი პრობლემაა: ის 34 წლისაა და შვილი არ ჰყავს. ფიქრობდა, რომ უნაყოფო იყო და ახლა, უეცრად მისი ოცნება ასრულდა. შესაძლოა, შვილის ყოლის ეს მისი ერთადერთი შანსია? მასთან ურთიერთობის გაწყვეტა არ მსურს, ძალიან მიყვარს... იქნებ ტყუილად ვნერვიულობ და ბავშვი უნდა გავაჩინო? მირჩიეთ რამე, თორემ უკვე ნერვიულობისგან გიჟს ვგავარ. არც ვსვამ, არც ვჭამ, მარტო ვტირი. 2 შვილის დედობა იოლი ხომ არაა? სოფო.

— რა თქმა უნდა, 2 შვილის დედობა იოლი მართლაც არაა, მაგრამ მეჩვენება, რომ ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებაც არაა იოლი საქმე. როგორ უნდა მოატყუო საყვარელი მამაკაცი? მთელი ცხოვრება ხომ სინანულისა და დანაშაულის შეგრძნება დაგტანჯავს?! აბორტის გაკეთების გადაწყვეტილება, ისევე, როგორც ბავშვის გაჩენა, ძალზე საპასუხისმგებლოა. ნუთუ ძალგიძს, რომ მარტომ მიიღო ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და ბავშვის მამას ჩამოართვა უფლება, თავად განსაზღვროს, დაიბადება თუ არა მისი შვილი? თუ ის გიყვარს და მასთან ყოფნა გინდა, რა გიშლის ხელს, რომ ყველაფერი გულახდილად უთხრა? ეს ხომ უნიკალური შანსია, თქვენი ურთიერთობა გამოცადოთ. ნუთუ ეს საიმისო მიზეზი არ არის, რომ თქვენი ურთიერთობა მეტად გაღრმავდეს? დაბოლოს, იქნებ პირველმა ქორწინებამ არასასურველი კვალი დატოვა შენს პიროვნებაზე და უნდობლობის კომპლექსი გტანჯავს? ალბათ სწორედ ამის გამოა, რომ როდესაც მხარდაჭერა და დაცვა გჭირდება, არ იცი, როგორ დაუახლოვდე და ენდო საყვარელ ადამიანს. ნუთუ ცხოვრების სიმძიმის საკუთარი მხრებით თრევა გირჩევნია?





## ერთი და იგივე სიზმარი, 5 წლის განმავლობაში

**— გამარჯობა, გრაფო. შესაძლოა, ეს საკითხი თქვენ არ გეხებათ, მაგრამ მაინც გწერთ, რადგან მივხვდი, რომ ჩემთვის ეს სერიოზული პრობლემაა. სიზმარში ყოველთვის ვილაცისგან გაქცევას ვცდილობ. ისინი შესაძლოა, იყვნენ სამართალდამცველები, ყაჩაღები, მკვლელები ან ყველაფერი ის, რაც ბოროტებასთან ასოცირდება. მართალია, ვერაფერს მაკლებენ, ვერ მეწევიან ან თუ მეწევიან, ჩემი მოკვლა არ შეუძლიათ. სინამდვილეში ასეთი კატეგორიის ადამიანებთან პრობლემა არასოდეს მქონია. კარგი სიზმარი ჯერ არ დამსიზმრებია. როგორ უნდა მოვიქცე, რომ ეს პრობლემა დავძლიო? ჟანა.**

— გამარჯობა, ჟანა. როგორც ჩანს, „ცუდი" სიზმრები გაღელვებს. შენ საკითხის ფორმულირებას ისე ახდენ, თითქოს გაინტერესებს, რატომ ხედავ ასეთ სიზმრებს. თუ საკითხს სხვა კუთხით მიუდგები და დაინტერესდები, რა აზრი აქვს ასეთი სიზმრების ნახვას, ბევრ რამეს ნათელი მოეფინება. იმ სიზმრებს შენგან რაღაც „სურთ", მაგრამ ვერაფერს გაკლებენ. „მდევარი" „დევნილზე" სუსტია. თუ უსაფრთხოდ ხარ, რატომ გარბიხარ? სიზმარში იმის სურვილი არ გიჩნდება, რომ გაარკვიო, ვინ არიან ისინი, ვინც მოგდევენ და რა უნდათ შენგან. ერთადერთი, რაც ზუსტად იცი, ისაა, რომ უნდა გაიქცე. ასეთი დასკვნა გავაკეთე და სწორია თუ არა ის, შენ უნდა განსაჯო. სიზმარში მდევარი „ბოროტებას" განასახიერებს. მათ ცუდ იმპულსებად მიიჩნევ და გაურბიხარ. ცხადში, ადამიანებთან ურთიერთობისას, როცა ბოროტებას შეიგრძნობ, მაშინაც გარბიხარ. როგორც ჩანს, ცხადში ასეთ ძალებთან ურთიერთობა არც ისე იშვიათად გიწევს და შენი სიზმრებიც სწორედ ამითაა გამოწვეული. ●

# ფოტო, რომელსაც წარწერა დაკარგა



ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე:
8.77.45.68.61
ჩემეული ვერსია კი ასეთია:

**„მზითვიანი პატარძალი“**

# მამაკაცის გალანტურობის ბნელი მხარეები

— თუ მამაკაცს შენი გაცნობა სურს, როგორც ჩანს, მას შენი მკერდის ზომა (თეძოს გარშემოწერილობა, ფეხების სიგრძე) სავსებით აკმაყოფილებს.

— თუ მამაკაცი ცოლობას გთხოვს, ალბათ ნახევარფაბრიკატებისგან მომზადებული კერძები, დასარეცხი ჭურჭლის მთა და დაურეცხავი წინდები საბოლოოდ მოჰბეზრდა.

— თუ ბავშვის გაჩენას გთავაზობს, მიაჩნია, რომ ოჯახს სათანადო დროს არ უთმობ.

— თუ მამაკაცი ვარცხნილობის გამო კომპლიმენტს გეუბნება, მას შენი კაბა არ მოსწონს.

— თუ კომპლიმენტს კაბის გამო იღებ, მაშასადამე, არც ისე სახარბიელო ვარცხნილობა გქონია.

— თუ ერთსაც აქებს და მეორესაც, ცუდი მაკიაჟი გაქვს გაკეთებული.

— თუ ვარცხნილობასაც აქებს, კაბასაც და მაკიაჟსაც, ეჩვენება, რომ მსუქანი ხარ.

— თუ სავახშმოდ გეპატიჟება, შენი საწოლში შეთრევა უნდა.

— თუკი ნებისმიერი ხერხით შენს სახლში დაპატიჟებას ცდილობს, ე.ი. მას შენი საწოლში შეთრევა უნდა.

— თუ შენთან სტუმრად მოსვლა სურს (კომპიუტერის გასაკეთებლად, ონკანის შესაკეთებლად, ლუდის დასალევად), მას შენი საწოლში შეთრევა სურს.

— და საერთოდ, თუ ის მამაკაცია, ე.ი. მას შენი საწოლში შეთრევა სურს.

— თუ მამაკაცი სადარბაზოს კარში წინ გიშვებს, ალბათ გუშინ, სადარბაზოში შესვლისას მას თავში რაღაც ჩაარტყეს და გაძარცვეს.

— თუ კარში თავად შედის პირველი, ე.ი. ბარის კარია.

— თუ მანქანის კარს გიღებს, მას ეშინია, საჭეს არ მიუჯდე.

— თუ საჭესთან გსვამს, მამაცი მამაკაცი ყოფილა.

— თუ მამაკაცი ყვავილებს გიძღვნის, ე.ი. ოქროს ბეჭდის საყიდლად ფული არ ეყო.

— თუკი ოქროს ბეჭედი



გაჩუქა, ე.ი. ქურქის საყიდლად ფული არ ეყო.

— თუ ქურქი გაჩუქა, ე.ი. ფული ბინისა და მანქანის საყიდლად არ ეყო.

— და თუ ბინაც გიყიდა და მანქანაც, მართლა ფიქრობ, რომ ეს საჩუქარი იმიტომ მოგიძღვნა, რომ ჭკვიან, სულიერად მაღალ და შემოქმედებით ნატურად მიაჩნიხარ?

— თუ მამაკაცი სამსახურიდან გირეკავს და გეუბნება, რომ შეაგვიანდება, ე.ი. მისთვის ერთადერთი ქალი არ ხარ.

— თუ მამაკაცი სამსახურიდან არ გირეკავს, როცა მოსვლას აგვიანებს, ე.ი. მისთვის ერთადერთი ქალი არ ხარ.

— თუ შენთან სექსი თვეში ერთხელ აქვს, ე.ი. მისთვის ერთადერთი ქალი არ ხარ.

— თუ შენთან სექსი კვირაში ერთხელ აქვს, ე.ი. მისთვის ერთადერთი ქალი არ ხარ.

— თუ შენთან სექსი ყოველდღე აქვს, ე.ი. მისთვის ერთადერთი ქალი არ ხარ, რადგან თუკი ის ნამდვილად მამაკაცია, მისთვის ერთადერთი ქალი ვერ იქნები.

— თუ მამაკაცმა ტრანსპორტში ადგილი დაგითმო, მას ასაკოვან ქალბატონად მიაჩნიხარ. შენიშვნა: თუ ნამდვილად ასაკოვანი ქალბატონი ხარ, ე.ი. ის მალე ჩადის.

— თუ მამაკაცი ამბობს, რომ შენთვის რომელიმე კითხვაზე პასუხის გაცემა ეზარება, ე.ი. მიაჩნია, რომ სულელი ხარ.

— თუკი საუბარში არ აგყვება, როცა ცნობილ ადამიანზე ახალ ჭორს უყვები, მიაჩნია, რომ ნამდვილი სულელი ხარ (შენიშვნა: შენი მეგობრებიც სულელები არიან).

— თუკი ის ამბობს, რომ ტომ კრუზი არ მოსწონს და სერიალები გულს ურევს, ე.ი. მიაჩნია, რომ ნამდვილი სულელი ხარ.

— და საერთოდ, თუ ის ნამდვილი მამაკაცია, მიაჩნია, რომ სულელი ხარ.

— და საერთოდ, ქალბატონებო, დაიმახსოვრეთ! გალანტურობის ნებისმიერი გამოვლინების უკან მამაკაცის ბინძური, ანგარებიანი სურვილები იმალება.

# ჭორვნილები

მარი ხაფარიძე

## წარმოუდგენელი საქციელი

### ვინ როგორ იქცევა ანუ ერთი ასო, რომელიც სამყაროს ცვლის



მოგესალმებით, ჩემო მოუსვენარო და ცელქო გოგო-ბიჭებო. რა ვქნა, რა წყალში „ჩავაქყაპუნო", აღარ ვიცი. ყველა მე მსაყვედურობს, რათ არ მიბეჭდან (დიახ, „მიბეჭდან" და არა — „მიბეჭდავ") მესიჯსა... ჰოდა, ამ „მიბეჭდანზე" ერთი ანეკდოტი გამახსენდა ხაშურელებზე: ხატვის მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, ხაშური დახატეთო. ყველამ ხატვა დაიწყო, ერთი კი ზის და ფანჯარაში ამაყად იყურება. — კაცო, რათ არა ხატან ხაშურს, დახატე, თორემ ორიანს დაგიწერო. ის მაინც ზის და ფანჯარაში იყურება. — დახატე კაცო, ვერ გაიგე, შენაო? ბავშვი გაბრაზებული სახით მობრუნდა, სახატავ ფურცელს თითი დაადო უთხრა: „შენა, აქა, ხაშურსა დატევენ? დატევენ (დატევ)?" ჰოდა, ალბათ უკვე ხვდებით, რა უნდა გითხრათ: თქვენა აქა ყველა მესიჯსა დატენთ? დატენთ? გვეყო ხუმრობა, ახლა ერთი სასიხარულო ამბავი უნდა გამცნოთ: ჯონი დეპს შვილი შეეძინა... გაგიხარდათ? არა? ჯონი დეპის შვილის შეძენა რატომ უნდა გაგხარებოდათ? იმიტომ, რომ ის ჩვენი პატარა გზავნილშვილია! თუმცა, ჯონბს, გაურკვევლობას ბოლო მოუღო და გითხრათ: ჩვენს ძველ მგზავნელებს, ჯონი დეპსა და მაზოხისტკას, რომლებიც ამ რამდენიმე თვის წინ დაქორწინდნენ, შვილი შეეძინათ! ასევე, პატარა შეეძინა ჩვენს კოხი20-ს. ჰოდა, ორივე წყვილს, ჩემი და თქვენი სახელით, გულითა და სულით ვულოცავ პატარის შეძენას და უზარმაზარ ბედნიერებას ვუსურვებ. ახლა „ალავერდს" კანიბალკასთან გადავალ: „მარ,

მართალია, დაგვიანებულად გწერ, მაგრამ ამ კვირაში თუ არა, იმ კვირაში მაინც დამიბეჭდე. მოკლედ, ახლა ჩემ მიერ შედგენილ, ძველი და ახალი მგზავნელების სიას მოგწერ, შენ ამოიკითხე და ვინც აქ არის, შემდეგ ნომერში „ვარ" დაიძახოს და ვინც არ იქნება, „არა" დავუწეროთ. მაშ ასე: აბეზარა, აბლახანუმი, აგრესიონერა, აზიელი, ათენი-23, ანარქა, აპოლონი, აფხაზეთის პრინცესა, ბარტყი, ბარბარო, ბოხო, ბოა, ბუბუსიკა, განძის მაძიებელი, გერასიმე, გიჟპოეტა, GREEN GIRL, გრუზინკა, გუ-ათენი, დადა, დუჩი, ეგოისტკა, ედელვაისი, ელისო, ენიგმა, ერენიტა, ეშმაკუნა, ვარდენა, ვასასი, ვერმახტი, იკუშკები, იჩო-სიხრო, ილინი, კაკუ, კამელია, კანიბალკა, კარდიოლოგი, კახელი სალომე, კახელო616, კიბორჩხალას ცოლი, კიკო, კლეოპატრა, კოზანოსტრა, კოხი, ლელუჩია, ლეო91, LILY19, ლიმონა მანიუ, ლუნა, ლორელაი, მაესტრო, მაზოხისტკა, მამაცი თოჯინა, მანაველი, მაფიოზა, მგლის და, მეგრელი მგელო, მეგრელების სარძლო, მეზღაპრე, მესიჯომანი, მონასტრის ბიჭი, მორიელი, მის რეალი, მუკობაზიერი, ნეკატო, ნელკა, ნიკოლი, ნიღბოსანი, ნონ სტოპ, ნოსტალგია, ოლეგარიო, პარიჟანკა, პატარა ლელა, პენსიონერი, პოეზიის დედოფალი, როზი, როკო, სანთელი, საჩალელი, სესი, სვანის ასული, სიკვდილა, სიოფ, სტიქა, ტემბოლეე, ტირიფი, უზნეო ანგელოზი, უკარება, ფელამუშა, ფინტიკოზა, ქამელეონი, CRAZY GIRL, ლამურა, შეწირული, შრამიანი ანგელოზი, ჩისტიკოპიანი დილეტანტი, ჩორჩორი, ჩორტიოზნაეტი, ჩუქჩა, ჯეჯე, ჭრიჭინა, 9717– ვინც გამომრჩა, ჩემს სიბერესა და სკლეროზს დააბრალოს და გამომეხმაუროს, რომ სიაში ჩავწერო. პატივისცემით, კანიბალკა". რამდენი ყოფილხართ, ღმერთმა გამრავლოთ– ახლა კი თქვენ მიერ გამოგზავნილ ამბებს გავეცნოთ.

## ლუის მარიო




„რამდენიმე ხნის წინ მამაჩემმა ძროხა იყიდა. ახლაც გული მიქანდება, რომ ვიხსენებ — 1.100 ლარი ისე ჩაუთვალა პატრონს, თითქოს მარადიული ცხოვრების საგზური შეეძინოს. ჰოდა, ეს „ოქროს ძროხა" „ორსულად" იყო, დღედღეზე ხბოს ელოდებოდა და ამიტომ, მთელი ოჯახი ვგულშემატკივრობდით და არა მარტო ოჯახით — მეზობლიანნათესავიანად. ერთ ცივ ღამეს მობილურის ზარმა დაგვიფრთხო ძილი — დროზე ადექით, მშობიარობა დაეწყოო, — იუწყებოდა ბიძაჩემი. ადგილზე მისულს ასეთი სურათი დამხვდა: დედაჩემი და ბებია ერთი ვაი-ვიშით ექაჩებოდნენ საწყალ ხბოს, აქეთ ძროხა ბღაოდა გამწარებული... — უი, ღმერთო მამკალი, უკულმა მოდისო, — წუხდა გამოუცდელი დედა. — ნუ გეშინია ქალო, ამ 9 თვეში იმდენი იარა ამ ძროხამ წინ და უკან, საერთოდ რომ მოაგნო საწყალმა ხბომ გამოსასვლელს, კიდევ გასაკვირია, — ამშვიდებდა ამ საქმეში კარგად გამოცდილი ბებო. მე კი პირდაღებული ვიდექი ერთ ადგილზე, ცალკე სიცივით ვძიგძიგებდი, ცალკე — იმ ძროხის საცოდაობით. დედამ და ბებომ მართლა წარმოუდგენელი რამ ჩაიდინეს და საკუთარი ხელით ამშობიარეს „გმირი" ბოჩოლა. ისე, მაგარი „მასტი" კი იყო. — აბა, ახლა რა დავარქვათო? — იკითხა ბებომ. — ადრიანა დავარქვათ, ვინაიდან 4 დღით ადრე ეყოლა და თან „გოგოა"... — წამოაყენა წინადადება დედამ. არ მომეწონა და გავაპროტესტე — „ბიჭი" რომ ყოფილიყო და ცოტა მაღალი, რა, ლუის მარიო უნდა დაგერქმიათ-მეთქი? — გამოვთქვი ჩემი გენიალური აზრი. — რაღაც, აჩერჩეტდი, შვილო, ხომ არ შეგამცივნა? — გამილიმა დედამ. — არა დე, უბრალოდ, პატარის მომავალზე ვზრუნავ-მეთქი, — ვიმართლე თავი. ცოტა ხანში ახალშობილი წამოდგა. ფეხებმა კანკალი დაუწყო. — მგონი მთვრალია, ეს მშობელძაღლი ან ნარკომანი, ნახე, როგორ ძიგძიგებს-მეთქი, — ბებომ თვალები დამიბრიალა. მეც გავყუჩდი. მოკლედ, იმ ღამეს მაგრად ვიხალისე-ვიკანკალე — „ეგი ისე იპარჭყება, ასიანი ბოზი გამოვა, რო გაიზრდება", „გეიჩუმე ენა, თორემ მიგაბამ აქანა ძროხის მაგიერ", „ე გოგო, პირში ჩეიდე მაგ ძუძუ, გარედან რო ტლაკავ", „ნეტაი, ეს რო გეიზრდება და ხბო ეყოლება, ყველი რა ეღირება მაშინ?", „მეიცა ერთი, თუ ქალი ხარ, მაქამდე სულ ვერ ვცოცხლობთ, იქნება"... ასეთი უამრავი „მარგალიტი" მოვისმინე იმ ღამეს, იმერულ კილოზე ნათქვამი, მაგრამ გულუბრყვილო იუმორით გაჯერებული. მაესტრო".

## ჟალუზი

„ყველაზე წარმოუდგენელი საქციელი ის იყო, რომ ჩემმა თაყვანისმცემელმა ასფალტზე დიდი

თუ ჩანგალი ჩამოვარდნილმა
დაგვიგვიანდა, ვიდრე
დაიჭყავლებული ხელში მოვა,
მეძავს დაიჭერ.



ასოებით დამიწერა, მიყვარხარ, თათიაო, და მერე მთელი კვირა (მერე წაიშალა) ჟალუზივით ვიყავი გაკრული აივანზე, რომ მამაჩემს არ დაენახა. კიდევ, წარმოუდგენელი ის იყო, როდესაც ტელეფონით გაცნობილი „ბიჭი“ გოგო აღმოჩნდა. „გადახრები“ ჰქონდა და მოვწონებივარ, ყვავილებსაც კი მიგზავნიდა, ძლივს მოვიშორე. ბოლოს კი წარმოუდგენელი ისაა, რომ სიგიჟემდე მიყვარხართ და ვაბოდებ თქვენზე. სესი“.

## სიურპრიზი

„ნინოს დაბადების დღე ჰქონდა. დილით, თვალები რომ გაახილა, უუუზარმაზარი, შეფუთული ყუთი ნახა საწოლის წინ. გახარებულმა დაიწყო გახსნა, მაგრამ თანდათან ბრაზდებოდა, რადგან ყუთში ყუთი იდო, მერე კიდევ ყუთი და ა.შ. ბოლოს, პატარა კოლოფი დარჩა. ამ დროს მის მობილურზე მესიჯი მოვიდა და ნინომ დას სთხოვა, წაიკითხეო. „ნი, ცოლად გამომყვები?“ სწერდა ბიჭი. თან ნინომ ის პატარა კოლოფი გახსნა და ბეჭედი აღმოაჩინა. აი, ასეთი წარმოუდგენელი საქციელი ჩაადენინა დათოს სიყვარულმა. ეშმაკუნა.

## საწყალი შალვა

„თემასთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა: შალვა მაშინ ახალგაზრდა ექიმი იყო. ერთ სოფელში ავადმყოფთან წაიყვანეს. მივიდა, გასინჯა, დიაგნოზი დაუსვა, წამლები გამოუწერა, ხელი დაიბანა და... გაშლილ სუფრაზე მოხვდა. სუფრას სოფლის თავკაცი თამადობდა. თამადა და ექიმი კარგად აეწყვნენ. თამადა სადღეგრძელოებს ამბობდა, ექიმი კი ხუმრობდა და სუფრის წევრებსა და ავადმყოფს ახალისებდა. შალვამ ერთი-ორჯერ კი დააპირა სუფრის დატოვება და წასვლა, მაგრამ ვინ გაუშვა? წასვლისას თამადამ დაიბარა: დილით ეს კაცი უჩემოდ არ გაუშვათ, თორემ ყველას დაგხოცავთ, პატივი უნდა ვცე, ასეთ კაცს აქ კიდევ როდის ვნახავო. დილაა. შალვას გაეღვიძა. შარდის ბუშტმა შეაწუხა. ჯერ ვერ გაერკვა, სად იყო. მერე წამოდგა, სწრაფად ჩაიცვა, კარს ეცა, მაგრამ... მაგრად ჩაეკეტათ. არადა, ველარ ითმენს, გამოაღო ფანჯარა, აქედან მაინცო... ეზოში კი დიასახლისი ქათამს პუტავდა. საშინელ დღეში ჩავარდა, ცივმა ოფლმა დაასხა, დაძახებისაც შერცხვა. ამ დროს ბავშვმა წამოიტირა. ოთახში, სადაც ექიმს ეძინა, ბავშვი დაეტოვებინათ, აკვნით. შალვამ გადახსნა არტახები, ბავშვი თავის ლოგინში გადააწვინა და. მის შიბაქში მოშარდა. შვებით ამოისუნთქა. მობრუნდა. ბავშვი აკვანში გადასაწვენად აიყვანა და რას ხედავს? ბავშვს მის ლოგინში ჩაესვარა. ოლეგარიო“.

## მეჩქარება

„ერთი ჩემი ნაცნობია, „მეჩქარებას“ ეძახიან: ადრე პაპამისს ჰყავდა დიდი მანქანა. უდაბნოდან მოდიოდა და მოქეიფეებმა გააჩერეს, ერთი ჭიქა დაგვილიეო. ამან — მეჩქარებაო, მაგრამ მაინც ჩავიდა. მერე ცხენოსანმა გამოიარა და ისიც სუფრასთან მიიწვიეს. მან ცხენის დასაბმელი ადგილი ვერ მონახა და პაპამისის მანქანას მიაბა. ცოტა ხანში პაპას წამოსვლა მოუნდა. დაქოქა მანქანა, ცხენის პატრონმა მიაძახა, მოიცადეო (ცხენის გათავისუფლება უნდოდა). პაპას ეგონა, ისევ დასალევად მეძახისო და — „მეჩქარება, მეჩქარებაა“, ძახილით გააქროლა მანქანა. საგარეჯოს ცენტრში კი ცხენის თავილა ამოჰყვა. მაგრად მინდა, ამ ამბის მომყოლმა წაიკითხოს ეს მესიჯი. იმედია, არ მიწყენს, ჩვენი საერთო ნაცნობის პაპის ამბავი რომ გამოვამზეურე. რობინ ჰუდი“.

## ჩასიძებული

„თემას რომ დავხედე, ჩემი რეაქცია ასეთი იყო: ევრიკა! ვაუ! და მოვიფიქრეეე... წამსვე დათოს ნაამბობი გამახსენდა. ჰოდა, სწორედ ბაიას წარმოუდგენელ საქციელზე გიამბობთ, ოღონდ მე კი არა, — დათო: „მთელი 22 წელი სიცოცხლე გამიმწარა ჩემმა დამ, ვერაფრით გავათხოვე. სიმპათიურს და მაყუთიანს ეძებდა გოგო და ამ წუნება-წუნებაში, როცა მიხვდა, რომ გათხოვების დრო დადგა, შემომჩივლა — გათხოვება მინდა, მაგრამ ცოლობას არავინ მთხოვსო. მე დავამშვიდე. ამას ისიც დაემატა, რომ მეორე დღეს დედაჩემის დაქალები გვესტუმრნენ. შეიკლეს — ბაია, აღარ თხოვდები? შენმა ყველა მეგობარმა ოჯახი შექმნა, შენ გარდაო. ამ დღის შემდეგ ბაიამ სერიოზულად დაიწყო საქმროს ძებნა. ეს ამბავი მამაჩემმა რომ გაიგო, სიხარულით ცას ეწია, გოგოს ვათხოვებო და სიძის მოლოდინში კაი სუფრაც გავშალეთ. ბაიამ თავისთან მიხმო და საიდუმლოდ გამანდო —

### ცივი მეწყვილე

„ჩემზე კარგად არავინ იცის ჩემი ცოდვები და თუ საქვეყნოდ ვაღიარე, რასაც ვმალავდი, მიტოვებული, აღარავის შევეცოდები“... ახლა კი „ისევ აყვავდა გული ვარდივით“ და ისევ მინდა ისეთ წარმოუდგენელ საქციელზე მოგწეროთ, თავზარი რომ დამცა. ბიძაშვილი მიყვებოდა ომის ამბებს (ყოფილი მეომარია) და გაიხსენა, რომ ერთ ღამეს გარდაცვლილ თანამებრძოლთან ერთად ეძინა საძილე ტომარაში. თან ჰყვებოდა, როგორი ცივი იყო, როგორი გაქვავებული, როგორი... მე შიშისგან თმა ყალყზე დამიდგა, იმან კი სრულიად ჩვეულებრივად მიპასუხა — რა მექნა, სხვა ტომარა არ გვქონდა, მე კი ვერ გავიმეტე მიწაზე გადასაყვანად, ასე მეგონა, გაცივდებოდაო... მერე კარგა ხანს მესიზმრებოდა კოშმარები. მე“.



ჩვენმა პრეზიდენტმა ნახევარი ქვეყანა მოიარა. პრეზიდენტი რომ აღარ იქნება, „მსოფლიოს გარშემო მოგზაურობას“ დაწერს.




ჩემი საქმრო არ მიყვარს, მაგრამ შემპირდა, თუ ჩემი ცოლი გახდები, მაგარ მანქანას გიყიდიო. ვაყიდვინებ მანქანას, ჩემს სახელზე გავიფორმებ, მერე ვეტყვი, რომ არ მიყვარს და მანქანას უკან ხომ ვერ წამართმევსო? უჰ, აუწყვია ცხოვრება-მეთქი, გავიფიქრე. ჰო, ოღონდ, ჩემდა საუბედუროდ, იმ ბიჭის ცოლია უკვე, ერთი წელია. მანქანა კი არა, ქმარიც სახლში მომიყვანა და ახლა ორივეს მე ვარჩენ". აბა, რას არ გაიგებ?" ლუნა".

## სევდიანი ამბავი

„მეგობარი მყავდა ერთი, ულამაზესი გოგო იყო. ბევრს უყვარდა, მაგრამ თავად მხოლოდ ერთს სწყალობდა. დაინიშნენ კიდეც. ქორწილამდე 1 კვირით ადრე მოიტაცეს ეს გოგო. ბიჭი მალავდა გოგოს 1 თვის მანძილზე. გოგო მაინც არ დარჩა, არც ჭამდა, არც ხმას იღებდა და იძულებული გახდა ბიჭი, რომ გოგო გაეშვა. გაიხარა შეყვარებულმა, მაგრამ გოგომ არ გაიკარა ახლოს, — მე შენი ღირსი არ ვარო. ეხვეწა ბიჭი, გამომყევი, ჩემთვის მაგას მნიშვნელობა არ აქვსო, მაგრამ... უარი. ბიჭმა თავი ჩამოიხრჩო... ერატო".

## ფსევდოგვამი

„არც ისე შორს, ჩვენს მეზობელ ქვეყანაში ცხოვრობდა წარმოუდგენლად ვაჟკაცური ადამიანი, „უშიში ვითარცა უხორცო". მაშინ რუსეთი ეომებოდა მის ქვეყანას და ასეთი ვაჟკაცი სად იქნებოდა, თუ არა ბრძოლის ველზე? ერთ-ერთი საბრძოლო შეტევის შემდეგ ძმაკაცებმა გადაწყვიტეს, გამოეცადათ მისი უშიშრობა და გაგზავნეს შუალამით, ვითომ გარდაცვლილი თანამებრძოლის გვამის სადარაჯოდ, რომ ნადირს არ გაეფუჭებინა. გამწესდა ჩვენი ამბის გმირი პოსტზე, გავიდა რამდენიმე ხანი და ეს „ვითომ გვამი" არ შეიშმუშნა? მოსწყინდა თურმე გაჭიმული წოლა, თან იფიქრა, დროა, სიმართლის გამხელისო. ამან კი წარბიც არ შეიხარა, ისე (არ იცოდა, რომ ცოცხალ და უვნებელ ძმაკაცს სდარაჯობდა) მიაშვირა იარაღი და შეუღრინა — თუ გვამი გქვია, „იგვამე", თუ არა და, ახლავე ნამდვილ გვამად გაქცევო. რას იზამდა ფსევდოგვამი? იცოდა, რომ დანაპირებს აუსრულებდა და ნამდვილ გვამად გადაქცევას ისევ როლში ყოფნა ამჯობინა და გაისუსა. იყვნენ ასე დილამდე — დარაჯი, რომელსაც სულ არ ანაღვლებდა მის წინ დაგდებული გვამი და ჩამოწოლილი სიბნელე და შიშისგან გატრუნული ფსევდოგვამი, რომელმაც იცოდა, რომ ერთი ზედმეტი მოძრაობა და გაუყენებდნენ საიქიოს გზას, რაც ნამდვილად არ უნდოდა. ახლა არც ერთი აღარაა ცოცხალი და მე ნამდვილად მტკივა ასეთი ვაჟკაცების გამქრალი სიცოცხლე. მე".

## ცხვირაბზუებული

„მე სულ ახალი ვარ, მაგრამ იქნებ მიმიღოთ თქვენს კლუბში? „გზის" ისეთი აქტიური მკითხველი ვარ, არც ერთი ნომერი არ გამომიტოვებია.

## გზადაკარგული

„წინა კვირას „გზის" ყიდვა ვერ მოვახერხე და მეორე დღეს რაიონში საქეიფოდ წასულ მამიკოს დავაბარე. თან გავაფრთხილე, უჟურნალოდ დაბრუნება არც ეფიქრა. მოსვლა რომ შეაგვიანდა, დედაჩემმა დაურეკა და მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:
— სად ხარ კაცო, ამდენ ხანს?
— „გზას ვეძებ და ვერ ვიპოვე", — იყო პასუხი. — „რას, კაცო, რას ეძებ?" — გადაირია დედა. — „გზას ქალო, გზას ვათვალიერებ და არსად ჩანს, როგორ მოვიდე ახლა სახლში?" — დედაჩემი აღშფოდა. ეგონა, მეუღლე მთვრალი იყო და შინისკენ მომავალ გზას ვერ პოულობდა. უჰ, რა ინერვიულა?! სინადვილეში კი მამიკო ჩემს დაბარებულ ჟურნალს ეძებდა, გამწარებული, დედიკო კი მაგრად შეაშინა. აბეზარა".

თუ დაფიქრებულხარ,
რომ როდესაც საჭესთან ზიხარ,
ვინც შენზე ნელა დადის, ზოზინა
ყაჩაღ...-ია, ხოლო ვინც შენზე
სწრაფად — დედამ...-ი შემხვედრი.



## „ზონტიკი"

„მე და ჩემი და-ძმა ცხონებული ბებიის გაზრდილები ვართ. ჩვენი მშობლები აბიტურიენტობისას შეუღლდნენ, სტუდენტობისას გაგვაჩინეს და მერე გასაზრდელად ბებიასთან დაგვტოვეს. ბებია ბებიის „კლასიკური ნიმუში" იყო: თბილი, ტკბილი, ენამოსწრებული და საჭიროებისას, ქოქოლითა და წიწაკით შეკაზმული წყევლაც ეხერხებოდა. თან, პროვინციული ქალაქის კულიბაზე ინტელექტითა და პენიანობითაც გამოირჩეოდა (გენებს თავისი გააქვთ და მეც მაქვს პატივი, მისი ალი-კვალი ვიყო). ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა გლოვა გვექნებოდა ოჯახში, როცა ჩვენი მოამაგე სუპერბებია, სევდანარევი ხუმრობით რომ ვთქვა, სიკვდილმა ჯერ აუტსაიდერის სკამზე დასვა და შემდეგ „სააქაოს" პროექტი დაატოვებინა. სანუგეშოდ კი სამოთხის ვიზა უფეშქაშა, მაგრამ ამან ჭირისუფლები ვერ გაანუგეშა. მოკლედ, ბებიის პანაშვიდზე პატარა ქალაქის მთელი ნაღები საზოგადოება იყო თავმოყრილი და ამ დროს ბებიის გულ-ჯიგარ ამღვრეულ-ათუხთუხებულმა დამ, კატუშამ მთელი ხმით ასეთი რამ დაატირა: ვაიმე, დაო, მააშკინ (ბებიას მაშო ერქვა და მისი ასეთი კნინობითი ფორმა პირველად გავიგონეთ), რა ლამაზი და თოვლივით თეთრი იყავი, ქალოო... ვაიმე, დაო, გახსოვს, მზე რომ არ მოგკიდებოდა, ვენახის პლანებში იღლიით „ზონტიკს" იჭერდი და ვაზს იგრე რო ფურჩქნიდი? ვაიმე, მაიტათ იი „ზონტიკი", და თან ჩავაყოლოთ, ხალხოო... მოკლედ, ასეთი წარმოუდგენელი დატირებით, პანაშვიდი ფოლკლორის ფრაგმენტად გვიქცია კატუშა ბებიამ და ხალხის სახეზე მანამ გაიელვა ვერშეკავებულმა ღიმილმა, სანამ ცხვირსახოცების აფარებას მოასწრებდნენ. ახლახან, კატუშა ბებიასაც გამოუწერა არსთა გამრიგემ იმქვეყნიური საშვი. მის პანაშვიდზე სულ „იღლიით დაჭერილი „ზონტიკი" მახსენდებოდა და ჩემი ფხუკუნით ოჯახი რომ არ შემერცხვინა, დედამ ჩუმად ისე მიჩქმიტა, რომ ცხონებული ბებია არ მიტირია ისე მწარედ, როგორც კატუშა ბებია. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, ორივეს. ელექტრა".



ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ, რომ ყველაზე ცუდად ნიკოტინი „მიჩოყმის".

წაუკითხავი. ჩემთვის წარმოუდგენელი საქციელი ისაა, რომ ბავშვობიდან განებივრებული გოგო ვიყავი, თავზე ბუზს არ ვისვამდი და ერთმანეთზე უკეთესი თაყვანისმცემლები მყავდა, მაგრამ ცხვირს მაღლა ვწევდი. ჩემს დას ყოველთვის უკვირდა, ამ ანგელოზივით ბიჭებმა რა ნახეს ჩემში... ბოლოს რა მოხდა, იცით? 30 წლის ასაკში ცოლშვილიანი კაცი სიგიჟემდე შემიყვარდა და რადგან ჩემი ბინა მქონდა, მასთან შეხვედრაც პრობლემას არ წარმოადგენდა. ოქროსქოჩრიანი ბიჭი გავუჩინე. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამის შესახებ მამაჩემმა მშობიარობის დღეს შეიტყო და იმდენად წარმოუდგენლად ეჩვენა, არ დაიჯერა. არც მე მეგონა, ამდენს თუ შევძლებდი. არადა, რა ბედნიერებაა, როცა დედა ხარ და საყვარელ მამაკაცს უყვარხარ. თუმცა, ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ცოლი კი არა, საყვარელი გავხდებოდი და შვილსაც გავაჩენდი. კიდევ კარგი, იმისმა ცოლმა არაფერი იცის. კი ხდება, ქმარი რომ დაძვრება ქალებში, მაგრამ — ბავშვი? ღმერთმა დამიფაროს, რომ გაიგოს. სულაც არ მინდა მისი ოჯახის დანგრევა. უბრალოდ, მე და მისმა ქმარმა გახლეჩილი მეორე ნახევრები ვიპოვეთ და შევდრთდით. გკოცნით. კესო".

## შეხვედრა – 2

„სერიალის პერსონაჟის, ირაკლისი არ იყოს, ხუთშაბათი ჩემთვის დიდი დღეა. ეს ხუთშაბათი კი განსაკუთრებით დამამახსოვრდა. მანაველმა დამპატიჟა თავისთან (ამჟამად თბილისში ცხოვრობს). მეც მოპატიჟება მივიღე და ჩავედი. მე რა ვიცოდი, წინ რა სიურპრიზი მელოდა?! თურმე, ამ ქალბატონმა „გზავნილეთის" ნაღები საზოგადოება შეაწუხა, ერთი გიჟი, ძალად გრუზინკას გამო. ჰოდა, 4 საათისთვის ავლაბრის მეტროსთან, იმ ქარაშოტში დავაბირჟავეთ, მე და მანაველმა. ტირიფსაც დავურეკე, აქ ვარ-მეთქი. იმდენად გაუხარდა, პირველი მოვიდა და ეგრევე მე მეტაკა, ჩასაკოცნად. შემდეგ მოვიდა პარიჟანკა. გოგო კი არა, ნაზი, უფრთო ანგელოზი. მერე მოვიდა ედელვაისი. მას დავახასიათებ, როგორც ცოცხალ თოჯინას, რომელსაც სულ გინდა, რომ ეთამაშო. ლელუჩიას და პავლიკას საერთოდ არ ვიცნობდი, მაგრამ მათ ჩემი გული მოინადირეს. საწყალ პავლიკას ტყუილად აქვს სახელი გატეხილი, მექალთანეაო. მე რა ვიცი, მაგდაგვარი ვერაფერი შევატყვე, ამ სპორტსმენ ბიჭს. მერე წავედით სამების ეკლესიაში. დავიშოკე, ასეთი სილამაზე არასდროს მენახა. აქეთ-იქით გაცეტებული დავდიოდი ტაძარში. ვინმეს ჩემთვის რომ ეთქვა ამ დროს, მუსლიმანი ხარო, შეიძლება მომეკლა. დავსხედით საკონფერენციო დარბაზში და ერთმანეთი გულიანად გავიცანით. პარიჟანკა, მანაველი, პავლიკა, ედელვაისი, ლელუჩია და ტირიფი73, უჯიგრესი ადამიანები არიან. უდიდესი ინტელექტის, მდიდარი სულის პატრონები და ძაან მხიარულები. ამ დროს შემოგვალამდა. უნდა აღვნიშნო, რომ პავლიკა ძაან ყურადღებიანი აღმოჩნდა. — ზემოდან არ წავიდეთ, მანდ ბევრი კიბეა და გრუზინკას ასვლა გაუჭირდებაო, თქვა. მადლობა მას ამისთვის. ჩავედით მეტროში, იქ კი გაყინული ილინი იბღლვნიდა ქარისგან ისედაც გაწეწილ თმას. ილინზე ვიცოდი, ნაღდი კახელი რომ იყო. როგორც კი ხმა ამოიღო, ყველანი გაგვაჩუმა. ბევრი გაგვაცინა. ბოლოს კი კანიბალკა მოვიდა. ამ გოგოს დავახასიათებ ძაან უბრალო, ალალ გოგოდ. ერთმანეთი არ

გვეთმობოდა, მაგრამ მაინც დასრულდა ეს ბედნიერი დღე და ჩვენც ჩვენს სახლებში წავედით. მეორე დღეს კი მე, მანაველმა და ტირიფმა „გზავნილების" კამელია გავაგიჟეთ და შინ მივადექით. კამის გამო ისე შემეშინდა, სიხარულისგან ცუდად არ გამხდარიყო, რომ სულ ვამშვიდებდი. დავსვი ჩემი ნებიერა და მანაველს და ტირიფს თავად გავუმასპინძლდი. სამწუხაროდ, თელავში უნდა წავსულიყავი და კამის მალე დავშორდით. მანაველს უდიდესი მადლობა, ასეთი დაუვიწყარი სიურპრიზისთვის. აი, შენ კი მარი, მადლობა ამ ულამაზესი სამყაროს შექმნისთვის. გრუზინკა".

## სტუმართმოყვარე დიასახლისი

„იმერეთის ერთ ლამაზ სოფელში ვიყავი სტუმრად. მეზობლის გოგო შემოვიდა. მასპინძელი გადაეკიდა, დაგვეწვიეო. იმდენი ქნა, სტუმარი სუფრასთან დასვა. გოგონა მალევე გავიდა. როგორც კი გაბადრული სახით გააცილა სტუმარი, შემობრუნდა და მეუბნება: ასეთია, ერთი სიტყვა უნდა, მარტო თითი დაუქნიე და უსირცხვილოდ იღებს მიპატიჟებასო. თვალები შუბლზე ამივიდა და გამოვიძურწე იქიდან. ვინ იცის, ჩემზე რას იტყოდა, მთელი თასი მსხალი შევუჭამე... ეჰ, რა ვიცი, რა ვიცი... ერატო".

## სიცილით მკვდარი

„ეს ამბავი ძველად, ერთ სოფელში მოხდა. ერთმა კაცმა მოიყვანა ცოლი. ქორწილის მერე ყოველღამე ამ სახლიდან ცოლის სიცილ-კისკისის ხმა გამოდიოდა. სულ მალე, რაღაც 1 თვეში ცოლი გარდაიცვალა. ამ კაცმა რამდენიმე ხნის შემდეგ მეორე ცოლი მოიყვანა, სახლიდან ყოველღამ ისევ სიცილ-კისკისის ხმა გამოდიოდა და მოხდა საკვირველება, მეორე ცოლიც სულ მალე გარდაიცვალა. ამ კაცმა კიდევ მოიყვანა მესამედ ცოლი. ამ ცოლის სიცილ-კისკისმაც რომ მიაღწია მეზობლების ყურამდე, იფიქრეს, ამ კაცის სახლიდან ასეთი კისკისი ისმის და ნეტავ ამ ცოლებს რა კლავსო? ფანჯრებთან დაუდარაჯდნენ და იხილეს ყველაზე წარმოუდგენელი საქციელი — ეს კაცი თურმე ყოველღამ ცოლს საწოლზე აბამდა და სანამ ქალს სიცილისგან ძალა არ გამოეცლებოდა, მანამდე უღიტინებდა და უღიტინებდა. აი, ამიტომ გამოდიოდა სიცილის ხმა, ხოლო ამდენ ღიტინს კი გული ველარ უძლებდა და ასე გარდაიცვალა ჯერ — ერთი, მერე კი მეორე ცოლი და რომ არა მეზობლები, მესამეც მათ ბედს ეწეოდა. სარათან".

## ჯამბულას ამბავი

„ეს იყო მაშინ, ზამთარში... ჯამბულას სოფელში ყოველივეს ზანტად წაეხურა თოვლი და ისვენებდა. ზენა ქარი ზანტად „დალასლასებდა" ორღობეებში და სახლებს ბურუსსა და ნამქერს აყრიდა. ცოლისა და შვილების წივილ-კივილით (უფრო მეტად — ცოლის) შეწუხებულმა ჯამბულამ გადაწყვიტა, დედაქალაქში ეპოვა ხსნა თავისა და ორიოდ „კაპიკის" საშოვნელად თბილისს მოადგა... მორიდებით შეეკედლა ყვავი-ჩხიკვის მამიდად რგებულ ნათესავს და დაიწყო სამუშაო ადგილების ათვისება... ერთადერთი, რაც იცოდა ჯამბულამ, მხოლოდ სახლების რემონტი იყო... კარგა ხანი ამაგრებდა ელიავას ბაზრობის „ბირჟას", ასტრას ფუილით და ბოლოს, როგორღაც, ღვთის მადლით, ერთმა ცოლ-ქმარმა წაიყვანა, ბინის გასარემონტებლად... დადის ჯამბულა დინჯად ოთახებში, ცალი წარბი ზემოთ აქვს აწეული, ხელები ზურგზე აქვს დალაგებული, უკმაყოფილო კაცის იერი ადევს (ასე დაარიგა ნათესავმა) და საქმიანად ათვალიერებს გალესილ კედლებს.

## შეცდომა

„ეკამ ფარმაციის ფაკულტეტი დაამთავრა. ბოლო წელს პრაქტიკაზე უნდა ევლო. მან და მისმა მეგობარმა ნათიამ ამოარჩიეს ერთი პრესტიჟული აფთიაქი და დაიწყეს მუშაობა. მშვენივრად ართმევდნენ თავს სამუშაოს, მაგრამ ბევრი რამ არ იცოდნენ. ერთხელ, აფთიაქში ახალგაზრდა, მათი ტოლი ბიჭი შევიდა და ეკას ჩურჩულით უთხრა, პრეზერვატივი მომეცითო. ეკამ ერთი კი ახედა გაოცებით, მერე ქვედა უჯრებში დაუწყო ძებნა ამ ერთი შეხედვით, უწყინარ ნივთს. ნახა 2 ცალი, ამოიღო, პარკში ჩაუდო და გაატანა. ამ დროს ნათიაც მოვიდა და ჰკითხა, რა გაატანეო? ეკამაც, ცხვირაბზუებულმა უპასუხა. ნათიამ უჯრას დახედა და სიცილით მოკვდა. ეკას პრეზერვატივი კი არა, რეზინის სათითე (რომელსაც აფთიაქარები ხმარობენ წამლის დაფასოებისთვის და ა.შ.) გაუტანებია ბიჭისთვის. საბრალო ეკას სახე წაეშალა, შიშისგან. გავარდა გარეთ, ბიჭი უკვე მანქანაში ჯდებოდა. მივარდა ეკა, გამოჰგლიჯა პარკი, ერთი წუთითო — მიაძახა და აფთიაქში შევარდა. ნათიას მომზადებული ჰქონდა ახალი პარკი. ეკამ გამოართვა და გაუტანა გაშეშებულ ბიჭს. ეკას მხრიდან (და არა მარტო) ეს წარმოუდგენელი საქციელი იყო. ბიჭის კითხვაზე, — რა ხდებაო? ეკამ უპასუხა — გამოვცვალე, არ იყო თქვენი ზომაო. აუუ... ბიჭმა იქ სიცილი ატეხაა... ნერტისი".

თუ ვირუსი შენს
კომპიუტერსაც კი არ ეკარება,
ნამდვილი „სუპერ" ხარ.



მოუთმენლად ელოდება ცოლ-ქმარი მის საბოლოო ვერდიქტს, დათანხმდება თუ არა მიზერულ თანხად ამხელა სახლის გაკეთებას. როგორც იქნა, ამოღერღა ჯამბულამ სათქმელი თვისი: ჯერ ამ კედელს უნდა გაგაჯვა და მერე იმ კედელზე, ზემოდან ჩამოგაჯვაო. — რაიო? თვალები დააპარპალა ცოლმა. ამანაც გაუმეორა თან ჟესტიკულაცია მოიშველია. ბევრი რომ აღარ გაწვალოთ, ისეთი წიხლი ამოარტყეს ჯამბულას, ეგრევე ელიავას „ბირჟაზე" დასცეს, ხმაამოუღებლად. ნატკენ ადგილს კი ისეთი ორთქლი ასდიოდა, რომ ასტრასაც უპრობლემოდ მოუკიდებდა კაცი... არადა, ჯამბულა ასეთი უზრდელი სულაც არ არის, საქმე ის გახლდათ, რომ ის პროვინციელია და სამწუხაროდ, გამართულად ვერ ლაპარაკობდა. იმის გამო, რომ სამშენებლო მასალა — „გაჯი" სწორად ვერ გამართა, მისმა წინადადებამ უხამსი შინაარსი შეიძინა, შვილებიც ულუკმაპუროდ დატოვა და კარგი „მაზოლიც" დაიტოვა, სამახსოვროდ. ეე, ჯამბუულ, არადა, რა შენი ბრალია, რო? ლიმონა-მანიუ".

## საპატიებელი

„ბიძაშვილი გოგო მყავს, ძალიან უცნაური ხასიათის და სულ უჩვეულო რაღაცებს სჩადის. ერთხელ შინიდან გასულმა იზამ გაიგო, რომ მოტაცებას უპირებდნენ და იცით, რა ქნა? შევიდა ახლომდებარე სალონში და თავი გადაიპარსა. ჰოდა, ვიღას ენდომებოდა „ფანტომასი" საცოლე? ასე გადაურჩა გათხოვებას. ერთხელ კი შინ მეზობლის გამეტიჩრებული, 4 წლის ბავშვი დაუტოვეს. თამაშისას უზრდელმა გიომ შეაფურთხა ჩემს ბიძაშვილს. ამან, რა თქმა უნდა, დატუქსა და წამოარტყა კიდეც. ცოტა ხანში გიოს ბებო მოუვარდა, როგორ გაბედე, როგორ სცემე, ამხელა გოგოს ჭკუა არ გაქვს? შენზე რამდენი წლით პატარაა და როგორ აჰყევიო? — მაშ, ასაკით პატარას ყველაფერი ეპატიებაო? იკითხა ღიმილით იზამ და როცა დადებითი პასუხი მიიღო, ისე გემრიელად შეაფურთხა ამ ქალს, აქლემის მოდგმასაც კი შეშურდებოდა. — მეც შენზე პატარა ვარ და მაპატიეო. ახლა უცხოეთშია და იმათ აგიჟებს. კამელია".

## ტანჯულა

„ის სასიყვარულო თავგადასავლები — რომლებიც ფილმებში გვინახავს, რომანტიკულ გუნებაზე დავუყენებივართ და ჩვენი გულები შეუფართხალებია, სენტიმენტალური გრძნობები მოუზღვავებია და გვინატრია, ამ ფილმების გმირებად წამით მაინც ვქცეულიყავით — რეალობაშიც არაერთხელ გადაგვხდენია თავს. აი, მაგალითად, რა მომიყვა ჩემმა მექალთანე ძმაკაცმა, იკამ: „იმისათვის, რომ თეო სულ რამდენიმე წუთით მენახა, მატარებლით 17 საათი ვიჩაქჩაქე, გვარიანად გავიყინე, ჭაჭით მოვიწამლე და ბორჯომის სადგურში გალაკტიონის პოეზიის საღამო გავმართე. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ თეო ბორჯომში წავიდა. რამდენიმე დღეში ძალიან მომენატრა და გადავწყვიტე, მის სანახავად ძმაკაცებთან ერთად წავსულიყავი. მანქანასა და კომფორტზე უარი ვთქვით და „ელექტრიჩკაში" აღმოვჩნდით. ძალიან ციოდა, ამიტომ გომში უცნობი წარმომავლობის არაყი ვიყიდეთ და მოვიწამლეთ. ჩავაღწიეთ ბორჯომამდე როგორც იქნა. მინდოდა, თეოს მოულოდნელად დავდგომოდი თავზე; მეგონა, მისი მიგნება არ გამიჭირდებოდა. დილის 5 საათზე ვის კარზე არ მივაკაკუნეთ, თუმცა უშედეგოდ. ბოლოს, სხვა გზა რომ აღარ დაგვრჩა, ვიკადრე და დავურეკე. ჩემი ტრფობის საგანმა მომახსენა, გუშინ საღამოს ბაკურიანში წავედიო. სხვა რაღა დაგვრჩენოდა?! ჩვენც სადგურისკენ გავემართეთ და „კუკუშკას" ჩამოდგომას დაველოდეთ. რომ არ დამძინებოდა, გალაკტიონის ლექსების ხმამაღლა კითხვა დავიწყე. სახელდახელო პოეზიის საღამოზე ხალხი მატულობდა, ბოლოს კი ხურდებიც დამიყარეს. როგორც იქნა, მატარებელი ჩამოდგა და ბაკურიანისკენ, ჰერი-ჰერი... როდესაც დანიშნულების ადგილამდე მივაღწიეთ, ადამიანებს აღარ ვგავდით. არასოდეს დამავიწყდება თეოს გაოგნებული სახე, ჩემს დანახვაზე". ამ ამბის კულმინაცია ისაა, რომ იკას გოგოს მამა წაადგა თავზე და მაგრადაც მიუჟუა. ასე გაატარა დღე-ნახევარი მატარებელში; ვერც ჩაფიქრებული ეფექტის მოხდენა შეძლო და ნეკნებიც „გაიმთელა". მე კი არ მეგონა, ჩემი მექალთანე ძმაკაცი თუ გოგოსთვის ამდენს გააკეთებდა. ეს მართლაც წარმოუდგენელი საქციელი იყო, მისი მხრიდან. ვიკა".

## გურჯაანის რაიონი, სოფელი ზესტაფონი

„1 თვის წინ ნათესავი გამიბედნიერდა და როგორც თვითონ თქვა, ქმარმა კახეთში წამიყვანა. გოგოს მშობლები ა თქმა უნდა, დატრიალდნენ და დასავლეთიდან თბილისში ჩამოვიდნენ, ღამის მატარებლით. დილით, 7 საათზე სტუმრები ჩემთან მივიღე. ცოტა ხანში გავემზადეთ წასასვლელად კახეთში, სადაც პატარძალი გვეგულებოდა. გამოვიპრანჭეთ, „ჩავიშმოტკეთ", მოკლედ, ჭკუაზე არ ვიყავი. „დაჟე" კბილებსაც ვილესავდით მე და ბიძაჩემი, მწვადებს შევჭამთ-თქო. როგორც იქნა, ჩავედით გურჯაანში და დავიწყეთ იმ სოფლის კითხვა, რომელიც პატარძალმა გვითხრა, მაგრამ სად იყო ასეთი სოფელი, არავინ იცოდა. დავრეკეთ სიძესთან, რომ მისამართი ზუსტად გაგვეგო. როცა ვუთხარით, გურჯაანში ვართ და აქ ასეთი სოფელი არსადააო, ბიჭი გაგიჟდა, კახეთში რა გინდათ, ჩვენ იმერეთში ვართო. თურმე, ზესტაფონში ყოფილან. აუ, რა დაგვემართა?! მე ვერ მოვითმინე, მანქანიდან გადავედი და მაგრად ვიცინე. პატარძლის მამისთვის დანა რომ დაგერტყა, სისხლი არ გამოუვიდოდა. კაცი გაშრა. წარმოიდგინეთ, გოგო ამბობს, გურჯაანში ვარო და თურმე ზესტაფონში ყოფილა. აი, რა იცის სიყვარულმა, ყველაფერს დაგავიწყებს. P.S. ახალი ვარ, იმედია, მიმიღებთ. მწარე7".



## თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„უი, ხომ წარმოუდგენელია ამ ბერძნების საქციელი? კოროლიოკი კოვზით თუ იჭმებოდა, მე რა ვიცოდი? მოკითხვა ყველას, ვინც მეგობრად მთვლის. მპუა. უკარება“.

„ყველაზე წარმოუდგენელი საქციელი იცით, რა იყო? ჩემი მეზობლის (ჩემს ბინაშია გათხოვილი) ძმაზე ვეცემოდი, მას კი 15 წლის ლაწირაკი შეუყვარებივარ. თვითონ 23 წლისაა. ვართ ახლა ასე, მამა-შვილივით. მე ძალიან მიყვარს ჩემი მიშო, მიუხედავად იმისა, ჩვენზე რას ლაპარაკობენ. წარმოუდგენელია, არა? 912, თელავი“.

„მარი, მომისმინე, არ ვიცი, ვინ რა მოგწერა, მაგრამ ჩემი მესიჯი არ იყო. მე ეს ნომერი მაქვს და მე შენ მიყვარხარ, რატომ უნდა მძულდე? ვიღაცა ჩემი ნიკითაა შემოსული და ამის მერე ვამბობ: ვინც კიდევ ჩემი ნიკით მოგწეროს „გზავნილებში“ ან ჩათში, დედაზეა დაგინებული. მე ვარ ნამდვილი ლუციფერი და შენ ვიღაც, „ჩემი პროვოკაცია“ რომ ხარ, წაეთრიე აქედან, აქ აღარ დაგინახო, ბიჭო, გაიგე? ჩემ გარდა ვინც მოგწეროს ლუციფერის ნიკით, არ დაუბეჭდო, მარ, გთხოვ. ნამდვილი ლუციფერი“.

„მარიამულ, წინა კვირის თემამ 15 წლის წინ დამაბრუნა. მართალია, სადაც არის ბედი შენიო... საუბრის დროს ტელეფონში მესამე პირი ჩაგვერთო. გავეცანი, გახურდა ბაასი იმერულად. 8 თვის შემდეგ დავოჯახდით. ტელეფონის შნურს დიდი ძალა ჰქონია. ახლა მყავს მეუღლე, 2 გოგო და 1 ბიჭი. თქვენი ერთგული, ულვაშიანი თინეიჯერი“.

„ჩემს მეზობელს როცა რაღაცა არ მოეწონება, ამბობს: „პატარძალი ბოზია, ჩავშალოთ ქორწილიი...“ ჰოდა, ჩვენი მეზობლის, სანდროს ქორწილში გამომთვრალმა ვაჟიკომ, რომელსაც კერძები არ მოეწონა, დაიძახა: „პატარძალი ბოზია!“ მაყარმა იმას დღე აწია?! აი, ეს იყო საქციელი, რომელსაც არავინ მოელოდა. პრანჭო“.

„ყველაზე წარმოუდგენელი სწორედ ჩემს საქციელს ჰქვია. აბა, როგორ წარმოგიდგენიათ ცოლშვილიან კაცზე დაქორწინება, მაგრამ რა ვქნა, რომ სხვა გამოსავალი არ მაქვს?“

„ყველაზე წარმოუდგენელი საქციელი ისაა, რომ 9 თვის გათხოვილ ქალს ქმარი მეუბნება, მაპატიე, მაგრამ აღარ მიყვარხარო. ჰოდა, ეს საქციელია? ვარ ახლა გაგიჟების პირას. მარიამი“.

„ჩემი შვილის მუსიკის წიგნს ვათვალიერებდი. მაინტერესებდა, რას ასწავლიან სკოლაში. კითხვა იყო: — ვინ წერს მუსიკას? პასუხი: — კომპოზიტოხი (1 ასო შეეშალა, რა უჭირს?). მერე ისევ კითხვაა: — რას წერს პოეტი? და პასუხი: (ღმერთო ჩემო, თვალებს არ ვუჯერებ, ერთი ასო ისევ შეშლიათ) — სექსებს. ასე ცვლის ერთი ასო სამყაროს. ჰი-ჰიიი... საჩალელი“.

„ერთ ჩემს ახლობელ გოგოს ჩემი ახლობელი ბიჭი უყვარს. ამ ბიჭს არ უყვარს, მაგრამ მაინც ხვდებოდა, იქნებ შემიყვარდესო. რა მითხრა, იცით, ამ გოგომ? ვიცი, დათოს არასოდეს შევუყვარდები, მაგრამ მინდა, მასთან დავწვე, ბავშვი გავაჩინო ისე, რომ თვადაც ვერ გაიგოს, მერე წავიდე საქართველოდან და მთელი სიცოცხლე ბავშვს მივუძღვნაო. აი, ასე გადარია სიყვარულმა 16 წლის გოგო. კიდევ კარგი, გადაიფიქრა. ახლა შეყვარებული ჰყავს. იცის იმ ბიჭმა, ანას სხვა რომ უყვარს, მაგრამ ცოლად მიჰყავს. ერატო“.

„სასწაულები არ ხდება, მაგრამ/ ხომ შეიძლება დეკემბრის ღამეს,/ გამომაღვიძოს შენმა ჩურჩულმა:/ თოვლი მოსულა...“. მგზავნელებო, ზამთრის მოსვლას და პირველ თოვლს გილოცავთ ყველას! ულამაზესია თოვლი, არა? წუხელ 3 საათამდე ფანჯარასთან ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ მოსავდა სადედოფლო კაბით დედამიწას ზეცა. ასე არასდროს გამხარებია ზამთარი და პირველი თოვლი, მაგრამ დღეს ერთმა შემთხვევამ ძალიან დამაფიქრა: მე რომ ბედნიერი გამხადა თოვლმა, ნეტავ, რამდენი გააუბედურა? მაგალითად, გადასასვლელ ხიდთან მჯდომი მათხოვარი, რომელიც გათოშილი თითებით უკრავდა გიტარაზე და საოცარი სილამაზით მღეროდა: „ზამთარია, სიცივეა, უშენობა მიჭირს, მეშინია სიცივისა, ზამთარში რომ იცის“... ალბათ რამდენ პატარას არ უხარია თოვლი, რადგან სახლში სითბო და საჭმელი არ აქვს ან საერთოდ, სახლი არ აქვს... საოცარია, მაგრამ ამ ენით აუწერელმა სილამაზემაც შეიძლება თურმე, ადამიანი გააუბედუროს... ღმერთო, გთხოვ, მოხდეს ისე, რომ ყველას უხაროდეს ზამთრის მოსვლა და პირველი თოვლი... კანიბალკა“.

„ყველაზე წარმოუდგენელი საქციელი ჩემი გათხოვება იყო, ყველასთვის. განსაკუთრებით კი იმ ადამიანისთვის, რომელიც ცხოვრებაზე მეტად მიყვარდა და დღემდე მიყვარს. სხვისი ოცნების ქალი“.

„ყოველდღიურად ისეთ საინტერესო და გასაოცარ ამბებს ვიგებ, ახლა ვფიქრობ, რომელი მოგწერო. ალბათ, ყველაზე წარმოუდგენელი საქციელი ის არის, რომ ჩემს კლასელ დებს ერთი შეყვარებული ჰყავდათ და ამ ბიჭს არც ერთის დათმობა არ უნდოდა, ორივეს ცხოვრებას აკონტროლებდა. კახელო“.

*მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — შეცდომა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com „მოკლე ჩართვის“ კითხვად კი გთავაზობთ: სად და ვისთან ერთად ვისურვებდი ახალი წლის შეხვედრას?*

არჩევნების წინ ვაზელინზე
ფასები იმატებს.



**დააკვირდი ფოტოს რამდენიმე წუთის განმავლობაში და დაფიქრდი, რა არის მასში უცნაური. დაიმახსოვრე, რას ან ვის ხედავ მასზე და შემდეგ ფოტოტესტის პასუხები-იხილე.**



1. თუ ფოტოზე დაკვირვების დროს, პირველ რიგში, ულვაში შენიშნე, სავარაუდოა, რომ კეთილსინდისიერი ადამიანი ხარ. მართალია, ახლა მევახშე (იგივე — ბანკი) „ზალოგში" ცხვირსახოცში გახვეულ ულვაშს აღარ იტოვებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თუ სესხი გაქვს, აუცილებლად დაფარავ.

2. თუ ფოტოზე დაკვირვების დროს მალევე მიხვდი, რომ მასზე აინშტაინია გამოსახული, განათლებული ადამიანი უნდა იყო და თუ წიგნებს არა, ჟურნალ-გაზეთებს მაინც კითხულობდე და ამ გენიოსსაც იქიდან ცნობ.

3. თუ ფოტოზე დაკვირვების დროს მიხვდი, რომ აქ რაღაც ისე არაა, როგორც უნდა იყოს და გაიფიქრე, რომ სურათის გადაღების დროს ფოტოგრაფს ფოკუსი არ გაუსწორებია, სავარაუდოდ, ყოფილი ან მოქმედი ფოტოგრაფი ხარ და შენი საქმის პროფესიონალიც... თუმცა — არც ისე დაკვირვებული და მიხვედრილი. რატომ? შემდეგ პუნქტს თუ წაიკითხავ, მიხვდები.

4. თუ ფოტოზე დაკვირვების დროს გაიფიქრე, რომ მერილინ მონრო ძალიან ლამაზი ქალია, გილოცავ! ჯერ ერთი, შენ ნამდვილი მამაკაცი ყოფილხარ და მეორეც — ისეთი დაკვირვებული და მიხვედრილი, რომ ვერავინ ვერაფერს გამოგაპარებს. შენნაირ ადამიანებს ცოლები ღალატს ვერ უბედავენ.

5. თუ ფოტოსაც დააკვირდი, ტესტის პასუხებიც წაიკითხე და ვერ მიხვდი, მერილინ მონრო რა შუაშია, მაშინ გეტყვი, რომ ამ ფოტოზე აინშტაინი და მერილინ მონრო ერთადაა გამოსახული. თუ ფურცელს ოდნავ შორს დაიჭერ, აუცილებლად დაინახავ... თუმცა, თუ მეხუთე პუნქტის „კანდიდატი" ხარ, რას გიხსნი? მაინც ვერ გაიგებ და... ●



**იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურვე-ლი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნო-მერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.**

## ქალები



1. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, მაღალ, უცოლო ან ცოლს გაცილებულ მამაკაცს. ვარ 26 წლის, 175სმ სიმაღლის, 63კგ. გასართობად sms არ დახარჯოთ. გელოდები.

2. ვარ 24 წლის, სასიამოვნო გარეგნობის გოგო. გავიცნობ 30 წლამდე ასაკის, სიმპათიურ მამაკაცს, რომელმაც იცის ქალის არსი და ფასი.

3. მყავს სულით ხორცამდე მშვენიერი მეგობარი, 160/24/43. კეთილი, თბილი და პატიოსანი. გამოეხმაურეთ სერიოზული მამაკაცები, ვისაც ნამდვილი სიყვარული შეუძლია.

4. ვარ 18 წლის, მაღალი, გამხდარი, სიმპათიური გოგონა. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 19-26 წლის მამაკაცს, მხოლოდ და მხოლოდ ჯარისკაცს. გელით ანგელოზი.

5. გთხოვთ დამაკავშიროთ მე-19 ნომრის პირველი მესიჯის ავტორთან.

6. ვარ 34/172/65, სიმპათიური, წესიერი, გამგები ქალიშვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 34-42 წლამდე ასაკის მამაკაცს. გასართობად ნუ შეწუხდებით.

7. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სიმპათიურ, უცოლო ან განქორწინებულ მამაკაცს, 35 წლამდე. ვარ 26 წლის გოგო, 175/64.

8. ვეხმაურები მე-16 მესიჯის ავტორს, ხვიჩას. ვარ 29 წლის და უკვე დამენგრა ერთხელ ცხოვრება. თუ მართლა გსურს თბილი და ერთგული ქალი. გასართობად ნუ მომწერ. გელი.

9. მე და შენ ცხოვრებამ სხვადასხვა გზით გვატარა, იქნებ აქ შევხვდეთ ერთმანეთს. გავიცნობ 34-38 წლის მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. გელოდები, შენ, ერთადერთს.

10. ვარ 23 წლის გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-35 წლამდე თბილისში მცხოვრებ მამაკაცს.

11. ვეხმაურები მე-17 მესიჯის ავტორს, ხვიჩას. ვარ 28 წლის, განათლებული გოგო. თუ გსურს ჩემი გაცნობა, დამიმესიჯე.

12. მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო სერიოზული პიროვნება, 35 წლამდე. ვარ 25 წლის, მქვია ნათია. დამირეკეთ.

13. გავიცნობ თავისუფალ მამაკაცს, 44 წლის ზევით. ვისაც სურს, შემოდგომის ასაკი მარტომ არ განვლოს. ვარ ქვრივი, შვილით, კახეთიდან. გამრთობები ნუ შეწუხდებით. გმადლობთ.

14. შევიძენ sms მეგობარს. სასურველია, იყოს 30 წლის, სერიოზული მამაკაცი.

15. ვარ 36 წლის ქალბატონი, დასაქმებული და ყველაფრით უზრუნველყოფილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის მამაკაცს. დანარჩენი — პირადად.

16. ვეხმაურები მე-8 მესიჯის ავტორს, 33 წლის, ქვრივ მამაკაცს. ვარ 25 წლის ქვრივი და მეც ვეძებ ნორმალურ მამაკაცს.

## მამაკაცები



17. „გზა“ №49, მე-2 მესიჯის ავტორის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი მჭირდება. შეგიძლიათ, დამეხმაროთ? წინასწარ გმადლობთ.

18. ვარ 33 წლის მამაკაცი. ვეძებ ისეთ მანდილოსანს, ვინც ჩემთან ერთად მოისურვებს ცხოვრების გარკვეული ნაწილის გატარებას საბერძნეთში. მე იქ 5 წელი ვიცხოვრე.

19. ვარ 27 წლის ბიჭი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ჭკვიან, ბინით უზრუნველყოფილ, მეოჯახე გოგონას.

20. ვარ 36 წლის, დასაქორწინებელი ბიჭი. გამომეხმაურეთ!

21. ვარ 35 წლის, სიმპათიური, დასაქმებული ბიჭი. სურვილი მაქვს გავიცნო 45 წლამდე ასაკის, სიმპათიური, ექიმი ქალბატონი.

22. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ბათუმელ, პატიოსან და სიმპათიურ გოგოს, 22-25 წლამდე.

23. ვარ 37/172/78, სიმპათიური გარეგნობის მამაკაცი, განქორწინებული, თბილისელი, თბილი, ხალისიანი და მოსიყვარულე. ოჯახის შექმნის მიზნით ვეძებ გოგოს, 25-35 წლამდე. გელით. გკოცნით.

24. მინდა გავიცნო 18-დან 21 წლამდე ასაკის, ლამაზი, კარგი სულის, თბილისელი, დედისერთა გოგო, რადგან მეც დედისერთა ვარ და კარგად გავუგებ. ჩეჩენა.

25. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ პატიოსან გოგოს. ვარ 18 წლის რომეო. გელოდებით.

26. გავიცნობ „გზა“ №44, მე-4 მესიჯის ავტორს. იმ ქალბატონს, რომელსაც უნდა ჩემი გაცნობა. ვარ 43 წლის. დამაკავშირეთ ტელეფონით, ახლავე.

27. გამარჯობა, ვარ 40 წლის, თბილისელი მამაკაცი. გავიცნობ 50 წლამდე ასაკის, სერიოზულ ქალბატონს. გეგა.

28. ვარ 44/194/79, განქორწინებული, სოფლელი მამაკაცი. ვცხოვრობ მარტო. გამომეხმაუროს არამატყუარა და არაზარმაცი მანდილოსანი, ვისაც გულით სურს ოჯახის შექმნა.

29. მდიდარ და ფულიანი მამიკოს შვილს ვეძებ საცოლედ. ფული, ბინა, მანქანა და აგარაკი და ა.შ. ერთი უქონელი და ღარიბი ბიჭი ვარ და არავის ვუნდივარ.

30. ვარ 32 წლის, სიმპათიური მამაკაცი, სამსახურით უზვრუნველყოფილი. გავიცნობ 42 წლამდე ასაკის, სიმპათიურ ქალბატონს.

## ვეძებ



31. ვეძებ ჯგუფელს, ლია ზაურის ასულ ჟვანიას, ჩხოროწყუდან. 1990 წელს დავამთავრეთ ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენის ფაკულტეტი. თუ იცით რამე მასზე, მომწერეთ. ნანა.

32. ვეძებ მამაკაცს, რომელიც ლურჯ მონასტერში მეჯვარედ იყო, 18 ოქტომბერს.

33. ვეძებ ნათლულს, მალხაზ ჩახვაშვილს, კახეთიდან. ცხოვრობდა ვაზისუბანში, მოცეკვავეა. დედამისს რიტა ერქვა, მამას — ბიძინა. თამაზი ნათლია.

34. ვიტალი ჩოჩიევის შესახებ თუ ვინმემ იცით რამე, დამირეკეთ. ბოლოს იყო გლდანის ციხეზე. თამო.

35. ვეძებ დუშეთის რაიონის სოფელ ჩანადირებში მცხოვრებ ჯავახიშვილ ზვიადს. ჟურნალის საშუალებით მომწერე შენი ტელეფონის ნომერი.

## სხვადასხვა



• იკუშკები თურმე მდედრობითი სქესის ყოფილა. :) მოიცა, იკუშკები ირაკლის მოფერებითი შემოკლება არაა? სულ ნუ გადამრიეთ, ხალხოო... მწარე. (*იკუშკები ამჯერად ის „მოფერებითი შემოკლებაა“. — ავტ*).

• ლუნას დავ, მირანდავ, აქ პირი უნდა მოალო კი არა, უნდა მოაფჩინო. აბა, ისე რა მუღამია, შე ქალო... ისედაც ყველას მოლებულ-მოფჩენილი არა აქვს? :) მწარე.

• როგორ ხართ ჩემო კარგებო? ათენელო მგზავნელებო, არეულობამ ხომ არ შეგაშინათ, რომ არ ჩანხართ? ეჰ, სად იყო საააკაშვილის სპეცრაზმი?! სულ ერთი საათი უნდოდა...

• მაგრამ აქ დემოკრატიააა... მე ამათი დემოკრატია (ტუუუ...)... გადაწვეს და დაარბიეს ყველაფერი... მილიცია ცხვარივით იყო... ჩვენთან კი დიდი გული აქვთ. გუ-ათენი.

• აუ, იცი რას გეტყვით? ამ მაესტროზე უაზრო ყიყინი ყელში ამომივიდა! დავიჯერო, არც ერთი მგზავნელი გოგო არ ხართ (ყველას არ ვგულისხმობ, მხოლოდ მათ, ვისაც ეკუთვნის) თაყვანისმცემლებისგან განებივრებული? მორჩა, ბიჭმა თბილი სიტყვები მოგწერათ და არიქა, გეგონათ, ბედი გაგეხსნათ? მაესტრო ყველას ასეთ თბილ სიტყვებს სწერს. მიყვარხარო, რომ მოგწერათ, ერთი რატომ არ ჰკითხეთ, იქნებ როგორც მეგობარი, ისე უყვარდით? ყველა საკუთარ თავს თავად იტყუებს და უკვე გული მერევა ამ უაზრო ბრალდებებზე! გიო, ძამი, ძალიან მიყვარხარ. აი, ზუსტად ისე, როგორც შენ გიყვარს რამდენიმე ღირსეული მგზავნელი. ჩიხტიკოპიანი დილეტანტი.

• აუ, ძალიან ცუდად ვარ. ჩემი კლასელი მიყვარს, ის კი ზედაც არ მიყურებს. მირჩიეთ რა ვქნა? ახლა ისე მენატრება, სული და გული, მთელი სხეული მეყინება. გუმა.

• ისიც კი არ ვიცი, ჩემი მესიჯი დაიბეჭდა თუ არა. „გზამდე“ ველარ მივაღწიე. ეს ლილოს ხანძარი ხომ გაიგე? ლამის ჩვენზე გადაიარა ყველაფერმა. ცოტა დამწვრობაც მივიღე და ბოლით მოვიწამლე. ყველაზე უბედურება ისაა, რომ ჩვენი მაღაზია სულ დაიწვა და მეც უმუშევარი დავრჩი. ყველაფერი უკუღმა დატრიალდა, მაგრამ იმედს არ ვკარგავ. მგზავნელებო, ძალიან მიყვარხართ და მენატრებით. ბარტყი.

• ესეც თუ სამართალია?! ახალგაზრდა გოგონა უნივერსიტეტში ფეხით დადის და 80 წლის ბაბუ ამ დროს მოტოთი „კაჩაობს“. არა, ისე მაგარი ბაბუ იყო. ა მარ, რას იტყვი?

• გამარჯობა მარი, როგორ ხარ? იცი, როგორ გამახარე მესიჯი რომ დამიბეჭდე? ხუთშაბათს „გზა“ რომ ვიყიდე და ჩემი მესიჯი წავიკითხე, მთელი დღე გაღიმებული დავდიოდი და თან გზადაგზა ვკითხულობდი. ერთ სიმპო ბიჭს ისე დავეჯახე, როოოოოომ... ავხედე და რა დავინახე? „გზა“ ეჭირა ხელში და კითხულობდა. ბოდიში მომიხადა და გამეცნო, მაგრამ ტელეფონის ნომრები არ გაგვიცვლია. აბაა! იმედი მაქვს, კიდევ ვნახავ (რა სიმპო იყოოოო?! მაგრად მევასა). მერე მოგწერთ, რა მოხდება ჩვენ შორის. სიყვარულით, სარა.

• გამარჯობა, ჩემო ძვირფასებო! როგორ გიკითხოთ? ხომ ხართ მაგრად, მე რომ გამიხარდება და მტერს რომ ეწყინება, ისე? მაგარზე მაგრად რო მომენატრეთ, თუ იცოდით თქვენა ეგა, ა? სწორედ ამ მონატრებამ დამაბრუნა მარორიტას სამფლობელოში. მართალია, წასული კი ვიყავი, მაგრამ როგორც ვახერხებდი, ისე მაინც ვკითხულობდი „გზავნილებს“ და იცით, რაა? რა და, ვიგრძენი, თუ როგორ მომნატრებიხართ! მინდა, ეს მონატრება მხოლოდ ლიტონ სიტყვად არ დარჩეს. ძალიან მინდა, „გზავნილების“ შესახებ უფრო მეტმა გაიგოს, უფრო მეტი და მეტი სიხალისე და სისპეტაკე შევიტანოთ ყველასათვის უსაყვარლეს ჟურნალში. მინდა, რომ ჩვენც გავიხაროთ და სხვებიც გავახაროთ ხოლმე, ხუთშაბათი დღის დადგომით და თან როგორ, იცით? აი, დილით რომ გაიღვიძებ, თვალებს მოიფშვნეტ და უცებ, თავში რომ დაგკრავს — აუ, დღეს ხომ ხუთშაბათია, ავოიეეეეეე! თმააჩეჩილი, ცალი წინდით გაიქცევი, „გზის“ ყიდვა არავინ დამასწროსო. ჩემო ძვირფასებო, ვიცით და საკუთარ ტყავზე გვაქვს გამოცდილი მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებებს მნიშვნელოვანი ადგილი რომ უკავია ქვეყნის განვითარებასა და მკითხველთა აზროვნების ჩამოყალიბებაში ანუ რასაც ისინი გვაწვდიან, თავისთავად, იმას ვასრულებთ. ქვევრს ხომ რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს... მაშ, მოდი, ამ ჟურნალის მეშვეობით, რომლის რედაქტორობასაც თავად ილია ჭავჭავაძეც არ ითაკილებდა, კარგი საქმე გავაკეთოთ. ისე, რომ ჩვენი „გზავნილებიდან“ სხვებმა იხალისონ და მასში კარგი



ნუ დატოვებ მანქანის გასაღებს სახლში. რაც ამას მოჰყვება, მომდევნო გვერდზე ნახე...

მაგალითი დაინახონ. მეყოფა ამდენი ვაიფილოსოფოსობა, თორემ მე თუ ჩავირთე, ისეთ მიტინგს მოვაწყობ, ოპოზიცია გულზე გასკდეს და მიშას გული გაუსკდეს. :) მოკლედ, ერთად ავაყვავოთ ჩვენი „გზა“, განვაახლოთ არშემდგარი კლუბები, დავიმხოთ თავზე მთელი ჟურნალი და გავიხალისოთ სიცოცხლე. გინდაათ? მაშინ გე-ნაცვა-ლეეთ, ჩა-გე-ხუ-ტეეეთ, გეფა-ნცქ-ვა-ლეეეთ, ჩა-გე-ფუ-რჩქნეეეთ, თქვენი ლიმონა-მანიუ.

• მარიამულ, სიხარულო,/ მგზავნელებო, ძვირფასნო,/ ლიმნის ქალი დაგიბრუნდით,/ იდღეგრძელეთ, დიდხანსო,/ მომნატრებია ლიმონას/ „გზაში“ ჩემი გზა, გავლილი,/ ის სიტკბოცა და სიმწარეც,/ სითბოც და ცრემლიც, დაღვრილი./ მომნატრებია ათენში/ ქართველი ემიგრანტები,/ ბათუმში ვერლეკელები,/ კახეთში — დილეტანტები,/ გუ-ათენი და ბოტოტა,/ ტატუსი, კობრა, ვარდენა,/ უკარება და ზურურა,/ ანარქია და პანტერა,/ ბუბუსიკა, ვერმახტ, კიკო,/ ლელუჩია, კაკუ, დუჩი,/ ბაო-ბაო დაგვიბრუნდი,/ მეგი, ქალო, რად ხარ ურჩი?/ კახელოს და მის რეალის,/ ლექსები და რითმა მშვიდი,/ აწყურელი საბრალო და ცხრა, შვიდი და ერთი, შვიდი (9717),/ ნონ სტოპი და მაესტრუნა,/ გიჟ-პოეტა, ნიკოლი,/ ლორელაი, პარიჟანკა,/ დადუ-კაცი, პრიკოლი,/ ქუთაისის სიამაყე,/ ლომუა და თაისი,/ ეშმაკუნა, ნათათუნა,/ ჩუმი ედელვაისი,/ მმმაგარია იკუშკები,/ სესი, პავლე, ჭრიჭინა,/ მანჩესტერიც მაგარია,/ გიუმაჟუნა სიკვდილაც,/ ჩორი-ჩორი, ჩემო გოგო,/ ასე რატომ შემიყვარდი?/ შენს გოლიათს მოენატრე,/ მომენატრე, გურიშ-ვარდი,/ ჩემო ციცქნა სიხარულო,/ იჩრო-სიხჩოვ, გეფანცქვალე,/ აბეზარავ, sweeT-girl, ქალოვ,/ კეთილ გულში გენაცვალეთ,/ ბევრი „სნიკერსი“ და კოცნა,/ როზის, ელისოს პატარებს,/ უზნეო ანგელოზის და/ კახელ სალომეს ვარსკვლავებს,/ ქუთათურო, მანაველო,/ ნიღბოსანო, მეგრელ მგელო,/ სოოფ, ჯეჯე, აპოლონო,/ უთქვენობა არ მსურს, მეყო!/ ერთი აწუხებს გულს, ჩემსას,/ მართალია თუ მითია, „გზაში“ მართლა არსებობდა,/ ბიჭი, ნიკით — სტიქია?/ მითხრეს, თურმე, რომ ჩიოდა/ არვინ მყავსო ლექსთმეწყვილე,/ მაშ დაბრუნდი, გამოგიჩნდა,/ კოლხის ასულს შემეჯიბრე,/ მარიამულ, სიხარულო, არჩევნები წავაგე,/ სულიერად ხომ მოვიგე?/ ჰოდა, სხვა არ მადარდებს!/ ვენაცვალე შენს სიკეთეს,/ მხარზე მაწევს შენი ვალი,/ შენი შემწე ყოფილიყოს,/ ჩვენთვის ჯვარცმული უფალი,/ „გზავნილეთის“ მოდელია,/ ჩვენი ერი, საქართველო,/ ვიხაროთ და სხვაც ვახაროთ,/ ყველამ ერთად ვიქართველოთ! ლიმონა-მანიუ.

• ბავშვობიდან ვუყურებ, როგორ აყენებენ იმ ადამიანებს ტკივილს, ვინც ყველაზე მეტად მიყვარს. ახლა წარმოიდგინეთ, როგორ მდგომარეობაშია ჩემი ფსიქიკა. იცით, რატომ მინდა სიცოცხლე? იმიტომ, რომ შვილი მყავს, რომელიც ყველა ტკივილს მიყუჩებს. 13.

• მიყვარხართ სუყველა. მარ, ხომ დამიბეჭდავ? ახალი ვარ, მაგრამ დიდი ხნის მკითხველი. მოვიკითხავ კახეთს და ახმეტას. ზუზუ.

• არ გაგიკვირდებათ ალბათ, რომ გითხრათ, მეც შორეულ საბერძნეთში ვარ-მეთქი. არც ისე დიდი ხანია, რაც „გზავნილებს“ ვკითხულობ. თუმცა, უკვე შემიყვარდით ყველა და მინდა, ხშირად გეკონტაქტოთ. როგორც ერთმა მგზავნელმა აღნიშნა, ათენში კვირაობითაა ხუთშაბათი. ბედნიერება არ იყიდებაო, მე კი ყოველ კვირას, 1 ევროდ ვყიდულობ. :) ათენელი მუნჯი.

• მარის გაუმარჯოს, თქვენც გაგიმარჯოთ და ჩემს დაბრუნებასაც გაუმარჯოოს! მარი, თუ არ დამიბეჭდავ და არ დამაბრუნებ, ეგ შენგან უცნაური საქციელი იქნება. :) ვიხუმრე, რა თქმა უნდა. ძველებო, ძაან მაგრები ხართ! ვერმახტი.

• „ნეტავ კითხულობ „გზას“, ჩემო მაიკო?“ — ამ გზავნილის ავტორს ვთხოვ, ნიკი ან ფსევდონიმი მიუთითოს, რადგან, რაღაც მსგავსი ჩემს ცხოვრებაში იყო და სახელიც ემთხვევა. ათენი.

• ეგოისტკა, გაიხარე! ულრმესი მადლობა. რავი, ამბობენ, რომ ასეთი ვარ. ვიცი, რომ



ნამდვილმა მამაკაცმა სახლი უნდა ააშენოს, ხე დარგოს, ვაჟი გაზარდოს და გააკეთოს ის, რასაც ცოლი ეტყვის.

შენც ძალიან კარგი და კეთილი ხარ. გაკოცე. ოლეგარიო.

• როგორ ხართ, სიხარულებო? აქ ლამაზი სამყაროა და ყველამ ვეცადოთ, ერთმანეთს დავეხმაროთ და გავახალისოთ. გულთბილად მოვიკითხავ ყველა მგზავნელს.

• აჰაა, ვინაა ნეტავ ეს დუჩი2? სიხარულო, არ გინდა, სხვა ნიკი რომ აირჩიო? ჰო, მართლა, 18 დეკემბერს ჩემი დაბადების დღეც მოდის და ნეტავ, ვის გავახსენდები? რა საინტერესოააა... დუჩი.

• ჩემო ანგელოზო შვილიკო, უსაზღვროდ მიყვარხარ... გეიგეე? :-) კოხის ვულოცავ პაწუას დაბადებას... სესი, რათ დამივიწყე? ნონ სტოპ, ჩემი რჩევა გაითვალისწინე. დუჩი.

• პრივეტ, მგზავნელებო, როგორ ხართ? ყველა კარგები და საყვარლები ხართ. დუჩი2, რძალო, იმედია, მიგვიღებენ. ყველა გვიყვარხართ. გკოცნით. სხივი.

• პრივეტ, მგზავნელებო, როგორ ხართ? სხვი, რას შვრები, მულიკო? მიგვიღებენ ალბათ, არა, ტო? დუჩი2.

• მდააა... ახლა როგორ ძაან მენატრება ჩემი სიყვაა..... ალუუუ.....ლიიიიი! მიორქ, მანგარო... ვასასი.

• მოგესალმებით, მგზავნელებო, ძაან საყვარლები ხართ, ყველანი. გაკოცეთ ყველას. ლელაჩო.

• მგზავნელებო, მე ახალი ვარ. უაზრო ცხოვრებამ ძალიან დამტანჯა და გადავწყვიტე, შემოგიერთდეთ. განსაკუთრებით კანიბალკამ დამაინტერესა. მაგრები ხართ! ქუთაისიდან, ვათათყი.

• ჰე, მარი, დაბეჭდე, თუ მაგარი ხარ. ვეძებ სპონსორს ან ისეთ ადამიანს, ფულს რომ მასესხებს, უვადოდ. სერიოზულად ვამბობ. გაჭირვებული ფეხმძიმე.

• ჰი, ჰი, ჰი... ყველას მოგესალმებით. მე ვარ ციცინათელა. მოვიკითხავ ნათუშას, ბუსუსას, ბოთუნას, კუის, ძამიკოს, ბისას, ზვიკის, ყაცუის, იმდიჩკოს, მაროს. გაგვიმარჯოს!ჯოს! ჯოს!

• აუ, გოგონებო, რამხელა ფანტაზიის უნარი გქონიათ?! თქვენ რომ გისმინოთ, თურმე ყველა მგზავნელი ბიჭი გაბამთ. ადრე სხვებს ეძახდით მექალთანეს. კარგი რა, ასე რამ გაგამწარათ? ჰოდა, კიდევ — მწარე, მაესტროს თავი არაფერი ჰგონია, უსაყვარლესია, ჩემზე კარგად არც ერთი არ იცნობს მას და შეგიძლია, დამიჯერო. ჩემი გადარეული ბიჭია, ჩემიიი! კიდევ იმის თქმა მინდოდა, რომ თქვენს თავებს მიხედეთ ყველამ, რა, და ლუნას დას მინდა ვუთხრა: თუ ყველამ ყველაფერი იცით, მაშინ ნუ ფანტაზიორობთ, არ გაბამთ არავინ, არა! ნერვები დაიწყნარეთ, გოგონებო, თორემ დარჩებით გასათხოვრები. შეგპირდი, არ დავამესიჯებ-მეთქი, მაგრამ შენი ნერვების



აი, შედეგიც....

მომშლელი და მოუსვენარი გოგო ტყუილად ხომ არ ვარ, არა?

• მარ, როგორ ხარ? ახლა სკოლაში ვარ და ჩემი ისტორიის მასწავლებელი გავაგიჟე, გინდა თუ არა მითხარი, ზეიკიძის დალმართი სად არის-მეთქი. ახალი ნომერი მაქვს, გენათალეთ. გუმა.

• გამიხარდა მგზავნელების გაცნობა. პარიჟანკას, გრუზინკას, ტირიფის და პავლიკასი. ძმა, უკაცრავად, რომ გაწყენინე მაშინ. სხვანაირად უნდა მეთქვა და ვიცი, ცუდად გამომივიდა. მანაველს გამოართვი ჩემი ნომერი და შემეხმიანე. ყველანი საყვარლები ხართ. მიყვარხართ გულში, ლუნა, აბეზარა, ენიგმა, გრაზი გირლსი და ნერთის, არ დამვიწყნიხართ. ედელვაისი.

• ნიკოლ, კაკუ, გენათალეთ თქვენ. მაესტრო, აპოლონ, პავლიკ, ფელამუშ, ოლე და ა.შ. გაიხარეთ. ყველანი მიყვარხართ. ისა და... ზოგიერთები მიწყნარდით, თორემ აჰააა.... :) სესი.

• ...დაა, არც ერთი ჩემი გზავნილი... ცუდიააა... ვასასი.

• მიყვააააარს სიცოცხლე, შენ რომ არსებობ და მე რომ გიპოვე... მიორქ, მანგარო. ვასასი.

• მგზავნელებო, განურჩევლად ფერისა, სარწმუნოებისა, სტატუსებისა, ყველა მიყვარხართ გულში. ვასასი.

• მარუშკებიიი, გრანდიოზულად დიდია ჩემი სიყვარული და ჩახუტება შენდამი და მგზავნელებისადმი. ვასასი.

• ალოოო, ქუთეისიააა, სიმოონ? არააა, სვანეთია, მუხბე. ვასასი.

• გამარჯობა მარი, როგორ ხარ? არ გწერდით, მაგრამ თქვენი ერთგული ვარ. შვილი შემეძინა, უკვე ერთი თვისაა. ძალიან მიყვარხართ. თქვენი მაზოხისტკა.

• მწარეს: ბოლომდე ვერ წაიკითხე, ჯვარი გვწერია-მეთქი? თუ არა და, მე და ბოხო ერთმანეთში გავარკვევთ. ბათუმელ ინტრიგან ნათიას კი ვეტყვი, რომ ინტრიგა მავნებელია. გრუზინკა.

• ერატოოოო, სიგიჟემდე მიყვარხარ! ჩემს უსაყვარლეს ადამიანებს მოკითხვა. გმადლობთ, კამი. კახელო, ლიმონა, დუჩი, მის რეალ, კახელო სალომე, უკარებავ, ძალიან მენატრებით. აპოლონი.

• გამომეხმაურე, ჩემო კარგო მაიკო, ჩემი სულის

ტკივილო, გულის მოურჩენელო იარავ... ვიცოდე, როგორ ხარ მაინც... მიხაროდა, როცა მეხმიანებოდი. მართლაც, ბედნიერება წამია, წუთით გაკრთა და გაქრა. გაიხსენე, რას მეუბნებოდი, მეგობარო, რომ არასოდეს მოხდებოდა ეს... ღმერთმა იცის, რა დღეში ვარ. ძალიან ძნელია, ჩემო მაიკო. მარტყოფი.

• ვიტალი ჩოჩიევო, დედი, სად დამეკარგე? ყოველ წუთს ველოდები ზარს. გლდანის ციხის მერე სად წაგიყვანეს? დამირეკეთ, თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ.

• ჩავუჯექი ტესტს და მივყევი ინსტრუქციას. პასუხის თანახმად კი... დედოფალიც ხარ და, ტუტანჰამონიც, დამპალო შენ! დათო. მარ, მარ-წყვივით ჩასაყლაპი ხარ!

• იმ საიდუმლოს გაგიმხელთ, შემთხვევით რომ გამიგია, „ოლიმპიელი ბიჭუნა" არის პოეტი სტიქია. დაფნე.

• მე, ნეტავ, ვინ გთხოვა, შემაფასეო, ჰა? ზატო სხვას მოვეწონე და შენ როცა გკითხავენ, მაშინ უპასუხე, გენც! ედელვაის, საით გაგიწევია? იკუშკებს ვენაცალეოოოო! :) green girl.

• ჰოდა, რომ მიპოვე, დამაბრუნე მთვარესთან, ისიც ცოდოა. აპოლონ, 9717 და დუჩ, მენატრებით. კოხის ვულოცავ პატარის დაბადებას. :) კამელია, ჩხოროწყუში მეც დავდივარ. :) green girl.

• მთელი ცხოვრება ეძებ, იპოვი. ბედნიერი ხარ. იმ ყვავილივითაა, ყველაზე მაღალ მწვერვალზე რომ ხარობს. მიუწვდომელს რომ მისწვდები და მისი სურნელით ტკბები. მოხუცი.

• ყველა მგზავნელს მინდა გითხრათ, გეფერებით, გიკრავთ გულში, ერთად ვძლიოთ სიძულვილს და გავეჯიბროთ სიყვარულში! მე ხომ თქვენი მებაღე ვარ, თქვენ — ამ ბაღის ყვავილები. ეს ჟურნალი — წმინდა წყარო, თქვენი თბილი „გზავნილების". ერთმანეთს რომ ბანი მივცეთ, შემოვძახოთ მგზავრული, ვამაყობდეთ ქართველობით, ვქმნათ საქმენი, ქართული. მოხუცი.

• ბედს რატომ წიხლავ, ქალაო, ლექსი რამ მოგიჩმახია, შინაბერობის სტატუსი, შენზე, ღმერთმანი, ახია.

• კიდევ ერთი ულამაზესი დღე ვაჩუქეთ ერთმანეთს მგზავნელებმა. თბილისს სანატრელი გრუზინკა სტუმრობდა. კი არ წავედი, გავფრინდი მის სანახავად. პირველად ვნახე ქალი — ენერგია, მანაველი და ნაზი ედელვაისიც. ჩემი საყვარელი ტირიფიც იქ იყო. მალე მუდამ ხალისიანი ლელუ და საუკუნის უნახავი პავლიკა მოვიდნენ, მაგრამ ლელუ მალე წავიდა. პავლიკა კი „უხმარ" კროსვორდს ხსნიდა. მე, ტირიფი და გრუზინკაც ავყევით და საბოლოოდ, მანაველის ვიდეოარქივში მოვხვდით. :) კახელი ქალების გარემოცვაში აღმოჩენილმა პავლიკამ მკითხა: პარიჟ, ფრანგული იციო? არადა, ელჩად რომ დამნიშნავენ, პირველ ვიზას დავპირდი, ადრე. მერე ფრანგულად (ვაი, იმ ფრანგულს) ლექსი გვითხრა. :) გვიან, საქმიანი ილინი და იმიჯშეცვლილი კანიბალკა მოვიდნენ. ელე ჩვეული აქტიურობით რაღაცას ჰყვებოდა და ყურადღებაც მიიქცია. ერთი ბიჭი აშკარად გამოხატავდა ინტერესს და ელემ ისეთი შეუძახა, საცოდავი „ზადნით" წავიდა. :) კიდევ იცით, რა გავაკეთეთ? თბილი შოთები მივირთვით, ავლაბრის მეტროში. ასეა, როცა რაღაც გიხარია, გამვლელთა გაოცებული სახეებიც არ გადარდებს. მერე ავი სულები იტყვიან, მხოლოდ ფურცლებზე გიყვართ ერთმანეთიო. ნეტავ, მასეთებს აჩვენა, როგორ ვეფერებით რეალობაში, ერთმანეთს. მიყვარხართ უზომოდ! თქვენი პარიჟანკა.

## მიყვარხარ



• მიყვარს მარი ივანეიშვილი.

• ლაშა ბერიძე, ძალიან, ძალიან მიყვარხარ, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია. ჩემი ცხოვრება ხარ, უზომოდ მიყვარხარ და სულ მეყვარები, შენ ხომ ჩემი პატარა ხარ, პატარა!

• ჩემო ყველაზე ლამაზო, ყველაზე სანატრელო ევა, გილოცავ ანგელოზის დღეს, 24 დეკემბერს. მე შენ მიყვარხარ, ჩემო გოგო, ჩემო მტანჯველო, ჩემო სტერვოჩკა.

• გორელებო, თუ ვინმე იცნობთ მარი კოპაძეს, წყაროსუბნელს, იცოდეთ, ეგ გოგო ჩემი სიცოცხლეა, მიყვარს უღმერთოდ. ჩემია, ყველამ იცოდეთ. მარი, მიყვარხარ, ცხოვრებავ. წიკლაური.

• აგნესა, რამაზ ზაზაძე, ვიტალი ჩოჩიევო, ჯაგარ ჯაგარიჩ, ქავთარაძე, მუშთა, ჯიბე, მენატრებით და მიყვარხართ. თამო.

## მილოცვა



• დათო ბობღიაშვილს, ბობღას ვულოცავთ დაბადების დღეს, 15 დეკემბერს. პირველად ვხვდებით უშენოდ ამ დღეს, შენ ხომ 23 წლის უნდა გამხდარიყავი.... ძნელია, უშენოდ ცხოვრება. წახვედი და დაგვიტოვე უზომო ტკივილი და მონატრება. შენს სურათებს ვეფერებით. გვენატრები, ჩვენო საფიცარო ძმიკო, ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი.

• სულითა და გულით ვულოცავ ია კიკოლაშვილს ოჯახის შექმნას და დაბადების დღეს. ბედნიერი და ჯანმრთელი მეუღლე და დედა ყოფილიყავი, ჩემო კარგო და გიცოცხლოს ღმერთმა შენი მეუღლე და ყველა კეთილი ადამიანი. შენ მესამე ადამიანი ხარ, ვის ნახვასა და გაცნობასაც მოუთმენლად ველი, ჩემი ნათიას და ბესოს შემდეგ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი და გკოცნით ბევრს. ნანული.

• მონატრებულ შვილს ქუთაისში, გიორგი მსხვილიძეს ვულოცავ 20 დეკემბერს, 4 წლის იუბილეს. გისურვებ, ყოფილიყავი გაზაფხულივით ლამაზი, ზაფხულივით თბილი, შემოდგომასავით მაძღარი და ზამთარივით სპეტაკი. გლოცავ, ყველას ამაგი დაგეფასებინოს და უფალი გფარავდეს! დედიკო, ეკა ფურცხვანიძე.

• მაგდა ბაჯელიძესა და სვეტა ტვილდიანს ვულოცავ ახალ წელს და ვუსურვებ ულევ სიხარულსა და ლამაზ, ბედნიერ წლებს. მიყვარხართ და მენატრებით. ნესტანი.

• მარი ჯაფარიძეს და ყველა მარიამს მინდა მოგილოცოთ ახალი წელი და გისურვოთ ლამაზი ოცნებების ახდენა. ნესტანი.

• ხონში, მონატრებულ ძმისშვილებს, მარიამს და გიორგი ტვილდიანებს ვულოცავ დამდეგ ახალ წელს და ვუსურვებ ბედნიერ ბავშვობას. გფარავდეთ ღმერთი. ნესტანი მამიდა.

• ზესტაფონი, სოფელი მარტოთუბანი. მაკა გოგუას დაბადების დღეს, 24 დეკემბერს ულოცავს დედამთილი, ციცო ქლიბაძე. უსურვებს ჯანმრთელობას, სიყვარულსა და ულევ სიხარულს, საყვარელ ქმარ-შვილთან ერთად. უფალი გფარავდეთ.

• ანზორ, გილოცავ დაბადების დღეს, 20 დეკემბერს. მრავალს დაესწარი. შენი ცუდი არ გამეგოს. შენ ხომ ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული ხარ. როგორ მინდა, შორიდან მაინც დაგინახო, მაგრამ ეს შეუძლებელია. მიყვარხარ, იცოდე, ჩემო დაკარგულო სიყვარულო. ბებია.

• ბარბარობას და დაბადების დღეს ვულოცავ ვარვარა, ვანო, ზოია და ეკა გირდებს. ყველაფერ საუკეთესოს გისურვებთ, თქვენს ოჯახებთან ერთად. მზია.

• ბელა და კახა, გილოცავთ გაბედნიერებას. უფალი ღმერთი და ღვთისმშობელი ყოფილიყოს თქვენი მფარველი. გისურვებთ ყველაფერ საუკეთესოს. გკოცნით ბევრს. თქვენი რუსიკო დეიდა.

• დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს შვილს, თამუნა როსტიაშვილს. ჩემო საყვარელო, გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას. შენი იმედი ღმერთმა არ მომიშალოს. შენი უბედური დედიკო. მენატრები უსაზღვროდ, გკოცნი ბევრს.

• ჩემს შვილიშვილს, სანდრო გიგაურს ვულოცავ დამდეგ ახალ წელს, ვუსურვებ, გაზრდილიყოს მშობლების სასახელო ვაჟკაცი. ღმერთი იყოს შენი მფარველი, საყვარელო, შენთვის ლოცულობს ირმა ბებია. გკოცნი.

• 19 დეკემბერს, წმინდა ნიკოლოზობის დღეს დაბადებულ ლელა სანაიას ვულოცავ 22 წლის შესრულებას. ჩემო სიხარულო, გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, გახარებას და გამრავლებას. წმინდა ნიკოლოზი იყოს შენი მფარველი. ძალიან მენატრები, პატარა ანგელოზო. გკოცნი უამრავს, ძალიან მენატრები. თიაკო.

• 20 დეკემბერს დაბადებულ მურმან (იოსებ) სანაიას ვულოცავ 50 წლის შესრულებას. პაპუჩი, გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს და გახარებას, შენს მეუღლესთან, შვილებთან, სიძესთან და პატარა შვილიშვილთან ერთად. ძალიან მენატრები. გფარავდეს ღმერთი. თიაკო.

• საყვარელ შვილებს, ანას და ლანას ვულოცავ ბარბარობის ბრწყინვალე დღეს. წმინდა ბარბარეს მადლით ყოფილიყოს განათებული თქვენი მომავალი ცხოვრება. უფალი გფარავდეთ, გკოცნით მონატრებული დედიკო.

• რუსთავში, თინიკო მეტრეველს მინდა მივულოცო დაბადების დღე, 20 დეკემბერი. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და მალე გაბედნიერება მომელოცოს. გკოცნი და გეფერები. თინიკო დეიდა.

• მინდა, ჩემს მონატრებულ შვილიშვილს, ნიკოლოზ დუგლაძეს ათენიდან მივულოცო ნიკოლოზობა. გფარავდეს ყველა წმინდანი და სასახელო ბიჭი ყოფილიყავი. შენით ემაყოს შენს ორივე ბებოს და შენს მშობლებს. გკოცნი და გეფერები. თინიკო ბებო.

• 9 დეკემბერი. გოჩა, ჩემი ცხოვრების არსო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, წრფელ და ლამაზ სიყვარულს, ჩემთან ერთად. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

• ლია აფრასიძე, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, უფლის წყალობას, ზღვა სიხარულს და ბენიერებას, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. ხაშური.

• აგნესა, რამაზი ზაზაძე, ვიტალი ჩოჩიევი, ბექუნა, ედო, ბეგია, მუშთა, თემო, ჯაგარა, სიკვდილა, გილოცავთ ბარბარეს წმინდა დღესასწაულს. თამო.

• ზუგდიდელ ალიკა და ნანა მამფორიებს ვულოცავ პატარა ლუკას შეძენას. ლუკა და საბა დალოცოს უფალმა. ქობულეთი. კიკვაძე ნათია.

• ბაჩუკი შენგელიას დაბადების დღეს ვულოცავ. მრავალს დაესწარი. უამრავი ლამაზი დღის მომსწრე ყოფილიყავი. იმრავლე და იხარე, ჩემო სიხარულო და სევდავ.

## ყურადღება!

„მობილიზაციაში" ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის" ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა" №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

# სამი კითხვა

ახალგაზრდა მამაკაცს უამრავი კითხვა აწუხებდა და მათზე პასუხს ეძებდა. უამრავ ადამიანს ჰკითხა, მაგრამ ვერავინ უპასუხა. ერთ დღეს კი ბრძენს შეხვდა და ჰკითხა:

1. ღმერთი არსებობს? თუ არსებობს, მაჩვენე და დამიმტკიცე.
2. რა არის ბედი?
3. თუ სატანა ცეცხლისგან გაჩნდა, ის ჯოჯოხეთის ცეცხლში მოხვდება იქ, სადაც ყველა ცეცხლში იწვის. მას ხომ არ ეტკინება? ნუთუ ღმერთმა ამაზე არ იფიქრა?



უეცრად, ბრძენმა ლოყაში გაუსილაქა.

გაოგნებულმა მამაკაცმა ჰკითხა:

— რატომ გამიბრაზდი?

— არ გავბრაზებულვარ, ეს იყო პასუხი შენს კითხვებზე.

— ეს როგორ?

— რა იგრძენი, როცა სილა გაგაწანი?

— რა თქმა უნდა, ტკივილი.

— ე.ი. ტკივილის არსებობის გჯერა?

— დიახ.

— მაჩვენე ტკივილი!

— ვერ გაჩვენებ!

— ეს არის პასუხი პირველ კითხვაზე. ახლა მითხარი, წუხელ სიზმარში ხომ არ გინახავს, დღეს სილას რომ გაგაწნავდი?

— არა.

— ოდესმე თუ გიფიქრია, რომ დღეს ჩემგან სილას მიიღებდი?

— არა.

— ეს ბედია... ახლა ის მითხარი, რითაა დაფარული ის ხელი, რომელიც ლოყაში მოგხვდა?

— კანით.

— შენი სახე?

— კანით.

— გეტკინა?

— ძალიან.

— ეს პასუხია შენს მესამე კითხვაზე.

# ანეკდოტები



— ვაა, რა ლამაზი ნაძვის ხე გაქვთ, მორთული და მოკაზმული, — ამბობს კლიენტი.

— პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ საახალწლოდ ყველა დაწესებულება საზეიმოდ უნდა იყოს მორთული. ჰოდა, ჩვენც მისი ბრძანება შევასრულეთ. რომ შემოიაროს და შეამოწმოს, მერე რა ვქნათ? — უპასუხა ბორდელის დიასახლისმა.

— ახალგაზრდა მამაკაცი ექიმთან ანონიმურად მიდის.

— ექიმო, იცით, მრცხვენია, მაგრამ უნდა გითხრათ... ერთხელ მამაკაცთან „ის“ მომიხდა... ახლა მინდა, რომ შემამოწმოთ.

— ანალიზი ჩააბარეთ და მოდით.

ექიმმა ანალიზის პასუხს დახედა.

— ჰოო, ცუდაა საქმე, აქ რაღაც ცვლილებაა, მაგრამ განსაკუთრებულ კვების რეჟიმს დაიცავ და ყველაფერი კარგად იქნება. ჩაიწერე: დილით 1 ჭიქა რძე და „სელიოტკა“; შუადღისას — რძე, „სელიოტკა“ და მჟავე კიტრი; საღამოს — რძე და მჟავე კიტრი. ასე უნდა იკვებო 1 კვირის განმავლობაში. ძნელია, მაგრამ უნდა გაუძლო.

— ყველაფერს გავუძლებ, ექიმო, ოღონდ მეშველოს.

მამაკაცი წავიდა.

— ექიმო, რაც თქვენ დაუნიშნეთ, ეს ყველაფერი ხომ კუჭს აუშლის? თანაც, მშვენიერი ანალიზის პასუხი აქვს და არაფერიც არ სჭირს, — ჰკითხა ექთანმა.

— არა უშავს, კუჭს კი აუშლის, მაგრამ სამაგიეროდ, მიხვდება, რისთვის სჭირდება კაცს ტრ.....ი.

არსებობს მამაკაცის სიმამაცის 3 სტადია:

1. ქმარი გვიან ბრუნდება სამსახურიდან, ცოლი კარს უღებს, ხელში კი ცოცხი უჭირავს.

ქმარი: იატაკს გვი თუ სადმე გაფრენას აპირებ?

2. ქმარი სამსახურიდან ღამის 1-ელ საათზე ბრუნდება. ცოლი საწოლში წევს და თავს იმძინარებს.

ქმარი იღებს სკამს და „მძინარე“ ცოლის წინ დგამს. დაჯდება და უყურებს. ცოლი ვერ ითმენს და ეკითხება: რას აკეთებ?

ქმარი: კონცერტი რომ დაიწყება, მინდა, წინა რიგში ვიჯდე.

3. ქმარი სამსახურიდან შინ დილით ბრუნდება, კარგ გუნებაზეა, პომადითაა მოსვრილი და ქალის სუნამოს სუნს აფრქვევს. ცოლი სამზარეულოშია, ნასაუზმევი, გაბრაზებული და ქმარს ზურგს აქცევს. ქმარი უახლოვდება, საჯდომზე წამოარტყამს და ეუბნება: შემდეგი შენ ხარ!

3 ბიზნესმენი საუბრობს:

— აუ, წარმოგიდგენიათ? იმ დღეს, მე და ჩემი ცოლი მაღაზიაში შევედით. რაღაც ტრუსი მოეწონა, აბრეშუმის, შავი, სექსუალური და ეს ტრუსი 1.000 ლარი დამიჯდა.

— ეგ კი არა, ჩემს ცოლს რომ ტანგა მოეწონა, თურმე ბრილიანტის თვლებით იყო განყობილი და 5 ათასი დოლარი დამიჯდა.

— ეგ არაფერი, ჩემმა ცოლმა ტრუსი ნახა და ის ტრუსი ნახევარი ქონება დამიჯდა.

— რომელ მაღაზიაში ნახა ასეთი ძვირად ღირებული ტრუსი?

— ეჰ, მაღაზიაში კი არა, ჩემი პიჯაკის ჯიბეში ნახა, — ამოიოხრა მესამემ.


პასუხისმგებელი რედაქტორი — მარი ჯაფარიძე. პრადი ტელ: 8.77.45.68.61

# ოზურგეთის ნიკალა





ნანა რამიშვილი

იყო ერთი მხატვარი ოზურგეთში, — გერონტი ღლონტი, — იქ ოზურგეთის ნიკალა დაარქვეს...

ჰგავდა ალბათ... ერთი ოზურგეთელი მომღერალია, ტრისტან სიხარულიძე, გაჭირვების წლებში ბავშვებს თავს უყრიდა და სიმღერას ასწავლიდა უფასოდ. ვიღაცამ ფრანგები მიუყვანა — მოეწონათ, — შენი ბიჭებიანად პარიზში უნდა წაგიყვანოთო... საჩუქრად წასაღები არაფერი ჰქონდა, მიადგა გერონტის, — ხელცარიელი ხომ არ წავალ, ნახატი მომყიდეო... გაისწორა გახუნებული პიჯაკი მხატვარმა და — რას ამბობ, კაცო, მე და შენ უპატრონო ხალხი ვართ, ნახატს როგორ მოგყიდი, მიჩუქნიაო... ვითომ მარტო მას ჩუქნდა, მთელ ოზურგეთს კი არა. აი, ასე — დარჩებოდა ვინმეს ზედ თვალი, აიღებდა და აჩუქებდა, — კაცს ხელოვნება უყვარს, ფული როგორ უნდა გადაახდევინოო. ხანაც ცვლიდა. არადა, გაგიჟდნენ თურმე ფრანგები. არ დაიჯერეს — მართლა პროვინციელი მხატვარის დახატულიაო? აიჩემეს, გაგვაცანითო... მაგრამ ქვეყანას უჭირდა და მხატვარს როგორღა ექნებოდა პარიზში წასასვლელი ფული!.. მერე კი საერთოდ წავიდა ამ ქვეყნიდან. ავად გახდა, თავისი სახლის სარდაფში დაწვა და სარკმლიდან გაჰყურებდა ქვეყანას, რომელიც ნიკალასავით მისთვის ყოველთვის პატარა იყო...

ზოგიერთებმა, რომ გარდაიცვალა, მერე თქვეს, — თავად ჰგავდა იმ პაწია სარკმელს — ვერსად გაალწია მისმა ნიჭმაო...

ჯერჯერობით ახლაც ვერ აღწევს, ახლაც ნესტი ალპობს მის ნახატებს საბჭოთა გმირის, კონსტანტინე ლესელიძის მუზეუმში. ისინიც ჩალის ფასად მიჰყიდა გაჭირვების წლებში მუზეუმს — შვილებს არ მომიშივდესო. იხვეწებიან ახლა მისი შვილები, — ისევ მუზეუმის საკუთრებად დარჩეს, ოღონდ ჩვენ წავიღებთ და შინ მოვუვლითო. არაო — მუზეუმმა... აი, ესენი წაიღეთო და ერთი-ორი უკვე დამპალი ტილო გაატანეს ოჯახს...

ალბათ არ იციან, რას ალპობენ... ერთ ქართველ მხატვარს დიდი მხატვრების ქვეყანაში, ჰოლანდიაში ჰქონდა გამოფენა და იქიდან დაბრუნებულმა გამწარებულმა თქვა, — ხალხი ვის აფასებს და აღმერთებს, ჩვენთან კი გერონტი ღლონტის ნახატებს ალპობენ, უცხოეთში რომ გაიტანო, ამა და ამ ფასად გაიყიდებაო და... იმხელა თანხა დაასახელა, ასე, სამი-ოთხი პროვინციის მუზეუმს რომ გააწყობს...

ობოლი იყო. დედამ და მამიდამ გაზარდეს სოფელ ბოხვაურში... თბილისში წასასვლელად ჩემოდანს რომ ულაგებდნენ, თურმე ხელი უკანკალებდათ, — ერთადერთი ჰყავდათ... მაგრამ არც სხვა გზა ჰქონდათ — ნიჭიერი იყო... ჩავიდა თბილისში და... უკანვე დაბრუნდა — ხან დედა გაუხდა ავად, ხან — მამიდა... ასე გახდა თვითნასწავლი მხატვარი. წავიდოდა, გათოხნიდა ყანას, მოვიდოდა, მიაყუდებდა თოხს სამზადზე, დაჯდებოდა და ხატავდა... ზოგი ამბობდა, სოფლის მხატვარიაო... მაგრამ მისმა მეგობარმა მხატვარმა გოგი წერეთელმა თქვა, — სოფლის მხატვარი კი არა, ფიქრის მხატვარი იყო, ფიროსმანი (იმანაც ფიროსმანს შეადარა!) მირზაანელი იყო, მაგრამ მირზაანის მხატვარი კი არ ყოფილა, გერონტი მასავით ალალად ხატავდაო...

ალალად რომ ხატავდა, მიტომაც





არ გამოსდიოდა ისეთი ნახატები, დროს რომ სჭირდებოდა — დროს თავისი გზა ჰქონდა, ცხოვრებას თავისი — იქით, სადაც მხატვრებს დიდი ლენინის ბრინჯაოს თავების ჩამოსხმაში უხდიდნენ ფულს...

ცოლს სია რომ უკარნახა, 500 ნახატი გაახსენდა გაჩუქებული... ეს, რაც გაახსენდა... რაც დარჩა, ერთხელაც ღამით ციხიდან ახალგამოსული მერაბ კოსტავა რომ მიადგა, მან ნახა. ამ ბუმბერაზ კაცს ლამის ჩურჩულით ამოხდა: — ყველაფერი შენი ნებაა, უფალო, ალბათ უნდა მენახა ეს ნახატები და აქ იმიტომ მომიყვანეო...

ცხოვრების ჯოჯოხეთს თავს სამოთხესავით ეზოში აფარებდა,— ამას მაინც არ სჭირდებოდა ფული,— სადაც ლამაზი რამ ნახა ამოყვავილებული, გზა შეწყვიტა, ნერგი ამოიღო და პატარა ედემი გააშენა. ერთიც „კაჭკა" ჰქონდა, ზედ თავისი ინიციალები — „გ. ღ." დააწერა, გაიმძღვარებდა წინ, დაჰყვებოდა ბუჟუის ნაპირებს, თან ბრაზობდა — ეს ხალხი ბრმა ხომ არ არის, რას ყრისო! და თან ძველს — გობი იყო თუ კეცი, „კაჭკაზე" აწყობდა, მერე იმ ნივთებით თავის სამზადს რთავდა. ერთხელაც პატარა ბიჭი მიიყოლა მასთან ბაბუამ. ატირდა, — მიყიდე, მიყიდეო! თურმე სამზადი სახლი მოსწონებია (ახლა გურიაში ჩასული უცხოელები დაჰყავთ მის ეზოში, შეიყვანენ სამზადშიც, აჩხაკუნებენ აპარატებს და თავებს მრავალმნიშვნელოვნად იქნევენ — ეს რა ვნახეთო!)... ზოგჯერ იმ „ნაგვის" გადამგდებიც ესტუმრებოდა და გაუკვირდებოდა — ეს რა მიქნია, რა კარგი რამეები გადამიყრიაო... კაი-კაიო, — ხელს ჩაიქნევდა გერონტი და ცოლს დაუძახებდა — გამოგვიტანე, რაც გაქვსო... რომ არ მაქვსო? — თვალებით ეკითხებოდა ცოლი. კეჟერა ხომ გვაქვსო? აქეიფებდა სტუმარს კეჟერა ფხლითა და „ადესით" და ის კაციც მთელი კვირა ჰყვებოდა, — რა კარგი დრო გავატარე იმ საღამოსო...

მაგრამ გერონტი ღლონტის ნახატებში დრო არ არის,— იქ მარადიულობაა. ის გეძახის და შენც მიჰყვები — მიაბიჯებ დათოვლილ გორებზე, ტკბები სიმშვიდითა და სიმარტოვით და სულ აღარ გაინტერესებს, რას მოგკივის ცხოვრება, რომელიც ნახატს უკან დარჩა...

სხვა როგორ გითხრათ, მე ხომ ექსპერტი არ ვარ...

ალბათ გამოჩნდებიან ექსპერტებიც...

ოღონდ მალე, მერე გვიან იქნება და მარტო გურია არა, ყველანი ვინანებთ... ■



## ნუნუ გელაძე

*კომუნისტურ იდეოლოგიაზე აღზრდილი ჩემი თაობა იმდენად იყო გამსჭვალული ეროვნული სულისკვეთებით, რომ მეორე მსოფლიო ომისადმი გაორებული დამოკიდებულება გაუჩნდა. ამიტომ ეროვნული მოძრაობის პერიოდში, ჩინ-მედლებიან ქართველ ვეტერანებს უსაყვედურა: — საქართველოსთვის არ იბრძოდითო. ასე რომ, ისინი „წითელი", კომუნისტური რეჟიმისადმი სიძულვილმა ლამის „შავი", ფაშიზმის თაყვანისმცემლად აქცია და დაავიწყა, რომ ერთიცა და მეორეც პიროვნების უზენაესი თავისუფლების ხელმყოფი და ძალადობის მთესველი იდეოლოგია გახლავთ. ცხადია, არავის განკითხვას არ ვაპირებ, მით უფრო, რომ ისტორიას ამ თემაზე ჯერ კიდევ ბევრი აქვს სათქმელი, მაგრამ ვისაც ჩრდილოეთ იტალიაში ქართველი პარტიზანების საფლავები უნახავს და ერთ-ერთ მათგანზე ამოკვეთილი წარწერაც წაუკითხავს: „გამვლელო, შეჩერდი, აქ განისვენებს პატრიოტი, რომელმაც შენ თავისუფალი იტალია გაჩუქა", — არ შეიძლება, ეროვნული სიამაყით არ აღივსოს და თავისუფლების სახელით დაღუპული თანამემამულეების მიმართ ყოველგვარ იდეოლოგიას მოკლებული, ადამიანური თანაგრძნობის განცდა არ დაეუფლოს. ისინი კი ბევრნი იყვნენ, ქართველი პარტიზანები, ასობით, განსაკუთრებით პიემონტეს რეგიონში, სადაც იტალიური „წინააღმდეგობის მოძრაობა" ყველაზე მეტად მძვინვარებდა; ბევრი ვერ ეღირსა სამუდამო განსასვენებელს საკუთარ მიწაზე; ზოგი დაბრუნდა; ომის ქარცეცხლსა და დრო-ჟამს გადარჩენილი, როგორც თავად ამბობს: — „აქეთ ერთი დარჩა ცოცხალი", —* ***ლავრენტი ჯაფარიძე****, უბრალო, თავმდაბალი, გმირი მეომრის ქარიზმას მოკლებული. ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ ქართულ პრესაში ცოტა რამ დაწერილა მასზე, თუმცა მაინცდამაინც არც იტალიურ პრესას გაუნებივრებია. გადავწყვიტეთ, სამოცდაათი წლის განმავლობაში, სამშობლოს მოწყვეტილი ქართველი კაცის მოუშუშებელ ჭრილობებს ფრთხილად შევხებოდით.*

*ბატონი ლავრენტი პიემონტეს რეგიონში, ვერბანიის პროვინციის ქალაქ ინტრაში ცხოვრობს. ის შინაურულად მხვდება, დიდი ხნის მეგობრივით, ქართულ გაზეთებს ვუწვდი (ალბათ, ამაზე უკეთესს ვერაფერს აჩუქებ ქართველ ემიგრანტს). ვეკითხები, — ქართული კითხვა ხომ გახსოვთ-მეთქი? სწყინს: — დამიტოვე, ერთ დღეში წავიკითხავო. მაშინვე დამარცვლით კითხვას იწყებს, შინაურული საუბრისთვის განმაწყობს და რაჭული კილოთი შეფერილ ქართულ-იტალიურად მესაუბრება.*


ქალიშვილთან ერთად

# „მე სამუდამოდ დავბრუნდები"...

**— ბატონო ლავრენტი, სად დაიბადეთ, როგორ გახსენდებათ თქვენი ახალგაზრდობა, აქტიური კომკავშირელი იყავით?**

— დავიბადე 1919 წელს, რაჭის სოფელ ღარში. ჩემი მამა-ბიძა თავ-თავიანთი ოჯახებით ერთად ცხოვრობდა. ჩვენ შვიდი და-ძმა ვიყავით; მიწაზე ვმუშაობდით და თავი ისე გაგვქონდა. მახსოვს, რეპრესიების პერიოდში ბიძაჩემი დააპატიმრეს, კოლმეურნეობაში ჭიშკრის დაკეტვა დავიწყებია... და როგორც მახსოვს, იმის მერე გაქრა... კომკავშირელიც ვიყავი, პიონერიც და ოქტომბრელიც. აბა, მაშინდელ ახალგაზრდებს ისე ვინ დაგვტოვებდა; კომუნისტურ პარტიაში არ შევსულვარ. იტალიაში მუშად ვმუშაობდი და არჩევნებში ყოველთვის დემოკრატიულ პარტიას, „მემარცხენეებს" ვაძლევდი ხმას. „იტალიის პარტიზანთა ეროვნული ასოციაციის" წევრი ვარ და ერთადერთი იმის წიგნაკი მაქვს.

**— ომში როდის წახვედით, სად იბრძოდით? თქვენთვის სამშობლო საბჭოთა კავშირი იყო თუ საქართველო? ჰიტლერი ხომ ქართველებს არ ერჩოდა?!**

— ჰიტლერი თავისუფლებას ერჩოდა. მართალია, მაშინ „სამშობლოს" საბჭოთა კავშირი ერქვა, მაგრამ მე საქართველოს პატრიოტი ვიყავი, ჯარში რუსებთან სულ ცემა-ტყეპა გვქონდა, ვერ ვიტანდით ერთმანეთს. სამამულო ომი რომ დაიწყო, 22 წლისა ვიყავი და ჯარში რუსეთში ვმსახურობდი. ორი თვე მაკლდა შინ დაბრუნებას, მაგრამ ფრონტზე აღმოვჩნდი. 1942 წელი იდგა, თვე ზუსტად არ მახსოვს, რუმინეთის საზღვართან — ბესარაბიის ტერიტორიაზე ვიმყოფებოდით და გერმანელებმა ალყა შემოგვარტყეს. ბევრი ჩახოცეს, თავდაუზოგავად

ვიბრძოლეთ. მერე, როცა ტყვია-წამალი გაგვითავდა, დავნებდით. ვინც გადავრჩით, ვაგონებში შეგვყარეს (თითოში 50-60 კაცი), ჯერ უკრაინაში წაგვიყვანეს, მერე — გერმანიაში.

— **თქვენთან ერთად ვინმე ქართველი თუ იყო? ფრიდონ წულუკიძეს ხომ არ იცნობდით?**

— ვერ გავიგე... მაპატიეთ (უნებლიეთ მპასუხობს იტალიურად)... კი, კი ვიცნობდი...

— **მიხეილ დადიანს?**

— მიხეილი... შეიძლება, ვიცნობდი, მაგრამ ახლა არ მახსენდება... ადგილი კონკრეტულად არ მახსოვს, დიდი საკონცენტრაციო ბანაკი იყო, რა ეროვნების ადამიანს არ ნახავდით იქ. დღეში 12 საათს გვამუშავებდნენ, ბარაკებში ვცხოვრობდით, ქვანახშირის ბრიკეტებს ვამზადებდით, ვაგონებს ვტვირთავდით, მიწაზეც გვამუშავებდნენ და გზების შეკეთებაზეც, სახიფათო საქმეებსაც ვასრულებდით: ნახევრად დანგრეულ სახლებს მთლიანად ვანგრევდით და მერე ტერიტორიას ვასუფთავებდით.

— **იტალიაში როგორ მოხვდით?**

— 1944 წელს, გერმანელებმა ჩრდილოეთ-იტალიაში ჩამოგვიყვანეს, ფორმა ჩაგვაცვეს, იარაღი მოგვცეს და რკინიგზის მეთვალყურეობა გვიბრძანეს.

— **ზოგიერთზე ამბობდნენ, ნაცისტებთან თანამშრომლობდნენო, ამაზე რას იტყვით?**

— ხომ გითხარით, ნაცისტების საკეთილდღეოდ ვმუშაობდით, მართალია, იძულებით, მაგრამ ჩვენი „თანამშრომლობაც" ეგ იყო. გაქცევაზე კი სულ თვალი გვეჭირა.

— **ტყვეობიდან ვისთან ერთად გაიქეცით, გვარები თუ გახსოვთ?**

— ინფორმაცია ჰქონდათ ჩვენზე, დაგვიკავშირდნენ და ჩვენი იარაღით 1944 წელს გავიქეცით, ოციოდე კაცი ვიყავით. ვისთან ერთად გავიქეცი? ჩემთან ერთად იყვნენ: ნადირაშვილი, მეტრეველი, მაისურაძე, ბერიშვილი...

— **თუ შეიძლება, დეტალურად გვიამბეთ, სად და რომელ ბრიგადაში იბრძოდით?**

— ვიბრძოდი ვერბანიის პროვინციაში, გარიბალდის ბატალიონის 85-ე ბრიგადაში, რომელსაც „ვალგრანდე მარტირე" (მთის სახელია) ერქვა, ჩემი მეთაური იყო მარიო მონეგინი, პოლიტკომისარი — კაპიტანი არკა.

— **რომელიმე მნიშვნელოვან ეპიზოდს ხომ არ გაიხსენებდით თქვენი ბრძოლებიდან?**

— ეს იყო დომოდოსოლას გათავისუფლება. დიდი ბრძოლა იყო, ჩვენმა ბატალიონმა ორი სადგური ააფეთქა, ბევრი ქართველი ვიყავით იქ...

— **სხვათა შორის, დომოდოსოლას გამათავისუფლებელთა შორის მოიხსენიება პარტიზანი კოტე ლეჟავა. აი, რას წერს ამის შესახებ დოკუმენტური ფილმის — „მხარდამხარ" რეჟისორი ვარალდი: „25 აპრილს, როდესაც გარიბალდელთა მეთაური — ჩინო მოსკატელი ჯერ კიდევ ოკუპირებულ მილანში შევიდა, იცით, ვინ ისურვა გვერდით? სამასი მამაცი ქართველი, რომელთა მეთაური იყო წითელი არმიის ლეგენდარული კაპიტანი, ოსოლასა და გრაველონას გმირი კოტე". თქვენ იცნობდით კოტე ლეჟავასა და ფორე მოსულიშვილს?**

— როგორ არა, კოტე ბევრჯერ მინახავს. ბაქრაძეც იყო იქ, სახელი არ მახსოვს. ფორეს ერთხელ შემთხვევით შევხვდი, მოტარონეს მთაში. ვარალოსეზიაში მივდიოდით, ოთხი მძიმედ დაჭრილი უნდა წამოგვეყვანა, ერთმანეთს გზაზე შევეყარეთ, 90-მდე ქართველი მებრძოლი ჰყავდა, მაგარი ბიჭები იყვნენ.

— **თქვენც იყავით იმ სამას ქართველთან ერთად მილანში?**

— არა, საველე ჰოსპიტალს ვერ მივატოვებდი, ბევრი დაჭრილი გვყავდა და ჩემი მეუღლე, რომელიც ექთანი იყო, მათ მარტო ვერ აუვიდოდა. ის ექიმის მოვალეობასაც ასრულებდა, ოპერაციებსაც აკეთებდა. მუდმივად გადაადგილება გვიხდებოდა და ჩვენს იტალიელ მეგზურთან ერთად, დაჭრილების გადაყვანაში ვეხმარებოდი.

— **როგორ გაიცანით თქვენი მეუღლე და რა ერქვა მას?**

— მას მარია პერონი ერქვა, ისიც პარტიზანი იყო. ჯერ მილანის ნიგუარდის საავადმყოფოში მუშაობდა ექთანად და იქ ეხმარებოდა ანტიფაშისტებს, პოლიტიკურ დევნილებს, ებრაელებს. გერმანელებმა ეს შეამჩნიეს და თანამებრძოლებმა ბეწვზე გადაარჩინეს, მთებში გახიზნეს. ბავშვობიდანვე ღრმად მორწმუნე, ანტიკომუნისტი იყო, სულ იმის ცდაში იყო, სუსტს და გაჭირვებულს დახმარებოდა. ვალგრანდეში რომ მიუყვანიათ და თხუთმეტი დაჭრილი უნახავს, მათ მოვლა სჭირდებათო, — უთქვამს და დარჩენილა. მერე სხვადასხვა ადგილას საველე ჰოსპიტალიც გამართა და გადამალული დაჭრილების მოსანახულებლად, სახიფათო გზებზე დღეში რამდენიმე კილომეტრს გადიოდა. ერთხელ, მე სოფელ კოსონიოსთან დავიჭერი, ტყვიამ მკლავში გამიარა, მარიამ ოპერაცია გამიკეთა და მიმკურნალა. ამის შემდეგ აღარ მოვშორებივარ, მისი თანაშემწე გავხდი. ომის დამთავრებისთანავე ვიქორწინეთ და ორი შვილი — ლორენცო და ჯულიანა შეგვეძინა.



„იტალიელი" ქართველების გარემოცვაში, 1970-იანი წლები (შუაში — ლავრენტი ჯაფარიძე)

— **რატომ არ დაბრუნდით სამშობლოში?**

— სტრეზაში რომ ვიყავით და ჩვენები ბრუნდებოდნენ. მარიამ მკითხა: რატომ არ ადიხარ მატარებელშიო? ცოლად თუ გამომყვები, დავრჩები-მეთქი. გამოგყვები და კომუნისტებისგანაც გადაგარჩენო...

— **პირველად როდის და როგორ დაამყარეთ სამშობლოსთან კავშირი?**

— ხრუშჩოვის მიერ რეაბილიტაციის შემდეგ, ჩემს დისშვილს ქართველი პარტიზანებისგან გაუგია, რომ ვერბანიაში ვცხოვრობდი. წასულა ოდესაში და იქ, პორტში ჩამომდგარი იტალიური გემის მეზღვაურისთვის ჩემთვის გამოსაგზავნად წერილი გადაუცია. ამის შემდეგ რომში საბჭოთა კავშირის საკონსულოს მივმართე, მომცეს საბჭოთა პასპორტი, რადგან მანამდე აქ მქონდა აპოლიდის (პიროვნება მოქალაქეობის გარეშე) პასპორტი და როგორც იქნა, 1969 წელს მთელი ოჯახით ჩავედი სამშობლოში, კიევამდე მატარებლით ვიმგზავრე და მერე იქიდან თვითმფრინავით.

— **თქვენს შვილებზე რას გვეტყვით, რომელი უფრო ქართველობს?**

— ჯულიანა უფრო ქართველობს, ესმის ქართული, თავისით ისწავლა. რუსული კი იცის, მილანში რუსულ-იტალიურ ცენტრში ენის შემსწავლელ კურსებზე დადიოდა. იტალიურ ლიტერატურას ასწავლის ვერბანიაში, ძალიან უყვარს საქართველო, ხშირად დადიოდა, ბევრი მეგობარი ჰყავს იქ, კარგად იცნობს ქართულ კულტურას, კინოს... ძალიან მოსწონს თბილისი და ამბობს, რომ ქართველები იტალიელებს ჰგვანანო. თავის სკოლაში საქველმოქმედო ღონისძიებებს ატარებს და ობოლ ქართველ ბავშვებს ეხმარება. ამბობს, პენსიაზე რომ გავალ, საქართველოს მეტ დროს დავუთმობო. ლორენცო კი მილანში ბიოლოგიას ასწავლის.

— **რამ გაგაძლებინათ უსამშობლოდ? რა გენატრებოდათ ყველაზე მეტად?**

— რა უნდა ენატრებოდეს კაცს ყველაზე მეტად, თუ არა მიწა, რომელზეც ღმერთმა გააჩინა, სახლი, სადაც დაიბადა? ჰოდა, ჩემი სახლი მენატრება, სულ თვალწინ მიდგას, ისევ იქ დგას მამაჩემის სახლი, ღარში. რამ გამაძლებინა და ჩემი ბავშვობის მოგონებებმა, დაბრუნებაზე ოცნებამ. იქ უნდა მოვკვდე. ჯულიანა დამპირდა, ამ ზაფხულს წამიყვანს და დავბრუნდები სამუდამოდ. ■



დასაწყისი იხ „გზა“ №43-50

**სვეტა კვარაცხელია**

*ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით*
gza.fantazia@gmail.com

დედა რამდენიმე დღეში მოკეთდა. ამ მხრივ უკვე მშვიდად ვიყავი, მაგრამ ნატასთან დაკავშირება ვერაფრით მოვახერხე. თეატრშიც ორი რეპეტიცია გააცდინა. ისევ თათულის მიმართე საშველად. დავურეკე და მოვუყევი, რაც მოხდა. ვთხოვე, აუხსენი ყველაფერი და იქნებ, საღამოს დამირეკოს ან ყურმილი აიღოსმეთქი. ორი დღე გავიდა და პასუხი არ მიმიღია. ამბის გასაგებად ვერც თათო დავიჭირე ტელეფონთან. როცა არაფერი გამომივიდა, გადავწყვიტე, სასწავლებელში მიმეკითხა ნატასთვის და იქ მენახა. არ მიყვარდა პატარა ბიჭივით შეყვარებულის კართან ატუზვა და ლოდინი, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი. ამჯერად როგორმე უნდა გადამელახა ჩემი სიამაყე.

ორშაბათი იყო, რეპეტიციის დღე, ამიტომ ვიფიქრე, თუ დღესაც არ მოვიდა ცეკვის გაკვეთილზე, ხვალ დილით პროფტექნიკუმში მივადგები-მეთქი. არ მოვიდა. უსიამოვნო შეგრძნება დამეუფლა. გული აშკარად ცუდს მიგრძნობდა. არავინ იცოდა, ჩემს გასამწარებლად კიდევ რა ჰქონდა ჩაფიქრებული.

ექვსი იყო დაწყებული, მეცადინეობა რომ დავამთავრეთ. კმაყოფილი ვიყავი. ბავშვები მთელი მონდომებით სწავლობდნენ თავიანთ როლებს და კარგადაც გამოსდიოდათ თამაში. თუ ასე გაგრძელდებოდა, ნოემბრის ბოლოს უკვე დეკორაციებზე დავიწყებდით მუშაობას.

ამ ფიქრებში გართული ცენტრში გავედი, საათი გამიფუჭდა და ნოდარასთან უნდა მიმეტანა, მესაათესთან. უეცრად ჩემი ყურადღება ნაცნობმა სილუეტმა მიიპყრო. ავტოსადგურის წინ ნატას მოვკარი თვალი, ყავისფერ „ჟიგულს“ მიჰყრდნობოდა. გვერდით ერთი ბიჭი ედგა, ფეხბურთელი, დიტო ერქვა. მას კარგად არ ვიცნობდი, რადგან გორიდან რამდენიმე თვის ჩამოყვანილი ჰყავდათ, ჩვენი ქალაქის ნაკრებში თამაშობდა. ათიოდე მეტრში ჩავუარე ორივეს. მომეჩვენა, რომ რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ. იქვე მაღალი, ქერა გოგოც შევნიშნე. როგორც ჩანს, მათთან იყო, რადგან შორიახლოს ტრიალებდა და წყვილს თვალს არ აშორებდა.

ნოდარას მივესალმე, საათი გავუწოდე და ვთხოვე, ნახე-მეთქი, თან გულისყური ნატასკენ მქონდა მიპყრობილი, მაინტერესებდა, რა ხდებოდა. უცებ, თითქოს რაღაც იგრძნოო, თავი მოატრიალა და ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. ჩემს დანახვაზე სახეზე სასოწარკვეთილება აღებეჭდა. მომეჩვენა, რომ შველას მთხოვდა. ადგილიდან არ დავძრულვარ, თითქოს მინას მიველურსმე, თან დაძაბული გავყურებდი მათ. დიტო ჩემკენ ზურგით იდგა, ამიტომ ვერ მამჩნევდა. „თუ დამიძახებს, მივალ, — გავიფიქრე, — თუ არა და, ფეხს არ მოვიცვლი აქედან“. როცა ნატამ ჩემი გულგრილობა შენიშნა, გატრიალდა და წასვლა დააპირა. დიტომ მკლავში ჩაავლო ხელი და რაღაც უთხრა. ნატამ კიდევ ერთხელ მოიხედა და საყვედურით სავსე მზერა მომაპყრო. ვერ გადავწყვიტე, როგორ მოვქცეულიყავი; რომ მივსულიყავი და უარესი გამოსულიყო? ჩემზე გაბრაზებულს არ გაუჭირდებოდა უხეშად მომპყრობოდა და უცხო ადამიანის თვალში დავემცირებინე. ამას კი ვერ ავიტანდი. მერე ის გოგოც მიუახლოვდა, მხარზე ხელი გადახვია და ახლა იმან დაუწყო რაღაცის ხვეწნა.

— ნოდარა, ხომ არ იცი, ის გოგო ვინ არის? — ვკითხე მესაათეს, რომელსაც ლუპა მოემარჯვებინა და ჩემს მაჯის საათს ჩაჰკირკიტებდა.

— აბა, რომელი? — ნოდარი ჯიხურიდან გამოვიდა და ჩემს მზერას თვალი გააყოლა.

— მოკლე „დუბლიონკა“ რომ აცვია, ქერათმიანი.

— ა! ეგ ვაჟა დოლიძის გოგოა, „ცეხავიკის“. არ იცნობ?

— ვერ ვიცანი, რამხელა გაზრდილა.

— ჰო. თბილისში დაამთავრა სკოლა და აქ ჩამოიყვანეს, პროფში გააგრძელებინეს სწავლა, კარგი ატესტატის ასაღებად. იქ ჩაწყობა ვერ მოახერხეს ალბათ. ვაჟა აქ არის კაცი, თორემ თბილისში რას წარმოადგენს!.. შენი საათი ხვალ იქნება მზად, ერთი ნაწილი გაცვეთილია, სახლში მაქვს და დილით წამოვიღებ. ხვალ ნებისმიერ დროს მოდი და მზად დაგხვდება.

— გაიხარე, დიდი მადლობა, — ხელი დავუქნიე ნოდარას და მექანიკურად ავტოსადგურისკენ ავიღე გეზი.

ამ დროს გოგამ გამოიარა მანქანით და დამისიგნალა, საით გაგიწევიაო. უსიტყვოდ მოვუარე მანქანას წინიდან, კარი გამოვაღე და გულდამძიმებული ჩავჯექი.

— ჩემთან წამოდი, მაგარი ღვინო მაქვს, სიმამრმა მიფეშქაშა, არ გინდა, დავლიოთ? — გოგა კარგ ხასიათზე ჩანდა.

— რა უნდა აღვნიშნოთ, რო? — უხალისოდ ვიკითხე.

— როგორ თუ რა, ჩემი ცოლი ორსულადაა, ბიჭო! უკვე მესამე თვეშია, — მხარზე ხელი დამკრა გახარებულმა და მანქანა დაძრა.

— ჰო-ო, მაშინ უნდა დავლიოთ, — ამოვიხვნეშე და საზურგე ოდნავ უკან გადავწიე, რომ მოხერხებულად მოვკალათებულიყავი.

როცა ნატას გვერდით ჩავუარეთ, რამდენიმე სიტყვას მოვკარი ყური — „სულ ერთი საათით, გოგო, რას გთხოვ ამისთანას!“ — ეუბნებოდა დიტო.

გოგა რაღაცას მელაპარაკებოდა, მაგრამ მისი ნათქვამიდან სიტყვაც არ გამიგონია, მთელი არსებით იქ ვიყავი, მათთან. მაინტერესებდა, რას ითხოვდა ამისთანას ფეხბურთელი. სარკიდან მალულად გავყურებდი ავტოსადგურზე მდგომთ, სანამ გზიდან არ გადავუხვიეთ...

გვიანობამდე ვსვამდით. ბოლომა მახრჩობდა. ცხოვრებაში პირველად, ისე დავთვერი, ველარავის ვცნობდი. ისიც არ მახსოვს, ვინ და როგორ მიმიყვანა სახლამდე.

დილით ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. თავის წამოწევა გამიჭირდა, ისე მქონდა დამძიმებული. თითქოს ვიღაც საფეთქლებში ჩაქუჩს მირტყამდა. თვალდახუჭულმა ხელის ფათურით მოვძებნე ტელეფონი და ყურმილს დავწვდი.

— ზაზა, თათო ვარ, გეძინა?

— ჰო. რა იყო?

— გაიგე ახალი ამბავი?

— არა, რა ამბავი? — საშინელების მოლოდინში წამოვიწიე.

— ნატა მოიტაცეს.

— რა-ა?! — ყურებს არ დავუჯერე, — რატომ, როდის, ვინ? — თავადაც არ ვიცოდი, რას ვამბობდი.

— ახალი ფეხბურთელი რომ არის, დიტო, ხომ იცი! გუშინ ნინა გადაეკიდა, დოლიძე, ვაჟა დოლიძის შვილი. ეგეც ჩვენთან სწავლობს, პროფში. ნატას აუტყდა, გინდა თუ არა, ჩემთან წამოდი, ერთი ბიჭი უნდა გაგაცნოო. უარი უთხრა, მამაჩემია ჩამოსული და სახლში დროზე უნდა მივიდეო. მერე რა მოხდა, არ ვიცი. ამწუთას კი ნინამ დამირეკა, წუხელ დიტომ მოიტაცა და ზესტაფონში წაიყვანაო.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ შევხვდებოდი ამ ამბავს. სახეზე სიცივე ვიგრძენი, თვალთ დამიბნელდა. თათოს ლაპარაკი უკვე აღარ მესმოდა და არც მაინტერესებდა. ყურმილი დავკიდე და უაზროდ ჭერს მივაშტერდი. გულის ბაგაბუგს საფეთქლებთან ვგრძნობდი... ესეც ასე-ე-ე-ე! ჩამოვედით, ზაზა, მორჩა, ეს არის ბოლო გაჩერება!

სასტუმრო ოთახში გამოვედი. შინ არავინ იყო. ხელახალი ანალიზების ასაღებად, დედა ექიმთან უნდა წაეყვანა დალის, მამა სამსახურში წასულიყო. უმისამართოდ დავბორიალებდი ოთახიდან ოთახში, ნაბახუსევს წონასწორობის შენარჩუნება მიჭირდა, გულისრევის შეგრძნებაც არ მასვენებდა. სააბაზანოში შევლასლასდი, სახეზე ცივი წყალი შევისხი და სარკეში ჩავიხედე. სახე ჩამთეთქვოდა, საშინელი სანახავი ვიყავი. ჩემს ორეულს ნიშნის მოგებით გავუღიმე და... ერთიანად აცახცახებულმა კედელს მუშტები დავცხე, თან ქალივით ავტირდი... არა, არ ვტიროდი... უფრო სწორად, მშრალად ვტიროდი, უცრემლოდ... ვინმეს რომ შემოეხედა ჩემთვის, იფიქრებდა, გაგიჟებულაო... შეშლილივით თვალებს აქეთ-იქით ვატრიალებდი და უაზრო გრიმასებს ვკერავდი, თან ვცდილობდი, ხმა ამომეშვა მკერდიდან. მცდელობა ამაო იყო. ჩემი გოდება ძაღლის ყმუილს უფრო ჰგავდა...

სწორედ ასე ყმუიან ძაღლები, როცა გაუსაძლისად მოსაწყენი დღეები უდგებათ... როცა პატრონისგან საბოლოოდ მიტოვებულად გრძნობენ თავს...

ორი დღე შინიდან არ გავსულვარ. ოთახიდანაც კი არ გამოვსულვარ, დანა პირს არ მიხსნიდა. დედა და დალი შეშფოთებული მიყურებდნენ, თითის წვერებზე დადიოდნენ სახლში. — ასეთი რა დაემართა ამ ბიჭსო? — კითხვის დასმასაც ვერ მიბედავდნენ.

ხუთშაბათს იძულებული გავხდი, სამსახურში წავსულიყავი, რეპეტიციას ვერ გავაცდენდი. დაუდევრად ჩაცმული, წვერგაუპარსავი გავემართე თეატრისკენ. ღრუბლიანი ამინდი იყო, გვარიანად ციოდა. ცა საწვიმრად გამზადებულიყო. ჯიხურთან მივედი და სოხუმის „კოსმოსი“ ვიყიდე. ხურდის მოლოდინში გვერდზე გავიხედე და... ძარღვებში სისხლი გამეყინა... ტაქსის გაჩერებაზე ნატა და ბებიამისი იდგნენ. ნატა ისეთი ნაღვლიანი და მობუზული იყო... მხოლოდ წამით შემავლო თვალი, მერე თავი პალტოს საყელოში ჩარგო და სახე დამალა. აკი მოიტაცესო? მაშინ აქ საიდან გაჩნდა? სად მიდიან? პასუხგაუცემელი კითხვები დამიგროვდა...

ერთი სული მქონდა, როდის ჩავამთავრებდი რეპეტიციას. ბავშვები დროზე ადრე დავითხოვე და გოგასთან წავედი. რაც ვიცოდი, მოვუყევი. ძალიან შეწუხდა. დახმარება ვთხოვე. მაშინვე ზურასთან დარეკა და თათოს ასავალ-დასავალი ჰკითხა.

— ბიჭო, სად არის შენი და?

— დაქალთან წავიდა. რა იყო, მოხდა რამე?

— ისეთი არაფერი, რაღაც უნდა გამერკვია. არ იცი, ვისთან არის?

— ვაჟას სახლში უნდა შეკრებილიყვნენ დღეს, — გაიცინა ზურამ, — დიდი „სხადნიაკი“ აქვთ, საქმეებს არჩევენ ქალები.

— რა საქმეებს?

— თათულის კლასელი რომ იყო, ნატა, ხომ იცი? მშობლებს უკან წამოუყვანიათ და ჯგუფელები დოლიძის ნინასთან წავიდნენ იმის გასარკვევად, როგორ მოხდა მისი მოტაცება. ნატა და ნინა უნდა დააპირისპირონ. გაიგე? ხედავ, გოგოები რა დღეში არიან?



— შენა! რომ მოვა, უთხარი, ეგრევე დამირეკოს. მეც ეგ ამბავი მაინტერესებს, კარგი? არ დაგავიწყდეს, — გოგამ ყურმილი ბერკეტზე დადო და ღრმად ამოიხვნეშა.

— არ მომწონს ეს ამბავი, რაღაც სხვა ხდება, როგორც ვატყობ.

— რაო, რა გითხრა?

— მშობლებმა წაართვეს და უკან წამოიყვანესო. ახლა იმ „ცეხავიკის“ სახლში ყოფილან შეკრებილები, ნინას ურჩევენ საქმეს.

— აუ-უ-უ! ამიტომ იდგა დღეს გაჩერებაზე? ბებიამისიც თან ახლდა.

— როგორც ჩანს, ასეა. რომ იცოდე, ის ნინა დიდი ეშმაკი და ჩუმჩუმელა გოგოა. თბილისის „შკოლა“ აქვს გავლილი, ინტრიგების ხლართვა არ გაუჭირდებოდა.

— ის რა შუაშია?

— იმან ჩაუწყო, ალბათ, მე რა ვიცი... შენ ნუ ნერვიულობ, რა, ქალების მეტი რა არის, არ ღირს იმ გოგოზე გადაკვდომა.

— უნდა შევხვდე, გოგა, აუცილებლად უნდა შევხვდე და დაველაპარაკო. ყველაფერი მინდა ვიცოდე.

— არ ღირს, დამიჯერე. ხომ იცი, ახლა სალაპარაკო მიეცემა ხალხს, ათასი ჭორი აგორდება. ეგეთ გოგოს მაინც ვერ მოიყვან ცოლად, ხალხის ყბაში ჩემი მტერი ჩავარდა.

— არც ვაპირებ. უბრალოდ, მინდა, სიმართლე ვიცოდე. დამეხმარები?

— დაგეხმარები, მაგრამ როგორ? მაგას აწი ვინ გამოუშვებს სახლიდან, „დაცვით“ ივლის ალბათ. შენ თვითონ არ თქვი, ბებია ახლდაო?

— მერე რა. შენ მიდი, მიაკითხე და უთხარი, რეპეტიციაზე უნდა წავიყვანო-თქო.

— გაგიჟდი? მე ვინ გამომაყოლებს, რა იციან, ვინ ვარ?

— ვითომ მედოლე ხარ, ბებია დაგიჯერებს, კარგი ქალია.

— მთლად გადაგრია იმ გოგომ, რა გჭირს! მამამისი რომ გამოვიდეს, რა ვუთხრა, ვინ ჩემი ფეხები ვარ-მეთქი?

— თათო წაიყვანე თან. ერთად რომ იქნებით, უფრო დაგიჯერებენ.

— მაინც არ იშლი შენსას. სარისკოა, ბიჭო, რამე შარში არ გავეხვეთ.

— რა შარში უნდა გაეხვე, შენც ხომ არ იტაცებ. აქ მოიყვანე შენთან და მეც მოვალ, აქ ვნახავ. ნახევარი საათის ამბავია, რა!

— ჯანდაბას შენი თავი, უარი როგორ

გითხრა. კარგი, თათულის ზარს დაველოდოთ მაშინ, მეტი რა დამრჩენია. ეს ჩემი ორსული ცოლი არ გამინერვიულოთ, თორემ დაგტკვირავთ სუყველას, — გაიხუმრა გოგამ და იქვე მოფუსფუსე ნათიას გახედა.

— მე არ გამოგადგებით? — ნათიამ სველი ხელები წინსაფარზე შეიმშრალა და მოგვიახლოვდა, — მუცელს ცოტათი წინ გამოვწევ, რომ კარგად გამოვაჩინო და გამოგყვებით. თუ ვინმეს დაეჯერება ამქვეყნად, ყველაზე მეტად ფეხმძიმე ქალს, გენაცვალე! — ოდნავ გამობზეკილ მუცელზე ხელი დაისვა ნათიამ.

— შენ დაეტიე სახლში და ოჯახს მიხედე, ერთი ამას დამიხედეთ, გამომიჩნდა ესეც ადვოკატი, — ხუმრობით დატუქსა გოგამ და სიყვარულით თმა მოქაჩა ცოლს.

ამ ლაზღანდარობაში იყვნენ ცოლქმარი, თათულიმ რომ დარეკა. გოგამ ყურმილი ყურთან ახლოს ისე მიიტანა, რომ მათი საუბარი მეც მომესმინა.

— გოოგ, მეძებდი? — თათული რაღაცას ჭამდა, ეტყობოდა, ლუკმით ჰქონდა პირი გამოტენილი.

— რას „კიშკაობ“, მსუნაგო, ჯერ გეჭამა და მერე დაგერეკა, გავრბოდი სადმე, თუ? — გოგამ მანიშნა, ყური უფრო ახლოს მოსწიეო.

არ გავნძრეულვარ, აქედანაც კარგად მესმოდა თათოს ხმა.

— ვაშლს ვჭამ, შე ოხერო, რა იყო!

— სად იყავი?

— ზაზა შენთან ხომ არ არის?

— აქ არის, მერე შენ რა?

— დამალაპარაკე:

— ჯერ მე მითხარი, რა მოხდა, მერე დაგალაპარაკებ.

— გამოდით ორივე ჩემთან, მარტო ვართ.

— „ვართ“ რას ნიშნავს, ვისთან ერთად ხარ მარტო? — გამოაჯავრა გოგამ.

— ნატაა ჩემთან.

— ნატა? შენთანაა? მერე რაღას უცდით, აქეთ გამოდით, არ სჯობია?

— შენ მანქანა გყავს, ძმაო და ორ წუთში აქ გაჩნდები, ჩვენ კი ფეხით უნდა ვიაროთ.

— ნატას დაცვა არ დაჰყვება?

— დაცვა არა ის! მამამისი წუხელ გაემგზავრა, ბებია კი დავამშვიდეთ და ტაქსით გავუშვით შინ, იმ პირობით, რომ სალამომდე ჩემთან დარჩება, მერე კი მეც თან გავყვები და ამაღამ მასთან დავრჩები.

— აუჰ! რამხელა წინადადება თქვა! — წამოიძახა გოგამ და ხელით მანიშნა, რა ვქნაო.

ყურმილს ხელისგული დავაფარე, თან ვუჩურჩულე, წადი და ორივე წამოიყვანე-მეთქი.

— კარგი, დამელოდეთ და ახლავე მოვალ, — ჩასძახა გოგამ და გათიშა...

ნახევარ საათში ოთხივენი გოგასთან მაგიდის გარშემო ვისხედით. ნათია ყავას ადუღებდა. ნატა თვალებდახრილი იჯდა, ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის.

— ჩვენ იქით გავალთ, ცალკე დავილაპარაკებთ და მერე შემოგიერთდებით, — დაბოღმილი ხმით ვთქვი და წამოვდექი.

— როგორც გინდა, ძმაო, შენი საქმისა შენ იცი, საძინებელი ცარიელია, — ხელები ღიმილით გაშალა გოგამ.

მის ხუმრობაზე რეაგირება არ მომიხდენია, ნატას გადავხედე და დაველოდე, როდის ადგებოდა.

მხრებჩამოყრილი მორჩილად გამომყვა. შევამჩნიე, როგორ გაუბრწყინდა თვალებში ცრემლი. ცოტა არ იყოს, შემეცოდა, მაგრამ არ შევიმჩნიე. ახლა მე ვიყავი შეუვალი.

კარი მჭიდროდ მოვხურე და საწოლზე ჩამოვჯექი. ოთახში ციოდა. დავინახე, როგორ შეაკანკალა.

— მოგახურო რამე?

— არა, არ მინდა, არ მცივა.

— აბა, რატომ კანკალებ?

— ისე, უბრალოდ...

მივხვდი, ნერვიულობისგან უფრო აძაგძაგებდა, ვიდრე სიცივისგან. ერთხანს უხმოდ ვისხედით. არც ის იწყებდა ლაპარაკს, არც მე. ბოლოს მაინც მე დავარღვიე დუმილი.

— აბა, მომიყევი ერთი, რა მოხდა! — ცივად გაიჟღერა ჩემმა ხმამ.

ერთიანად მობუზულმა მკლავებზე ჩამოისვა ხელები, მაგრამ არაფერი უთქვამს, პასუხს აგვიანებდა. მეც დაველოდე, როდის ალაპარაკდებოდა.

— რა მოგიყვე, — თქვა ბოლოს ჩამქრალი ხმით და უმწეოდ ამომხედა.

— ყველაფერი. როგორ მოგიტაცეს, რა ვითარებაში, ვინ და ასე შემდეგ, — ირონია ჩავაქსოვე ჩემს ნათქვამში.

ნატამ ჩაახველა და ხმადაბლა დაიწყო.

— იმ დღეს...

— რომელ დღეს? — დაკონკრეტება მოვთხოვე.

— შენ რომ ავტოსადგურზე დაგვინახე...

— ჰო, მერე?

— სახლში ვაპირებდი წასვლას, ნინა რომ გადამეკიდა, გინდა თუ არა, ჩემთან წამოდი, დაბადების დღე მაქვსო. არ მინდოდა წასვლა, ცუდ ხასიათზე ვიყავი. თანაც... ერთი მაგარი ბიჭი უნდა გაგაცნო, ახლა მომაკითხავს და ის წაგვიყვანსო. ბოლოს დააყოლა, ძალიან მოსწონხარ და შენი გაცნობა მთხოვაო.

— სად მოეწონე ასე ძალიან, სად გნახა?

— ერთხელ იყო პროფტექნიკუმში მოსული ჩვენს დირექტორთან, ქალაქის სასწავლებლებს შორის საფეხბურთო ტურნირი გავმართოთო. შესვენება იყო, ჩვენ ეზოში ვიდექით და იქ დამინახა.

— მაგას ვინ ეკითხება ტურნირის ჩატარებას?

— რა ვიცი, რა ჩემი საქმეა...

— კარგი, მერე?

— არ მინდა-მეთქი, თავი გავიგიჟე. მამაჩემი იყო ჩამოსული და დროზე მინდოდა სახლში წავსულიყავი, ისედაც სულ ბრაზობს, როცა ვაგვიანებ. როცა ის ჩამოდის, მაინცდამაინც მაშინ გამოხტება ხოლმე რაღაც. ჩემს დედინაცვალს ისედაც ჩემს წინააღმდეგ ჰყავს ამხედრებული, სულ იმას ცდილობს, ერთმანეთს წაგვკიდოს. თვალის დასანახავად ვერ მიტანს ეგ ქალი, — ნატამ ამოისლუკუნა და ცრემლიანი თვალები ხელის ზურგით მოიწმინდა.

ცხვირსახოცი ამოვიღე და გავუწოდე. გამომართვა და ცხვირზე მიიდო. შევამჩნიე, როგორ შეისრუტა მისი სურნელი. თითქოს გულზე ძლიერად წამიჭირეს ხელი...

— ის ბიჭიც მალევე გამოჩნდა. გავიცანი, რა უნდა მექნა. მერე იმან დამიწყო ხვეწნა, ცოტა ხნით წამოდი და მერე სახლში ჩემი მანქანით გაგიყვანო. არ მომეშვნენ. გული მიგრძნობდა, რომ უსიამოვნო საღამო მელოდა, ამიტომაც ვითრევდი ფეხს. რას ვიფიქრებდი, მოტაცებაზე თუ მიდგებოდა საქმე. გასაქანს არ მაძლევდა, ხელითაც კი წამეტანა, ახლავე ჩაჯექი მანქანაშიო. შენც ხომ დაინახე, რაც ხდებოდა.

— დავინახე... ასეთ დღეში თუ იყავი, რატომ არ დამიძახე?

— რა დაძახება გინდოდა, ვერ უნდა მიმხვდარიყავი, რა მჭირდა?

— საიდან უნდა მივმხვდარიყავი? ვიფიქრე, მორიგი „პაკლონიკია“ და ამ სანახაობით ჩემს გამწარებას ცდილობს-მეთქი.

— რა სისულელეა...

— თორემ ჯერ არ მოქცეულხარ ასე.

— მაშინ სხვა იყო...

— ახლა რა შეიცვალა, რო?

— ახლა... ახლა შერიგებულები ვიყავით, ხომ მოვილაპარაკეთ, დავივიწყოთ ყველაფერიო.

— ჰო, მაგრამ იმ დღეს რომ ვერ შეგხვდი, ამაზე ხომ გაბრაზდი?

— თავიდან გავბრაზდი, მაგრამ მერე თენგომ მითხრა დედაშენის ამბავი და გასაგები იყო, რატომაც არ დამელოდე.

— კი, მაგრამ წარამარა რომ გირეკავდი, რატომ არ მპასუხობდი?

— აპარატი გაგვიტყდა, კატამ გადმოაგდო მაგიდიდან და შიგნით ნაწილები სულ ჩაიმსხვრა. თან ბებია გახდა ავად, სახსრები აწუხებს. ისეთი შეტევები ჰქონდა, მარტო ვერ ვტოვებდი. ერთი ღამე საერთოდ არ გვიძინია არც ერთს. მერე ნემსები გავუკეთე და თანდათან გამოკეთდა. რეპეტიციებიც ამიტომ გავაცდინე. მე რომ მადანაშაულებ, ერთხელ მაინც გეცადა და მოსულიყავი შინ, რა მოხდებოდა? დაგიჭერდა ვინმე? თუ ჩემი სახლი არ იცოდი?

ხელები მთელი ძალით მოვმუშტე და დავიგმინე. რომ მცოდნოდა, არ მიბრაზდებოდა, ხომ აუცილებლად მივაკითხავდი!

— გააგრძელე, შემდეგ რა მოხდა, — კუშტად გავაწყვეტინე.

— მერე ის მოხდა, რომ არავითარი დაბადების დღე არ ჰქონია ნინას. ყველაფერი წინასწარ ყოფილა გათვლილი. მთავარი იყო, მანქანაში ჩავმჯდარიყავი. მოტაცება უკვე ჩაფიქრებული ჰქონიათ.

— საინტერესოა, პირდაპირ მოტაცებაზე რატომ გამოიდო თავი, ისე ვერ გაგიცნობდა?

— რამდენჯერმე სცადა ნინას მეშვეო-



ბით გავეცანი, მაგრამ ყოველთვის თავი ავარიდე. თან ნინამ იცოდა, რომ... — აქ გაჩუმდა და თავი დახარა.

— რომ რა?

— სხვა მიყვარს-მეთქი, ვუთხარი, — ჩურჩულით თქვა.

კბილი კბილს დავაჭირე, რომ არ დამელმუვლა. ჩემი ბრალია, მე გავაფუჭე ყველაფერი... თანაც მერამდენედ...

— ბოლოს, იძულებული გავხდი, დავთანხმებოდი. როგორც კი მანქანაში ჩავსხედით, მთელი სისწრაფით მოსწყვიტა ადგილს და ტრასაზე გავარდა. როცა ქალაქიდან გავიდა და იქ ვილაც ორი ტიპიც ჩაისვა, მაშინღა მივხვდი, რომ მომატყუეს. ვიყვირე, ვიკივლე, ქვეყანა დავაქციე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. დეიდასთან წამიყვანა ზესტაფონში. იქ დილიდან გველოდნენ, უზარმაზარი სუფრა იყო გაშლილი... — ისევ ასლუკუნდა ნატა.

აღარ მიკითხავს, მერე რა მოხდა-მეთქი, შემეცოდა. ვაცალე, სანამ დაწყნარდებოდა.

— ღაპაღუპით მცვიოდა ცრემლები, ისეთი გულამოსკვნილი ვტიროდი, დეიდამისს შევეცოდე. მეორე სართულზე ამიყვანა, განვმარტოვდეთო და ყველაფერი გამომკითხა. როცა გაიგო, რომ მის დისშვილს საერთოდ არ ვიცნობდი, გაგიჟდა. მაშინვე გამომართვა მამაჩემის ტელეფონის ნომერი და თბილისში დარეკა. მერე დაბლა ჩავიდა, თავის ქმარს დაელაპარაკა, აუხსნა, რაც ხდებოდა და...

— და, რა?

— დიტოს გამოუცხადეს, სანამ მაგისიანები არ მოვლენ, ახლოსაც არ გაეკარებიო. მე მეზობელთან გადამიყვანეს და იქ დამმალეს. ერთი ამბავი ატყდა. დიტომ ქვეყანა დააქცია, მაგრამ ვერაფერს გახდა. ნინას შეშინებია, გამოპარულა, ავტობუსში ჩამჯდარა და შინ დაბრუნებულა. მერე, ვითომ მე არაფერში დამადანაშაულონო, ბებიაჩემისთვის უცნობებია, შენი შვილიშვილი გაიტაცესო. აქაც ქვეყანა დაქცეულა. მამა და ჩემი დედინაცვალი დილაუთენია უკვე ზესტაფონში იყვნენ. დიტო თვითონ დაიმალა და ძმაკაცები მიუგზავნა მამას მოსალაპარაკებლად. მე ჩემი სათქმელი ვთქვი, არც ვიცნობ, არც მიყვარს და არც მისი ცოლობა მინდა-მეთქი. ჩემმა დედინაცვალმა — სახელის გატეხას ჯობია, დარჩე, ქმრიანი ქალი მაინც გერქმევაო. თავი გავიგიჟე, არ დავრჩები-მეთქი. აბა, ამდენ ხალხს ციხეში ხომ არ ჩაყრიო, ამრეზით მკითხა, თან დიტოს ნათესავებს გადახედა, მხარი დამიჭირეთო. არც დეიდას ამოუღია ხმა და არც ბიძას, ძმაკაცები შეჩოჩქოლდნენ მხოლოდ. ძველბიჭურად დაიწყეს, რადგან გოგო ხელუხლებელია და დარჩენაზე თანახმა არ არის, იქნებ, მშვიდობიანად მოვაგვაროთ ყველაფერიო... ბოლოს შეთანხმდნენ, რომ მამა არ უჩივლებდა... და აი, დამაბრუნეს უკან, ბებიასთან. ერთი რამით კარგია, დედინაცვალს რომ ვძულვარ, თორემ თბილისში გამაქანებდნენ. მორჩა, სულ ეს იყო.

ხელისგულები ერთმანეთს მივატყუპე და ცხვირი შიგ ჩავმალე. ჩემი გახშირებული სუნთქვის ხმა გარკვევით მესმოდა. ნესტოები ცხენივით მქონდა დაბერილი. არ ვიცი, იმ მომენტში ვისზე უფრო ვბრაზობდი — ნატაზე, დიტოზე თუ ნინაზე. ერთი კია, მტკიცედ გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, ნინაზე მეძია შური.

მოწევა მომინდა. ოთახიდან გავედი და ანთებული სიგარეტით შევბრუნდი. ნატა ისევ ისე მობუზული იჯდა და ისევ ისე ცახცახებდა. გარდერობი გამოვაღე, გოგას ქურთუკი ჩამოვხსენი საკიდრიდან და მოვახურე. მადლიერი მზერა მომაპყრო.

— შენ გაცნობიერებული გაქვს, რაც მოხდა? — ვთქვი კარგა ხნის დუმილის შემდეგ.

— კი, — ოდნავ გასაგონად თქვა.

— იცი, რომ ამის შემდეგ ჩვენი ერთად ყოფნა შეუძლებელია?

მაშინვე არ მიპასუხა, მერე ნელ-ნელა ასწია თავი და თვალი ჯიქურ გამისწორა.

— რატომ?

— იმიტომ.

— „იმიტომ" ძალიან ზოგადი პასუხია, იქნებ, დამიკონკრეტო, — ტონი ქედმაღლური გაუხდა.

— იმიტომ, რომ ახლა მთელი ქალაქი შენზე ალაპარაკდება. მე კი კაცი ვარ და ჩემთვის ძნელი იქნება იმ ბარიერის გადალახვა, რასაც სახელგატეხილი ქალის ცოლად შერთვა ჰქვია.

— ჩვენ შორის არაფერი მომხდარა...

— მართლა? მერედა, ვის გინდა ეს უმტკიცო? იქნებ, საბუთი გამოაწერინო გინეკოლოგს და ის აფრიალო ჰაერში?

— მორჩი! — იყვირა უცებ და წამოხტა, — თუ გინდა იცოდე, შენი ბრალია ყველაფერი! შენ ჩემთვის არასდროს გეცალა. წესიერად სიყვარულიც არ აგიხსნია არასდროს. არც იმით დაინტერესებულხარ, რა მაწუხებდა, რა მტკიოდა, რა მაკლდა შენგან. არ ვარ მართალი?

კარგა ხანს უსიტყვოდ მივჩერებოდით ერთმანეთს.

— რატომ არ მცემ პასუხს? — ოდნავ დაუწია ხმას, მაგრამ ტონი არ შეუცვლია. — არაფერი გაქვს სათქმელი და იმიტომ, ასე არ არის? თუ ვერ ხედავდი, ხომ გრძნობდი მაინც ან ხომ გეუბნებოდნენ, ათასი კაცი რომ ნადირობდა ჩემზე, შემოსევა რომ იყო. ყველა მეჩალიჩებოდა; მოსვენებას არ მაძლევდნენ, ხან ვინ ჩამისაფრდებოდა, ხან — ვინ. რამდენის მოგერიებას შევძლებდი? შენ კი... შენ იმის აღიარებაც არ გინდოდა, რომ გიყვარდი. ყველანაირად ცდილობდი, სხვებისთვის დაგემალა ჩვენი ურთიერთობა. ვერ ვხვდები, რატომ გიტყდებოდა, რა მჭირდა ასეთი სამარცხვინო. რითი ხარ ჩემზე უკეთესი, რითი?! — განწირული ხმით იყვირა. ქურთუკი საწოლზე მოისროლა და გავარდა.

მეორე ოთახში ჩოჩქოლი ატყდა, როგორც ჩანს, გაეკიდნენ. ცოტა ხანში ხმები მიწყნარდა, მერე კარი გაიღო და გოგა შემოვიდა.

— კარგად ხარ?

— ჰო. სად არის?

— წავიდა.

— მარტო?

— არა, თათო გაჰყვა. წამო, როდემდე უნდა იჯდე აქ.

— სახლში წავალ.

— მოიცა, ცოტა ხანს დარჩი და მერე მე წაგიყვან.

— არ მინდა, ფეხით მირჩევნია გავლა.

გოგას არ დაუძალებია, ჭიშკრამდე მიმაცილა და დამემშვიდობა.

...მივდიოდი და არ ვიცოდი, სად.

ნოემბრის სუსხი სახეში მცემდა, სიცივე ძვალ-რბილში მატანდა...

უმისამართოდ მივაბიჯებდი ქუჩაში, ყურებში კი ნატას ხმა ზარივით ჩამესმოდა — „შენ იმის აღიარებაც არ გინდოდა, რომ გიყვარდი".

...მივდიოდი, მაგრამ არ ვიცოდი, სად...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ჟურნალის სავარჯიშო

## „გზის" ერთგული მკითხველისათვის

## (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში" სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ „პასუხების" სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. კოლუმბიაში კოკაინის მწარმოებლების წინააღმდეგ ბრძოლაში პეპლებს იყენებენ. როგორ?

2. „ამის შემდეგ ჩვენ აღარ გვაქვს არანაირი უფლება, ნიურნბერგში ვინმე გავასამართლოთ!" — რის შემდეგ წარმოთქვა ბერნარდ შოუმ ეს სიტყვები?

3. ძირითადად, რა სახის საჯარისო შენაერთების წინააღმდეგ იყენებდნენ I მსოფლიო ომში ეკლიან მავთულხლართს?

4. დაასრულეთ სტალინის სიტყვები: „ერთეულების სიკვდილი ტრაგედიაა, მილიონების სიკვდილი — ..."

5. 1964 წლის 26 აპრილს ორი აფრიკული სახელმწიფოს — ტანგანიკისა და ზანზიბარის გაერთიანების შედეგად წარმოიშვა ახალი სახელმწიფო. რა ეწოდა მას?

6. დაასრულეთ ალბერტ აინშტაინის სიტყვები: „წარმატება სამი კომპონენტისგან შედგება: იღბალი, თამაში და ..."

7. დაასრულეთ დავით გოგიჩაიშვილის მიერ „ღამის შოუში" ნათქვამი ხუმრობა: „მთავრობა ამბობს, აღლუმის დროს ტანკები რუსთაველზე რომ გავატაროთ, გზა გაგვიფუჭდებაო. შემდეგ გადაწყვიტეს, გლდანში გავატაროთო, მაგრამ გადაიფიქრეს — ..." რატომ „გადაიფიქრეს"?

8. ვის ეკუთვნის სიტყვები: „არასდროს შეიბრალოთ მტერი. თუკილა ბრძოლაში ჩაებით, ეცადეთ, მოწინააღმდეგემ სრულად მიიღოს კუთვნილი".

9. სანქტ-პეტერბურგში მისი ძეგლის გახსნამდე რუსეთში არც ერთი ძეგლი არ იდგა. ეკატრინე II-მ იგი დენი დიდროს რჩევით, ფრანგ სკულპტორ ეტიენ მორის ფალკონეს ჩამოასხმევინა. მანამდე ფალკონე მხოლოდ ფაიფურის მინიატიურულ ქანდაკებებს ამზადებდა. ძეგლის დასამზადებლად მან სხვა სკულპტორებთან შედარებით ორჯერ ნაკლები, წელიწადში 25.000 ლივრი მოითხოვა და რვა წლით ჩამოვიდა რუსეთში სამუშაოდ. ვისი ძეგლი ჩამოასხა ეტიენ მორის ფალკონემ?

10. კომუნისტების პერიოდში ლენინგრადელები, რომლებიც გარკვეული მიმართულებით აპირებდნენ მგზავრობას, ტაქსიში ჩაჯდომისას მძღოლს მხოლოდ ორ სიტყვას ეუბნებოდნენ — „ს ბარადი ნა ლისინუ". მძღოლსაც ისინი ულაპარაკოდ მიჰყავდა საჭირო მიმართულებით. საიდან სად?

11. ეკვადორის ქალაქ სან-ანტონიოში მდებარე „მზის მუზეუმს" ორი გამოსასვლელი კარი აქვს. რა წარწერები ამშვენებს ამ კარებს?

# ანეკდოტები

***

გოგონამ გახსნა ბოთლი. იქიდან ჯინი ამოძვრა.

— გინდა მოგეფერო? — ეკითხება გოგონას.



— არა.

— მაშინ გაკოცებ!

— არ მინდა.

— ჩემთან ინტიმურ კავშირზე რას იტყვი?

— შენ ხომ არ გაგიჟდი?!

— მაშინ მე წავედი!

— მოიცა, სამი სურვილი არ უნდა შემისრულო?

— შენ მეტი სურვილი აღარ დაგრჩა.

***

საქართველოს პოლიციის აკადემიის პირველკურსელებს ქუჩაში პრაქტიკული მეცადინეობა უტარდებათ. ინსტრუქტორი კურსანტებს მიმართავს:

— დღეს ჩვენ შევისწავლით ხელკეტის ხმარების წესებს ქალაქის პირობებში. ყველა მზად არის? მაშინ დავიწყოთ!... უკაცრავად, მოქალაქევ, თუ შეიძლება, ერთი წუთით აქეთ მობრძანდით!

***

მოსამართლე:

— ბატონო ადვოკატო, ტყუილად ნუ ლაპარაკობთ, თქვენმა კლიენტმა უკვე აღიარა დანაშაული.

— რა ხალხი ხართ ეს მოსამართლეები, მაგ გარეწრის გჯერათ და ჩემი — არა?!

***

— მისმინეთ, — ებუზღუნება დიასახლისი მდგმურს, — ყელში ამომივიდა თქვენი თაყვანისმცემელთა ვიზიტები!

— როგორ, თქვენთანაც დადიან?

***

საშინელი შტორმის დროს გემის მგზავრები კაიუტ-კომპანიაში შეიკრიბნენ. ფრაუ კრაუზე ქმარს ხელს გაჰკრავს:

— შეხედე იმ ქალის სახეს, პირდაპირ რომ ზის, ზუსტად ასეთი ნაზი მწვანე ფერის კაბა მინდა.

***

სეროჟას დედა ეძებს. გადმოდგა აივანზე და მეზობელს გასძახა:

— „ტანია, სეროჟ უ ტებია?!"

— „ნეტ!"

— „სირანუშ, სეროჟ ქუ მოტა?!"

— „ჩე!"

— ქეთო, სეროჟა შენთანაა?!

— სეროჟას ჩემთან რა უნდა?!

— ვაჰ, სად წავიდა ის საძაგელი, სახლში წერილი დამხვდა, ბოზებში მივდივარო!..

***

ქალაქში პატარა ბიჭი დაიკარგა. უფროსები ეკითხებიან:

— შენი მისამართი არ იცი, პატარავ?

— www.patarabichi.com როგორ არა!

***

ბებია ეკითხება შვილიშვილს:

— დაბადების დღეზე რა გიყიდო?

— მუსიკალური დისკი, ბებო.

— რომ არ ვიცი, რომელი მოგეწონება?

— სთხოვე, მოგასმენინონ და რომელიც არ მოგეწონება, ის მიყიდე.



***

— შოთიკო, დედიკო, ჩქარა ამოდი სახლში.

— ვერ ამოვალ, გიამ მანქანა წამართვა.

— არა უშავს, ფეხით ამოდი.

***

— ჯიმ, შენ თვითონ რატომ ბეჭდავ, სად არის შენი მდივანი ქალი, ავადაა?

— არა, გათხოვდა.

— ვის გაჰყვა?

— მე!

***

შვილი ეუბნება მამას:

— ბებია უნდა მოვიყვანო ცოლად!

— არა, შვილო, როგორ შეიძლება ბებიის ცოლად მოყვანა, ის ხომ დედაჩემია!

— ვა, აბა, შენ რომ დედაჩემი მოიყვანე!

***

ძმაკაცი შეხვდა ძმაკაცს:

— აუ, რა მეშველება, კონსერვატორიიდან მრიცხავენ, რაიმე ჩემი დაწერილი თუ არ მივიტანე.

— იცი, რა ქენი, აიღე შენი მასწავლებლის რაიმე ნაწარმოები, შეატრიალე და გამოცდაზე ის დაუკარი.

ერთი თვის შემდეგ:

— ბიჭო, ეს რა მასწავლე, მართლა გამომრიცხეს კონსერვატორიიდან.

— კი, მაგრამ რატომ?

— რატომ და რომ შევატრიალე, მოცარტი აღმოჩნდა, მაგის დედა ვატირე!..

***

სიყვარული ორთაბრძოლაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთ-ერთს არ უნდა.

***

პლანაქეში, სადისტი და მეხანძრე „კამერაში" ერთად სხედან. ქეში ამბობს:

— ერთი მომაწევინა!

მეხანძრე:

— მე კი ჩამაქრობინა!

სადისტი:

— შენს მოტვლეპილ თავზე!

***

ორი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს. ერთ-ერთი მათგანი მუსიკოსია. მეორე აღფრთოვანებითეუბნება:

— ამას წინათ შენი ალბომი შევიძინე და ძალიან მომეწონა!

— აა, ეს შენ იყიდე?!.

***

ხომალდი ერთ პატარა კუნძულს მიუახლოვდა. გიდმა მიკროფონში გამოაცხადა:

— კუნძულზე მოსახლეობის ორმოცდაათი პროცენტი შიდსით არის დაავადებული, დანარჩენი ორმოცდაათი — ტუბერკულოზით.

ერთმა ტურისტმა ვერ გაიგო და მეზობელს შეეკითხა:

— რაო, რა გამოაცხადა?

— რაო და ვინც არ ახველებს, იმასთან სექსუალურ კონტაქტს ნუ დაამყარებთო.

***

სკოლის ექიმის კაბინეტში მესამეკლასელი გოგონა ზლუქუნებს:



— ექიმო, ძალიან ცუდად ვარ, სკოლის გაფიქრებაზეც კი გული მერევა! ფეხმძიმედ, ხომ არ ვარ?! გუშინ ვასიკო ისე მიყურებდა...

***

ჩემოდნებიანი ქალის გვერდით მანქანამ დაამუხრუჭა.

— დაბრძანდით, ქალბატონო, წაგიყვანთ, მე ისეთი მძღოლი არ გეგონოთ, ზოგიერთები რომ არიან, მარტო ახალგაზრდა და ლამაზი ქალები რომ მიჰყავთ.

## გონების სავარჯიშო

„გზის" ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. არსებობს პეპლის ჯიში, რომლის დადებული კვერცხიდან გამოჩეკილი მატლი მცენარე კოკას ნაყოფზე პარაზიტობს და მოსავალიც ისპობა.
2. მას შემდეგ, რაც ხიროსიმაში ატომური ბომბის ჩამოგდების ამბავი შეიტყო.
3. კავალერიის წინააღმდეგ.
4. „...სტატისტიკა".
5. ტანზანია.
6. „...ენაზე კბილის დაჭერის უნარი".
7. „...გლდანში ტანკები გაგვიფუჭდებაო".
8. უინსტონ ჩერჩილს.
9. პეტრე პირველის (რუსეთის იმპერატორის ცხენის ნატურად, გრაფი ორლოვის საჯინიბოდან ორი საუკეთესო ცხენი — კაპრიზი და ბრილიანტი იქნა შერჩეული.)
10. მარქსის პროსპექტიდან ლენინის მოედანზე.
11. ერთს აწერია: „გასასვლელი დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში", მეორეს — „გასასვლელი დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროში".

## ჩვენი ფოტო მაღერია

ეს ფოტო ჩვენმა მკითხველმა ლარისა მაჭავარიანმა გამოგვიგზავნა და ასეთი წარწერა დაურთო:
„მარჯვნივ — კალისტრატე"



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის") მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

# როგორ შევარჩიოთ სარკე



დიზაინერები ტყუილად არ მიიჩნევენ სარკეს სახლის დეკორაციის საინტერესო და განსაკუთრებულ ელემენტად. გემოვნებით შერჩეულ სარკეს შეუძლია გააცოცხლოს მოსაწყენი ინტერიერი, დაფაროს დეფექტები და შექმნას სინათლის ილუზია

■ ძველად სარკე მიიჩნეოდა საიდუმლოებებით აღსავსე, მაგიურ ნივთად. დღეისთვის კი სარკე აუცილებელი ატრიბუტია სახლის ინტერიერის მოსაწყობად და თავისებური დიზაინის შესაქმნელად. თუ სარკეს ფანჯრის მოპირდაპირე მხარეს დაკიდებთ, ის თქვენს ოთახს მეტ სინათლეს შესძენს. დიდი სარკე დიდი სივრცის ილუზიას ქმნის.

■ სარკე, რომელიც მთელი კედლის ზომაზეა განთავსებული, ოპტიკურად აორმაგებს ოთახის სიგანეს ან სიგრძეს, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა გამოკვეთოთ რეალური და ოპტიკური სივრცის საზღვრები. ამისათვის სარკიან კედელთან დადგით რომელიმე ავეჯის ატრიბუტი — იქნება ეს პატარა დივანი, სამეული თუ მხოლოდ ჟურნალების მაგიდა.

■ ოთახის გადიდების ილუზიის კიდევ ერთი კარგი საშუალებაა ერთმანეთის მოპირდაპირე კედლებზე ჩამოკიდებული სარკეები. ისინი ზემო და გვერდითი შუქებით გაანათეთ.

■ დიზაინერების აზრით, სარკის მთავარი დეტალი მისი ჩარჩოა. დღესდღეობით აქტუალურია როგორც ხის, ასევე სხვადასხვაფრად შეღებილი ან გალაქული ჩარჩოები, მთავარია, ის უხდებოდეს სახლის ინტერიერს. არსებობს ასევე სარკეები ჩარჩოს გარეშე, რომლებიც წარმოდგენილია სხვადასხვა სიმეტრიის ფორმით. თუმცა უმჯობესია, სარკე მაინც სტანდარტული ფორმისა იყოს — ის უკეთ ესადაგება სახლის ინტერიერს. ■

# რას ამოიკითხავთ ტუჩებზე?



● მსხვილი ტუჩები — ემოციურობის, სექსუალურობისა და მგრძნობიარობის მაჩვენებელია.

● თხელი ტუჩები — საკუთარ თავში ჩაკეტილ, ნაკლებად კონტაქტურ ადამიანებს აქვთ. ხშირად ცხოვრებაში წარუმატებლები არიან და მტკივნეულად აღიქვამენ გარშემო მყოფთა წარმატებებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, მეგობრები მათთვის ძალიან ძვირფასია და ყოველთვის მზად არიან მათ დასახმარებლად.

● ოდნავ წინ წამოწეული ზედა ტუჩი — მიგვანიშნებს მიზანდასახულ, თავდაჯერებულ, თავმოყვარე და ამბიციურ ადამიანზე. ის „მუდამ მართალია", ყოველთვის ცდილობს, თავისი გაიტანოს და არად დაგიდევთ სხვათა შეხედულებებს.

● ოდნავ დიდი ქვედა ტუჩი — უმეტესწილად, ეგოისტი, გაუწონასწორებელი და მერყევი ხასიათის ადამიანების დამახასიათებელია. მათთან ურთიერთობა რთულია, რადგან გარშემო მყოფთა მიმართ ზედმეტად მომთხოვნები არიან და ყოველთვის ცდილობენ სხვებზე დომინირებას.

● მკვეთრად მოხაზული კონტურის ტუჩების პატრონები — არაამბიციურ ადამიანთა რიგს მიეკუთვნებიან. მათ მცირედიც აკმაყოფილებს, არ აგებენ ოცნების კოშკებს, გამოირჩევიან კონსერვატიულობით. აკლიათ თავდაჯერებულობა და ხშირად ეუფლებათ დეპრესია.

## ნიღბები ტუჩების მოსავლელად

როდესაც სახის კანის მოსავლელი პროცედურების ჩატარებას იწყებთ, არც ტუჩები უნდა დაივიწყოთ, ისევე, როგორც სახის კანზე, ტუჩებზეც მოქმედებს ატმოსფერული მოვლენები — მზე, ქარი, ყინვა... ტუჩის კანი შეიძლება იყოს მშრალი ან ცხიმიანი. თუ ტუჩები გამომშრალი გაქვთ, აუცილებლად უნდა წაისვათ მკვებავი კრემი, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანი დასკდება, აიქერცლება და ამ ხარვეზს ყველაზე ხარისხიანი პომადაც კი ვერ დაფარავს.

## ტუჩის ვარჯიში

ტუჩები წინ წამოსწიეთ და პირი ოდნავ გააღეთ. შემდეგ დამუწეთ და ტუჩები მოადუნეთ. გაიმეორეთ 10-20-ჯერ.

ქვედა ყბა რიგრიგობით ამოძრავეთ მარჯვენა და მარცხენა მიმართულებით. ვარჯიში 10-20-ჯერ გაიმეორეთ.

## ტუჩის ნიღბები

ტუჩებს არბილებს ხაჭოს ნიღაბი. ხაჭო წაისვით ბაგეზე და 10 წუთის შემდეგ მოიწმინდეთ.

ქარში ტუჩები რომ არ დაგისკდეთ, კიტრის ან სტაფილოს წვენში არეული თაფლის, არაჟნისა და ხაჭოს ნაზავი დაიდეთ. 15 წუთის შემდეგ მოიშორეთ და მცენარეული ზეთი გადაისვით.

თუ ბაგეზე კანი დამსკდარი გაქვთ, გახეხილ ვაშლში აურიეთ 1 ჩ/კ კარაქი და ნაზავი 15-30 წუთით გაიჩერეთ. ეს ნიღაბი აუცილებლად დაგირბილებთ ტუჩებს.

თუ ამგვარი ნიღბის მოსამზადებლად დრო არ გაქვთ, მაშინ, უბრალოდ, თაფლი გამოიყენეთ. ■


აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

| გამოცემის დასახელება | 1ეგზ. ფასი | 3 თვე |
|---|---|---|
| 1. ИТОГИ | 3.00 | 39.00 |
| 2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА | 2.00 | 117.00 |
| 3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА. | 32.00 | 32.00 |
| 4. КАРАВАН ИСТОРИЙ | 8.00 | 24.00 |
| 5. НОВАЯ ГАЗЕТА | 1.50 | 39.00 |
| 6. ВОКРУГ СВЕТА | 9.00 | 27.00 |

პრესის და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"

ქ. თბილისი
თოხვბიძის ქ.№49
ტელ: 38-26-73; 38-26-74
ფაქსი: 38-26-74

აგრეთვე ნებისმიერი სხვა გამოცემა

E-mail:elva@kvirispalitra.com

# ასაკი და ბიოლოგიური საათი



ცნობილია, რომ სიგარეტის მოწევა, სტრესები და გაუთავებელი დიეტები ნაადრევ სიბერეს იწვევს. სპორტი და სწორი კვება კი — პირიქით, ადამიანს ახალგაზრდავებს. ამ საკითხთან დაკავშირებით, მეცნიერებმა საინტერესო გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის მიხედვითაც, ადამიანს (მისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე) შეუძლია, ახალგაზრდობა გაიხანგრძლივოს. რა გვიმატებს და რა გვიკლებს ასაკს?

### თუ ხშირად ნერვიულობთ

სტრესი ნამდვილი „ასაკობრივი ბომბია“. ძლიერმა და ხანგრძლივმა სტრესმა შეიძლება 15 წლით დაგაბეროთ. თუმცა, ადამიანის ორგანიზმს ასეთი შემთხვევის შემდეგაც შეუძლია ძალები აღიდგინოს. ამიტომ თუ ხშირად ხვდებით სანერვიულო სიტუაციაში, თქვენს ყოველდღიურ განრიგში იოგა ან არომათერაპია შეიტანეთ.

### თუ ასაკი არ გაშინებთ

გულწრფელად გწამთ, რომ ცხოვრება 40 წლის შემდეგ იწყება? ესე იგი, ასეც იქნება, რადგან ჩვენი ფიქრები და სიტყვები ჩვენს ორგანიზმში გარკვეულ რეაქციებს „აპროგრამებს“. ეს მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტია. საკუთარ ასაკთან მიმართებაში ორი სწორი ვარიანტი არსებობს: ან შენი ასაკით უნდა იამაყო, ან ამაზე არც იფიქრო და არც ილაპარაკო.

### თუ მკაცრ დიეტას მიმართავთ

მაშინაც კი, როცა აუცილებლად და თანაც სასწრაფოდ გჭირდებათ წონაში დაკლება, მკაცრი დიეტისგან თავი შეიკავეთ. ქალები, რომლებიც მკაცრ დიეტას იცავენ, მუდმივად დაძაბულები არიან. მკაცრი დიეტა, დროთა განმავლობაში, წნევასთან დაკავშირებულ პრობლემებს იწვევს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ის კანის მეორე მტერია (პირველი — მზეა).

### თუ სპორტს აქტიურად მისდევთ

ეს იმას ნიშნავს, რომ კვირაში სამჯერ, მინიმუმ 20 წუთს მაინც უთმობთ სპორტს. იმ შემთხვევაში, თუ ხშირად სეირნობთ ფეხით, ორი წლით მაინც გაახალგაზრდავდებით. ხოლო სპორტის ინტენსიური ვარჯიშები (მაგალითად, აერობიკა) მინიმუმ ხუთი წლით გაგაახალგაზრდავებთ.

### თუ მწეველი ხართ

გაითვალისწინეთ, რომ 45 წლის მწეველი ქალები თავიანთ თანატოლ არამწეველებთან შედარებით, 8 წლით უფროსებად გამოიყურებიან. ჯერ მარტო კანთან დაკავშირებული პრობლემები რად ღირს: ნიკოტინის სიჭარბის გამო ხომ კანი ჟანგბადით სათანადოდ ვერ იკვებება...

### თუ გზაში საათ-ნახევარზე მეტ დროს ხარჯავთ

თუ მანქანით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობაზე, 3 საათზე მეტი გეხარჯებათ, უმჯობესია, სამსახურის შეცვლაზე იფიქროთ. თუ ეს შეუძლებელია, ეცადეთ, ხშირად იაროთ ფეხით.

### თუ საუზმობა გავიწყდებათ

საიმისოდ, რომ ზედმეტი ერთი წელი მიიწეროთ, კვირაში ორჯერ მაინც გამოტოვეთ საუზმე.

### თუ პოლივიტამინებს არ იღებთ

პოლივიტამინების დახმარების გარეშე, ვიტამინების სრული დოზის მისაღებად, დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ, რადგან მხოლოდ ნატურალური პროდუქტებით კვება მოგიწევთ.

### თუ ხშირად გამოუძინებელი ხართ

ცუდია, თუ დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ 7 საათზე ნაკლები გძინავთ. ცნობისთვის, ყველაზე დიდხანს ისინი ცოცხლობენ, ვისაც დღე-ღამეში 9 საათზე მეტხანს სძინავთ. თუმცა, ბოლოდროინდელი გამოკვლევების მიხედვით, ნორმად 8-9-საათიანი ძილი მიიჩნევა.

### თუ ხშირად იცინით

რამდენიმეწუთიანი გულიანი სიცილი ორგანიზმში ენდორფინებს (ორგანულ ანტიდეპრესანტებს) გამოიმუშავებს. ეს კომპონენტები კი იმუნურ სისტემას აძლიერებს.

### თუ კბილებს კარგად უვლით

კბილებთან დაკავშირებული პრობლემები იმუნურ სისტემას აქვეითებს და სისხლძარღვებს ავიწროებს. ამიტომ ყურადღებით მოეკიდეთ ამ პრობლემას და დროზე მიაკითხეთ სტომატოლოგს.

### თუ ოჯახური პრობლემები გაქვთ

გაუთავებელი კამათი და უთანხმოება ოჯახში, აშკარად კვალს ტოვებს და არა მარტო გარეგნულ მხარეზე. ოჯახის დაგნრევა კი — პლუს ერთ წელს უდრის.

### თუ ქმარი ასაკით თქვენზე ბევრად უფროსია

ჩვენი ბიოლოგიური საათი ჩვენი ახლობელი და საყვარელი ადამიანების ასაკის მიხედვით მოქმედებს. ასე რომ, თუკი მეუღლე თქვენზე 10 წლით ან მეტით არის უფროსი, შეგიძლიათ წელიწად-ნახევარი „მიიმატოთ“.

### თუ ძაღლი გყავთ

შინაური ცხოველები, განსაკუთრებით კი ძაღლები, დადებითი ემოციებისა და სოციალური ურთიერთობების ნაკლებობის კომპენსაციას ახდენენ. ამასთან, სუფთა ჰაერზე მათთან ერთად სეირნობა ნერვულ სისტემაზე შესანიშნავად მოქმედებს.

### თუ შვებულების გარეშე მუშაობთ

წელიწადში მინიმუმ 2 კვირა (იდეალურია 3-4 კვირა) თქვენ უნდა გეკუთვნოდეთ — ამ პერიოდში, სასურველია, მკვეთრად შეიცვალოთ გარემო.

### დაბოლოს

თუ რომელიმე პუნქტის შეცვლას ვერ მოახერხებთ, ნუ ინერვიულებთ — ყოველთვის მოიძებნება რაღაც ისეთი, რითიც თქვენი ბიოლოგიური საათის ეკონომიას შეძლებთ. მით უმეტეს, რომ ნებისმიერ მოქმედებას თავისი უარყოფითი მხარეც აქვს.

ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან მხოლოდ მოწევის კომპენსაციას ვერ შეძლებთ, ამიტომ, სიგარეტს სასწრაფოდ თავი უნდა დაანებოთ. ■

## ტირამისუ

**12 ულუფისთვის:**

2 ქილა „მასკაპონე“ (იტალიური ნაღების ყველი — 450 გ.);
8 კვერცხი;
4 ს/კ შაქარი;
ვანილი;
გამზადებული 3 ბისკვიტის ფირფიტა;
1 ჭიქა მაგარი ყავა.

კვერცხის გული ათქვიფეთ ყველთან და ვანილთან ერთად. ცალკე ათქვიფეთ ცილა და თქვეფის დროს მცირე ოდენობით დაუმატეთ შაქარი. მიღებული ორი მასა შეურიეთ ერთმანეთს. ბისკვიტის ფენები გამოჭერით მრგვალ ფორმებად, სათითაოდ ჩააწყვეთ სპეციალურ ჭურჭელში და დანამეთ ყავით. ზემოდან დაასხით გამზადებული მასა და შედგით მაცივარში 3-4 საათით.

შემდეგ გამოიღეთ და მოაყარეთ კაკაოს ფქვილი. სუფრასთან მიტანამდე 1 საათით ისევ შეინახეთ მაცივარში. ■



## მიკი რურკი მკვლელობისა და თვითმკვლელობის ზღვარზე



თებერვლის ბოლოს ბოევიკის — The Wrestler — პრემიერა გაიმართება, რომელშიც მთავარ როლს მიკი რურკი ასრულებს. ამას წინათ ფილმის პირველი საჯარო ჩვენება შედგა, რომლის შემდეგაც, მსახიობმა დამსწრეთ მოუთხრო, რომ კინაღამ ორი მომაკვდინებელი ცოდვა ჩაიდინა... რურკი ნარკოტიკების რეალიზატორის მოკვლას აპირებდა, რომელმაც მსახიობის მაშინდელი მეუღლე, მოდელი კერი ოტისი გააუპატიურა, და ამის შემდეგ, თავის მოკვლაც ჰქონდა გადაწყვეტილი. ამ გეგმის შესახებ მსახიობმა ცოლისთვის დაწერილ წერილში დაწერა, რომელიც კერი ოტისს მისი დაღუპვის შემდეგ უნდა მიეღო... კათოლიკე მსახიობი ამ ტრაგიკული ნაბიჯისგან, ტაიმს-სკვერზე მდებარე ეკლესიის წინამძღვარმა, მამა პიტ კოლაპიეტრომ იხსნა. აღსანიშნავია, რომ მათ შორის საუბარი არა ეკლესიაში, არამედ რესტორანში შედგა. მას შემდეგ, რაც მოძღვარმა მიკი რურკის სული და სხეული იხსნა, ისინი დამეგობრდნენ. „მიკი ადრე არასდროს მენახა და ბედნიერი ვარ, რომ მისი დახმარება შევძელი", — ამბობს მოძღვარი. ■

## უაინონა რაიდერი კლეპტომანიისგან ვერ განიკურნა



6 წლის წინ საინფორმაციო საშუალებებმა ელვის სისწრაფით გაავრცელეს სენსაციური ცნობა იმის შესახებ, რომ უაინონა რაიდერი — კლეპტომანია! მსახიობი ფაქტზე რამდენჯერმე გამოიჭირეს. მას ხან Prada-ს ხელჩანთის საფასურის გადახდა „დაავიწყდა", ხან რამდენიმე ათას დოლარად ღირებულ კაბას მოაჭრა იარლიყი... მაშინ მსახიობმა სასჯელს სოლიდური ჯარიმის გადახდით დააღწია თავი და პირობა დადო, რომ „ქურდობისგან" განიკურნებოდა. უაინონამ მალიბუში მდებარე სპეციალიზებულ კლინიკაში იმკურნალა და კლეპტომანიისგან თითქოს განიკურნა, მაგრამ ახლახან აღმოჩნდა, რომ დაავადება უკვალოდ არ გამქრალა... უაინონას დაავადებამ ამჯერად საიუველირო სახლი Bulgari დააზარა. საიუველირო სახლმა მსახიობს Marie-Claire Awards-ის (მადრიდი) ცერემონიისთვის ძვირფასი სამკაულები დაუთმო. ცერემონიის დასრულების შემდეგ, რაიდერი თვითმფრინავში ჩაჯდა, ლოსანჯელესში გაფრინდა და 100.000 ევროდ ღირებული ბეჭედი და სამაჯური თან გაიყოლა. მერე იფიცებოდა, რომ კონვერტში ჩადებული ძვირფასეულობა სასტუმროს მომსახურე პერსონალს დაუტოვა. პერსონალი საქმის კურსში არ აღმოჩნდა, ჰოლში დამონტაჟებულ ვიდეოკამერებს კი არც უაინონა და არც ძვირფასეულობით სავსე კონვერტი არ დაუფიქსირებია... ამას წინათ მსახიობმა აღიარა, რომ ძვირფასეულობა „შემთხვევით" გაჰყვა. „დარწმუნებული ვიყავი, რომ სამკაულები სასტუმროში დავტოვე. როდესაც შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ ძვირფასეულობა მე მქონდა, ამის შესახებ მაშინვე განვაცხადე", — ირწმუნება მსახიობი. ■

## „რუსული კვალი" მელ გიბსონის ცხოვრებაში



ჰოლივუდი წლის ყველაზე ხმაურიანი განქორწინების მოლოდინშია. სასწორზე მელ გიბსონის მილიარდიანი ქონება დევს. 28 წლის ერთობლივი თანაცხოვრების პერიოდში დაგროვილი ქონების ნახევარი კანონის თანახმად, გიბსონის მეუღლეს, რობინს ეკუთვნის. შეუღლებისას, 1980 წელს, ცოლ-ქმარს საქორწინო კონტრაქტის გაფორმებით თავი არ შეუწუხებია, დღეს კი, როდესაც მათი ოჯახი დანგრევის პირასაა, თითოეული მათგანი 500 მილიონ დოლარზე აცხადებს პრეტენზიას. დიასახლისისთვის, მორალური ზარალის ასანაზღაურებლად, ეს არცთუ ურიგო თანხაა... რობინის სულიერი ტანჯვის მიზეზი — ქმრის მორიგი ღალატია. 7 შვილის დედა, ტემპერამენტიანი „შლეგი მაქსის" თავგადასავლებს, ლოთობასა და უხიაგ ხასიათს მოთმინებით იტანდა, მაგრამ მელისა და რუსი ლამაზმანის გახმაურებულმა რომანმა რობინის მოთმინების ფიალა აავსო... ტანწერწეტა და სექსუალური ოქსანა და მელ გიბსონი ერთად ჯერ კიდევ სექტემბერში შეამჩნიეს. ბოევიკის — Edge of Darkness გადაღების დროს წყვილი ვარსკვლავის ტრაილერში იკეტებოდა, საღამოებს კი მყუდრო რესტორნებში ატარებდა. მათ შორის რომანტიკული ურთიერთობის არსებობას ორივე თავგამოდებით უარყოფდა; მისი ვერსიით, მელ გიბსონის ლეიბლი ოქსანას ალბომს წერდა... დისკი კარგა ხანია, გამოვიდა, მომღერლისა და „პროდიუსერის" შეხვედრები კი კვლავ გრძელდება! ამერიკულ პრესაში გავრცელებული ცნობით, მსახიობს ცოლმა უკვე „აუნთო წითელი": სარჩელი სასამართლოში წლის ბოლოს, სწორედ მელ გიბსონის დაბადების დღისთვის შევა. ■



ოქსანასთან ერთად

# მადონა ავსტრალიელებს გაუნაწყენდა



ახალი შოუთი — Sticky and Sweet — მადონა უკვე მრავალი ქვეყნის მაყურებლის წინაშე წარდგა. მომღერალმა მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკაში 28 კონცერტი გამართა. გასტროლების შედეგად მიღებულმა ამონაგებმა უკვე 200 მილიონ დოლარს გადააჭარბა. მაგრამ ახლა მომღერლის გეგმაში ზოგიერთი ცვლილება შევიდა: მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისის გამო მადონა ზოგიერთ ქალაქს აღარ ესტუმრება. მისი მსოფლიო ტურნე სოლო შემსრულებელთა გასტროლების ისტორიაში ყველაზე მომგებიანის წოდების პრეტენდენტია. ორთვე-ნახევრის განმავლობაში მომღერალმა მთელი ჩრდილოეთ ამერიკა და ევროპა შემოიარა. მხოლოდ აშშ-სა და კანადაში 550000 ბილეთები გაიყიდა. ავსტრალიაში კი მოულოდნელმა პრობლემებმა იჩინა თავი. მიუხედავად იმისა, რომ ბილეთი სულ რაღაც 160 ევრო ღირს, პოპის დედოფლის ყველაზე გულმხურვალე თაყვანისმცემლებიც კი ბილეთის შეძენას არ ჩქარობდნენ! მადონა შიშობს, რომ ავსტრალიაში შოუ მომგებიანი არ იქნება. ამიტომ იქ გამგზავრება გადაიფიქრა და განაცხადა, რომ ბილეთის საფასური ისედაც „სამარცხვინოდ დაბალია“. მადონას ტურნე ბრაზილიასა და არგენტინაში გამოსვლით დასრულდება. წინასწარი გამოთვლით, „ვოიაჟის“ საერთო მოგება 280 მილიონ დოლარს გადააჭარბებს. ■

# რიკი მარტინი ერთწლიან დეკრეტულ შვებულებაში გადის

მომღერალი აგვისტოში მამა გახდა. პუერტორიკოელ მომხიბვლელ მამაკაცს სუროგატმა დედამ ტყუპი ვაჟი გაუჩინა. ბავშვების დედის ვინაობა უცნობია. 36 წლის მარტინმა კი უკვე ხმამაღლა განაცხადა, რომ ერთი წლით შოუბიზნესიდან მიდის, რათა თავი




ახალშობილ შვილებს მიუძღვნას. ჟურნალის Hello — ესპანურ გამოცემაში რიკი მარტინმა პირველად გამოაქვეყნა 4 თვის ჩვილების — ვალენტინოსა და მათეოს ფოტოსურათები და მკითხველს ბავშვების შესახებ მოუთხრო. აღმოჩნდა, რომ რიკის შვილებს ძიძა არ ჰყავთ. ბავშვებს მამა თავად უვლის და მომავალში მათ აღზრდასაც თავად აპირებს. მომღერალს ბავშვების მოვლაში პერსონალური ასისტენტი ეხმარება. „მშვენიერია, როდესაც საკუთარი შვილების ზრდა-განვითარებას თვალყურს ადევნებ“, — ამბობს ბედნიერი მამა. ■

# ანჯელინა ჯოლი – სუპერგოგონა!



ამერიკული გამოცემის — Harper's Bazaar — დეკემბრის ნომერს ანჯელინა ჯოლის ფოტოსურათი, ინტერვიუ და საინტერესო მონათხრობი დაამშვენებს. სტატიას Supergirl ეწოდება. სწორედ შესაფერისი სათაურია — ანჯელინა ხომ არა მარტო შესანიშნავი მსახიობი, დედა და ცოლი, არამედ მართლაც, სუპერგოგონა და ბევრისთვის სათაყვანებელი ქალია. ■

# ოლივერ სტოუნი უგო ჩავესის შესახებ დოკუმენტურ ფილმს იღებს

გამოჩენილი რეჟისორი ოლივერ სტოუნი ვენესუელის პრეზიდენტ უგო ჩავესის შესახებ დოკუმენტურ ფილმზე მუშაობს. სურათი 2009 წლის ზაფხულში გამოვა ეკრანებზე. „ეს ფილმი, ჩავესის გარდა, სამხრეთამერიკულ რევოლუციასაც ეძღვნება“, — ასე დაახასიათა ახალი პროექტი თავად რეჟისორმა. ოლივერ სტოუნი უგო ჩავესს 2008 წლის თებერვალში ესტუმრა, როდესაც ვენესუელის პრეზიდენტი კოლუმბიელ მეამბოხეთა მიერ დატყვევებული მძევლების გათავისუფლებაში მონაწილეობდა, მაგრამ სურათში, პრეზიდენტის მოღვაწეობის ეს ეპიზოდი არ მოხვდება. მასში ძირითადად, აქცენტი იმ ზეწოლაზე იქნება გაკეთებული, რომელსაც ჩავესი სამშობლოში და საერთაშორისო არენაზე განიცდის... რეჟისორი პარალელურად, კიდევ ერთ დოკუმენტურ პროექტზე მუშაობს, რომლის დეტალები მკაცრადაა გასაიდუმლოებული. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოლივერ სტოუნის დოკუმენტური ფილმის გმირი — ირანის პრეზიდენტი იქნება, მაგრამ თავად რეჟისორი ამას უარყოფს. შეგახსენებთ, რომ სახელმწიფოთა მეთაურები სტოუნის ფილმების მთავარი გმირები ადრეც ყოფილან: მას გადაღებული აქვს ფილმი ფიდელ კასტროს შესახებ, 2008 წელს კი ეკრანებზე გამოვიდა მისი სურათი „ბუში-უმცროსი“, რომელიც ამერიკის ამჟამინდელ პრეზიდენტზე მოგვითხრობს. ■



# მრავალჭირნახული ღვთის სახლი და კანდელივით მოკიაფე ბერები

ბეთანიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მონასტერი თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით, ოცი კილომეტრის მოშორებით, მდინარე ვერეს ხეობაში მდებარეობს. მონასტერი ტყით დაფარული მთების ძირასაა აგებული. მას იერუსალიმის მახლობლად მდებარე დაბის — ბეთანიის სახელი უწოდეს, სადაც ქრისტეს ერთგული მეგობარი ლაზარე და მისი დები — მართა და მარიამი ცხოვრობდნენ. მიწიერი ცხოვრების ჟამს განკაცებული უფალი ხშირად ჩადიოდა ბეთანიაში. სწორედ იქ აღადგინა მკვდრეთით 4 დღის გარდაცვლილი ლაზარე, ჯვარცმამდე რამდენიმე დღით ადრე...



ბეთანიის ტაძარი XIX საუკუნეში

**შორენა მერკვილაძე**

როდის და ვინ დააარსა ბეთანიის მონასტერი — ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ბევრი რამ მისი ისტორიიდან საიდუმლოებითაა მოცული, უცნობია საუკუნეების განმავლობაში მონასტერში მოღვაწე ბერების სახელებიცა და მათი ღვაწლიც. ეს ყველაფერი სრულად მხოლოდ ღვთის წინაშეა გაცხადებული. როგორც ამბობენ, იმ ადგილას, სადაც ამჟამად ბეთანიის მონასტერი მდებარეობს, ოდესღაც ლავრა არსებობდა, რაზეც ბერთა სენაკების დღემდე შემორჩენილი ნაშთები მოწმობს...

არსებობს გადმოცემა, რომ თავდაპირველად, მონასტრის ტაძრის აგებას სხვა ადგილას, მთის მწვერვალზე აპირებდნენ. იქ ქვები და სამუშაო იარაღებიც აუტანიათ. მეორე დღეს, როდესაც მშენებლები სამუშაოს დასაწყებად ასულან, სამშენებლო მასალები არ დახვედრიათ. დაუწყიათ ძებნა. ამ ყველაფერს კი მთის ძირში, ერთად დაწყობილს წასწყდომიან. ეს სასწაული ღვთის მინიშნებად მიუღიათ და ტაძრის აშენებაც იმავე ადგილზე გადაუწყვეტიათ...

როგორც მოგახსენეთ, მონასტრის დაარსების არც დრო და არც თარიღი ისტორიამ არ შემოგვინახა. ვიცით, რომ XI საუკუნეში მონასტერში არსებობდა დიდგვაროვანი ფეოდალების — ორბელიანთათვის საგანგებოდ აგებული საძვალე. დღეს მონასტრის მთავარი — ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი სავარაუდოდ, XII საუკუნის შუა პერიოდშია აგებული. მანამდე ამ ადგილას აგურით ნაშენი, მცირე ზომის ტაძარი მდგარა, რომელიც შემდგომ, ახალ ნაგებობაში მოუქცევიათ. მკვლევართა ვარაუდით, სწორედ ადრინდელ ტაძარს ეკუთვნის ახლანდელი საკურთხეველი და დასავლეთის კარიბჭე, რომლის ქვეშაც აკლდამა მდებარეობს.

მონასტრის მთავარი ტაძრის გვერდით მდებარეობს წმინდა გიორგის სახელზე ნაკურთხი, დარბაზული ტიპის მომცრო ტაძარი, რომელიც 1196 წელსაა აგებული, ამირსპასალარ და მანდატურთუხუცეს, იოანე ორბელის თანამეცხედრის, სომეხთა მეფის, კვირიკეს ასულის, რუსუდანის ღვაწლით. ვარაუდობენ, რომ რუსუდანი ამავე ტაძარშია დაკრძალული... XIII საუკუნის დასაწყისიდან, წმინდა მეფე თამარის მმართველობის ხანიდან ბეთანიის მონასტერი სამეფოს საკუთრებას წარმოადგენდა. გადმოცემის თანახმად, თამარი ზაფხულობით ბეთანიაში დასასვენებლად ხშირად ჩადიოდა და მონასტერში განმარტოებით ლოცულობდა. ასევე არსებობს გადმოცემა, რომ თამარის მეფობის დროს, მისივე ბრძანებით, ბეთანიის მონასტრისთვის დაუწერიათ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, შემდგომში — ბეთანიის ღვთისმშობლის ხატად წოდებული. მოგვიანებით, დაახლოებით XVI საუკუნეში, თავად ბარათაშვილებს სიწმინდე ქაშვეთის ეკლესიაში გადაუსვენებიათ და დღემდე ამავე ტაძარშია დაბრძანებული (ამ პერიოდიდან ბეთანიის მონასტერი თავად ბარათაშვილების მამულში შედიოდა და იქ მათი საძვალეც არსებობდა). იმ პერიოდში ბეთანიის მონასტერი უმოქმედოდ იყო და შესაძლოა, ბარათაშვილებმა სიწმინდე უსაფრთხო ადგილას გაარიდეს...

ბეთანიის მონასტერი საუკუნეების მანძილზე სრულიად მიტოვებული გახლდათ. ტაძარიც თითქმის სულ განადგურდა: ჩამოინგრა თაღები, გუმბათი, ტაძრის სახურავზე ხეები ამოიზარდა; დაზიანდა ფრესკები და ჩუქურთმებიც... სწორედ ამ პერიოდში დაზიანდა და დაიკარგა თამარ მეფის ფრესკაც. 1851 წელს ტაძარი გამოჩენილმა რუსმა მხატვარმა გაგარინმა მოინახულა. მან ეკლესია ქვების გროვებისგან გაათავისუფლა და გაასუფთავა. გამოჩნდა წმინდა მეფის იმ დრომდე დაკარგული, ფრესკული გამოსახულებაც, მაგრამ სამონასტრო ცხოვრება არც ამის შემდეგ აღმდგარა, ამიტომ ბეთანია სულ მალე კვლავ მივიწყებას მიეცა. ტაძარი კვლავ გაუკაცრიელდა...

მოგეხსენებათ, XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი დაიხურა. მძიმე ხანა დაუდგა საქართველოს ეკლესიას. საოცარია, რომ ბეთანიის მონასტერი, ამ დრომდე მივიწყებული და განადგურების პირას მისული, სწორედ ამ პერიოდში იწყებს აყვავებასა და აღორძინებას. მონასტრის აღდ-



მამა ბასილი, მამა იოანე და მამა გიორგი

გენაზე ზრუნვა პირველად მღვდელ-მონაზონმა სპირიდონმა (კეთილაძე) წამოიწყო. თავიდან მარტო ასულა ბეთანიაში და მისი აღდგენა დაუწყია. ყველას, ვინც კი მომუშავე ბერს ხედავდა, უკვირდა — მარტო კაცმა როგორ უნდა მოახერხოს მონასტრის განახლებაო?..

მამა სპირიდონი უფლისგან კურნების ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული. რამდენიმე ადამიანი სასწაულებრივად განუკურნავს ლოცვით. ამის შემდეგ ბეთანიის მახლობლად არსებული სოფლების მოსახლეობა, როგორც შეეძლო, ყველანაირად შეეწეოდა მამა სპირიდონს მონასტრის აღდგენაში. მალე საცხოვრებლი სახლიც ააგეს. როდესაც სახლის საძირკველს ჭრიდნენ, დიდ სამარხს წააწყდნენ. საერთო საფლავში ძვლები და არაერთი თავის ქალა აღმოჩნდა, სავარაუდოდ — სავანეში მოღვაწე ძმების, რომლებიც ალბათ ბარბაროსთა ერთ-ერთი შემოსევისას ამოწყვიტეს. წმინდა ნაწილები მიწიდან ამოაბრძანეს და მონასტრის აკლდამაში დააბრძანეს, რომლის ზემოთაც ამჟამად წმინდა, კეთილმორწმუნე თამარ მეფის სახელზე ნაკურთხი წმინდა ტრაპეზი დგას.

ბერობის მსურველებმაც იწყეს მისვლა, რომლებიც იქვე მკვიდრდებოდნენ და ღირს მამას სავანის განახლებაში ეხმარებოდნენ. სწორედ ამ პერიოდში მისულა მათთან სამუშაოდ 14 წლის გლეხის ყმაწვილი — ვასილ მაისურაძე, რომელიც შემდგომში ამავე მონასტრის წინამძღვარი — არქიმანდრიტი იოანე გახდა...

სამწუხაროდ, მალე კვლავ მძიმე ჟამი დაუდგა ბეთანიის მონასტერს. ბერები სხვადასხვა მიზეზით ტოვებდნენ სავანეს. იქ მხოლოდ მამა სპირიდონი და ერთი მორჩილი — ვასილი (შემდგომში — მამა იოანე მაისურაძე) დარჩნენ. მალე ვასილსაც მოუხდა მონასტრის დატოვება. იგი ათონის მთაზე გაემგზავრა. იქ მოღვაწეობდა 1920 წლამდე, შემდეგ კი, სხვა ქართველ ბერებთან ერთად, ათონის მთის დატოვება მოუხდა, რადგან ქართველ და ბერძენ ბერებს შორის ურთიერთობა ძალზე გამწვავდა. ბერძნებმა ქართველები აიძულეს, რომ ათონის მთა დაეტოვებინათ.

მამა იოანემ, რამდენიმე ბერთან ერთად, სამშობლოს მოაშურა. ერთხანს არმაზის და მარტყოფის მონასტრებში მოღვაწეობდა, შემდგომ კი ბეთანიის მონასტერში დამკვიდრდა. ამ დროისათვის ბეთანიაში მამა სპირიდონი უკვე აღარ მოღვაწეობდა. სავანეზე ზრუნვა მამა იოანემ იტვირთა. 1924 წლამდე მარტოდმარტო ილვწოდა წმინდა მამა სავანეში, შემდეგ ბეთანიაში მამა გიორგიც (მხეიძე) დამკვიდრდა. მათ გარდაცვალებამდე ბეთანიაში დაყვეს. მათი მოღვაწეობის პერიოდში, მონასტერი ოფიციალურად მოქმედად არ მიიჩნეოდა — ღვთისმოსავ ერისკაცთა ხელშეწყობით გაფორმებული იყო, როგორც „არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლი“, წმინდა მამები კი — როგორც დარაჯები. კულტურის სამინისტრო მათ ხელფასსაც კი უხდიდა, როგორც „ძეგლის მცველებს“. ასე გადაურჩა ბეთანიის მონასტერი დახურვას. იმ დროს, როდესაც საქართველოში თითქმის არც ერთი ეკლესია-მონასტერი არ მოქმედებდა, ბეთანიაში სამონასტრო ცხოვრება ჩქეფდა. წმინდა მამები ასეთ პირობებშიც ახერხებდნენ სამონასტრო ტიპიკონის სრულად დაცვას. მათ მონასტრის კუთვნილ მიწაზე მეურნეობაც ჰქონდათ. ღირსი მამები ღვთისგან სასწაულთმოქმედების ნიჭითაც იყვნენ დაჯილდოებულნი...

ბეთანიელი მამების გარდაცვალების შემდეგ, სავანე დაცარიელდა, შეწყდა სამონასტრო ცხოვრებაც. კვლავ დაზიანდა ტაძარი, ფრესკები და მონასტრის სხვა ნაგებობები...

1978 წლიდან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ღვაწლითა და მცდელობით, ბეთანიის მონასტერი კვლავ იწყებს აღორძინებას. ათეისტურ ხანაში, როდესაც ეკლესია-მონასტრების ამოქმედებაზე ლაპარაკიც კი დაუშვებელი გახლდათ, მისმა უწმინდესობამ მოახერხა, რომ იქ სამოღვაწეოდ ორი ბერი გაეგზავნა. იმ პერიოდში საქართველოში მხოლოდ ბეთანიის მონასტერი მოქმედებდა, მორწმუნეთა ნუგეშად და სულიერ მასაზრდოებლად. კვლავ აღდგა და განახლდა ულმრთოთაგან დაზიანებული ტაძარი და სენაკები. მას შემდეგ ბეთანიაში სამონასტრო ცხოვრება აღარც შეწყვეტილა...

ბეთანიის მონასტერში მოღვაწე მამები — მამა იოანე (მაისურაძე) და მამა გიორგი (მხეიძე) უმაღლესი სულიერებით გამოირჩეოდნენ. ისინი საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანთა დასში ჩარიცხა.

წმინდა მამები სპირიდონის მიერ აგებულ ორსართულიან სახლში ცხოვრობდნენ, სადაც ოთხი სენაკი იყო. ისინი ამაღლებულ მოსაგრე ცხოვრებას ეწეოდნენ. მათი დიდი სულიერი ღვაწლი სრულყოფილად, მხოლოდ ღვთის წინაშე იყო განცხადებული, თუმცა მხილველთათვის მათი ღვთისმოსაობისა და მოღვაწეობის გარეგნული გამოვლინებაც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ღირს მამათა ანგელოზებრივი ცხოვრება დაენახათ და მათგან მომდინარე მადლი შეეგრძნოთ. ურწმუნონიც კი აღიარებდნენ, რომ მამა იოანე და მამა გიორგი არაამქვეყნიური ცხოვრებით ცხოვრობდნენ და არამიწიერი მადლით იყვნენ გაბრწყინებულნი... ღვთისკენ სავალ გზაზე განსაცდელიც მრავალი იყო, მაგრამ ღირსმა მამებმა მორჩილებითა და მოთმინებით ზიდეს აღებული ჯვარი...

ღირსი მამები ფიზიკურადაც შრომობდნენ. თავდაპირველად, მამა სპირიდონის მიერ გაშენებულ ბაღში ბოსტანი მოაწყვეს და ვენახი ჩაყარეს. მანამდე ძალიან



ლაშა-გიორგის, თამარ მეფისა და გიორგი III-ის ფრესკა



ბეთანიის ტაძარი

უჭირდათ, სოფელში უხდებოდათ სიარული პურის სამკალში, რომლის სანაცვლოდაც გლეხებისგან მცირეოდენ ხორბალს იღებდნენ და ამით გაჰქონდათ თავი. მოგვიანებით, საკუთარი მეურნეობის გამართვა მოახერხეს, პირუტყვი და ფუტკარიც მოაშენეს. მამა გიორგი სუსტი ჯანმრთელობის გახლდათ, ამიტომ მძიმე სამუშაოს ძირითადად, მამა იოანე ასრულებდა. თავიანთი შრომის ნაყოფით, გაჭირვებულებსაც შეეწეოდნენ, მონასტერში მიმსვლელთ კი ყოველთვის ელოდა ტრაპეზი: წმინდა ბერების შრომით მოწეული და მათივე ხელით მომზადებული ტაბლა, მათი თბილი შეგონება და ლოცვა-კურთხევა...

მართლაც, ანთებული კანდელების მსგავსად ანათებდნენ ათეისტურ წყვდიადში ბეთანიელი მამები. ■

# „წიქიანი" სასიძოს უცნაური „შემოტევები"

## მოსიყვარულე მყუდრო ცოლს გემრიელი კერძებით გაანებივრებს



**სერიალ „ჩვენი ოფისის" ერთ-ერთ პოპულარულ პერსონაჟს — მყუდროს (გიორგი ცინაძე) ოჯახის შექმნის სურვილი კი აქვს, მაგრამ ჯერჯერობით შესაფერისი კანდიდატურა ვერ შეარჩია. იგი მიიჩნევს, რომ ოჯახის შექმნა დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. როგორც თავად ამბობს — აქვს იმის ძალა და შესაძლებლობა, რომ სიყვარული, სიკვდილის ბოლომდე, გაუფერმკრთალებლად შეინარჩუნოს.**

*სოფო ჭონიშვილი*

— **გიორგი, შენი ოჯახი გაგვაცანი.**

— მყავს დედა, მამა და ერთი ძმა. მამა, რევაზ ცინაძე მრავალმხრივ განათლებული ადამიანია. მის პროფესიას ვერ დაგიკონკრეტებთ, რადგანაც (*იცინის*) რამდენიმე დიპლომი აქვს. დედა — ცისანა კაზიკაშვილი მთელი ცხოვრება განათლების სამინისტროში მუშაობდა. მერე, ერთი პერიოდი, მეგობართან ერთად კერძო სკოლაც ჰქონდა გახსნილი.

— **შენ რა პროფესია გაქვს?**

— მსახიობი ვარ.

— **ცხოვრებაშიც ხომ არ თამაშობ ხოლმე?**

— მგონი, ამ ცხოვრებაში ყველა მსახიობია. მაგრამ პირადად მე, რეალურ ცხოვრებაში პირდაპირი ადამიანი ვარ.

— **რას მიიჩნევ შენს ყველაზე დიდ ნაკლად?**

— უნაკლო ადამიანი არ არსებობსო, — გამიგონია. მეც, ალბათ, ასეთი ვარ. ჩემი ყველაზე დიდი ნაკლი ის არის, რომ ხანდახან ნევროზული შემოტევები მაქვს. ამ დროს ელემენტარულსაც კი დიდ ყურადღებას ვაქცევ.

— **ანუ ფიცხი ხარ?**

— არა, უბრალოდ, ასეთი შემოტევის დროს, ჩემეული „წიკები" მაქვს.

— **„წიკებში" რას გულისხმობ?**

— ვიწყებ ოთახის დალაგებას, ვცვლი იმ გარემოს, სადაც იმჟამად ვიმყოფები. იმ პერიოდში მეგობრებთანაც რომ ვიყო, ვეცდები, იქაურობა ჩემთვის კომფორტულად მოვაწყო, რაც ყველას ძალიან უკვირს.

— **საერთოდ, რამდენად მოწესრიგებული ადამიანი ხარ?**

— ამ მხრივ, უნაკლო ადამიანი ვარ.

— **პუნქტუალური ხარ?**

— მგონი, თქვენთან შეხვედრისას არაპუნქტუალობა არ გამომიჩენია (*იცინის*)?!

— **ახლა შენს დადებით თვისებებზე მესაუბრე.**

— ჩემს დადებით თვისებად მივიჩნევ იმას, რომ სიყვარული შემიძლია. მიყვარს დედა, მამა, ძმა, მეგობრები და ახლობელი ადამიანები; მათ გამო შემიძლია, შეუძლებელი გავაკეთო. ჩემ ირგვლივ მყოფ ადამიანებს დადებითი ემოციით ვმუხტავ. მინდა, მათაც ვუყვარდე და პატივს მცემდნენ.

— **ყურადღებიანი მამაკაცი ხარ?**

— ბოლო დროს, მოუცლელობის გამო, ყურადღების განაწილება ძალიან მიძნელდება, ზოგადად კი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყურადღებიანი მამაკაცი ვარ.

— **ბევრი მავნე ჩვევა გაქვს?**

— ერთ-ერთი ჩემი მავნე ჩვევა უკვე გითხარი — ჩემს „შემოტევებს" ვგულისხმობ. სიგარეტს იშვიათად, მხოლოდ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ვეწევი.

— **დალევა გიყვარს?**

— პარასკევს, შაბათსა და კვირას თავს უფლებას ვაძლევ, რომ კლუბებში წავიდე და დავლიო კიდეც.

— **რაიმე ნარკოტიკული ნივთიერება თუ გაგისინჯავს?**

— არ დაგიმალავ და გასინჯული ნამდვილად მაქვს, ოღონდ ღრმა ახალგაზრდობაში (*იცინის*) და ისიც, მხოლოდ მოსაწევი.

— **რამდენი წლის ხარ?**

— 31-ის

— **გიორგი, შენს ყურადღებას როგორი გოგონები იქცევენ?**

— მოდი, ჯერ აღგიწერ, გარეგნობით როგორი გოგონები მომწონს: ხორბლისფერი კანი უნდა ჰქონდეს, წაბლისფერი თმა, მოხდენილი ტანი და ლამაზი საჯდომი. შეიძლება, ქერა გოგონაც მომეწონოს, მიუხედავად იმისა, რომ ქერა ჩემს გემოვნებაში ვერ ჯდება.

— **რა უფრო მნიშვნელოვანია შენთვის, გარეგნობა თუ პიროვნული თვისებები?**

— მიმაჩნია, რომ ორივე აუცილებელია. თუ გოგონამ გარეგნობით ვერ მომხიბლა, მისი ახლოს გაცნობის სურვილი ნამდვილად არ გამიჩნდება. თუმცა, ვერც მარტო სილამაზე მომხიბლავს. თუ მისი ინტელექტი და დონე ცოტათი მაინც არ აკმაყოფილებს ჩემს მოთხოვნებს და ჩემთან ურთიერთობაში ისე ვერ შემოვა, როგორც საჭიროდ მიმაჩნია, მის სილამაზეზე თვალებს დავხუჭავ და წავალ შორს (*იცინის*)...

— **შეყვარებული გყავს?**

— შეყვარებული თან ვარ და თან — არა (*იცინის*).

— **რომანტიკოსი ხარ?**

— არა. საერთოდ, ცხოვრებას რეალურად ვუყურებ. არ განვიცდი იმ ფაქტს, რომ შეყვარებული არ მყავს.

— **თამამი გოგონები მოგწონს თუ ისეთები, რომლებიც კომპლიმენტის მოსმენისას თავს ჩაღუნავენ და გაწითლდებიან?**

— არა, ვერ დავაკონკრეტებ. ზოგს, თავის დახრა და სიმორცხვით გაწითლებაც უხდება, ზოგს კი სითამამე და კეკლუცობა. მთავარია, გოგო უმეტყველო თვალებით არ იყურებოდეს.

— **რა რეაქცია გაქვს მაშინ, როცა გოგონა შენთან დაახლოების ინიციატივას თავად იჩენს?**

— როცა გოგო არ აქტიურობს, ამ დროს მამაკაცი ხდება აქტიური და „ჩალიჩობს". გოგონას აქტიურობა მამაკაცის გულის დასაპყრობად, უგემოვნო ანუ გოიმური მეთოდებით — საშინელებაა.

— **შენი მომავალი საცოლის მატერიალური მდგომარეობით თუ დაინტერესდები? დღეს ბევრი მამაკაცი ფულიან, შეძლებულ გოგონებზე „ნადირობს"...**

— ფული, კარგი სახლი, მანქანა და საერთოდ, კომფორტი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ საცოლეს ამის მიხედვით ნამდვილად არ შევარჩევ. მთავარია სიყვარული, ჭეშმარიტი სიყვარული კი დიდი ბედნიერებაა. თუ მატერიალური მდგომარეობაც მყარია და სიყვარულიც დიდია, ეს უკვე ბედნიერებაა.

— **თუ ეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ არამყარი მატერიალური მდგომარეობა დროთა განმავლობაში სიყვარულს აფერმკრთალებს?**

— ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს ვერ გაგცემ. ვფიქრობ, მაქვს იმის შესაძლებლობა, რომ სიყვარული სიკვდილამდე არ გავცვითო. მთავარია, ჭკვიანი მეორე ნახევარი შემხვდეს. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ცოლის შერთვას მანამდე არ ვაპირებ, ვიდრე ის აუცილებელი რაღაცები არ მექნება, რაც იდეალური ოჯახის შესაქმნელადაა საჭირო.

— **ქართული ტრადიციული ქორწილები მოგწონს?**

— ისე, რა. მე ისეთი ქორწილი მექნება, როგორიც ვარ და როგორი მეგობრებიც მყავს. არ მინდა, კარავში ვისხდეთ და სტუმრებისთვის გაზეთებგადაკრული სკამები იყოს. ისე, ქორწილს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

— **მყუდრო, რამდენად ტრადიციული ადამიანი ხარ?**

გაეცანით სამყაროს «გზასთან» ერთად!

## გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი „გზა" და მედია სახლის კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ საჩუქრად

# „მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი"

ან „ვეფხისტყაოსანი"

„დიდი საოჯახო ენციკლოპედია"

„დიდი წიგნი ხელოვნებაზე"




### მედია სახლი „პალიტრას" გამოცემები:

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | [illegible] 1 წლის განმავლობაში | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| ყველა სიახლე | 0.80 | 52 | 41.60 |
| გზა | 0.80 | 52 | 41.60 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.50 | 52 | 26.00 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.50 | 312 | 156.00 |
| ათიანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"

www.elva.ge

**T: 38 26 73; 38 26 74**

elva@kvirispalitra.com

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.

რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი"-ს საფოსტო გაყრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

**თითოეული წიგნის ფასია 29 ლარი**

**თქვენ კი მას უფასოდ მიიღებთ!**

— ბევრი ქართული ტრადიცია მომწონს, მაგრამ გვაქვს ისეთი რაღაცებიც, რაზეც გული მერევა. მაგალითად, არ მომწონს ყანწებით ღვინის სმა და სმის დაძალება...

**— „აზიატი“ ხარ?**

— არა, ქართველი მამაკაცი ვარ. მიმაჩნია, რომ ქართველი მამაკაცები „აზიატები“ არ უნდა იყვნენ. ჩვენ ევროპელები ვართ, მაგრამ ეს ყველამ ვერ შეიგნო.

**— უკვე მითხარი, რომ სახლის დალაგება გეხერხება. საჭმლის მომზადება თუ იცი?**

— საჭმლის მომზადება კარგად ვიცი. ყველანაირი კერძი გემრიელი გამომდის. უბრალოდ, კვერცხსაც კი განსხვავებულად ვწვავ.

**— მეუღლეს გემრიელი კერძებით გაანებივრებ?**

— რა თქმა უნდა. თუ სამსახურიდან შინ მასზე ადრე დავბრუნდები, უგემრიელეს რაღაცებს მოვუმზადებ; რაც, დარწმუნებული ვარ, ძალიან გაახარებს.

**— დეპრესიული ადამიანი ხარ?**

— ერთი წლის წინ საშინელი დეპრესია მქონდა.

**— იმედგაცრუების გამო?**

— დიახ, შეყვარებული ვიყავი, გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს სიყვარული ცალმხრივი გახდა, რის გამოც დეპრესიაში ჩავვარდი. მერე, ეს ყოველივე, ასე თუ ისე, დავძლიე.

**— ხშირად ჩხუბობ?**

— არასოდეს. სიმთვრალის დროს ძალიან ფრთხილი ვხდები, ამ დროს სიყვარული და ჩახუტება მინდება.

**— პოპულარობის მოხვეჭის შემდეგ, შენი თაყვანისმცემლების რაოდენობა ალბათ მკვეთრად გაიზარდა, არა?**

— მათ სიმცირეს არც მანამდე ვუჩიოდი. ცნობილია, რომ თაყვანისმცემლებს არასოდეს ვიცილებ, ამიტომ ხშირად მირეკავენ და გაცნობას მთხოვენ. წესიერ და ზრდილობიან გოგონებს ვეცნობი და პატივსაც ვცემ, უზრდელებს კი ტელეფონს ვუთიშავ. საერთოდ, თაყვანისმცემლებთან ურთიერთობას ადრე უფრო ვახერხებდი, თუმცა ამის საშუალება ახლაც მაქვს — აბა, ღამე რისთვის არსებობს (*იცინის*)?..

**— ოჯახში მშობლები ყველაზე ხშირად რის გამო გსაყვედურობენ?**

— უჰ... ყველაზე ხშირად დედა მსაყვედურობს იმის გამო, რომ სახლში თითქმის არასდროს ვარ. მიუხედავად იმისა, რომ იციან, ქუჩაში არ ვდგავარ და ცუდ რაღაცებს არ ვაკეთებ, მაინც ნერვიულობს.

**— შენს თაყვანისმცემლებს რას ეტყვი?**

— თითოეული მათგანი ძალიან მიყვარს, დიდ პატივს ვცემ და თუ რომელიმე ჩემთან შეხვედრას მოისურვებს, მზად ვარ, შევხვდე და ვესაუბრო.

*ფიქრობ, „სასიძოდ“ საინტერესო ადამიანი წარმოგიდგინეთ. მკუდროს თაყვანისმცემლებო, იაქტიურეთ! მისი გული თავისუფალია. გამომიგზავნეთ მესიჯები ნომერზე* **8.98.23.09.21.**



# არველაძე მითითებებს ზემოდან იძლევა...



**შოთა არველაძე საფეხბურთო კარიერის დასრულებამდე ამბობდა, რომ ფეხბურთში დარჩენა სურდა და საკუთარი განზრახვა სისრულეშიც მოიყვანა: გასულ ზაფხულს, დიდი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, ჰოლანდიის „ალკმაარის“ თავკაცმა, მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა სპეციალისტმა ლუის ვან გაალმა ქართველს თავისი თანაშემწის პოსტი შესთავაზა, რასაც შოთა დაუფიქრებლად**

## ვან გაალის ქართველი ასისტენტი და „ალკმაარის“ სადაგი დღეები

**დათანხმდა. არადა, სავსებით შესაძლებელი იყო, რომ მისი სამწვრთნელო კარიერა სულ სხვაგვარად წარმართულიყო. კერძოდ, ბევრმა არ იცის, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში არგენტინელი ექტორ რაულ კუპერის დანიშვნამდე, გუნდის მთავარ მწვრთნელობას სწორედ შოთა არველაძეს სთავაზობდნენ.**

*ლაშა თაბაგარი*

„კუპერის მოსვლამდე ნაკრების თავკაცობას მთავაზობდნენ. თავად ამის დიდი სურვილი მქონდა და ეს ფეხბურთელებსაც უნდოდათ. კალაძე, ხიზანიშვილი, ასათიანი მეუბნებოდნენ, — შოთი, მიდი! ვიმუშავებთ და მოვიგებთო!.. მაგრამ „ოჯახურ საბჭოზე“ 1:3 დავმარცხდი: მე პირადად, მწვრთნელობას დავუჭირე მხარი, ხოლო ძმებმა და მამამ ხმა საწინააღმდეგოდ მისცეს. პრინციპში, შემეძლო, ყველაფერი თავად გადამეწყვიტა და ყური არავისთვის დამეგდო. მაგრამ როგორც ჩანს, ჩემი დრო ჯერ კიდევ არ მოსულა“, — განუცხადა არველაძემ ერთ-ერთი უცხოური გამოცემის კორესპონდენტს, რომელიც ვან გაალის ქართველი ასისტენტისთვის ინტერვიუს ჩამოსართმევად ჰოლანდიაში საგანგებოდ ჩავიდა.

ამჟამად არველაძე „ალკმაარის“ საშინაო თამაშებს DSB Stadion-ის თითქმის მეშვიდე სართულის სიმაღლეზე განთავსებული, ვან გაალის კაბინეტიდან ადევნებს თვალს და შავ კოსტიუმში გამოწყობილი, როცა საჭიროა, გუნდის სხვა მწვრთნელებს მითითებას მობილური ტელეფონით აძლევს.

ამას კი ასე ხსნის: „სხვა მწვრთნელების გვერდით სათადარიგოთა სკამზე ჯდომის უფლება ჯერჯერობით არ მაქვს, ვინაიდან □ ლიცენზიას მხოლოდ იანვარში ავიღებ. ასე რომ, ფეხბურთს ზემოდან ვუყურებ და დანარჩენ






მწვრთნელებს საკუთარ შთაბეჭდილებებს ტელეფონით ვუზიარებ, ხოლო შესვენებაზე გასახდელში შევდივარ. ამ კაბინეტიდან ბევრი ისეთი რამ ჩანს, რასაც სათარიგოთა სკამიდან ვერ დაინახავ. სხვათა შორის, ბესკ-ოვი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში თამაშს ყოველთვის ტრიბუნიდან ადევნებდა თვალყურს". „ალკმაარში", ვან გაალის თანაშემწედ, არველაძესთან ერთად, პატრიკ კლიუვერტიც მუშაობს, რომლის შესახებაც ქართველი ფეხბურთელი შემდეგი აზრისაა:

„კლიუვერტთან საუცხოო ურთიერთობა მაქვს. ჩვენი შვილები სკოლაში ერთად დადიოდნენ, ხოლო ახლა ამსტერდამის სამოყვარულო კლუბში AFC — ერთად თამაშობენ. ამჟამად, მწვრთნელობა გასული საუკუნის 90-იანელთა თაობის ბევრ ფეხბურთელს სურს. ჩემი აზრით, მაღალი დონის სპეციალისტად ჩამოყალიბების შანსი ყველაზე მეტად, ფრანკ დე ბურს აქვს, რომელსაც ჭკუა, ხასიათი და ამბიცია არ აკლია".

მწვრთნელებზე საუბრისას, არველაძემ აღნიშნა, რომ კვიპროსის „ანორთოსისის" ქართველი თავკაცის, თემურ ქეცბაიას თავგადაკლული გულშემატკივარია: „ქეცბაიას არანორმალურად ვქომაგობ. „ანორთოსისი" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპს რომ იწყებდა, მას დავურეკე და ვუთხარი: ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისთვის ორი ბილეთი შემინახე-მეთქი... ის გაბრაზდა და ერთი კარგადაც შეიკურთხა. მაგრამ ყველამ ნახა, „ანორთოსისმა" რაც შეძლო. არადა, ამ გუნდს, სხვებთან შედარებით, მიზერული ბიუჯეტი აქვს".

ინტერვიუს დროს „ალკმაარის" მწვრთნელმა აღნიშნა, რომ თბილისში ჩატარებულ მის გამოსათხოვარ მატჩში სათამაშოდ ჩამოსვლაზე ყველაზე მეტად, მიქაელ ლაუდრუპის დათანხმება გაუჭირდა:

„ლაუდრუპის ჩამოყვანა ყველაზე ძნელი იყო, ვინაიდან „ხეტაფესთან" კონტრაქტი უმთავრდებოდა და თან, მისი შვილის დაბადების დღეც ახლოვდებოდა. მას დავურეკე და პირდაპირ ვუთხარი: თუ არ ჩამოხვალ, ამ მატჩს ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება-მეთქი... კლაუდიო კანიჯამ თბილისში ჩამოსვლამდე მინიფეხბურთი ითამაშა და საქართველოში გამომგზავრების ნაცვლად, საოპერაციო მაგიდაზე მოხვდა. მოსაწვევი გეორგ ჰაჯისაც გავუგზავნე, მაგრამ მისგან პასუხი არ მიმიღია. ერთი თვის წინ ვნახე და ვკითხე კიდეც, — პასუხი მაინც რატომ არ გამეცი-მეთქი? მითხრა, რომ არავითარი წერილი არ მიუღია... მე მოსაწვევი რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციაში გავგზავნე, რომელსაც თურმე ჰაჯისთან კონფლიქტი ჰქონია..."

გარდა ამისა, არველაძემ ხაზი გაუსვა, რომ ამ გამოსათხოვარი შეხვედრის დაწყებამდე მისთვის სამუდამოდ გადაცემული, ეროვნული ნაკრების 11-ნომრიანი მაისური უკან დააბრუნა:

„ეს მაისური რომ უნდა გადმოეცათ, არ ვიცოდი, თორემ არასოდეს დავთანხმდებოდი. წარმოიდგინეთ, რომ ხვალ ქინქლაძეს 10-ნომრიანი მაისური სამუდამოდ მისცენ... ვის უნდა ისეთი ნაკრები, რომლის შემადგენლობაში 10 და 11 ნომრით არავინ ითამაშებს?!. არ მინდა, ვინმეს უმადური ვეგონო, მაგრამ გადმოცემული მაისური უკან დავაბრუნე. მსურს, ნაკრებში ფეხბურთელებმა არველაძეზე 1000-ჯერ უკეთ ითამაშონ. ეს უფრო გამახარებს, ვიდრე 37, 77 და 99-ნომრიანი მაისურები. ძველმოდური არ ვარ. უბრალოდ, რა კავშირშია 99 ნომერი ფეხბურთთან, ვერ გავიგე".

„ალკმაარის" ყოფილმა ფორვარდმა აღიარა, რომ ვან გაალის ასისტენტობას დიდი სიხარულით დათანხმდა:

„ისეთი წინადადებით მომმართეს, რომელზეც უარს არავინ იტყოდა. ვან გაალმა მითხრა, რომ „ალკმაარში" მეორე მწვრთნელად ჩემი ხილვა სურდა. წარმოიდგინეთ, რამხელა პატივია მის გვერდით ჯდომა და გუნდთან ერთად ყოფნა, აგრეთვე, ხანდახან ფეხბურთელებთან ერთად ვარჯიში. მე ხომ ფეხბურთით ავად ვარ და მისგან განკურნება არ მსურს".

ცხადია, ჟურნალისტი და რესპონდენტი საქართველოში აგვისტოში განვითარებულ მოვლენებსაც შეეხნენ. შოთამ თქვა:

„კონფლიქტი რომ დაიწყო, ამ დროს ჰოლანდიაში ვიყავი და ლამის ჭკუიდან შევიშალე, რადგან ჩემი ოჯახის ყველა წევრი თბილისში იმყოფებოდა. ისინი საქართველოდან უნდა წამომეყვანა, მაგრამ თავიდანვე ცნობილი გახდა, რომ მშობლები არ გამოემგზავრებოდნენ, ვინაიდან ბებიასა და ბაბუას ვერ დატოვებდნენ, რომლებმაც სახლიდან წასვლაზე უარი თქვეს. მთავარი — ბავშვების წაყვანა იყო. მე ორი შვილი მყავს, რეზოსაც, ხოლო არჩილს — სამი. თავდაპირველად, კერძო თვითმფრინავის დაქირავება გვინდოდა, მაგრამ შეგვეშინდა, რადგან მისი ჩამოგდება შეეძლოთ, ვინაიდან დაბალ სიმაღლეზე ფრენდა და თან, არავითარი ამოსაცნობი ნიშანი არ ჰქონდა. საბოლოოდ, ყველა ავტობუსში ჩავსხედით და თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში წავედით. იქიდან ამსტერდამში ჩავფრინდით. აღსანიშნავია, რომ ჩემი ძმები საქართველოში ტრაპიზონიდანვე დაბრუნდნენ".

არველაძის ამჟამინდელი ჰოლანდიური ყოფიდან ერთი საინტერესო ეპიზოდია გამოსაყოფი: „ალკმაარი"-პსვ-ს დაპირისპირების დროს, მასპინძელთა თავდამსხმელი, მუსა დემბელე ერთობ ინერტული იყო და ქართველის ზარის შემდეგ, ის მარტინ მარტენსით შეცვალეს. საბოლოოდ, არველაძის რჩევამ გაამართლა, ვინაიდან „ალკმაარმა" მეტოქე სწორედ მარტენსის გოლის წყალობით დაამარცხა.



# ქურდი თინეიჯერების აღსარება

## „ბიძაჩემმა ფულის შოვნის იოლი გზა მასწავლა"



ზოგჯერ ადამიანები სხვებს ძარცვავენ და ამის გამო სინდისის ქენჯნას განიცდიან, ზოგიერთები კი პირიქით, ამას არ ნანობენ და ფიქრობენ, რომ ეს მათი მოვალეობაა, რომ ისინი მდიდრებს ართმევენ და ღარიბებს აძლევენ, მაგრამ სინამდვილეში, ამას თავიანთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აკეთებენ. ზოგიერთ ადამიანს სულაც არ უნდა, რაღაც მოიპაროს, მაგრამ ამას თავისდა უნებურად აკეთებს. ასეთები ყველაზე საშიშნი არიან, რადგან ისინი ყველაფერს, უმნიშვნელო (რომელიც შესაძლოა, თქვენთვის ძალიან ძვირფასი იყოს) ნივთებსაც კი იპარავენ. ის თინეიჯერები, რომლებსაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოუპარავთ რაღაც, ჩვენი ერთ-ერთი მკითხველის, გუჯას მესიჯმა გულახდილობის ხასიათზე მოიყვანა და ზოგიერთმა მათგანმა ჩემთან ლაპარაკის სურვილიც კი გამოთქვა.

*ლიკა ქაჯაია*

**ნაზი,** *19 წლის:*

— მახსოვს, ძალიან პატარა ვიყავი, როცა ჩემი მეზობლის ხელჩანთაში ჩავიხედე და იქ ისეთი ბრჭყვიალა ბეჭედი იდო, ცდუნებას ვერ გავუძელი, ამოვიღე და ჩემი საწოლის ქვეშაგებში შევჩურთე. მეზობელმა დიდხანს ეძება თავისი ნივთი, მაგრამ ვერსად იპოვა. ჩემზე არავის უეჭვია და ის ბეჭედი დღემდე ჩემთან ინახება. მას იმის შიშით, რომ ჩემმა მეზობელმა თავისი ბეჭედი არ იცნოს, ვერსად ვიკეთებ.

— **რად გინდა ისეთი ძვირად ღირებული ნივთი, რომელსაც ვერ გამოიყენებ?**

— ლამაზია და ამ ბეჭდის ყურება სიამოვნებას მანიჭებს. თანაც, თუ მატერიალურად ძალიან გამიჭირდება, გავყიდი და საკმაოდ სოლიდურ თანხას ავიღებ — ოქროს ბეჭედში უამრავი წვრილ-წვრილი ბრილიანტი ბრჭყვიალებს. თანაც, ეს სამკაული ძველებურია და მას ნამდვილად, კარგ ფასად გავყიდი.

— **ბეჭდის გარდა, კიდევ რა მოგიპარავს?**

— ვინაიდან ეს სამკაული ხახვივით შემრჩა, სხვა რაღაცების მოპარვაც დავიწყე. მაგალითად, მამას ხურდა ფულს ვპარავდი, დედას — სამკაულებს. როცა წამოვიზარდე, მეგობრების ჯიბეებშიც დავიწყე ქექვა.

— **ფაქტზე არავის დაუჭერიხარ? ყოველთვის გიმართლებდა?**

— რატომღაც, როცა რაღაც იკარგებოდა, ჩემზე ეჭვს არავინ იღებდა და წყლიდან ყოველთვის მშრალი ამოვდიოდი.

— **მჯერა, კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს... შენთვის თუ მოუპარავთ რაიმე?**

— როგორ არა! ერთხელ, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მყოფს ჯიბიდან საფულე ამომაცალეს.

— **მერე, რა იგრძენი?**

— გული ძალიან მეტკინა. იმწუთას ბევრი ვიტირე, მაგრამ მერე გავაცნობიერე, რომ სხვებს მეც ვძარცვავდი და გავიფიქრე, — სხვას არაფერს მომპარავდნენ და ამას ავიტან-მეთქი.

— **როცა რაღაცას იპარავ, მით უმეტეს, როცა ახლობელ ადამიანს ძარცვავ, სინდისი არ გქენჯნის?**

— ზოგჯერ, რაღაცის დაკარგვას ისე განიცდიან, რომ სინდისი მართლაც მქენჯნის და სურვილი მიჩნდება, ნაქურდალი პატრონს დავუბრუნო, მაგრამ ეს სისუსტე წამიერია და ამის შემდეგ, „გონს მოსული" ვფიქრობ, რომ მისთვის ამ ნივთის დაბრუნება არ შეიძლება!

— **ყველა მოპარულ ნივთს იმ ბრილიანტისთვლიანი ოქროს ბეჭდის მსგავსად, შინ ინახავ?**

— რა თქმა უნდა, არა. ზოგს ვყიდი, ზოგს — ვიღაცებს ვჩუქნი. მაგრამ ამ დროს აუცილებელია ერთი ოქროს წესის დაცვა — ნივთს ვჩუქნი ისეთ ადამიანს, რომელიც მის ნამდვილ მფლობელს არ იცნობს და უფრო მეტიც, მასთან საერთო არასდროს არაფერი ექნება.

— **ღმერთის სასჯელის არ გეშინია?**

— შეიძლება, მეშინია კიდეც და ალბათ, ოდესმე, ჩემს ცოდვებს აუცილებლად მოვინანიებ!

**ლუკა,** *20 წლის:*

— მე ქუჩაში გამვლელებს ვძარცვავდი. არასდროს დამავიწყდება ერთი გოგონას თვალები, რომელსაც მკერდიდან ოქროს ჯვარი ჩამოვგლიჯე. მან დაიჩურჩულა, — ჯვარი მაინც დამიბრუნე, შე ულმერთოო, მაგრამ იმწუთას, ის არ შემცოდებია. როცა სამშვიდობოს გავედი, მერე გავაცნობიერე, რომ დიდი ცოდვა ჩავიდინე და ის ჯვარი ეკლესიაში წავიღე.

— **ბევრი ადამიანი გაგიძარცვავს?**

— კი, ძალიან ბევრი. იცი, ადამიანს სიარულის მანერაზე ეტყობა, ჩანთაში რაიმე ძვირად ღირებული უდევს თუ არა.

— **რას გულისხმობ?**

— ზოგი ისე ჩქარა მიდის, აშკარაა, მას რაღაც ისეთი მიაქვს, რისი დაკარგვისაც ეშინია, ზოგი კი აქეთ-იქით ძალიან დაბნეული იყურება...

— **ხომ შეიძლება, ადამიანი ღამით ქუჩაში ჩქარა იმიტომ მიდიოდეს, რომ უბრალოდ, ეშინია...**

— კი, მსგავსი შემთხვევაც ხშირია, მაგრამ ძირითადად, მათ რაღაცის დაკარგვა აშინებთ... ერთხელ 2 გოგონას ავედევნე. ისინი ძალიან ჩქარა მიდიოდნენ, ერთ-ერთს ხელჩანთა ისე ჰქონდა ჩაბღუჯული, რომ ვიფიქრე, — მგონი, ავშენდი-მეთქი. ამ გოგონებს სადარბაზოში შევყევი, დანით დავემუქრე და იმას, რომელსაც ჩანთა ჰქონდა ჩაბღუჯული, „სუმკა" ხელიდან გამოვგლიჯე. მეორე ხელჩანთის წამოღებაზე არც მიფიქრია. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი თუ არა, მათ წივილ-კივილი ატეხეს და მეც, სირბილით ავუყევი აღმართს. იმ დღეს დიდი შიში ვჭამე. როცა გული დავიმშვიდე, თავი სამშვიდობოს დავიგულე, ჩანთა ხელის კანკალით გავხსენი...

— **მერე, „აშენდი"?**

— კი, „ავშენდი" (*იცინის*).

— **რა გაცინებს?**

— იქ მხოლოდ ფოტოსურათები,

ერთი რვეული და საფულე იყო, რომელშიც გოგონას პირადობის მოწმობა იდო და ზუსტად 55 თეთრი ჩხრიალებდა. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

**— ვინ იცის, ის ხურდა ფული გოგონას რაში სჭირდებოდა...**

— ჰო, მართალი ხარ, მაგრამ რა მექნა? იცი, რომ არ მოვიპარო, ჯიბის ფულს ვერ ვიშოვი. ჩემი მშობლები საჭმლის ფულს ძლივს შოულობენ, მე კი ახალგაზრდა კაცი ვარ, ჩაცმა, სიგარეტი, გართობა მინდა.

**— მერე ფულის შოვნა პატიოსანი გზით არ შეიძლება?**

— სამსახურს დიდხანს ვეძებდი, მაგრამ ვერაფერი ვიშოვე და ამ საქმეს ხელი ამიტომაც მოვკიდე. ადამიანს პატიოსნად ცხოვრება რომ გინდოდეს, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ამას ვერ შეძლებ. თუ ვიღაცას რაღაცას არ მოჰპარავ, ისე ცხოვრების მოწყობა გაგიჭირდება!..

**ვეფხო:**

— სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფას ისე მივეჩვიე, რომ ამის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. 7 წლის ვიყავი, ბიძაჩემმა ქალაქში რომ წამომიყვანა და მითხრა, — ფულის შოვნის იოლ გზას გასწავლი, მაგრამ იცოდე, ამ საქმეს დიდი სიფრთხილე უყვარსო. ის მეტროში, ავტობუსში ძარცვავდა ხალხს. თავიდან, გაძარცული ადამიანები მეცოდებოდნენ, რადგან ზოგი ტიროდა, ზოგი — კანკალებდა და თავის ნივთს მისტიროდა, მაგრამ ბიძაჩემმა სულიც გამიუხეშა და დღეს, გაძარცული ადამიანების ტირილი „იავნანად" მეჩვენება. ბიძის წყალობით, ამ საქმეში მალე გავიწაფე და დღეში იმდენ ფულს ვშოულობდი, რომ მარტო საკუთარ და ბიძის მოთხოვნილებებს კი არ ვაკმაყოფილებდი, ფულს სოფელშიც (მშობლებთან) ვგზავნიდი.. უკვე ძალიან დიდი ხანია, რაც თავს ამ საქმით ვირჩენ.

**— ფაქტზე არასდროს არავის დაუჭერიხარ?**

— ერთი ამბავი გამახსენდა (*იცინის*). ერთხელ, ავტობუსში ქალის გაძარცვა განვიზრახე და მის ჯიბეში ჩავაცურე ხელი. ქალმა ხელი დამიჭირა და მითხრა, — იცოდე, ყოველგვარი წივილ-კივილის გარეშე ჩაეთრიე ავტობუსიდან, თორემ თუ დაგარტყი, ფეხზე ვეღარც ადგებიო. იცი, მისმა მუქარამ ისე შემაშინა, ავტობუსი გაჩერებული არ იყო, რომ გადმოვხტი. მერე, როცა ტრანსპორტს გავხედე, იმ ქალის გაბრწყინებულ თვალებს წავაწყდი. მან ხელი დამიქნია, მერე კი სამი თითის კომბინაცია მიჩვენა და ამ დროს სახეზე ისეთი ღიმილი დასთამაშებდა, აშკარა იყო, დამცინოდა.

**— შენ რომ გაგძარცვოს ვინმემ, როგორი რეაქცია გექნება?**

— ანუ ქარის მოტანილი ქარმავე რომ წაიღოს? კი, ბატონო, არანაირი პრეტენზია არ მექნება, მაგრამ ეს ისე უნდა გააკეთოს, რომ ვერ შევამჩნიო, თორემ თუ შევამჩნიე, არაპროფესიონალიზმის გამო დავსჯი და ვუჩივლებ (*იცინის*).

**— ამას მართლა გააკეთებ?**

— რა თქმა უნდა! ნუ, შეიძლება, პოლიციაში არ ვუჩივლო, მაგრამ კარგად კი „გავძუყნი"... თუ ისე მომპარა, რომ ვერ ვიგრძნობ, ღმერთმა შეარგოს.

**— ღმერთი ახსენე. მისი არ გეშინია?**

— ზოგჯერ, განკითხვის დღის მოახლოებაზე ვფიქრობ და ამის მართლაც მეშინია, მაგრამ ხომ გაგიგონია, — ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. რა ვქნა, იმ საქმეს ვაკეთებ, რაც პატარაობაშივე მასწავლეს. მე სხვა პროფესია არ მაქვს.

**— ცოლ-შვილი არ გყავს?**

— არა, არ მყავს და ალბათ, არც არასდროს მეყოლება.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ შეიძლება, ერთ დღეს ხელებმა მიღალატოს, დამიჭირონ და ჩემს ოჯახს რა ვუყო? შეიძლება, ახლა ერთი გამოჩერჩეტებული ქურდის შთაბეჭდილება დაგიტოვე, მაგრამ იცოდე, მე ფიქრი და აზროვნება ნამდვილად შემიძლია... გაუფრთხილდით თქვენს ნივთებს, იყავით ყურადღებით და ჩემნაირი ადამიანები ვერაფერს დაგაკლებენ.

**— ქურდობისას ცივი იარაღი არ გამოგიყენებია?**

— არა, მსგავსი რაღაცები არც დამაქვს. თუ ვინმეს დაშინება მინდა, მას სათამაშო დანით, რომელსაც ალესილი პირი არ აქვს, ვემუქრები. ღმერთმა დამიფაროს, ფულის გამო ადამიანს ფიზიკური ზიანი მივაყენო. ასეთი ცხოველიც არ ვარ.

## „ის ნარკომანი და ლოთი იყო, ბავშვებს უმიზეზოდ სცემდა..."



**უცნობი დედა:**

„გამარჯობათ. ხალხის რჩევა ძალიან მჭირდება. ერთი კვირაა, რაც მეუღლეს გავშორდი, რადგან ის ნარკომანი და ლოთი იყო. შეიძლება, ყველაფერი მეპატიებინა, მაგრამ მისი აგრესია აუტანელი გახდა. ბავშვებს უმიზეზოდ სცემდა, მათი წამლებისთვის გადადებულ ფულს მპარავდა და თავის „წამალს" ყიდულობდა. ჩემი დედამთილი მე მადანაშაულებს და მეუბნება, — ბავშვებს მამა დააკარგვინეო. ძალიან გთხოვთ, მითხარით, — ბავშვებს ასეთი მამა ნამდვილად სჭირდებათ? მამა, რომელსაც საკუთარ შვილს „წამალი" ურჩევნია. ნუთუ, ვცდები? წინასწარ გიხდით მადლობას".

## „რადგან არ ვუყვარდი, ვუჩივლე, — გამაუპატიურა-მეთქი"

**შურისმაძიებელი:**

„4 წლის ვიყავი, ბიძაშვილმა რომ გამაუპატიურა. როცა წამოვიზარდე, ერთი ბიჭი შემიყვარდა, მან კი იმიტომ მიმატოვა, რომ ჩემი და მოეწონა. ახლახან, ისევ შემიყვარდა და მას დავნებდი კიდეც. ცოტა ხანში, ამ ბიჭმა მითხრა, — აღარ მიყვარხარო. მეც, ავდექი და ვუჩივლე, — გამაუპატიურა-მეთქი. ჩემი საქციელით თითქოს, კმაყოფილი ვარ, მაგრამ სულ მისი თვალები მახსენდება. ვფიქრობ, ის ისევ მიყვარს. გთხოვთ, ჩემ მიმართ ზედმეტ სიმკაცრეს ნუ გამოიჩენთ და მირჩიეთ, მომავალში როგორ ვიცხოვრო?"



*P.S.* მაშ ასე, თუ უცნობი დედისა და შურისმაძიებლის წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმეკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 8.58.25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

# „არაკაცთან ცხოვრებას უკაცოდ ყოფნა სჯობს!"

## „შენს ადგილას დედამთილს მივუვარდებოდი, თმით ვითრევდი..."

„გზის" №50-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ 16 წლის იყო, როცა ძალით უფროსმა კაცმა მოატყუა და ცოლად შეირთო. „არ ვიცი, რატომ, მაგრამ ცოტა ხანში დედამთილმა ამითვალწუნა, ქმარს რომ ვეფერებოდი, ამას ვერ იტანდა. მამცირებდა. ჩემი ქმარიც შეიცვალა, ჩემთან არ წვებოდა, დედასთან ეძინა. 2 თვის ფეხმძიმე ვიყავი, როცა გამომიცხადა, — აბორტი უნდა გაიკეთოო". უცნობი ქმრის სახლიდან იმ იმედით წამოვიდა, რომ შვილის შენარჩუნებას შეძლებდა, მაგრამ დედამ და ბებიამ (უცნობს მამა არ ჰყავს) აიძულეს, მუცელი ხელოვნური გზით მოეშალა. „იმ დაწყევლილ სამშობიაროში ძალით წამიყვანეს. ვყვიროდი, მშველელს ვეძახდი, მაგრამ ჩემი პატარა ბიჭუნა მაინც მომიკლეს..."



**ნერტისი:**

„ღმერთთან დაახლოებით ცოდვასაც შეიმსუბუქებ და სულსაც დაიმშვიდებ. თავის მოკვლა აღარ ახსენო! პატარას სულისთვის ილოცე".

**პარიჟანკა:**

„გამაგრდი და სიკვდილზე ფიქრიც არ გაბედო! შენი ბიჭუნა ანგელოზებთანაა, შენ კი ცხოვრება უნდა გააგრძელო. ერთსაც გეტყვი, — რაც არ უნდა მოხდეს, იმ „დედიკოს ბიჭს" არ დაუბრუნდე. გახსოვდეს, შენი გაუბედურება მის კისერზეა და მერწმუნე, მას უფალი სამაგიეროს აუცილებლად მიუზღავს".

**ბარტყი:**

„ის, რაც მოხდა, შენი ბრალი ნამდვილად არაა. ყველაფერში შენი და შენი ქმრის ოჯახის წევრები არიან დამნაშავე. თავს ნუღარ იტანჯავ, ტირილით ვეღარაფერს შეცვლი. ჯერ პატარა ხარ და ცხოვრება წინ გაქვს. ტაძარში იარე, მოძღვარს დაელაპარაკე და შენი პატარას სული უფალს შეავედრე"

**ამო:**

„მშობლებმა აბორტი ძალით გაგიკეთეს?.. ცხოვრება მართლაც, სასტიკია, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ყოველთვის მოწყენილი ხომ არ იქნები? ცხოვრება გრძელდება!"

**ელექტრა:**

„ძალიან ცუდია, როცა ცხოვრებას ისეთი შეცდომებით იწყებ, რომელიც შენს წარსულში შავ ლაქად დარჩება. თუმცა, წარსულის გარდა, არსებობს აწმყოც და მომავალიც და რადგან 10 მცნების ერთ-ერთი მცნება (არა კაც კლა) დაარღვიე, მოძღვარს აუცილებლად უნდა გაესაუბრო. მისი რჩევები გაითვალისწინე და უფალი ამ ცოდვას მოგიტევებს".

**ლიკაჩო:**

„შენი პატარას სიკვდილში შენ კი არა, შენი იდიოტი ქმარია დამნაშავე და ამის გამო, მას ღმერთი დასჯის. ცხოვრება განაგრძე, საკუთარ თავში არ ჩაიკეტო. ეკლესიაში წადი და დახმარება მოძღვარს სთხოვე".

**ვიკა:**

„დაიკო, ნუ ნერვიულობ და წარსულზე ფიქრს შეეშვი, თორემ მომავალს დაკარგავ. შენს ყოფილ დედამთილს — ქალი, შენს ყოფილ ქმარს კი — კაცი არ ჰქვია. ნუ გეწყინება, მაგრამ დედიკოს კალთას გამოკერებული ადამიანი ნამდვილი მამაკაცი ვერ იქნება. ირწმუნე, რომ ბედნიერება ყველას ხვედრია და მალე შენც შეხვდები პიროვნებას, რომელიც დაგაფასებს. ქმართან დაბრუნება არ გაბედო, რადგან არაკაცთან ცხოვრებას უკაცოდ ყოფნა სჯობს!"

**ვერმახტი:**

„თავს რატომ იდანაშაულებ? შენ მართლაც, პატარა იყავი და ვერაფერს გააკეთებდი. თუ გულით მოინანიებ, ღმერთი ცოდვას შეგინდობს. იმედი მაქვს, გყავს ისეთი მეგობარი, რომელიც ამ ტკივილს გადაგატანინებს. დრო ყველაფრის მკურნალია".

**მწარე:**

„მათ წინააღმდეგობა როგორ ვერ გაუწიე? შენს ადგილას დედამთილს მივუვარდებოდი, ყველაფერს დავულეწავდი, თმით ვითრევდი!.. აი, შენი ქმარი კი უბრალოდ, ნაგავია!"

**იკუშკები:**

„თავი ხელში აიყვანე. მესმის, მძიმე დღეები გადაიტანე, მაგრამ ადრე თუ გვიან, ყველა ტკივილი დაგიამდება. შენ საკუთარ თავში უნდა იპოვო იმის ძალა, რომ ცხოვრებას დაუბრუნდე. ახლა ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. შენს ყოფილ ქმარსა და მის ოჯახთან დაკავშირებით, არანაირ კომენტარს არ გავაკეთებ, რადგან მეშინია, მათ მიმართ ზედმეტად აგრესიული არ ვიყო. დაიმახსოვრე, წარსული მომავლად თუ გექცა, ბედნიერი ვერასდროს იქნები. მე უსაზღვროდ დიდ სიყვარულსა და ბედნიერებას გისურვებ".

**ანი:**

„დედა და ბებია ძალიან ცუდად მოგექცნენ, 16 წლის გოგოს აბორტის გაკეთება რომ გაიძულეს და ამით ფსიქიკა დაგინგრიეს. მერწმუნე, შენ ახალი სიყვარული გეწვევა და ბევრი შვილიც გეყოლება".

**გიო 18:**

„შენს მესიჯში დიდი გულისტკივილი, სინანული ამოვიკითხე და ამიტომაც, გამიჩნდა სურვილი, შენთვის რაიმე მერჩია. კარგი იქნება, თუ ცოდვას ღმერთის წინაშეც მოინანიებ და გთხოვ, არასდროს გაუშვა შენი ჯერ კიდევ დაუბადებელი შვილი იქ, საიდანაც უკან არავინ ბრუნდება".

**კაჭკაჭი:**

„ნერვები მეშლება, როდესაც გოგონები წერენ: სხვა გამოსავალი არ მქონდა და ამიტომაც, მასთან ყოფნას შევეგუეო. მერე კი აღმოჩნდება, რომ თურმე, ოჯახის შენარჩუნება ვერ მოახერხეს და ერთმანეთს ეყრებიან... თავის მოკვლა რას გიშველის? ეტყობა, მატერიალურად რომ გიჭირთ, დედამ და ბებიამ მუცელი ამიტომაც მოგაშლევინეს. სისულელეებს მოეშვი, სამუშაო მოძებნე და მათ ცოტათი მაინც დაეხმარე. მხოლოდ საკუთარ თავზე ნუ ფიქრობ".

**თეო:**

„შენი მესიჯის კითხვისას ბევრი ვიტირე. იცი, მეც 16 წლის ვიყავი, როცა მაიძულეს, აბორტი გამეკეთებინა... ახლა 30 წლის ვარ და შვილის ყოლა ოცნებად მექცა. მართლაც, ზოგჯერ ცხოვრება დაუნდობელია, მაგრამ ჩვენ მაინც მის დინებას უნდა მივყვეთ".

**პანკუშკა:**

„შენმა ამბავმა შემძრა. შენი ქმარი „დედიკოს ბიჭი" ყოფილა და კარგია, მისგან თავი რომ დაიხსენი. შენებიც უგულოები ყოფილან! შვილი ტკივილს დაგავიწყებდა და ცხოვრებას გაგინათებდა. გულს ნუ გაიტეხ, კარგი მომავლისთვის იბრძოლე. გკოცნი".

# „როცა ადამიანი გიყვარს, გული არ უნდა ატკინო“

**„გზის“ № 50-ში დაიბეჭდა მტირალა მარის მესიჯი. ის გვწერდა, რომ ჰყავს შეყვარებული, რომელიც გოგონას გულს ხშირად სტკენს, მის წინაშე თავს დამნაშავედ არასდროს ცნობს და ძალიან ხშირად ეუბნება, რომ მის გარეგნობაში რაღაც არ მოსწონს. „ბევრი თაყვანისმცემელი მყავს და ეს აღიზიანებს... მიყვარს და ყველაფერს ამიტომაც ვაპატიებ“.**



**ეშმაკუნა:**

„ჩვენს სიყვარულს და ცრემლებს არც ერთი ბიჭი არ იმსახურებს. რად გინდა, გვერდით ისეთი ადამიანი, რომელიც პატივს არ გცემს, გულს გტკენს და თავის შეცდომებს არ აღიარებს? მოდი, თავს ნუღარ დაიტანჯავ, დაშორდი! უფლება არ მისცე, გული კიდევ გატკინოს“.

**GREEN GIRL:**

„იმ ტიპს არ უყვარხარ. როცა ადამიანი გიყვარს, გული არ უნდა ატკინო. უნდა დაშორდე და შენი დაკარგვის მერე მიხვდება, რომ მისთვის ვიღაც არ იყავი“.

**სვანის ასული:**

„შენი შეყვარებული ჩემს თაყვანისმცემელს ჰგავს. ის სიმპათიური, განათლებული, პერსპექტიული ბიჭია. ეჭვიც არ მეპარება, მალე რომელიმე ჟურნალის გარეკანიდან გამიღიმებს, მაგრამ მისი უხეშობისა და პრეტენზიულობის გამო, ზუსტად ვიცი, რომ ვერ შევიყვარებ... ნუთუ, მასთან ურთიერთობით არ დაიღალე და საკუთარი თავი ტირანი ქმრისთვის გემეტება? გირჩევ, მომბაძო“.

**ბრუზინკა:**

„ჯერ პატარა ხარ, ცხოვრება წინ გაქვს და შეყვარებულისგან ასეთი უსამართლო სიტყვები არ უნდა აიტანო. რადგან არ გაფასებს, უნდა დაშორდე! შენ გჯერა, რომ უყვარხარ?“

**პანკუშკა:**

„ეტყობა, შენი შეყვარებული ეჭვიანი ადამიანია. თან, ბოღმიანიც. რომ გამცირებს, ამას თუ ხვდები? ტირილს შეეშვი, თავი დაიფასე, საკუთარ თავს პატივი ეცი და მას დაშორდი“.

**მონალიზა:**

„ჩემო კარგი, შეყვარებულს დაელაპარაკე და თუ ამ დროს ცრემლი მოგადგა, არ შეიმშრალო. უთხარი, რომ მისი სიყვარულის აღარ გჯერა, რომ ამდენი დამცირების ატანა აღარ შეგიძლია. დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ გონს მოეგება“.

**იკუშკები:**

„ყოველთვის, როცა ვიღაც გვიყვარდება, გვგონია, რომ ეს არის პირველი და განუმეორებელი სიყვარული, რომელიც არასდროს დამთავრდება, მაგრამ რატომღაც, ყოველი მომდევნო სიყვარულიც ასევე განუმეორებლად გვეჩვენება. შეიძლება, ორ ადამიანს შორის დიდი სიყვარული იყოს, მაგრამ ხშირად, ხასიათის შეუთავსებლობა ამ გრძნობას კლავს. სჯობს, იმ ბიჭს დაშორდე. ჯერ ძალიან ლამაზი და ახალგაზრდა ხარ იმისთვის, რომ საკუთარი თავი ვიღაცას შესწირო. შეყვარებულთან დაშორების შემდეგ, ცხოვრება ნამდვილად არ მთავრდება. სიყვარული ტკივილს კი არა, სიხარულს უნდა განიჭებდეს“.

„შენც ისე მოექეცი, როგორც თავად გექცევა“

**შოშია:**

„კარგად დაფიქრდი, ნუთუ გინდა, მთელი ცხოვრება ისეთ ადამიანთან გაატარო, რომელიც პატივს არ გცემს? ჯერ პატარა ხარ და ალბათ, ბევრ რამეს არ აქცევ ყურადღებას, მაგრამ ასე ძალიან დაიტანჯები და ცოტა ხანში ნევროზი დაგემართება. მითხარი, მოგწონს, გამუდმებით რომ ტირი და ნერვიულობ? ვიცი, გაგიჭირდება, მაგრამ ნორმალურ ცხოვრებასა და შეუგნებელ ბიჭთან ყოფნას შორის არჩევანი უნდა გააკეთო. წარმატებები!“

**ტირიფი 73:**

„ჩემო პატარავ, აშკარაა, რომ შეყვარებული არ გაფასებს და საინტერესოა, სიყვარულს რა ფორმით გიმტკიცებს? რა თქმა უნდა, მისგან თავი შორს უნდა დაიჭირო, თორემ ფსიქიკა და მომავალი დაგიმახინჯდება. შენს ასაკში ვარსკვლავებს უნდა ეთამაშებოდე და რა დროს ტირილია? გონს მოდი მანამ, ვიდრე უკან დახევა კიდევ შეიძლება“.

**ვიკა:**

„მხოლოდ ერთს გეტყვი, მარ, „დაიკიდე და მოგეშვება“! ბოლოს და ბოლოს, ერთი კაცი ყველას გვერგება, მიუხედავად იმისა, რომ უკვე, ერთ კაცზე 9 ქალი მოდის“.

**ელექტრა:**

„შენი „ლოვესნაირი“ ამპარტავანი ბიჭების მიმართ ქრონიკულ აუტანლობას განვიცდი. თუ ღირსების გრძნობა დაჩლუნგებული არ გაქვს, მას უნდა დაშორდე. სიყვარული, ურთიერთპატივისცემის გარეშე, არამყარია. ხშირად, ფსევდოსიყვარულით შექმნილ ოჯახში ბავშვები უმამოდ რჩებიან. შენი სენტიმენტალიზმი დამთრგუნველია...“

**ნერტილი:**

„ყველა ადამიანი ინდივიდუალურია, ზოგი რით გამოხატავს სიყვარულს და ზოგი — რით. შენს „ლოვეს“ უყვარხარ, თანაც, ისე, რომ შენი დაკარგვის ეშინია და ამიტომაც არ აღნიშნავს შენს მშვენიერებას. მას არც შენი თაყვანისმცემლები მოსწონს. ცოტა მომთმენი იყავი და მასაც გულახდილად დაელაპარაკე ხოლმე. თქვენ ხომ ერთმანეთი გიყვართ“.

**ანი,** *21 წლის:*

„თავი არ მოიტყუო. ბიჭი, რომელსაც უყვარხარ, არასდროს აგატირებს. მერწმუნე, ის შენი სიყვარულის ღირსი არაა“.

**სოფო:**

„მგონი, მასაც ძალიან უყვარხარ და არ უნდა, შენი სილამაზე სხვას დაუთმოს. სერიოზულად დაელაპარაკე და შედეგი თუ არ იქნება, დაშორდი. კარგი ხარ!“

**ბარტყი:**

„სიყვარული ლამაზი გრძნობაა, მაგრამ ეს ორივემ უნდა გაითავისოთ. რას ჰქვია, შენი თვალები არ აბნევს? იმის ნაცვლად, რომ კომპლიმენტებით აგავსოს, გიწუნებს? შეყვარებული ადამიანი შენით აღფრთოვანებული უნდა იყოს. არ გინდა, ცოტათი აეჭვიანო და შენი დაკარგვის შიში ჩაუნერგო? იქნებ, ამის მერე მაინც დაგაფასოს“.

**ირიშკა:**

„ალბათ, შენ სიმპათიური გოგო ხარ და შენი შეყვარებული ეჭვიანობს. არც ის ეხატება გულზე, ბევრი „პაკლო“ რომ გყავს. მერწმუნე, ეს ასეა! მეც შენნაირ მდგომარეობაში ვარ — მე და კოკა სულ ვჩხუბობთ და ერთმანეთს ვამცირებთ, მაგრამ ერთურთზე მაინც „ვჭედავთ“. იცი, ჩვენ ერთად ვიყავით და ამის მერე, უფრო შემიყვარდა და შევუყვარდი. ამას წინათ, წამოსცდა, — როცა მაბრაზებ, უფრო მიყვარდებიო. :) ასე რომ, ჩემო კარგო, შენც ისე მოექეცი, როგორც თავად გექცევა. აბა, შენ იცი, წარმატებები!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მკვლელობა თუ უბედური შემთხვევა?

## როგორ აღმოჩნდა ქალი საკუთარი ჭის ფსკერზე

**2006 წლის 19 აგვისტოს, ფერისცვალების დღესასწაულზე, ლაგოდეხის რაიონის სოფელ კართუბანში, საკუთარ ჭაში იზოლდა წიქარიძის გვამი იპოვეს. გამოძიებამ, მკვლელობის გარდა, ყველა შესაძლო ვერსია თავიდანვე გამორიცხა. 21 აგვისტოს, სამართალდამცველებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ნანისქვილარის მკვიდრი — 36 წლის გია ჩინჩალაძე დააკავეს და სასამართლომ მას განზრახ მკვლელობისთვის 10 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.**

**სააპელაციო და შემდგომ — უზენაესმა სასამართლოებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ძალაში დატოვეს. გია ჩინჩალაძის დაცვის მხარემ საქმე სტრასბურგის სასამართლოში გაასაჩივრა. მსჯავრდადებული დანაშაულს დღემდე არ აღიარებს და თავს უკანონო პატიმრად მიიჩნევს.**

ნანა ფიცხელაური

საბრალდებო დასკვნის თანახმად, გია ჩინჩალაძის დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში (სტილი დაცულია): *„2006 წლის 19 აგვისტოს, ლაგოდეხის რაიონის სოფელ კართუბანში მცხოვრებმა იზოლდა წიქარიძემ კუთვნილ სახერხზე სუფრა გაუშალა მის თანასოფლელებს: გია წიქარიშვილს, დავით წიქარიშვილს, გივი ცარციძეს, გია ჭუმბურიძეს, ვაჟა შუბითიძეს და გელა ნოზაძეს, რომლებიც ამ ქალბატონს თივის დაბინავებაში მიეხმარნენ. თავად იზოლდა წიქარიძე, პირუტყვის მისახედად გავიდა. ამ დროს, მასთან სახლში მივიდა სოფელ ნანისქვილარში მცხოვრები გია ჩინჩალაძე, რომელმაც მასპინძელს უთხრა, რომ იგი მწყემს შახალიას სამ ლიტრ ღვინოს დაჰპირდა, მისი კამეჩის პოვნაში დახმარებისთვის. იზოლდა წიქარიძემ ჩინჩალაძეს უთხრა, რომ სახლში ღვინო არ ჰქონდა და თუ სურდა, სახერხზე წასულიყო და ბიჭებთან ერთად ღვინო იქ დაელია. ჩინჩალაძე დათანხმდა და მასთან ერთად წავიდა სახერხზე, სადაც ზემოთ ჩამოთვლილ პირებთან ერთად დაჯდა სუფრასთან, ღვინო დალია და დათვრა. დაახლოებით 21-22 საათზე, მოქეიფეებმა შინ წასვლა დააპირეს. გია ჩინჩალაძე გია წიქარიშვილის ავტომანქანაში ჩაჯდა და სთხოვა, იმავე სოფელში მცხოვრებ თენგიზ კაპანაძის სახლში მიეყვანა. ჩინჩალაძე მართლაც მიიყვანეს კაპანაძის სახლთან და როდესაც ავტომანქანა თვალს მიეფარა, ის იზოლდა წიქარიძის სახერხზე დაბრუნდა, სადაც მასპინძელი და მწყემსი გია ჭუმბურიძე დახვდნენ. გია ჩინჩალაძე წიქარიძესთან ოთახში შევიდა და სთხოვა, ღვინო მიეცა, რაზეც უარი მიიღო. განაწყენებულმა ჩინჩალაძემ წიქარიძეს გინება დაუწყო, რის შემდეგაც მწყემსი შემთხვევის ადგილიდან წავიდა. ვინაიდან, მუქარის მიუხედავად, წიქარიძე ჩინჩალაძეს ღვინოს მაინც არ აძლევდა, ამ უკანასკნელმა ქალის მოკვლა გადაწყვიტა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მთვრალმა ჩინჩალაძემ წიქარიძეს ცემა დაუწყო. როცა იგი დარწმუნდა, რომ წიქარიძე მოკლა, ის ეზოში არსებულ ჭაში ჩააგდო და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.“*

**ზურაბ როსტიაშვილი**, *გია ჩინჩალაძის ადვოკატი:*

— 2007 წლის 8 ივნისს, ლაგოდეხის რაიონულმა სასამართლომ გია ჩინჩალაძე დამნაშავედ ცნო, განაჩენი 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) გამოუტანა და სასჯელის ზომად 10 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრეთ, რომელმაც პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი უცვლელად დატოვა. ამის შემდგომ მივმართეთ საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომელმაც 2008 წლის 15 მაისის განჩინებით, ჩვენი საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო.

— **რა მოტივით?**

— უზენაესი სასამართლო დღეს თითქმის ყველა საქმეზე ერთსა და იმავე პასუხს იძლევა: „უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს საქმე არ არის მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის. გადაწყვეტილება არ განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან და სააპელაციო სასამართლოს საქმე არ განუხილავს ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევებით, რასაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა განხილვის შედეგზე“... არადა, ჩვენ საკასაციო საჩივრის დასაშვებ პირობად სწორედ მნიშვნელოვან სამართლებრივ და საპროცესო დარღვევებზე მივუთითებდით და სასამართლოს ჩვენი საჩივარი დაუშვებლად არ უნდა მიეჩნია. სასამართლო არაობიექტურად, კანონდარღვევებით მიმდინარეობდა.

— **კანონდარღვევაში რას გულისხმობთ და რა გარემოებებზე დაყრდნობით ამტკიცებთ, რომ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფს უკანონო განაჩენი გამოუტანეს?**

— გია ჩინჩალაძის მიმართ გამოტანილი განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, რითაც მისი კანონიერი ინტერესები შეილახა. საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებები იმისა, რასაც გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს და რითაც ჩინჩალაძის მიერ დანაშაულის ჩადენა დადასტურდება. საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ გია ჩინჩალაძეს დანაშაულის ჩადენა უდასტურდება შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, მოწმეების ჩვენებებით და სასამართლო ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით. სინამდვილეში კი, სწორედ სასამართლო გამოძიებისას ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნებით და მოწმეების ჩვენებებით დადასტურდა, რომ ჩინჩალაძე წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოა.

— **კერძოდ?**

— პირველ რიგში, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გია ჩინჩალაძე დააკავეს 2006 წლის 21 აგვისტოს, მაგრამ ოქმიდან არ ჩანს, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით. როგორც ჩანს, გამოძიებას ეს არ სჭირდებოდა, რადგან ის მხოლოდ საქმის გახსნით იყო დაინტერესებული და ვინ იქნებოდა ეჭვმიტანილი, ამას არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებდა. გამოძიების დაინტერესება გია ჩინჩალაძის პერსონით, საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით დასტურდება. კერძოდ: 2006 წლის 13 ოქტომბერს, საქართველოს შსს-ს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტმა, ია ბალათურიამ ჩაატარა სასამართლო ბიოლოგიური ექსპერტიზა. ამ ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გია ჩინჩალაძის შორტსა და ქოშებზე (რუსტებზე) სისხლის საეჭვო ლაქები და თმისმაგვარი ღერები არ აღმოჩენილა, რაც იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ჩინჩალაძე წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულო იყო. ექსპერტიზის დასკვნამ საბოლოოდ გამორიცხა განსასჯელის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებას ექსპერტიზის დასკვნაში ეჭვის შეტანის მიზეზი არ ჰქონდა, გამომძიებელმა, დაუდგენელი მიზეზით, ანალოგიური ექსპერტიზა კვლავ დანიშნა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს განსაკუთრებულ შემთხვევებს, როდესაც განმეორებით ექსპერტიზის დანიშვნა დაიშვება და ასეთ შემთხვევებშიც, გამომძიებელი ვალდებულია, დადგენილებაში ხელახალი ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი მიუთითოს. უფრო მეტიც, თუ ია ბალათურიას მიერ გაცემულ დასკვნაში გამომძიებელმა ეჭვი შეიტანა, მაშინ, ამასთან დაკავშირებით, ექსპერტიც უნდა დაეკითხა, მაგრამ ეს არ გაკეთებულა.

— **როგორც მივხვდი, მეორედ ჩატარებულმა ექსპერტიზამ ბრალდების მხარისთვის სასურველი დასკვნა წარმოადგინა.**

— მეორე ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც გაცემულია სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, არსებითად განსხვავდება პირველისგან — იქ აღნიშნულია, რომ გია ჩინჩალაძის შორტსა და მარჯვენა ქოშის ძირზე აღმოჩნდა ადამიანის სისხლი. მივაღწიეთ იმას, რომ სასამართლო სხდომაზე დაეკითხათ ია ბალათურია, რომელმაც აღნიშნა, რომ მსგავსი სისხლის ლაქების არსებობის შემთხვევაში, მათ აუცილებლად შეამჩნევდა. მისივე განმარტებით, წარმოდგენილი ნივთმტკიცებები, მათ შორის, შორტი და ქოში რამდენჯერმე იქნა დათვალიერებული სპეციალური აპარატურით, ისინი სპეციალური ხსნარებითაც დამუშავდა, მაგრამ საეჭვო არაფერი უნახავთ. ექსპერტებმა — თანდი-

ლაშვილმა და ავალიძემ განმარტეს, რომ აღმოჩენილი სისხლის ლაქები დიდი ზომის იყო და მათი დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლებოდა. ისმის კითხვა: თუ პირველი ექსპერტიზის ჩატარებისას, მეცნიერული ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად სისხლის კვალი არ დაფიქსირდა, როგორ აღმოჩნდა ჩინჩალაძის შორტსა და ქოშზე თვალსაჩინო სისხლის ლაქები 20 დღის შემდეგ? ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ გამომძიებელმა სისხლის ლაქები ხელოვნურად შექმნა და ექსპერტიზა გააყალბა.

**— მოწმეები რას ჰყვებიან?**

— მათი ჩვენებით დადგენილია, რომ აწ გარდაცვლილი იზოლდა წიქარიძის სახლიდან გამოსვლიდან დაკავებამდე, ჩინჩალაძე იმავე ტანსაცმლით დადიოდა და სისხლის ლაქების არსებობის შემთხვევაში, მას აუცილებლად შეამჩნევდნენ. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ თუ სისხლის ლაქები ასეთი თვალსაჩინო იყო, გამომძიებელს ეს ოქმშიც უნდა აღენიშნა. ჩინჩალაძის უდანაშაულობაზე მეტყველებს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიც. თუ განსასჯელის ჩუსტზე აღმოჩნდა სისხლის ლაქა, მაშინ მისი კვალი იატაკზეც უნდა ყოფილიყო. 2006 წლის 21 აგვისტოს, გამომძიებელმა შალვა მჭედლიშვილმა გია ჩინჩალაძისგან ნიმუშები აიღო. კანონის თანახმად, ეჭვმიტანილისგან ან ბრალდებულისგან ნიმუშის აღება მხოლოდ მისი დაკითხვის შემდეგ შეიძლება. ამ შემთხვევაში, ჩინჩალაძე არც ეჭვმიტანილი იყო და არც მოწმის სახით დაუკითხავთ. ამასთანავე, 20 აგვისტოს ჩატარდა გია ჩინჩალაძის ბინის ჩხრეკა, რა დროსაც ამოიღეს ხისტარიანი წალდი და ღვინო — „ყაზბეგის" ეტიკეტიანი ბოთლით. მეორე დღეს ჩხრეკა განმეორებით ჩატარდა და ამოიღეს ლურჯი ფერის „ადიდასის" ფირმის შორტი და კრემისფერი საზაფხულო ჩუსტები (სისხლის სამართლის კოდექსი ამჯერადაც დაირღვა). გამოძიება ვარაუდობდა, რომ გია ჩინჩალაძემ მკვლელობა იმ მოტივით ჩაიდინა, რომ აწ გარდაცვლილმა წიქარიძემ მას ღვინო არ მისცა და მკვლელობის შემდეგ მისი სახლიდან ერთი ბოთლი ღვინო წამოიღო. გამოძიებამ იზოლდა წიქარიძის სახლიდანაც ამოიღო ღვინო, ნიმუშის სახით და მას ექსპერტიზა ჩაუტარა. დასკვნის მიხედვით, ჩინჩალაძის სახლიდან და აწ გარდაცვლილის ოჯახიდან ამოღებული ღვინო სხვადასხვა ღვინის ნიმუშს წარმოადგენს, რაც ასევე იმაზე მიუთითებს, რომ გამოძიების ეს ვარაუდიც ფუჭი აღმოჩნდა.

**— შემთხვევის მოწმე ან თვითმხილველი თუ არსებობს?**

— არც ერთი მოწმე არაა იმის თვითმხილველი, თუ როგორ აღმოჩნდა ქალბატონი ჭაში. გამოძიებას მტკიცებულად მოჰყავს მხოლოდ მწყემს გიორგი ჭუმბურიძის ჩვენება, სადაც ის განმარტავს, რომ სუფრიდან წასვლის შემდეგ ჩინჩალაძე უკან მირბოდა, წიქარიძის სახლისკენ. სასამართლოს მისი ჩვენება არ უნდა გაეზიარებინა.

**— რატომ უნდა შეეტანა ეჭვი მის ჩვენებაში?**

— იმიტომ, რომ მის მიერ წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენება სასამართლო გამოძიებისას მიცემული ჩვენებისგან არსებითად განსხვავდებოდა. მაგალითად, თუ ადრე ის ამბობდა, რომ ჩინჩალაძემ ზედიზედ 5 ჭიქა ღვინო დალია, მერე თქვა — ორიო. თუ წინასწარ გამოძიებაში თქვა, — როცა 5 ჭიქა დალია, გელა ნოზაძემ თქვა, — ამასთან პურის ჭამა არ ღირს, დავიშალოთო, — შემდეგ განმარტა, რომ ჩინჩალაძეს ცუდი სიმთვრალე ჰქონდა, ლოთი იყო და მეზობლები მასთან ქეიფს ყოველთვის ერიდებოდნენო; სასამართლო გამოძიებისას კი აღნიშნა, რომ ეს მას არ უთქვამს და არ იცის, მის ჩვენებაში ეს ყველაფერი რატომ წერია. მოწმე ჭუმბურიძემ აღნიშნა, რომ წერა-კითხვა არ იცის და შესაბამისად, არც იმაზე აქვს წარმოდგენა, თუ რაზე მოაწერა ხელი. როგორც ჩანს, მოწმეს გამომძიებლის მიერ შედგენილ ჩვენებაზე მოაწერინეს ხელი. ჭუმბურიძე ხან ამბობს, — წიქარიძე და ჩინჩალაძე ოთახში შევიდნენო, — ხან, — გარეთ იყვნენ და ჩხუბობდნენო. მისივე თქმით, მან ორივე გარეთ დატოვა და შინ წავიდა, სადაც მუსიკას უსმენდა. ამის შემდეგ მას ჩინჩალაძე ესტუმრა, რომელსაც ხელში ღვინოს ბოთლი ეჭირა. მან ჭუმბურიძეს დალევა შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. მისივე განმარტებით, ჩინჩალაძეს რაიმე დაზიანება ან ტანსაცმელზე სისხლის ლაქები არ აღენიშნებოდა. იგი არც განერვიულებული და აფორიაქებული ჩანდა. ჭუმბურიძემ თქვა, რომ ჩინჩალაძე მასთან 10 წუთში მივიდა, როგორც განმარტავს — ორი სიმღერის მოსმენის შემდეგ. ამ მოკლე დროში ჩინჩალაძე მკვლელობას ვერ ჩაიდენდა. ჭუმბურიძის ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები არ შეიძლებოდა, გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დასდებოდა. მისი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები ბადებს ეჭვს, რომ იმ მომენტში, სიმთვრალის გამო, მას მოვლენების აღქმა და გადმოცემა არ შეეძლო.

**— ჭუმბურიძის ჩვენება სუფრის სხვა წევრების ჩვენებებს თუ ემთხვევა?**

— მისი ჩვენებები წინააღმდეგობაშია სხვა მოწმეთა ჩვენებებთან. გამოძიებისას დაიკითხნენ სუფრის სხვა წევრები, რომლებმაც თქვეს, რომ ჩინჩალაძე მათთან ფხიზელი მივიდა, არც ზედიზედ უსვამს ღვინო, არც იზოლდა




წიქარიძისთვის მოუთხოვია სასმელი და რომ ისინი არც შეკამათებულან. ამავე მოწმეების თქმით, ისინი ადრე დაიშალნენ და ჩინჩალაძეც მათთან ერთად წავიდა.

**— რას ამბობენ ბრალდებულის თანასოფლელები — როგორი სიმთვრალე ჰქონდა მას და შეეძლო თუ არა ადამიანის მოკვლა?**

— დაკითხული თანასოფლელების თქმით, ჩინჩალაძეს სმა უყვარდა, მაგრამ სიმთვრალით არავის აწუხებდა, მისი ჩხუბი სოფელში ვერავინ გაიხსენა. მეორეც, იზოლდა წიქარიძე ღონიერი ქალბატონი ყოფილა და მთვრალი ჩინჩალაძე მას ვერ მოერეოდა. მკვლელობის შემდეგ ჩინჩალაძე შინ ბოთლით ხელში მივიდა. მეზობელმა ქალმა თქვა, — ის მე მივეცი. ცოტა ხანს ჩემთან იჯდა, ცოტა დალია, ტელევიზორს უყურა და შინ წავიდაო. თუ ჩინჩალაძემ მართლაც მოკლა ადამიანი, წარმოიდგინეთ, რა ძლიერი ფსიქიკა უნდა ჰქონოდა, რომ ამის შემდეგ ქეიფის გუნებაზე დადგა, ფილმსაც უყურა და ღიღინით გაუყვა სახლისკენ მიმავალ გზას. მოწმე ლელა კაპანაძის განმარტებით, გია ჩინჩალაძე მათ ათის ნახევარზე ესტუმრა და თქვა, რომ სახერხზე, ბიჭებთან ერთად ქეიფობდა. კაპანაძემ ჩინჩალაძეს „ყაზბეგის" ბოთლით ღვინო გაატანა, რომელიც შემდგომ, მსჯავრდადებულის ბინიდან გამოძიებამ ამოიღო. ამის შემდეგ ჩინჩალაძე მეორე მეზობელთან წავიდა, რასაც მოწმე სვეტა ხალილოვა ადასტურებს. მისივე განმარტებით, ჩინჩალაძე ჩვეულებრივად გამოიყურებოდა და მის ტანსაცმელზე სისხლის ლაქები არც მას შეუნიშნავს. ამ ქალბატონების ჩვენებები მოწმობს ჩინჩალაძის უდანაშაულობას და ადასტურებს იმას, რომ ჭუმბურიძე ცრუობს.

**— თავად მსჯავრდადებული როგორ ჩვენებას იძლევა?**

— გია ჩინჩალაძემ თქვა, რომ თავად აწ გარდაცვლილ იზოლდა წიქარიძესთან ერთად, მისივე თხოვნით მივიდა სახერხზე, სადაც თანასოფლელები ქეიფობდნენ. მას ბიჭები ნასვამ მდგომარეობაში დახვდნენ. ჩინჩალაძე სუფრასთან დაახლოებით ნახევარი საათი იჯდა, შემდეგ კი გია წიქარიშვილს გაჰყვა გზაჯვარედინამდე, სადაც თენგიზ კაპანაძეს შეხვდა, მასთან 15 წუთი ილაპარაკა და დაახლოებით 9 საათზე შევიდა ლელა კაპანაძის სახლში. ნახევარი საათის შემდეგ მისგან ნაჩუქარი ბოთლი ღვინით ხელდამშვენებული, გიორგი ჭუმბურიძესთან წავიდა, მასთან ერთი ჭიქა ღვინო დალია და მერე შინ დაბრუნდა. მისივე მტკიცებით, მას არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია და თავს უკანონო პატიმრად მიიჩნევს.

**— გამოძიებას სხვა, უბედური შემთხვევის ან თვითმკვლელობის ვერსია არ ჰქონია?**

— გამოძიებას, მკვლელობის გარდა, სხვა ვერსია არ ჰქონია. ვინაიდან გია ჩინჩალაძე წიქარიძის სახლიდან ბოლოს გამოვიდა, ხელი მას დაადეს, კარნახით და ზეწოლის შედეგად, მწყემსი ჭუმბურიძის დაწერილი ჩვენებების საფუძველზე. სამწუხაროა, რომ ჩვენს ქვეყანაში სიმართლის დადგენა შეუძლებელია. იმედს ვიტოვებ, ამას ევროსასამართლოში მივაღწევთ. ■



# ავარია სვანეთში, დოკუმენტური მოთხრობა და ორი ოჯახისთვის გაღებული ჰონორარი



სიტყვა „მწვერვალი" მთამსვლელებთან დაკავშირებით, არა მარტო პირდაპირი, ფიზიკური, არამედ, როგორც წესი, გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება — ისინი ხომ თითოეულ ექსპედიციაში, ნებისყოფის, სიმტკიცის მწვერვალის დაპყრობას ლამობენ. ოღონდ, ესაა — ტრაგიკული შემთხვევის დროს, მხოლოდ ფიზიკურად ვარდებიან მწვერვალიდან, ხოლო სულიერი თვალსაზრისით, დიდ სიმაღლეზე რჩებიან...

*ირმა ლიპარტელიანი*

*ჟურნალისტ თამარ ჯიშკარიანის მიერ ალპინისტების ცხოვრებაზე მომზადებულ წერილებს ეს მოტივი მუდამ წითელ ზოლად გასდევს. ცოტა ხნის წინ ჩვენმა კოლეგამ ამ პუბლიკაციების ნაწილს ერთად მოუყარა თავი და წიგნად გამოსცა. „ცხელი ზაფხულის 40 დღე" — ასე ეწოდება ორნაწილიან წიგნს, რომელშიც სვანეთში 2005 წელს მომხდარი ორი ტრაგიკული ამბავია აღწერილი.*

*პირველი ნაწილი — „ტრაგედია უშბაზე" იმ ქართულ-ჰოლანდიურ ექსპედიციაზე მოუთხრობს მკითხველს, რომლის დროსაც ორი სახელოვანი ქართველი მთამსვლელი — მერაბ ხაბაზი და ზაალ ქიქოძე დაიღუპნენ. მეორე ნაწილს „ავარია" ჰქვია. ამ ტერმინს მთაში ნებისმიერი უბედური შემთხვევის დროს იყენებენ. ახალგაზრდა მთამსვლელთა ოთხკაციანი ჩაბმა უკვე სამშვიდობოს იყო გამოსული, როცა მოულოდნელად ქვათა ცვენა დაიწყო... ჯგუფის ყველაზე ახალგაზრდა წევრი — 24 წლის გორელი მიხეილ ჩაჩანიძე ავარიიდან ერთ დღეში, მაშველების მისვლამდე დაიღუპა...*

**თამარ ჯიშკარიანი:**

— წიგნზე მუშაობისას, ჰოლანდიელ მთამსვლელებთან და ერთადერთ გადარჩენილ ქართველთან — გელა ოთარაშვილთან გასაუბრება და სამაშველო ჯგუფების მუშაობისთვის თვალის დევნება მომიხდა... ამბობენ, ტრაგედიის შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ მთაში წამსვლელთა რიცხვმა იკლოს, პირიქით — მატულობსო. ალბათ ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც, რადგან სრულიად მოუმზადებელმა, ახალგაზრდა მთამსვლელთა სკოლის თავკაცს ზურაბ კუჭავას ვთხოვე — სვანეთის შეკრებაზე მეც მინდა წასვლა-მეთქი. ზურაბმა, სირთულეების გამო, სასტიკი უარი მითხრა. მიუხედავად ამისა, სკოლის შეკრების მოსამზადებელ პერიოდში აქტიურად ვმონაწილეობდი და შემუშავებული

გეგმის ყველა დეტალი და სპორტსმენთა გადაადგილების გრაფიკი ზეპირად ვიცოდი... ასე, დაუსწრებლად, მეც ამ ექსპედიციის წევრი ვიყავი. თანაც, შეკრებაზე წასული ყველა ახალგაზრდა მთამსვლელი — ჩემი მეგობარი იყო... სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ოდესმე მთაში ჩემი მეგობარი დაიღუპებოდა... ამდენად, ამ მოვლენების გაცოცხლება და დაწერა ჩემთვის ორმაგად მძიმე იყო. მძიმე იყო ის გარემოებაც, რომ წიგნის დაბეჭდვამდე ცოტა ხნით ადრე, ტრაგედიის ერთ-ერთი მონაწილე — ლევან თათარაშვილი თბილისში „სასიმაღლო“ სამუშაოს შესრულებისას დაიღუპა...



გადარჩენილი გელა ოთარაშვილი თბილისში

*ორმა ტრაგედიამ, რომელიც საქართველოში 2005 წლის ცხელ ზაფხულს, ზუსტად 40 დღის შუალედით მოხდა, არა მხოლოდ ქართული, არამედ მთელი ალპინისტური საზოგადოება შეძრა. „დაწერო სპორტის სახეობაზე, რომელსაც მაყურებელი არ ჰყავს, ძალზე რთულია. ამიტომ, ავტორის მცდელობა, მკითხველისთვის გადმოეცა მსგავსი დოკუმენტური მოთხრობა, ძალზე დასაფასებელია, — ასეთი იყო წიგნის პრეზენტაციაზე ალპურ კლუბში შეკრებილ იმ ვეტერან მთამსვლელთა გამოსვლების პათოსი, რომლებსაც არაერთი ტრაგედია უნახავთ საკუთარი თვალით.*

— წიგნს ზედაპირულად გადავხედე, არ წამიკითხავს, რადგან ჭრილობა ჯერ კიდევ მტკივნეულია... მაგრამ მჯერა — გავა დრო და ამ წიგნის მეშვეობით, მეც და მკითხველიც გავბედავთ იმ მოვლენების აღდგენას, რამაც ასე დაგვწყვიტა გული, — *აღნიშნა ვეტერანმა მთამსვლელმა, საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის თავკაცმა* **გივი ძართველიშვილმა**.

*ბოლოს დავძენთ, რომ „ცხელი ზაფხულის 40 დღის“ გამოცემა ზაზა დარასელის სახელობის საქველმოქმედო ფონდისა და სამშენებლო კომპანია „ოლიმპიური ვარსკვლავის“ მხარდაჭერის წყალობით გახდა შესაძლებელი. ავტორის გადაწყვეტილებით, შემოსული თანხა მთლიანად, დაღუპული მთამსვლელების — მერაბ ხაბაზისა და მიხეილ ჩაჩანიძის ოჯახებს თანაბრად გადაეცემა.* ■




დასაწყისი იხ. გვ. 14

იქაურობა უფრო დაცარიელებული იყო, ვიდრე დანარჩენი აფხაზეთი, რომლის დათვალიერება მოვასწარი. უფანჯრებო, დანგრეული და დაცხრილული სახლები იქაც იყო... როცა მივდიოდი, აქაურმა მეგობარმა მთხოვა, — 8 მარტის ქუჩაზე ჩემი სახლია და იქნებ, ნახოო. სახურავახდილ ნასახლარში ხეები იყო ამოსული. უქართველებო, ტროპიკულ აფხაზეთში ცხოვრება გრძელდებოდა და იმ უსაშველო და უბედურ 15 წელიწადზე, დაცლილი სახლები ყველაზე კარგად მეტყველებდა... იქიდან ერთ-ერთ რესტორანში წავედით, მაგრამ ყველაფრის ხალისი მქონდა დაკარგული. სუფრაზე ერთი აფხაზი მებრძოლი გავიცანი, რომელმაც მითხრა: ჩვენთან სხვანაირი ვითარებაა, აქ ერთი ოჯახიც კი არ არის, ომში დაღუპული არ ჰყავდესო...

**— ეი. იცოდა, რომ თბილისიდან იყავით ჩასული?**

— რა თქმა უნდა. იმ კაცს თავის დროზე ჩვენი პირტიტველა ბიჭებიც ჰყავდა გადარჩენილი, რომლებიც არაფრის გამო იხოცებოდნენ. იმ კაცმა მითხრა: ვიცით, რომ ცოტანი ვართ, რომ დემოგრაფიული კატასტროფა გვემუქრება, მაგრამ იმ პირობებს, რომელსაც ქართველები გვთავაზობენ, არ მივიღებთო.

**— რუსების მიერ შეთავაზებული პირობები მისაღებია მათთვის?**

— არ გვინდა ასეთი მიდგომა, სწორედ ეს აღიზიანებთ მათ. აფხაზებს ვინ ჰკითხავს რამეს?!. ისინი იმასაც კი ხვდებიან, რომ განწირულები არიან. აცნობიერებენ, რომ დიდხანს ვერ იარსებებენ. აფხაზმა თუ 5 წლის ასაკამდე ვერ ისწავლა ენა, მერე ვერც ისწავლის — მათ ძალიან რთული ენა აქვთ, 54 ბგერისგან შედგება... ისინი იმასაც განიცდიან, რომ აფხაზურად ძალიან ცოტა ვინმე ლაპარაკობს. თავიდან ეს ქართველებთან დისტანცირებისთვის სჭირდებოდათ, მერე კი დამახინჯებული რუსული დამკვიდრდა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ამ ხელისუფლებამ მათ იმედი გაუცრუა: ისინი ელოდნენ, რომ სააკაშვილი მათთან პირდაპირ დიალოგზე წავიდოდა, მაგრამ ასე არ მოხდა... იქიდან გამოსული, თვალებს ხარბად ვაცეცებდი, რომ რაც შეიძლება მეტი მენახა. შიგადაშიგ რაღაცები იყო აშენებული, მაგრამ მთლიანობაში ძალიან მძიმე სურათია. ჩვენთან სულ ლაპარაკობენ, — აფხაზეთში ყველაფერი რუსებს მიჰყიდესო. მაგრამ ასე რომ ყოფილიყო, იქაურობა ახლა აყვავებული იქნებოდა... როგორც ამიხსნეს, მათ შემოიღეს კანონი, რომლის თანახმად, უძრავი ქონების შეძენა ეკრძალება პირს, რომელიც აფხაზეთის მოქალაქე არ არის. საქართველოს ხელისუფლებამ გაცილებით მეტი მიჰყიდა რუსებს, არაბებს, თურქებსა და ჩინელებს, ვიდრე აფხაზებმა რუსებს... იქიდან დაბრუნებული, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ყველაფრის მიუხედავად, დიალოგის დასაწყებად არავითარი პრობლემა არ არსებობს, მხოლოდ სურვილია საჭირო და ბიუჯეტის ერთი პროცენტი, რომელიც შეიარაღებაში იხარჯება, სახალხო დიპლომატიას უნდა მოხმარდეს... ■



# წლის ავტომობილი — Opel Insignia




Opel Insignia 2009 წლის ავტომობილად დაასახელეს. საავტომობილო თემაზე მომუშავე 59 ჟურნალისტისგან დაკომპლექტებულმა ჟიურიმ ისეთი კრიტერიუმები გაითვალისწინა, როგორიც მოდელის დიზაინი, აქტიური და პასიური უსაფრთხოების სისტემები, მართვადობა და დინამიკური მაჩვენებლებია. არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ მექანიკური ინოვაციების სიმრავლე და ხარისხისა და ფასის იდეალური შერწყმაც. Insignia ძარას სამი ვარიანტით — სედანი, ჰეჩბეკი და Sports tourer იქნება წარმოდგენილი. სამივე მათგანი აღჭურვილია ინტელექტუალური საკიდრით — FlexRide, ასევე ადაპტური მაშუქებით, რომლებიც საგზაო სიტუაციისა და შესაბამისად, განათების ცხრა რეჟიმიდან ერთ-ერთს ირჩევს. ახალ მოდელს უახლესი ტექნოლოგია — Opel Eye-ც მოჰყვება, ის მძღოლს გზაზე არსებული სიტუაციის შეფასებაში ეხმარება, ამასთანავე, სიჩქარის შემცირებასა და ზოლის შეცვლის აუცილებლობასაც ახსენებს. Insignia-ს აეროდინამიკა წვრილმანებამდეა გათვლილი, რამაც ინჟინრებს შესაძლებლობა მისცა, აეროდინამიკა წინააღმდეგობის საოცარი კოეფიციენტი — Cx 0,27 მიეღოთ. იგი საუკეთესოდ აისახება საწვავის ხარჯზე, დინამიკასა და აკუსტიკურ კომფორტზე. „ოპელ ინსიგნია" იმ იშვიათ შემთხვევათაგანია, როცა ფუნქციურობა „მსხვერპლად" სილამაზეს არ ითხოვს. მოდელი სარეალიზაციო ქსელში 2009 წლის პირველსავე კვარტალში გამოჩნდება და მყიდველს შესაძლებლობა ექნება, ავტომანქანისთვის, ცხრიდან ერთ-ერთი ძრავა შეარჩიოს... ■

# 10 ყველაზე პოპულარული ძრავა აშშ-ში

ამერიკულმა საგამომცემლო სახლმა — **Ward's Automotive Group** — აშშ-ში საუკეთესო ძრავების ტრადიციული კონკურსის შედეგები შეაჯამა. რეიტინგი 10 მოტორისგან შედგება:

**1. Audi: 2.0L TFSI (A4 Avant)**
**2. BMW: 3.0L (135i Coupe)**
**3. BMW: 3.0L Diesel (335d)**
**4. Chrysler: 5.7L Hemi (Dodge Ram/Challenger R/T)**
**5. Ford: 2.5L (Escape Hybrid)**
**6. General Motors: 3.6L (Cadillac CTS)**
**7. Honda: 3.5L (Accord Coupe)**
**8. Hyundai: 4.6L (Genesis)**
**9. Toyota: 3.5L (Lexus IS 350)**
**10. Volkswagen: 2.0L Diesel (Jetta TDI).**




საინტერესოა, რომ ამ ჩამონათვალში მოხვდა მაღალტექნოლოგიური დიზელის ძრავები (რომლებიც აშშ-ში პრაქტიკულად, არ სარგებლობს პოპულარობით), აგრეთვე — ერთი ჰიბრიდული დანადგარი, რომელიც Ford Escape Hybrid-ზე გამოიყენება. ასევე შეგახსენებთ, რომ ევროპაში „წლის საუკეთესო ძრავად" BMW-ს სამლიტრიანი ტურბომოტორი (იგი ზემოთ მოყვანილ რეიტინგშიცაა მოხვედრილი) იქცა, ხოლო ამ კონკურსში BMW-ს კიდევ პირველი ოთხი ადგილი ერგო. VW-მა მხოლოდ ორი ჯილდო მიიღო — 1,4-ლიტრიანი TSI Twincharger-ისა და 2-ლიტრიანი ტურბომოტორისთვის, რომელიც VW-ის, Audi-სა და Seat-ის მოდელებზე გამოიყენება. ■

# „აუდის“ ახალი სუპერავტო




ინტერნეტში სუპერავტოს — Audi R8 — ყველაზე მძლავრი მოდიფიკაციის ფოტოები გავრცელდა. ამ მანქანის მსოფლიო პრემიერა დეტროიტში საერთაშორისო საავტომობილო გამოფენაზე შედგება. ყველაზე მძლავრი Audi R8 საბაზო მოდიფიკაციისგან დიოდური მაშუქებით (შეგახსენებთ, რომ სხვა ვერსიებისთვის ასეთი მაშუქები ოპციის სახითაა გათვალისწინებული), ახალი უკანა დიფუზორით, ოვალური აირგამომშვები სისტემით, აგრეთვე ძარას გვერდებზე გაზრდილი და ფორმაშეცვლილი აირშემაკავებლებით იქნება განსხვავებული. სიახლე 525 ცხ.ძ. სიმძლავრის,



5,2-ლიტრიანი, ორტურბინიანი, 10-ცილინდრიანი ძრავათი აღიჭურვება, რომელიც იმუშავებს როგორც სიჩქარის გადაცემათა ექვსსაფეხურიანი მექანიკური კოლოფით, ასევე რობოტიზებული R-Tronic-ით. 100 კმ/სთ სიჩქარეს მანქანა 3,9 წამში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 315 კმ/სთ იქნება. ამ მანქანის გაყიდვა სავარაუდოდ, 2009 წლიდან დაიწყება, ხოლო გარკვეული ხნის შემდეგ, დილერები თავლია ვერსიასაც მიიღებენ. წინასწარი მონაცემებით, სიახლის ფასი ევროპულ ბაზარზე დაახლოებით, 140 ათასი ევრო იქნება. ■

# „სუბარუს“ კონცეპტ-ავტო

2009 წლის იანვრის დასაწყისში დეტროიტის საერთაშორისო ავტოსალონზე კომპანია „სუბარუ“ კონცეპტუალურ ავტომობილს წარმოადგენს, რომლის შესახებაც ინფორმაცია ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია. არც სიახლის სახელია ცნობილი, არც რაიმე ცნობა მისი ძარას ან მოტორის შესახებ. მიუხედავად ამისა,



ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ კონცეპტ-ავტოდ შესაძლებელია, მცირე კუპეს პროტოტიპი იქცეს, რომელსაც „სუბარუ“ „ტოიოტასთან“ ერთად ამზადებს. ზოგიერთი ცნობით, სიახლე გამოვა როგორც უკანა, ასევე სრული აძვრის ვერსიით, ხოლო აღიჭურვება Subaru-ს საფირმო, „ოპოზიტური“ მოტორებით. თავდაპირველად სპორტკუპეს — Subaru/Toyota — სერიული წარმოება 2010-2011 წლებისთვის იგეგმებოდა, მაგრამ ამჟამად, ეკონომიკური კრიზისის პირობებში, სიახლის გამოშვება შესაძლოა, გაურკვეველი ვადით გადაიდოს.








ბოლონიაში მიმდინარე მოტორშოუზე კომპანიამ დიზელისმოტორიანი ჰეჩბეკის — Impreza სპორტული ვერსია წარმოადგინა. 150 ცხ.ძ. სიმძლავრის ოპოზიტური ძრავა არაფრით განსხვავდება მოტორისგან, რომელიც ცოტა ადრე გამოყენებული იყო Subaru Legacy-სა და Forester-ზე. 100 კმ/სთ სიჩქარეს მანქანა 8,6 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 205 კმ/სთია. ტრანსმისია — მხოლოდ ექვსსაფეხურიანი „მექანიკა“ და საფირმო, სიმეტრიული სრული აძვრის სისტემაა. საბაზო კომპლექტაციით დიზელის ავტომობილი, ბენზინისმოტორიან მოდიფიკაციაზე 90 კგ-ით მეტს იწონის. ვერსიას — Impreza 2.0D Sport, რომელსაც 16-იანის ნაცვლად, 17-დუიმიანი ბორბლები აქვს, განსაკუთრებული ძარათი და სალონით, აგრეთვე აღჭურვილობის მდიდარი ჩამონათვალითაც გამოირჩევა. ეს გარემოება მანქანას კიდევ 80 კგ-ით ამძიმებს. ზედმეტი მასის გამო, დიზელისმოტორიანი, „სპორტული“ Impreza 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარებას ცოტა უფრო მეტ დროს — 9 წამს ანდომებს. ■



1. დიპლომატიური წერილი
2. ათასი კილოგრამი
3. რომის პაპის რეზიდენცია
4. რუსული ხალხური სიმებიანი საკრავი
5. ბოსტნეული
6. ქალფი საქართველოში
7. ... ნიორაძე
8. პიტალო კლდე
9. მსახიობი ტომი... ჯონსი
10. პარიზის აეროპორტი
11. სოუხვე ბარაქა
12. გემთა მიმოსვლა
13. დროის ათდღიანი მონაკვეთი
14. „ჩაუტილუსის" კაპიტანი
15. ციტრუსი
16. ექსპერიმენტი
17. ქვეწარმავალი
18. მტაცებელი ფრინველი
19. ჩაიკოვსკის ოპერა
20. დიდი საოკეანო გემი
21. მცენარის ერთ-ერთი ძირითადი ორგანო
22. რუსი მომღერალი ქალი
23. ერთნახადი სუსტი არაყი
24. ესპანური ავტომობილი
25. მეღვინის ცხენზე დასაჯდომი მოწყობილობა
26. ტეხილი ხაზი
27. სიმებიანი მუს. საკრავი
28. ნალი, წუნი
29. გულუბრყვილო
30. პანტომიმის მსახიობი
31. მიწა
32. ამერიკელი მოკრივე
33. მთავარი საწყობი
34. სინარნარე მიხრა-მოხრაში
35. ყურძნის ნარჩენი ღვინის დაწურვისას
36. ხისძირიანი ფეხსაცმელი
37. კოლუმბის ერთ-ერთი გემი
38. მდინარე აზიაში
39. ოქროს ძაფი
40. მარიო პიუზოს რომანი
41. მსახიობის პირველი გამოსვლა სცენაზე
42. შხამიანი გველი
43. ნარნარი ფრენა




**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები** 1. ქარაფშუტა; 2. გრემი; 3. ეშელონი; 4. ყურე; 5. ტუში; 7. ვეჩე; 7. ლეში; 8. თემა; 9. ორლი; 10. ჩირი; 11. ანოა; 12. კორომი; 13. ხრიოკი; 14. კოპენჰაგენი; 15. ცერეცო; 16. და; 17. რეიდი; 18. იგრიკა; 19. პაროლი; 20. რადარი; 21. ლეი; 22. არიფი; 23. ესაკია; 24. ოჰაიო; 25. ლასო; 26 ილინოისი; 27. ქოცო; 28. მე; 29. სამოა; 30. ედემი; 31. ეგვიპტე; 32. ყია; 33. ეპიდემია; 34. ტაბლა; 35. სოფია; 36. ტაო; 37. ლეგატი; 38. ცესნა; 39. ორბიტა; 40. რიფი; 41. ფია; 42. რეპი; 43. საირმე; 44. ტაქსი.
სურათებზე: ქეთი მელუა; ირაკლი ფირცხალავა.

# გელით თუ არა წარმატება?

სამომავლო გეგმების დასახვისას, სასარგებლოა, ადამიანმა წინასწარ შეაფასოს საკუთარი პოტენციური შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე, საინტერესოა იცოდეთ, თქვენი პირადი მიდრეკილებები და შინაგანი მრწამსი რამდენად შეგიწყობთ ხელს საქმესთან დაკავშირებულ წარმატებებში. ტესტში მოცემულ მოსაზრებებს დადებითი ან უარყოფითი პასუხი უნდა გასცეთ.



*1. მიმაჩნია, რომ საკუთარი ძალისხმევის მეშვეობით, ადამიანს ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტა ძალუძს და არ მესმის იმათი, ვინც გამუდმებით სიძნელეებზე წუწუნებს.*

*2. როცა რაიმე ამოცანის გადაწყვეტას მავალებენ, სასურველია, თუ შესაფერის ინსტრუქციასაც მოაყოლებენ.*

*3. შემიძლია ვთქვა, რომ როცა რაიმეს ვითხოვ, უარს იშვიათად ვიღებ.*

*4. როგორც წესი, გამყიდველებთან დავას თავს ვარიდებ, რადგან ვშიშობ, ვინმემ წვრილმან ადამიანად არ მიმიჩნიოს.*

*5. რიგში დგომისას, თუკი ვინმე ჩემზე წინ ურიგოდ წასვლას შეეცდება, აუცილებლად გავცემ საკადრის პასუხს.*

*6. ჩემში ბევრად უფრო დიდ ემოციურ განცდას იწვევს წარუმატებლობის შიში, ვიდრე წარმატების იმედი.*

*7. უმჯობესი იქნება, თუ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას სახვალიოდ გადავდებ: შესაძლოა, პრობლემა თავისთავად გადაიჭრას ან სულაც ვინმემ გადამიწყვიტოს.*

*8. სამწუხაროდ, გაუთვალისწინებელ სიტუაციაში საკმაოდ ხშირად აღმოვჩნდები ხოლმე, რადგან მოვლენების წინასწარ განჭვრეტა მიჭირს და ამიტომ, ვერც წინააღმდეგობებისთვის ვემზადები სათანადოდ.*

*9. ჩვენს დროში, მიზანმიმართულ სწავლასა და სპეციალობის მიღებას გარკვეული თანხის მოგროვებაზე კონცენტრირება სჯობს, რათა შემდეგ ამ დანაზოგით საკუთარი საქმე წამოიწყოთ.*

*10. ჩემი მიზნისკენ სწრაფვაში შესაძლოა, ხელი შემეშალოს, თუკი ვიღაც-ვიღაცები ჩემს შესაძლებლობებში ეჭვს შეიტანენ.*

*11. დანამდვილებით არასოდეს ვიცი, რა თანხა მაქვს ხოლმე თან, რადგან ფული ყოველთვის უწესრიგოდ მიყრია ჯიბეებში.*

*12. თუკი ისეთ საქმეში მონაწილეობას შემომთავაზებენ, რომელიც მოკლე ხანში დიდი მოგების მოტანას მპირდება, თანხმობის მიცემამდე, შემოთავაზებულ წინადადებას საგულდაგულოდ ავწონ-დავწონი.*

*13. მსხვილი ფინანსური საქმის კეთებისას, წვრილმანებში ეკონომიის გაწევა დიდ სისულელედ მიმაჩნია.*

*14. თუკი შექმნილი ვითარება ხელს გიშლით დანაპირების შესრულებაში, მაშინ სიტყვის გატეხაც შეიძლება.*

*15. თუკი ამა თუ იმ საქმეში მონაწილეობის შემთხვევაში მოგებას მოკლე ხანში არ გპირდებიან, ამ საქმის ხელის მოკიდება არც ღირს.*

*16. კარგ პროდუქციას რეკლამა არ სჭირდება.*

*17. დაგეგმვა — სოციალისტური სისტემის გადმონაშთია.*

*18. მთავარია, სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობა და არა — გამარჯვება.*

*19. შემიძლია ვთქვა, რომ უცხო ადამიანებთან ლაპარაკის გაბმას ძალზე იოლად ვახერხებ.*

*20. პირველი მსხვილი მოგების დახარჯვას იმ ნივთის საყიდლად ვაპირებ, რომელზედაც უკვე კარგა ხანია ვოცნებობ და რომლის შეძენის საშუალებაც აქამდე არ მქონდა.*

დაააჯამეთ ქულები: დადებით პასუხებში დაიწერეთ 1 ქულა — 1, 3, 5, 12, 19 შეკითხვებში; ასევე 1 ქულა დაიწერეთ უარყოფით პასუხებში — 2, 4, 6, 7, 8, 9, 10, 11, 13, 14, 15, 16, 17, 18, 20 შეკითხვებში.

## ტესტის შედეგები

**10 ქულაზე ნაკლები:** გამორიცხული არ არის, რომ წარმატების მოპოვება შეძლოთ, მაგრამ თქვენი დღევანდელი განწყობილება და მიდრეკილებები ამას ხელს ნაკლებად უწყობს. თქვენ არასაკმარისად ორგანიზებული ადამიანი ბრძანდებით, არც მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები გაქვთ; ამასთან მიდრეკილი ხართ ილუზიებისკენ. ასე რომ, საკუთარი წამოწყებების წარმატებით დასაგვირგვინებლად სერიოზული მუშაობა და საკუთარი თავის სრულყოფა გესაჭიროებათ.

**10-15 ქულა:** საკმაოდ კარგი საქმიანი პოტენციალის პატრონი ბრძანდებით და შეიძლება ითქვას, ყველა შანსი გაქვთ წარმატების მოსაპოვებლად. მაგრამ ერთი რამ გაითვალისწინეთ, შეცდომებისგან დაზღვეული არავინაა: ამიტომ, წარუმატებლობის შემთხვევაში, საკუთარი ემოციების მოთოკვა უნდა ისწავლოთ და მომავალში საკუთარი შეცდომები ჭკუის სასწავლებლად გამოიყენოთ.

**15 ქულაზე მეტი:** ყველაფრის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ბიზნესმენის გასაოცარი ნიჭით ხართ დაჯილდოებული, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ წარმატება მხოლოდ ნიჭიერებაზე არ არის დამოკიდებული, უმთავრესი, რეალურ სიტუაციაში ამ უნარის სათანადოდ გამოყენებაა.

b 115/46

# ჰოროსკოპი

## (18 – 24 დეკემბერი)

### ვერძი:
დიდ დროს დაუთმობთ საუბრებს, დისკუსიებს. ეს კვირა თქვენგან სრულ მობილიზებასა და პროფესიონალიზმის გამოჩენას მოითხოვს. მოსალოდნელია შეხვედრა თქვენთვის საინტერესო პიროვნებასთან.

### კურო
მიზანდასახულობა თქვენი მთავარი კოზირი იქნება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. ოჯახურ ვახშამზე, გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით, თავის მართლება მოგიწევთ.

### ტყუპი:
ფრთხილად იყავით, უადგილო ადგილას წუწუნით კარიერას საფრთხეს ნუ შეუქმნით. შესაძლოა, მიიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის წყალობითაც, თქვენ წინაშე ახალი პერსპექტივა გადაიშლება.

### კირჩხიბი:
პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები გელით. უარი თქვით ისეთ ურთიერთობაზე, რომელიც დიდი ხანია, სიამოვნებას აღარ განიჭებთ და ახალი რომანი გააბით. მეტი დრო დაუთმეთ საკუთარ გარეგნობას.

### ლომი:
საუკეთესო კვირაა შემოქმედებითი პროექტების განსახორციელებლად და დიპლომატიური შესაძლებლობების გამოსავლენად. ძვირად ღირებული ნივთების შეძენისგან თავშეკავება გმართებთ.

### ქალწული
წარმატება გელით ყველა იმ საქმეში, რაც შემოქმედებას, ლიტერატურულ მოღვაწეობას ან ვაჭრობაში ფულის დაბანდებას შეეხება. კარგი იქნება, თუ კვირის ბოლოს სამოგზაუროდ წახვალთ.

### სასწორი
სასიყვარულო ურთიერთობები გაგირთულდებათ და შეიძლება, ინტრიგაშიც გაეხვიოთ. პარტნიორს ეჭვიანობის საფუძველს ნუ მისცემთ. გამოიჩინეთ წინდახედულება და ემოციებს არ აჰყვეთ.

### მორიელი
თქვენს ცხოვრებაში წარმატებული პერიოდი დადგა, წინ სიურპრიზებით სავსე კვირა გელით. ეცადეთ, მაქსიმალურად იაქტიუროთ და ცხოვრება უკეთესობისაკენ შეცვალოთ.

### მშვილდოსანი
დროა, იმიჯის განახლებაზე იზრუნოთ და ახალი ტანისამოსი შეიძინოთ. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი საყვარელ ადამიანს დაუთმეთ. უქმე დღეებში ქალაქგარეთ გადით და დაისვენეთ.

### თხის რქა
ეს კვირა იდეალურია კარიერაში წინსვლისთვის. საშუალება მოგეცემათ ახალი, მაღალანაზღაურებადი სამსახური იშოვოთ. კარგი კვირაა საყიდლებისთვის და გარდერობის გასაახლებლად.

### მერწყული
სამსახურში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. თუ რაიმე შეიცვლება, მხოლოდ სასიკეთოდ. კვირის მეორე ნახევარი საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ და მას სიურპრიზი მოუწყვეთ.

### თევზები
ამ კვირაში თავგადასავლებს, ფულს და საჩუქრებს ელოდეთ. ახალი ნაცნობობა ხანგრძლივ და მნიშვნელოვან ურთიერთობაში გადაიზრდება. ამიტომაც, ეს კვირა მაქსიმალურად ნაყოფიერად უნდა გამოიყენოთ.

# სუდოკუ

## წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 7 | 3 | 5 | 8 | 6 | 1 | 9 | 2 |
| 8 | 6 | 9 | 1 | 2 | 4 | 7 | 5 | 3 |
| 2 | 5 | 1 | 9 | 3 | 7 | 4 | 6 | 8 |
| 6 | 1 | 8 | 2 | 4 | 5 | 9 | 3 | 7 |
| 3 | 4 | 2 | 7 | 6 | 9 | 8 | 1 | 5 |
| 7 | 9 | 5 | 3 | 1 | 8 | 6 | 2 | 4 |
| 9 | 8 | 6 | 4 | 5 | 2 | 3 | 7 | 1 |
| 5 | 3 | 4 | 6 | 7 | 1 | 2 | 8 | 9 |
| 1 | 2 | 7 | 8 | 9 | 3 | 5 | 4 | 6 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 5 | 6 | 9 | 3 | 2 | 4 | 8 |
| 2 | 9 | 3 | 8 | 4 | 7 | 5 | 6 | 1 |
| 8 | 4 | 6 | 1 | 5 | 2 | 3 | 9 | 7 |
| 6 | 8 | 2 | 4 | 7 | 1 | 9 | 3 | 5 |
| 5 | 3 | 7 | 9 | 2 | 8 | 6 | 1 | 4 |
| 4 | 1 | 9 | 3 | 6 | 5 | 7 | 8 | 2 |
| 3 | 2 | 1 | 7 | 8 | 6 | 4 | 5 | 9 |
| 9 | 5 | 8 | 2 | 3 | 4 | 1 | 7 | 6 |
| 7 | 6 | 4 | 5 | 1 | 9 | 8 | 2 | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 2 | 8 | 4 | 1 | 9 | 7 | 5 | 3 |
| 1 | 9 | 7 | 5 | 3 | 6 | 2 | 8 | 4 |
| 4 | 5 | 3 | 8 | 7 | 2 | 9 | 6 | 1 |
| 3 | 7 | 2 | 1 | 8 | 5 | 6 | 4 | 9 |
| 9 | 4 | 5 | 2 | 6 | 7 | 1 | 3 | 8 |
| 8 | 6 | 1 | 3 | 9 | 4 | 5 | 7 | 2 |
| 2 | 3 | 6 | 9 | 5 | 8 | 4 | 1 | 7 |
| 7 | 8 | 4 | 6 | 2 | 1 | 3 | 9 | 5 |
| 5 | 1 | 9 | 7 | 4 | 3 | 8 | 2 | 6 |

## იაპონური სენსაცია

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | | 8 | | | 7 | |
| 5 | | | | | 3 | | | 9 |
| 8 | | | | | 2 | 3 | | 5 |
| | 4 | | | 1 | 8 | | 3 | |
| 7 | | | | | 6 | | | 4 |
| | 5 | | | | 4 | | 2 | |
| 2 | | 9 | 5 | | | | | 6 |
| 4 | | | 6 | | | | | 3 |
| | 7 | | | 3 | | 9 | | |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 | | 1 | | 4 | | |
| | | 4 | | | 6 | 8 | | |
| | | | | | 7 | | 3 | |
| | | 9 | | | 3 | | | 1 |
| 1 | | | | 7 | 2 | | | 6 |
| 4 | | | | | 1 | 2 | | |
| | 5 | | 2 | | | | | |
| | | 8 | 7 | | | 9 | | |
| | | 2 | | 8 | | 3 | | |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | | 2 | | | | 8 |
| | | | | 5 | | | | 4 |
| | | 4 | 3 | | | 6 | | |
| | 6 | | | 7 | | | 2 | |
| | | 8 | 9 | | | 3 | | |
| | 5 | | 6 | 3 | | | 4 | |
| | | 5 | | | 1 | 7 | | |
| 4 | | | | 8 | | | | |
| 2 | | | | 6 | | | 9 | |

# ფოტოკურიოზები













# საბა SABA

## პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე



ღრმაღელე M · · · · · · · · · · · · M გურამიშვილი



PASCHA

ბინა შენდება PASCHAI-ის (გერმანია) სამშენებლო ტექნოლოგიის სრული გამოყენებით

ბინები 65 $м^2$ - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული, კეთილმოწყობილი ეზო 5000 მ²
მოპირკეთებული ქუჩა და მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

სიახლე!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში